ნოე რამიშვილი

ისტორიული მატერიალიზმი

მესამე გამოცემა

ნოე რამიშვილი

ისტორიული მატერიალიზმი

მესამე გამოცემა

თბილისი
2020

UDC (უაკ) 141.824
რ-214

რედაქტორი: **გურამ ყორანაშვილი**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ISBN 978-9941-9640-8-4

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

ეს წიგნი 1910 წელში შედგენილია. პირველი გამოცემა 1912 წელს მოხერხდა, მარა იგი ცენზურამ აკრძალა. ამიტომაც ხალხისთვის წიგნი უცნობი დარჩა. დღეს ის შევსებული და შესწორებული გამოდის.

როცა მეზღვაური შორეულ ქვეყანაში მიემგზავრება, ის მთელ თავის იმედებს კომპასზე ამყარებს, რომელიც მას გზას უჩვენებს და მიმართულებას აძლევს. ასეთი კომპასია მებრძოლისათვის სწორი მსოფლმხედველობა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მსოფლიო კატასტროფისა და რევოლუციის ხანაში. საზოგადოებას არ შეუძლია გადასცდეს განვითარების აუცილებელ საფეხურს, მაგრამ ყალბი ტაქტიკა, არეულ-დარეული გზა ახალი წყობილების „მშობიარობის ტკივილებს“ აძნელებს და ძველი წესების გახანგრძლივებას ხელს უწყობს.

ასეთ სწორ გზას მხოლოდ მარქსიზმი იძლევა.მსოფლიო ომი ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ბურჟუაზიული პაციფისტები, ანუ მუდმივ მშვიდობიანობის მოტრფიალენი ომის თავიდან აცილებას ქადაგებით, – ლიტონი სიტყვით ლამობდენ. ეს უტოპია იყო. კაპიტალიზმი მუდმივი შეხლაშემოხლის ასპარეზია. მეოცე საუკუნის დასაწყისში ბურჟუაზიამ თითქმის მთელი მსოფლიო დაიმორჩილა. ის თავის კანში ვეღარ ეტევა. მისი ეკონომიური ინტერესი მოითხოვს ახალი ქვეყნების დაპყრობას, იქ თავისი გავლენის გაფართოვებას და ამ გზით ფართო ბაზრების შეძენას. ასეთივეა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის ლტოლვილება. ჯერ მშვიდობიანი გზით ომობენ და მით თავის ეკონომიურ გავლენას აფართოვებენ. მარა დადგა მომენტი, როცა ეკონომიური მეტოქეობის კვანძი სავსებით დაიხლართა. საჭირო შეიქნა მისი გაჭრა. ამ ნიადაგზე მსოფლიო ომმა იფეთქა, რომელიც სამი წელია რაც ანადგურებს კაცობრიობას და მას ბარბაროსობისაკენ მიერეკება. ისტორიული მატერიალიზმი ერთხელ კიდევ საუცხოოთ დამტკიცდა.

სოციალ-დემოკრატია ამ უდიდეს და მეტათ მჭრელ იარაღს ეყრდნობა და მისი მეოხებით ცხოვრების ლაბირინტში გზას იკვლევს. ამ იარაღის მომარჯვება ყველაზე უფრო საჭიროა სწორეთ

დღეს, როცა რუსეთის რევოლიუცია ვითარდება და ღრმავდება. ისტორიული მატერიალიზმის კარგათ შესწავლა მკითხველს მიმდინარე ამბების გაგებას და მასში შეგნებული მონაწილეობის მიღებას გაუადვილებს.

ქ. თფილისი. 2 ივნ. 1917 წ.

წინასიტყვაობა 1-ი გამოცემისა

ადამიანი ემორჩილება ორგვარ მოვლენათა გავლენას. ერთნი არიან მოვლენანი ბუნებისა, მეორენი – მოვლენანი საზოგადოებისა. მათი გავლენა ადამიანზე იწყება ერთ და იმავე დროს. ამიტომ ის მუდამ იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ ორივე მოვლენას და თავისი ცხოვრება შესაფერათ მოაწყოს. ეს ანგარიშის გაწევა პირველათ ნიშნავდა უბრალო შეგუებას, ბუნებისა და საზოგადოებისადმი სრულ მორჩილებას და მათ ყურმოჭრილ ყმათ გადაქცევას; შემდეგ კი მოვლენათა თანდათანობით გაგებას, მიზეზების გამოკვლევას, აწონდაწონას და მოწინააღმდეგე ძალებთან გაგებულათ ბრძოლას. ჩვენ დღეს ამ მეორე ხანაში ვიმყოფებით. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ადამიანის ცნობისმოყვარეობა ამ ორივე სამეფოს მიმართ სრულიად სხვა და სხვა ნაირია. მას მუდამ უფრო აინტერესებს ბუნება, ვინემ საზოგადოება. ესაუბრეთ მას ბუნებისმეტყველების მარტივ კითხვებზე, მაგ. თოვლზე, წვიმაზე, მეხზე და სხვ. და ის რაგინდ ხეპრე იყოს, დიდის სიამოვნებით მოგისმენს და დიდხანს არ დაივიწყებს. აგრეთვე უბრალო მწიგნობარიც ასეთ წიგნებს ძლიერ ეტანება. ბუნების შესწავლა სავალდებულო საგნათ არის გადაქცეული სასწავლებლებშიაც, თვით სახალხო სკოლებშიაც კი. საზოგადოება? მისი შესწავლა, მისი გზა-კვალის გაგება და საზოგადოთ, მისკენ ყურადღების მიპყრობა რჩეულთა ხვედრია. და ეს იმ დროს, როცა შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საზოგადოება მეტ გავლენას ახდენს ადამიანზე, ვიდრე ბუნება და თვით ბუნების გავლენაც წარმოებს საზოგადოების საშუალებით. საზოგადო ცხოვრება ძლიერ გართულდა, მისი კალაპოტი გაღრმავდა და გამრავალფეროვანდა, მრავალი მოპირდაპირე ძალა ერთმანეთზე გადახლართულ-გადაკვანძულია, ცხოვრება გაჭირდა, ის დიდ შრომასა და ენერგიას ითხოვს. და აი, ამ აბობოქრებულ ტალღებში ხალხის დიდი უმრავლესობა ალალ ბედათ დასცურავს; მას სრულიად არ გაეგება ამ ტალღების ასავალ-დასავალი, ის ამათ უსინათლოსავით აყვება და ჩაყვება და თუ რაიმე შეიძინა ხომ კარგი, თუ არადა უფსკრულში ინთქმება და ნუგეშს იღბალში ხედავს. რას იტყოდით იმ მონადირეზე, რომელიც სანადიროთ უიარაღოთ წავიდა?

ანდა სადაური მეომარია უიარაღო მხედარი? ცხოვრებაში დიდძალი ხალხი ნადირობს და იბრძვის საჭირო იარაღს მოკლებული. ცნობა იმ მიდამოსი, სადაც იბრძვი – გამარჯვების აუცილებელი საშუალებაა. თუ მართალია საზოგადოთ ის, რომ ცოდნა ძალაა, მართალია ამ კერძო შემთხვევაშიაც. კაცმა წინდაწინ, რასაკვირველია, არ იცის, თუ რით დაბოლოვდება მისი მოქმედება, მარა ის მოვალეა იცოდეს რანაირ ძალასთან აქვს საქმე, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე. მას აქვს მიზანი, რომლისაკენ ის მიექანება, მაგრამ ამ მიზნის მოპირდაპირე მიზანი აქვს სხვებს. ჩაღდება მათ შორის შეტაკება, გზის გაბრუნდება, მოქმედების შესვრა, პლანის ჩაფუშვა და ბოლოს ხელში რჩება ის, რაც არ სურდა და რასაც არ მოელოდა. ახლა წარმოიდგინეთ მცოდნე მებრძოლი; მან იცის რაგვარ საზოგადოებაში ცხოვრობს, რა ნაწილებისაგან შესდგება იგი, საითკენაა მისი მტერი, რა ძალა დაამარცხებს მათ, როგორ უნდა შეიარაღდეს და სხვ. ის ბრძოლაში მარტო აღარ მიდის, ეძებს ამხანაგებს, რაზმავს მათ, ქმნის ძალას და ასე მოპირდაპირეზე იერიშით მიდის. ასე იქცევა ყველა ის, ვისაც ნამდვილი წარმოდგენა აქვს საზოგადოებაზე და მის მამოძრავებელ ძალაზე. მე ვამბობ ნამდვილზე, იმიტომ რომ ბევრ შეგნებულ ადამიანს აქვს წარმოდგენა საზოგადოებაზე, მარა ეს წარმოდგენა ყალბია. ამ შემთხვევაში დამარცხებას ერთვის სასოწარკვეთილება და უიმედობა. აქ დამარცხებული სახტათ რჩება, იბნევა და გაკვირვებას ეძლევა: რა მოხდა, რა მეხი დაგვეცაო!

ერთი სიტყვით, საზოგადოების ცოდნა, საზოგადო ძალების გათვალისწინება, ურთიერთობის ჩარხის შეგნება და იმისი თავის მიზნისათვის აბრუნება – აი თანამედროვე მებრძოლის მიუცილებელი თვისება, აი მისი მკვეთრი აბჯარ-მოკაზმულობა.

მარა არის ცოდნა და ცოდნაც. არიან მრავალი სწავლულები, რომელთა აზრით სოციალური მოვლენის ცოდნა მდგომარეობს მის აღწერილობაში. ასწერე დაწვრილებით ის და იცი ის. ასეთი მიმართულება პირველათ დაიბადა ბუნების მეტყველებაში, აქ დიდძალი მასალა მოაგროვეს. ასწერეს მცენარენი და ცხოველები რაც შეიძლება სრულათ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა დარვინი და ეს ერთიანათ დაანგრია. გამოჩნდა, რომ ორგანიზმები ერთი მეორისაგან ვითარდებიან განსაზღვრული მიზეზების წყალო-

ბით. განვითარება და მიზეზი განვითარებისა – აი დარვინიზმის დედა-ბოძი. ეს დედა-ბოძი გადაიტანეს სოციოლოგიაშიც, მარა მეტათ კოჭლათ. სპენსერის მთელი სოციოლოგია მდგომარეობს სოციალურ მოვლენათა განვითარების აწერაში. მან ჩინებულათ გამოაფინა მრავალი სოციალური ფაქტი, მარა მიზეზი მათი განვითარებისა სრულიად ვერ ახსნა. გინახავთ მშვენიერ მაღაზიაში რიგ-რიგათ დაწყობილი ნაირ-ნაირი საქონელი. უცქერით სიამოვნებით, ხოლო თუ გსურთ გაიგოთ ამ საქონლის გაჩენის მიზეზი – უნდა გაშორდეთ მაღაზიას, წახვიდეთ ფაბრიკაში და იქ გაიგებთ რასაც ეძებთ. ჩარხი საქონლის მომზადებისა იქ ტრიალებს. სპენსერის და სხვა სოციოლოგების შრომა წააგავს ამ მაღაზიას თავისი გამოფენით. სოციალურ მოვლენათა ფაბრიკა, მათი ჩარხი ჩვენ გვიჩვენა მხოლოდ კარლ მარქსმა. ის ეყრდნობა ევოლიუციას და ცდილობს მისი მიზეზის გამორკვევას. ყველა ხედავს სოციალურ მოვლენათა ცვალებადობას. ისტორია, ამ ცვალებადობის აღნუსხვაა. იყო საბერძნეთი, მერე რომის იმპერია, შემდეგ საშუალო საუკუნეები და სხვა. ყველა ეს მოწაფემაც კი იცის. აწერა ამათი დაწვრილებით და დალაგებით ნიშნავს მათ ისტორიის დაწერას. მარა ეს ცოდნა საკმარისი არ არის, ისე როგორც საქონლის ცოდნისათვის მისი გამოფენის დათვალიერება არ კმარა. მარქსის მოძღვრება იძლევა ამ დიად მოვლენათა ახსნას, ის გვითითებს ისტორიის დედა-ბოძისაკენ, მის მამოძრავებელ ჩარხისაკენ. საზოგადოების ამაღორძინებელი და დამშლელი ძალა ვითარდება თვით საზოგადოებაში. მარქსი იკვლევს ამ ძალას, მის გზა-კვალს. ეს ძალა მუშაობს ყოველგვარ საზოგადოებაში, მხოლოდ სხვა და სხვა სახით ის განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში განსაზღვრულ განვითარებას განიცდის და ვინც მას იცნობს – იცნობს მთელ ხანასაც. მარქსის ისტორიული მოძღვრება აღებს ისტორიის ცხრაკლიტულს და მით სოციალურ მოვლენათ ნათელი ეფინება. მაშასადამე ამ მოძღვრების შესწავლა, მისი თვალთახედვის თავის თვალთახედვად გადაქცევა და ასე შეიარაღებული ცხოვრების ბრძოლაში ჩარევა – აი თანამედროვე მებრძოლის მიუცილებელი საშუალება, აი მისი „ხმალი, ბასრი და მჭრელია“.

6. რამიშვილის წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი“, სწორეთ მისწრებაა ყველა იმათთვის, ვისაც მარქსის მოძღვრების შეთვი-

სება სწყურია. ამგვარი წიგნი ჩვენ არ მოგვეპოვება. მისი მთავარი ღირსებაა მისი მეთოდი, ანუ წესი მარქსის მოძღვრების გადმოცემის და დასაბუთებისა. ჩვეულებრივათ, მარქსისტები აიღებდენ მარქსის მთავარ დებულებებს და მათ ასაბუთებდენ ზოგი ისტორიული ფაქტებით. ეს არის უფრო დასაბუთება მეთოდოლოგიური, ვინემ ისტორიული. ნ. რამიშვილი იღებს მარქსის ყველა დებულებებს რიგრიგათ, ერთმანეთში აურევლათ და მათ ასაბუთებს ცალ-ცალკე ყველა ისტორიული ხანის განხილვით. აქ სავსებით დაცულია ისტორიული მეთოდი. ეს ერთად ერთი სწორი მეთოდია მარქსიზმის შესასწავლათ. ასე რომ აქ შედუღებულია თეორია და ისტორია, მარქსიზმი და ცხოვრება და ეს მოკლეთ, მკაფიოთ და გასაგებათ. ეს წიგნი იმავე დროს საუკეთესო სახელმძღვანელოა იმათთვის, ვისაც მარქსიზმის შესწავლა კიდევ უფრო ფართეთ სურს. საკმარისია ის გაეცნოს ყველა იმ ფაქტებს და წყაროებს, რომელიც წიგნშია მოყვანილი, რომ ისტორიული მატერიალიზმი კარგათ გაიკვეთოს. ამ პატარა წიგნში ძლიერ ბევრი ისტორიული ფაქტებია დაგროვილი, ფაქტები, მთავარი ხანის დამახასიათებელი. ვინც ისტორია არ იცის, ის უნაყოფოთ დაუწყებს მარქსიზმს ხელებით პოტინს. მას შეუძლია გაიზეპიროს დებულებები, მარა ვერც ერთ მათგანს ცხოვრებაში ვერ გამოიყენებს. მხოლოდ ისტორიის დახმარებით შეიძლება ამ დებულებების თავის დებულებებათ გადაქცევა და სურვილისამებრ მათი მოხმარა. ამ შემთხვევაში საზოგადოება უდაბნოთ აღარ გეჩვენებათ, მისი მესაჭეობა ძნელი აღარ არის.

შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ვერც ერთ რუსულ-ქართულ წიგნისაგან ისე კარგათ ვერ გაეცნობით მარქსიზმს, როგორც ნ. რამიშვილის წიგნიდან. აქ შინაარსი და ფორმა ისე კარგათაა შეზავებული, რომ მის გასაგებათ საჭიროა მხოლოთ კითხვის ცოდნა და ჩვეულებრივი მოსაზრება. აქ მეცნიერება გამოთქმულია მეცნიერული, და იმავე დროს მარტივი ენით. მარქსიზმის ვულგარიზაციის შიგ აჩრდილიც არ არის, რაც ასე ხშირათაა სხვა ამგვარ წიგნაკებში. წაიკითხეთ და დარწმუნდებით.

ნოე ჟორდანია

შესავალი

ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება – ეს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იცოდენ. მაგრამ იბადება კითხვა: რა ამოძრავებს კაცობრიობას? რატომ საზოგადოების ერთი ნაწილი ბატონობს, მეორე კი მას ემორჩილება? რატომ ერთი ერი წინ მიიწევს და კაცობრიობას სათავეში უდგია, ხოლო მეორე უკან დაქანებულა და ძლიერის უღელს ქვეშ სულს ღაფავს!? რატომ ისპობა ძველი წყობილება და მკვიდრდება ახალი? რატომ დაფუძნდა, ვთქვათ, ოსმალეთში ან სპარსეთში კონსტიტუციური მართვა-გამგეობა? რატომ დაემხო რუსეთში მეფობა?

ყველაფერი უზენაესი ძალის სურვილით წარმოებს – ფიქრობდენ ერთნი. ადამიანის ყოველივე თვისება საზოგადოებრივი წრის შედეგია – ამტკიცებდენ მეორენი. ისტორიას გამოჩენილი ადამიანები ქმნიან – იცავდენ სხვები. საზოგადოების წინმსვლელობა შედეგია ახალ იდეათა გავრცელებისა – ქადაგებდენ ზოგიერთები.

ასეთ შეხედულებათა წინააღმდეგ კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა გაილაშქრეს. „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში“ 1859 წ., კ. მარქსმა ასე განმარტა კაცობრიობის განვითარება: „თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწყობათ ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ და თან უნებლიე დამოკიდებულებაში – საწარმოვო დამოკიდებულებაში, რომელიც შეეფერება მათ ნივთიერ საწარმოვო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. საწარმოვო დამოკიდებულება საერთოდ შეადგენს ეკონომიურ შენობას, რეალურ ბაზას, საფუძველს, რომელზედაც აღმართულია იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენნი და რომელსაც ეთანხმებიან საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები. ნივთიერი ცხოვრების წარმოების წესზე საერთოთ დამოკიდებულია სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესი. ადამიანთა შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა-მათ შეგნებას. თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების ნივთიერი საწარმოვო ძალები ეჯახებიან არსებულ საწარმოვო დამოკიდებულებას, ანუ – იურიდიული

ფორმულა რომ ვიხმაროთ – ქონებრივ დამოკიდებულებას, რომლის ფარგლებშიაც აქამდის ისინი მოძრაობდენ ნაცვლათ საწარმოვო ძალთა განვითარების ფორმისა – ეს დამოკიდებულებანი მათ წინ ეღობება და აფერხებს; მაშინ იწყება ხანა სოციალური რევოლიუციის ეკონომიური საფუძვლის შეცვლით, ადრე თუ გვიან, მთელი ზედნაშენიც გარდაიქმნება. ასეთ ცვლილებათა განხილვის დროს ჩვენ უნდა გავარჩიოთ ნივთიერი ცვლილება, რომელიც ხდება ეკონომიურ საწარმოვო პირობებში და რომლის აღნუსხვა შეიძლება საბუნებისმეტყველო სისწორით, და იურიდიული, პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, ხელოვნური ანუ ფილოსოფიური, მოკლეთ იდეოლოგიური ფორმები, რომელშიაც გამოიხატება ამ შეჯახების ადამიანთა მიერ შეგნება და ბრძოლა მის წინააღმდეგ. როგორც შეუძლებელია პიროვნებაზე მსჯელობა იმისდა მიხედვით, თუ რას ფიქრობს ის თავის თავზე, აგრეთვე შეუძლებელია ცვლილების ხანაზე იმისდა გვარათ მსჯელობა, თუ რანაირია მისი შეგნება; პირიქით საჭიროა ამ შეგნების ახსნა ნივთიერი ცხოვრების წინააღმდეგობათაგან, იმ შეჯახებისაგან, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ საწარმოვო ძალთა და საწარმოვო დამოკიდებულებათა შორის. საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი საფეხური არ ისპობა იმაზე ადრე, სანამ არ განვითარდებიან ყველა საწარმოვო ძალები, რომელთაც ის აძლევს შესაფერ ასპარეზს, და ახალი უმაღლესი დამოკიდებულება არასოდეს არ ჩნდება მის ადგილას იმაზე ადრე, ვინემ ძველი საზოგადოების საშოში არ მომწიფდებიან მისი ნივთიერი არსებობის პირობები. ამიტომაც კაცობრიობა მუდამ ისეთ ამოცანას ისახავს, რომლის გადაჭრა მას შეუძლია; ასე რომ, დაწვრილებით თუ განვიხილავთ ხსენებულ საკითხებს, აღმოჩნდება, რომ თვით ამოცანა მაშინ წარმოიშობა, როცა მის გადასაჭრელათ ნივთიერი პირობები უკვე არსებობენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, შექმნის პროცესში იმყოფებიან“.[1]

რას ნიშნავს ეს?

[1] ფრ. ენგელსის სიტყვა კ. მარქსის საფლავზე.

თავი I

საწარმოვო ძალთა განვითარება

ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება – აი მთავარი და აუცილებელი პირობა ადამიანის ცხოვრება-არსებობისა. „ადამიანებს უპირველესათ უნდათ ჭამა-სმა, მათ სჭირიათ ბინა და ტანსაცმელი, სანამ შეიძლებენ ისაქმონ პოლიტიკით, მეცნიერებით, ხელოვნებით, სარწმუნოებით და სხვა“.[1] ამ მიზნით ადამიანი ამზადებს შესაფერ ნივთებს, ანუ აწარმოებს.

რა არის წარმოებაში საჭირო?

თავდაპირველათ დასამუშავებელი საგანი. ამ მხრივ საყოველთაო და უმთავრესი საგანი დედამიწაა. მცენარეებსა და ცხოველებს, რკინისა და ოქრო-ვერცხლის მადნეულობას და სხვ.- აი რას აძლევს ადამიანს დედამიწა. ამ საგნებიდან ზოგი ბუნებრივათვე მზათაა სახმარათ, მაგალითად, ცხელ ქვეყნებში სხვა და სხვა პალმები, როგორც ქოქოსი, ბანანი ან დანაკის კუდი; ზოგს კი დამუშავება სჭირია, მაგალითად, მადნეულობას.

მეორეთ, წარმოებისათვის აუცილებელ საჭიროებას სამუშავო იარაღი შეადგენს. ასეთია სახნისი, გუთანი, ცული, მანქანები და სხვა. სამუშაო იარაღს სხვანაირათ ეწოდება საწარმოვო იარაღი ანუ ტეხნიკა. ტეხნიკის ასპარეზი დღითი-დღე ფართოვდება. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს მეცნიერება, კერძოთ ტეხნოლოგია და ქიმია. ქიმიური წარმოება-დამზადება ხელოვნური წყლებისა, სხვა და სხვა საფერავებისა[2] და სხვ. – თვალსაჩინო ადგილს იჭერს კაპიტალისტურ მეურნეობაში. ამიტომაც არის ყოველივე ახალი მეცნიერულ-ტეხნიკური ან ქიმიური გამოგონება გაფართოვებაა ტეხნიკის ასპარეზისა.[3] მოკლეთ, საწარმოვო იარაღები, მათი დამზადება-მოხმარა და ამისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილებათა დაგროვება – აი რა შეადგენს ტეხნიკას.

---

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. წინასიტყვაობა.

[2] საღებავებისა, რედ.

[3] იხ. კ. კაუცკის კამათი ე. ბელფორტ-ბაქსთან.

დასამუშავებელი საგანი და ტეხნიკა, ორივე ერთად საწარმოო საშუალებაა.

იარაღის მოხმარა და საგნის დამუშავება ადამიანის საქმეა. თვით მზა-მზარეული ნივთის, მაგ ბანანის მოხმარაც კი მოითხოვს სამუშავო ძალღონის დახარჯვას – ბანანის მოკრეფას. ადამიანთა მოქმედება-შრომის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის განვითარება. ამ მხრივ შრომა პროგრესის ქვაკუთხედია.

თვითეული მათგანი-დასამუშავებელი საგანი, საწარმოვო იარაღი ანუ ტეხნიკა და ადამიანის შრომა-მოქმედება – ხელს უწყობს წარმოების წინსვლა-განვითარებასა და ამიტომაც სამივე ერთად და ცალ-ცალკე საწარმოვო ძალაა.

მათში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია ტეხნიკა. მართლაც, კაცობრიობის ისტორიაში დედამიწა ან საერთოდ ბუნება და თვით ადამიანი საერთოდ არ შეცვლილან, უკეთ, ეს ცვლილება სრულიად უმნიშვნელოა. საქართველოს ბუნება დღესაც დაახლოვებით ისეთივეა, როგორიც იყო ფარნავაზ მეფის დროს, და ქართველთა მოდგმაც არსებითათ იგივეა, რაც თამარ მეფის ჟამს. იცვლება და სწრაფათაც იცვლება ტეხნიკა და აი, ეს იწვევს საზოგადოების შეცვლა-გადასხვაფერებას. „ახალი სამხედრო იარაღის, ცეცხლ-მსროლელი იარაღის გამოგონებით – ამბობს კ. მარქსი – აუცილებლათ შეიცვალა ჯარის შინაური მოწყობილობა, აგრეთვე ის ურთიერთ-დამოკიდებულება, რომელშიც იმყოფებიან ჯარის შემადგენელი პირები და რომლის მეოხებითაც ის წარმოადგენს ერთ შეკავშირებულ მთელს; დასასრულ გამოიცვალა თვით ჯართა ურთიერთ-დამოკიდებულება“.[1] ამიტომაც არის „ახალ საწარმოვო ძალთა მოპოებით ადამიანები ცვლიან თავისი წარმოების წესს... ხელის წისქვილი ქმნის საზოგადოებას ფეოდალის მეთაურობით, ორთქლის წისქვილი კი კაპიტალისტურ საზოგადოებას“.[2]

მოკლეთ, ტეხნიკის განვითარება – აი მთავარი მამოძრავებელი ღერძი ისტორიისა. ვისაც სურს შეჩერება კაცობრიობის პროგრესის და ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება, მისი ვალია ამ მთავარი მტრის განადგურება. ეს კი, გამოცდილებით ვიცით, ქარის წისქვილებთან ბრძოლაა. პროგრესი ტეხნიკაში ადრე

---

[1] კ. მარქსი. დაქირავებული შრომა და კაპიტალი.

[2] К. Марксь, Нищета философіи. Пер. В. Засуличь, под ред. Г. Плеханова, 79 გვ.

თუ გვიან, აუცილებლათ იწვევს პროგრესს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქ ზოგიერთი მკითხველი იფიქრებს: ვთქვათ ტეხნიკის განვითარება ისტორიული პროცესის ქვაკუხედია; მარა თვით ტეხნიკა, საწარმოვო იარაღთა დამზადება, ეს ხომ ადამიანისა და მისი შეგნების საქმეა. გამოდის, არა ტეხნიკა, არამედ ადამიანის შეგნება, აი რა ამოძრავებს და განსაზღვრავს საბოლოოდ კაცობრიობის განვითარებას.

ეს მართალია მხოლოდ პირველი შეხედვით.

მართლაც, საწარმოვო ძალთა განვითარება უპირველესათ გარეშე პირობებზეა დამოკიდებული. ქვეყნათ წარმოშობისას ადამიანი სავსებით ბუნების მონაა. ტყე და მდინარე, ჰავა და მიწის სინოყივრე, ზღვა და მთა – აი რაზეა დამოკიდებული მისი ცხოვრება. ეს ე. წ. ბუნებრივი წრეა (გარემო). ეს ბუნებრივი წრე, თვით ბუნება აძლევს ადამიანს საწარმოვო იარაღს, რომლითაც ის შემდეგში იმორჩილებს ბუნებას და ანვითარებს თავის ცხოვრებას. „პირვანდელი იარაღები – ამბობს ლ. გაიგერი – უფრო ნაპოვნია, ვინემ აღმოჩენილი... ასე, პირველ დანათ შეიძლება გამომდგარიყო შემთხვევით ნაპოვნი და, მე ვიტყოდი, სათამაშოთ გასროლილი წვეტიანი ქვა“.[1]

პირველი ისარი უფრო ჯოხია, ვინემ დამზადებული იარაღი. აგრეთვე სრულიად შემთხვევითია ცეცხლის აღმოჩენაც. ის შეიძლება თავისთავად გაჩენილიყო იმ ადგილებში, სადაც ბლომათ მოიპოვება გამხმარი ასანთები მასალა, როგორიც არის ხავსი, გამხმარი ფოთოლი, ფიჩხი და სხვა; ან შეიძლება მეხის დაცემით, კიდევ უფრო ადრე კაჟის ნატეხით ან იმ სითბოს მეოხებით, რომელიც გაჩნდებოდა მაგარი ხის დაბურღვის დროს.[2]

ასეთი ბეჭედი აზის ყველა პირვანდელ იარაღს. შემდეგშიც ადამიანის შეგნებაც მხოლოთ იმას ასრულებს, რასაც მას უკარნახებს საზოგადოების ნივთიერი მდგომარეობა.[3]

დროთა განმავლობაში ადამიანი ეჩვევა საწარმოვო იარაღთა მზადებას. ეს საზოგადოებრივი ანუ სოციალური ცხოვრების დასაწყისია. მართლაც, სანამ ის მხოლოთ იმით სარგებლობს, რასაც

---

[1] ლ. გაიგერი. Zur, Entwickelungsgechichte d. Menshheit. Stuttgart, 1876.

[2] იქვე.

[3] კ. კაუცკი, ეთიკა და მატერიალისტური ახსნა ისტორიისა, გერმანული გამოცემის, 86 გვ.

მას მზამზარეულათ აწვდის ბუნება, ის ჯერ კიდევ ცხოველთა სამეფოს ეკუთვნის. ცნობილია, მაიმუნები მტრის მოსაგერიებლად ჯოხებსა და ქვებსაც ხმარობენ; მარა რაკი ადამიანი შეეჩვია საწარმოვო იარაღთა მზადებას, ამით ის ცხოველთა სამეფოს მოშორდა და საზოგადოებრივ, ანუ სოციალურ ცხოვრებას შეუდგა. „ადამიანმა – ამბობს პოლ ლაფარგი – როგორც ჭიანჭველამ, წავმა და სხვა ცხოველებმა, – თავისი ცხოვრების დასაცველათ შექმნა ხელოვნური წრე (გარემო), ე.ი. წრე ადამიანის ხელოვნებით წარმოშობილი. ეს ხელოვნური წრე ბუნების საქმეს აგრძელებს: ის ბუნებრივ ადამიანს ცვლის, ანვითარებს ზოგიერთ მის თვისებას, სპობს სხვა თვისებებს და ასე ჰქმნის სოციალურ ადამიანს“.[1]

ამ ხელოვნურ წრეს სხვანაირათ ეწოდება საზოგადოებრივი ანუ სოციალური წრე: ადამიანი აწარმოებს არა ცალ-ცალკე, არამედ სხვა ადამიანებთან ერთად, ჯგუფობით.

რანაირია ეს ხელოვნური, ანუ სოციალური წრე? როგორ შეიძლება მისი ახსნა- გარკვევა?

საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი წარმოებაა.

[1] პ. ლაფარგი. კამათი ჟორესთან. ხაზგასმული ავტორისაა.

თავი II

წარმოება და ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის წესი

1. წარმოება

საწარმოვო ძალთა განვითარება შესაფერ წარმოებას ამყარებს. როგორიც არის ტეხნიკა, ისეთივეა წარმოებაც. „ახალ საწარმოვო ძალთა მოპოვებით ადამიანები ცვლიან თავიანთი წარმოების წესს“,[1] ამიტომ „იმით კი არ განსხვავდებიან სხვა და სხვა ეკონომიური ეპოქები, თუ რა კეთდება, არამედ იმით, თუ როგორ, რა იარაღით კეთდება“.[2]

მართლაც პური მოჰყავთ როგორც მონურსა, ისე კაპიტალისტურ საზოგადოებაში; ნადირობას მისდევენ როგორც პირველ ყოფილ კომუნისტურ, ისე ფეოდალურ წყობილებაში. მათი განსხვავება ერთად-ერთშია — საწარმოვო ძალთა განვითარებაში. ამას ახლავე დავინახავთ წარმოების სხვა და სხვა ფორმათა მოკლე განხილვით.

ა) პირველ-ყოფილი კომუნისტური წარმოება

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ პირველყოფილი ადამიანი დანარჩენ ცხოველებისაგან მხოლოდ იარაღების დამზადებით განსხვავდება, ამით ის ცხოვრებაში გზას იკაფავს და თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. ხის კეტი და ქვის ცული, ცეცხლი და შვილ-ად-ისარი — აი, პირვანდელი ტეხნიკა. ის პირველყოფილ ადამიანს საშუალებას აძლევს წყალში თევზები დაიჭიროს, მხეცები მოიგერიოს, ნადირობას შეუდგეს, გარეული ცხოველები მოაშინაუროს და მეჯოგეობას მოჰკიდოს ხელი; ცეცხლის მეოხებით მხეცები დააფრთხოს, საჭმლის შეწვა-მოხარშვა ისწავლოს და სხვა.

ასეთია პირველყოფილი წარმოება. ეს კერძო ადამიანის ძალას აღემატება და შეერთებულ მოქმედებას მოითხოვს. ამიტომ პირ-

---

[1] К. Марксь. Нищета философи. 79 გვ.

[2] К. Марксь. Капиталь, т.I, 134 გვ. უსახელო ავტ. გამოც.

ველყოფილი ადამიანები იძულებული არიან წარმოების ნიადაგზე ერთმანეთს დაუკავშირდენ. ასე წარმოიშვა თემი, რომელიც სისხლით მონათესავე ადამიანთაგან შესდგება. რომელიმე ადამიანის მთელი შთამომავლობა, დაახლოვებით სამოცი-ასი სული, ერთად სახლდება და წარმოებას ერთად ეწევა. როგორიც არის წარმოება, ისეთივეა ნაწარმოების განაწილებაც. ამიტომ თემის მთელი ნაწარმოები საერთო მფლობელობას შეადგენს და ყველა წევრი დაახლოვებით თანასწორათ სარგებლობს. ასეთია პირველყოფილი კომუნიზმი.

ამნაირი ეკონომიური წყობილება აქა-იქ დღესაც არსებობს, წინეთ ის საყოველთაო მოვლენა იყო.

დროთა განმავლობაში პირველყოფილ საზოგადოებაში თავი იჩინა ეკონომიურმა უთანასწორობამ. ეს შრომის განაწილებამ გამოიწვია. მამაკაცები სათევზაოთ ან სანადიროთ მიდიან. საოჯახო მეურნეობა დედაკაცის ხელშია. ამით თემში უმთავრეს როლს იმ ხანათ დედა-კაცი თამაშობს. მართლაც განვითარების ამ საფეხურზე ველური ადამიანი დღე-დღეზე ცხოვრობს. თევზისა და ნანადირევის ხანგრძლივი შენახვა შეუძლებელი საქმეა, ვინაიდან დალპობა მოელის. როდის აკლია თემს სასმელ-საჭმელი და რა დროს რა ესაჭიროება, ეს უკეთ იცის საოჯახო საქმეთა გამგემ – დედაკაცმა. და აი, მისი წინადადებით მამაკაცები სათევზაოთ თუ სანადიროთ მიდიან. ამ გზით დედაკაცი წარმოების მეთაური შეიქნა. ასეთ როლს უკეთ შეასრულებდა თემში უფრო გამოცდილი ან გამოცდილი დედაკაცი. წინეთ კი ასეთები იყვნენ მხოლოთ მოხუცებულნი. დღეს სკოლა აწვდის ხალხს ცხოვრებაში საჭირო ცოდნას, წინეთ კი ერთად ერთი სკოლა თვით ცხოვრება იყო, წარმოების მეთაური, დედაკაცი, მთელი თემის მეთაური შეიქმნა. ის ანაწილებს შრომას მამაკაცთა შორის და ყველასგან მოითხოვს მიჩენილ სამუშაოს წესიერათ ასრულებას. მთელი თემი მას დიდი პატივისცემით ეპყრობა და მის სიტყვას ემორჩილება. ოჯახი დედაკაცის გვარს ატარებს და მისგან შვილზე გადადის. ეს ქალთა ბატონობის ხანაა. ასეთ წესს ეწოდება მატრიარქატი, ხოლო თემის მეთაურს მატრიარქი.

მდგომარეობა ძირიანათ გამოიცვალა ცხოველთა მოშინაურებით და მეჯოგეობის დაწყებით. ძროხებისა და ხარების, თხებისა

და ცხვრების, აქლემებისა და ცხენების ჯოგი თავისით მრავლდება და არც დიდ მოვლას მოითხოვს. ეს თემს აძლევს მდიდარ საცხოვრებელ საშუალებას და მის ცხოვრებას მტკიცე საფუძველზე ამკვიდრებს. თუ წინეთ თევზაობა და ნადირობა რამოდენიმე დღითაც უნაყოფო გამოდგებოდა, ამით მთელ თემს შიმშილით სიკვდილი ელოდა. ჯოგის მეოხებით თემმა მუდმივი საცხოვრებელი საშუალება მოიპოვა. მეჯოგეობა ხომ მამაკაცის საქმეა; ამით ის ცხოვრების უმთავრეს იარაღს დაეპატრონა. ეკონომიურ უპირატესობას ადრე თუ გვიან თან მოსდევს უფლებრივი უპირატესობაც. ამიტომაც იყო, დედაკაცის მეთაურობა — მატრიარქატი — მოისპო, და მამაკაცის მეთაურობა ანუ პატრიარქატი დაფუძნდა. გვარს მამაკაცის სახელი ეძლევა და ეს შვილიდან შვილზე გადადის. მდედრობითი ნათესაობის ნაცვლათ მამრობითი ნათესაობა მკვიდრდება.

ამიერიდან კიდევ უფრო საჭირო შეიქნა წარმოების მოწესრიგება. მართლაც ზოგმა ჯოგი უნდა აძოვოს, მეორე ნაწილმა ახლო-მახლო ადგილები დაზვეროს, რომ მხეცები, ან სხვა თემები უცეფ თავს არ დაესხან, მესამე ჯგუფმა ყველი უნდა ამზადოს, მეოთხემ ბინა ააგოს, ზოგმა ინადიროს და სხვა. ასეთი მოწესრიგება და თემის ყველა წევრისათვის საქმის მიჩენა შეუძლია მხოლოთ ისეთ მამაკაცს, რომელიც თვითონვე ამ საქმეში გაწვრთნილია. ასეთი იყო უხუცესი, ანუ პატრიარქი.

თემის მთელი სიმდიდრე თვით თემის საკუთრებაა, რომელსაც პატრიარქი განაგებს. სანამ საზოგადოებას მხოლოთ იმდენი საშუალება აქვს, რამდენიც მას საცხოვრებლათ სჭირია, თემში ეკონომიური თანასწორობა ბატონობს. მარა თან-და-თან ზედმეტს აწარმოებენ. ეს ზედმეტი ნაწარმოები პატრიარქის ხელშია: ფაქტიურათ ის მის მფლობელობას შეადგენს, შემდეგში კი უფლებრივადაც ეპატრონება. ამნაირათ, პირველყოფილი კომუნისტური წყობილების უმაღლეს საფეხურზე თემში ეკონომიური უთანასწორობა დამყარდა და მით თემის საფუძველიც მოისპო.

მის ნანგრევებზე ორგვარი წყობილება აეგო. აღმოსავლეთში ე. წ. აზიური და დასავლეთში მონური.

ბ) აზიური წარმოება

აღმოსავლეთი ცნობილია დიდი მდინარეებით: ეგვიპტე-ნილოსით, მესოპოტამია-ასურეთი და ბაბილონი-ტიგრით და ეფრატით, ინდოეთი-ინდით და განგესით და ჩინეთი-გოანგო და იანცეკიანგით.[1] ყოველი მათგანი დრო გამოშვებით ნაპირებიდან გამოხეთქს, არე-მარეს მოლეკავს და ანოყიერებს. აი, რით აიხსნება აღმოსავლეთის მართლაც საზღაპრო სინოყივრე. ისტორიკოსი ჰეროდოტი ასე ახასიათებს ბაბილონს: „ჩვენ ცნობათა მიხედვით ბაბილონი ყველა დანარჩენ ქვეყანაზე უფრო შეწყობილია პურის დასამუშავებლათ. ჩვეულებრივათ ის ორას და კარგ წლებში სამას კეც ნაყოფს იძლევა პურისა და ქერის ფოთოლს ოთხი თითის სიგანე ექნება“.

მარცვლებს დედაკაცები ჯერ კიდევ მატრიარქატის ბატონობის ჟამს ჰკრეფდენ. შემდეგ მარცვალთა თესვასაც შეუდგენ. ეს მიწათმოქმედების დასაწყისია. მის განვითარებას ხელი შეუწყო მიწის სინოყივრემ აღმოსავლეთში. თან რკინაც პირველათ იქ აღმოაჩინეს და მისგან საწარმოვო იარაღების კეთებას შეუდგენ.[2]

ასეთ პირობებში აყვავდა მიწათ-მოქმედება აღმოსავლეთში. რას წარმოადგენს ის?

ეგვიპტელები მიწას სახნისით ხარების საშუალებით ამუშავებდენ. მათ ჰქონდათ თოხი, ჩაქუჩი და ცელი, ხოლო ფარცხს თავდაპირველათ არ იცნობდენ. მოშინაურებულ ცხოველთა შორის ღირს-შესანიშნავი იყო ძროხა და ვირი, ცხვარი და ღორი, შემდეგ ხანებში ცხენი და აქლემიც. მოჰყავდათ პური, ქერი და ფეტვი, ღვინო და სხვა და სხვა მწვანილი, აშენებდენ ზეთის ხესა და დანაკის კუდს, რომელიც დიდ როლს თამაშობდა აღმოსავლეთის ერთა ცხოვრებაში. ტეხნიკურ მცენარეთა შორის ცნობილი იყო პაპირუსი, რომლისგანაც ამზადებდენ საწერ მასალას და მას გემის აშენების დროსაც ხმარობდენ. ეგვიპტელები მისდევდენ სხვა და სხვა ხელოსნობასაც – თიხის დამუშავებას, დურგლობა-მჭედლობას და სხვ. მარა ხელოსნობა იქ მხოლოთ მიწათ-მოქმედების

---

[1] ცხადია, იგულისხმება ხუანხე და იანძიძიანი, რედ.

[2] ავტორი აქ არაზუსტია, მანამდე საზოგადოებამ სპილენძისა და ბრინჯაოს ეპოქები გაიარა.

დამატებას წარმოადგენდა.[1] დაახლოვებით ასეთი იყო წარმოება აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

ამ მდიდარ საწარმოვო საშუალებათა გამოყენება მინდვრების მორწყვასა და ჭაობების ამოშრობას ითხოვდა. მცხოვრებთ არხები გაყავდათ და მათი მეოხებით წყალდიდობას და გვალვას ებრძოდენ. ასეთი მოქმედება ერთი სოფლისა ან კუთხის ძალ-ღონეს აღემატება. ნილოსი და ეფრატი, განგესი და იანცეკიანგი წყალდიდობის დროს ეგვიპტისა და ბაბილონის, ინდოეთისა და ჩინეთის კარგა მოზრდილ ნაწილს მილეკდენ. აქ საჭირო იყო მთელი ხალხის ამოქმედება, საერთო ძალღონით წყლის დამორჩილება და მისი მეოხებით სახნავ-სათესი ადგილების მორწყვა-განოყიერება. „მდინარეთა მეოხებით მორწყული ქვეყნები – ამბობს ლ.მეჩნიკოვი – ადგილობრივ პირობათა მიხედვით შეიძლება გადაიქცეს ან ისეთ მარჩენალ ადგილათ, რომელიც ადამიანებს საშვალებას აძლევს რამოდენიმე დღის მუშაობით მთელი წლის განმავლობაში იცხოვრონ, ან საფლავათ, რომელიც მოფენილია ურიცხვი მძოვრებით – წყალ-დიდობისა, შიმშილობისა და ჭირიანობის მსხვერპლებით. რომ გამოიყენო ეს განსაკუთრებული პირობები, რომელსაც მდინარეები ქმნიან, აუცილებელია სასტიკ პირობებში გაწვრთნილ მუშაკთა შეერთებული მოქმედება... სრულიად უმნიშვნელო უყურადღებობა ამა თუ იმ თხრილის გაყვანისა და მის წესიერათ შენახვის საქმეში, სულ მცირეოდენი სიზარმაცე, ეგოიზმი, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იჩენს ამ საერთო წყლის სიმდიდრის შენახვაში, ასეთ განსაკუთრებულ პირობებში საზოგადოებრივი უბედურობის წყაროთ იქცევა. ამნაირათ, მარჩენალი მდინარე აიძულებს მცხოვრებთ, თუ სიკვდილი არა სურთ, მჭიდრო და მუდმივ სოლიდარობაში იცხოვრონ“.[2]

მდინარე აიძულებს პირველყოფილ თემებს ერთი მეორეს დაუკავშირდენ, რომ საერთო საქმეს საერთო ძალღონით გაუძღვენ. მთელი წარმოების ხელმძღვანელობა ამ კავშირის მეთაურის საქმეა. დახვნა-დათესვისა, მომკის მეთაურობა არხის დაკეტვისა, ან მორწყვის ვადის განსაზღვრა – ყველაფერი ერთი ადამია-

---

[1] Hanhrvoerterbuchder Staatswissenschaften. მეორე გამოცემა, ტომი პირველი, გვ. 59-60 მაქს ვებერის წერილი: Aqrargeschichte.

[2] Л. Мечниковь. Великія историческія рѣки.

ნის საქმეა, რომელიც მას თავისი შეხედულებისამებრ სწყვეტს და ხალხს ასასრულებლათ აცნობებს. ამით მისი გავლენა მტკიცდება და შემდეგ ის მთელ ადგილ-მამულს ეპატრონება. ის მეფე შეიქნა, რომელსაც ეგვიპტელები ფარაონებს ეძახდენ ხოლო ჩინელები ბოგდიხანათ იხსენიებდენ. ასეთ როლს უკეთ შეასრულებდენ თემთა უფროსები — პატრიარქები და წინამძღოლები. პირველი მეფე გამოჩენილი პატრიარქი, ან ცნობილი წინამძღოლი იქნებოდა.

მეფე მთელი მიწა-წყლის მესაკუთრეა. ადგილ-მამული ჩინეთში ორ ნაწილათ იყო დაყოფილი. ცხრა მეათედი ხალხს მუდმივ იჯარით ეძლეოდა. მეურნეობა წარმოებდა მეფისა და მის მოხელეთა ხელმძღვანელობით. შემოსავლის ერთი ნაწილი შეადგენდა მეფის სრულ საკუთრებას და მას ხალხი მეფის ბეღლებში ეზიდებოდა. ეს მეფეთა და მოხელეთა საცხოვრებელი საშუალებაა.

ადგილ-მამულის მეათედი ნაწილი თვით მეფის ხელში იყო, ხალხს კი დაკისრებული ჰქონდა ამ ნაწილის დამუშავებაც. თან ის ვალდებული გახადეს სახელმწიფოს პირველი მოწოდებისათანავე ესა თუ ის საზოგადო სამუშაო ეკისრნა, მაგ., მეფის სასახლეთა აგება, ტაძართა და პირამიდების აშენება, გზა-არხების გაყვანა და სხვ. — ეს ბეგარაა. მხოლოდ ამ გზით შესძლეს აღმოსავლეთის მეფეებმა უზარმაზარი არხებისა, ტაძრებისა და პირამიდების აგება.

ამ გზით ხალხი წარმოების მეთაურის — მეფის, სრული მონა შეიქნა. როგორც საიჯარო ადგილ-მამულის დამუშავებისას, ისე ბეგარის მოხდის დროს ხალხი ვალდებული იყო დამორჩილებოდა მეფეთა და მოხელეთა ყოველივე ბრძანებას. მოხელენი მას ხშირათ ჯოხებითაც უმასპინძლდებოდენ რომ დაეკისრებინათ რაც შეიძლება მეტი სამუშაო მეფეთა გასამდიდრებლათ და თვით ხალხის კიდევ უფრო დასატუქსავათ. ასე დამყარდა სრული ეკონომიური მონობა, ხოლო ეკონომიურმა დამორჩილებამ პოლიტიკური დამორჩილებაც გამოიწვია.

წარმოების ხელმძღვანელობის საქმეში მეფეს მღვდლები და მხედრები ეხმარებოდნენ. პირველნი სწავლული ხალხია. იმათ შენიშნეს, რომ მდინარეთა გადმოხეთქა დრო-გამოშვებითია და მის ვადას წინდაწინ საზღვრავდენ. სწორეთ მათი ჩვენებით აცნო-

ბებდენ ხალხს მეფეები ხვნა-თესვისა, მკისა, არხების დაკეტვისა და მინდვრების მორწყვის დროს. მხედრები წეს-რიგს იცავდენ, რითაც ხელს უწყობდენ უზარმაზარი წარმოების წესიერ მსვლელობას. ამიტომაც იყო მეფეებმა ადგილ-მამულის ერთი ნაწილი მღვდლებსა და მხედრებს მუდმივი სამფლობელოთ გადასცეს. ისინი კი თავის მხრით ხალხს მუდმივი იჯარით აძლევდენ. ამნაირათ ხალხი ეკონომიურათ გარდა მეფისა მღვდელ-მხედრებსაც დაუმორჩილეს.

აღმოსავლეთში ხშირია გვალვა და ამის გამო მოუსავლობაც. საჭიროა საყოველთაო დახმარება, რომ ხალხი განადგურებიდგან დაიხსნან. ვინ უდა იკისროს ასეთი დახმარება? რასაკვირველია, მხოლოთ საყოველთაო ეკონომიურმა ორგანიზაციამ მეფის მეთაურობით. ის ბრძანებას იძლევა შავი დღისთვის – მოუსავლიან წლეებისთვის – შემოსავლის ერთი წილი გადასდონ: ამ წილს მეფის ბეღლებში ინახავენ. ასეთი ბეღლები ქვეყნის ყველა კუთხეში მოიპოვებოდა როცა ქვეყანას უბედურება ეწვევა, ბეღლებიდან ხალხს პურითა და თესლით ეხმარებიან. დაბადება მოგვითხრობს, რომ პატრიარქ იაკობის შვილის რჩევით ეგვიპტის ფარაონი ჭირნახულს ინახავდა შვიდი მოსავლიანი წლის განმავლობაში. როცა შემდეგი შვიდი წელი გვალვიანი გამოდგა, ხალხს ბეღლებიდან ეხმარებოდენ და ამნაირათ შიმშილისაგან დაიხსეს არა მარტო ეგვიპტე, არამედ ახლო-მახლო ქვეყნებიც.

ასეთია აზიური წარმოება. მთელი ეკონომიური ცხოვრება მეფის გარშემო ტრიალებს; წარმოების ბურჯი და ცენტრი სახელმწიფოა. აი რით აიხსნება დესპოტიურ მთავრობათა სიძლიერე და სიმტკიცე აღმოსავლეთში.

დასავლეთ ქვეყნებში მონობა და შემდეგში ბატონ-ყმობა დამყარდა და კიდევაც მოისპო. აღმოსავლეთის ზოგიერთი ერები კი დღესაც სულს ღაფავენ აზიური წარმოებისა და მასზე აგებულ სოციალურ პოლიტიკური ბატონობის ქვეშ. ასეთია ამხანათ სიამის[1] სამეფო და რამოდენიმეთ ინდოეთი და ეგვიპტე, მხოლოთ უკანასკნელ დროს კაპიტალიზმის განვითარებამ ამ ბატონობას ძირი გამოუთხარა და აღმოსავლეთშიაც ევროპიულ კულტურას ავრცელლებს.

[1] ტაილანდი, რედ.

გ) მონური წარმოება

რკინა-ოქრო-ვერცხლისა და სხვა ლითონების აღმოჩენა, მიწის დამუშავება და მიწათ-მოქმედებაში ახალი საწარმოვო იარაღების, უპირველესათ რკინისაგან დამზადებული სახნისის ხმარება — აი, რა იწვევს დასავლეთში პირველ ყოფილი კომუნიზმის დამხობას და ახალი მონური წარმოების აღორძინებას.

მეჯოგეობა ცალკე ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება და თემის საერთო მოქმედებას მოითხოვს. ამიტომაც იყო ამ წარმოების ნიადაგზე კომუნიზმი დამყარდა. სულ სხვაა მიწის, ან მადნების დამუშავება. ამას ადვილათ აასრულებს კერძო ადამიანიც, ყოველ შემთხვევაში, ოჯახი. ასეთია მიწათ-მოქმედება საერთოთ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც; მარა აღმოსავლეთში, როგორც უკვე ვიხილეთ, საჭირო იყო დიდ მდინარეთა დამორჩილება და მინდვრების მორწყვა-გაშრობა. ამიტომ იქ წარმოებამ თავისებური ხასიათი მიიღო. დასავლეთში ადგილი არ ჰქონდა ამ განსაკუთრებულ პირობებს და აქ მიწას კერძო ადამიანი ან ოჯახი ამუშავებდა. როგორც არის წარმოება, ისეთივეა ნაწარმოების დანაწილებაც. „როცა დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში — ამბობს ოსკარ პეშელი — ადამიანმა თავის სასარგებლოთ ან მოსახმარათ აიღო რომელიმე ნივთი, ის თავს მუდამ მის მესაკუთრეთ რაცხს... სადაც სახნავ-სათეს ადგილ-მამულს ბინადარი მცხოვრებნი ამუშავებენ, მაგრამ ცდილობენ ადგილ მამულის ურთიერთ შორის წესიერათ დანაწილებას“.[1] კერძო წარმოებამ კერძო საკუთრება გამოიწვია. ამის ნასახი მოსჩანს ჯერ კიდევ პირველ-ყოფილ კომუნიზმის ფარგლებში. მოშინაურებული ცხოველები ბევრგან კერძო პირთა ან ოჯახურ საკუთრებას შეადგენდენ. შვილდ-ისარი და ტანთ-საცმელი — ეს კერძო პირთა მოსახმარი საგნები — იქაც კერძო საკუთრებაა. მარა ის, რაც გამონაკლისი იყო წინეთ, საზოგადო კანონი შეიქნა შემდეგში. მთელი საზოგადოება კერძო საკუთრების ნიადაგზე მოეწყო. ეს პირველ-ყოფილი კომუნიზმის უარ-ყოფაა.

ამით თვით საზოგადოებრივი ურთიერთობა გამოიცვალა. თევზაობა და ნადირობა შემთხვევითია. ამიტომ პირველყოფილ

[1] ოსკარ პეშელი. Uoelkerkunde, 6 Aufl. 250 — 1 გვ.

ადამიანს სასმელ-საჭმელი ხან ბლომათ მოეპოვება, ხან კი მას სავსებით მოკლებულია. მეჯოგეობა ამ მხრივ წინსვლაა. მარა მდგომარეობა ძირიანათ მხოლოთ მიწის დამუშავებით იცვლება. მხოლოდ იქ, სადაც მიწას ამუშავებენ, შეუძლებელია ხანგრძლივი და გამანადგურებელი შიმშილის გაჩენა.[1] მიწათმოქმედება აძლევს ადამიანს ფართო საშვალებას ჭირნახული შეინახოს და მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი შეიქმნეს. ამიერითგან იმაზე მეტს ამუშავებენ, რაც საკმარისია თვით მუშაკის გამოსაკვებათ: ერთი მუშის მიერ დათესილი მარცვლით მთელ ოჯახს შეუძლია გამოიკვებოს. ეს ე. წ. ზედმეტი შრომის ნიადაგია.

წინეთ თემები და თემთა კავშირები — ტომები — ხშირათ ებრძოდნენ ერთიმეორეს სანადირო და საძოვარი ადგილ-მამულის გამო: მაშინ ტყვეთ წაყვანილთ ჭამდენ ან ჰკლავდენ. მას შემდეგ, რაც მიწის დამუშავებას შეუდგენ, ადამიანი ზედმეტ ნაშრომს იძლევა და ამიტომაც სასარგებლო შეიქნა ტყვეთა დამონება და მათი წარმოებაში ჩაბმა. ეს მონობის დასაბამია.

ამით წინანდელი ეკონომიური თანასწორობა მოისპო. ყველა მესაკუთრე ცდილობს ზედმეტი ნაწარმოები გაასაღოს და ამ გზით გამდიდრდეს. აღებ-მიცემობა გაჩაღდა. ამის დასაწყისს ჯერ კიდევ თემურ წყობილებაში ვხედავთ, აქ ერთი თემი აწვდის მეორეს იმ ნივთს, რაც მას ბლომათ მოეპოება, ნაცვლათ კი ისეთ საგანს ღებულობს, რაც მას აკლია. მარა თემში წარმოება ნატურალურია: იქ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ აწარმოებენ. მონურ საზოგადოებაში კი, უფრო მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე, ბაზრისთვის აწარმოებენ და ამით ეკონომიური შეხლა-შემოხლა მწვავდება.

მონურ წარმოებაში ორი ერთი მეორეს მოპირდაპირე — პატრონი და მონა მონაწილეობდენ: პირველი გამდიდრებული ხალხია, ის მესაკუთრეა ყოველივე საწარმოვო საშუალებათა, მაგ., ადგილ-მამულის და ჯოგის, მადნეულობისა და მონების. მონა კი ყოველ ნაირ საწარმოვო საშვალებას მოკლებულია. ამით პატრონი სარგებლობს და მთელ სამუშაოს მონას აკისრებს. პატრონის მოვალეობა ერთად-ერთია: თვალყური ადევნოს და მონას და მის მუშაობას და ის მისი შთამომავლობა მუდმივ მორჩილებაში იყო-

[1] ფრ. რატცელი. Antropogeographie, II Teil, 1891. Stuttqart. 373 გვ.

ლიოს. ვისაც ეკუთვნის საწარმოვო საშუალება, იმისია ნაწარმოებიც; მონის მთელ ნაშრომს პატრონი ისაკუთრებს, ხოლო მონას იმდენი ეძლევა, რომ შეძლოს აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და პატრონის შემდეგში გამდიდრება. ასეთი იყო მონური წარმოება, რომელიც საბერძნეთში და შემდეგ რომში განვითარდა და აქედან მთელ მაშინდელ ქვეყნიერებას მოედვა.

მონათა მეოხებით წარმოება სწრაფათ განვითარდა. მონები მიწას ამუშავებდენ, სამთამადნო წარმოებას მისდევდენ, საწარმოვო იარაღებს ამზადებდენ, გემებს აკეთებდენ, ვაჭრობდენ, ხელოვნებას ანვითარებდენ და ამ გზით ცხოვრებას წინ მიაქანებდენ. ამიტომ პატრონთა ინტერესი ხშირ ომებს ითხოვდა, რომ შეეძინათ ახალი მონები, დაეპყროთ ახალი ქვეყნები, ისინი გაეპარტახებინათ და ასე ნადავლითა და მონათა შრომით კიდევ უფრო გამდიდრებულიყვენ. ომი განადგურებით ემუქრებოდა სოფლის გლეხკაცობას და ქალაქის წვრილ ხალხს. ომიანობის ხანაში წარმოება ჩერდება, ყოველ შემთხვევაში, მცირდება: ხალხის საუკეთესო შვილებს ბრძოლის ველზე ერეკებიან. ომი დიდ ხარჯს მოითხოვდა და ყველა ეს უმთავრესათ წვრილ თავისუფალ მოქალაქეს აწვებოდა კისერზე. ამ გზით ის ნელ-ნელა დავალიანდა და მდიდარ მოქალაქეთა ქსელში გაება. დავალიანებულ გლეხებს ადგილ-მამულს ართმევდენ იმ შემთხვევაში, როცა ვალის გადასახდელათ ესეც არ იყო საკმაო, დავალიანებულ გლეხებს დამონება ელოდა. ასე გლეხკაცობას ადგილ-მამული ხელიდან სავსებით გამოეცალა, წვრილი მიწათ-მფლობელობის ნანგრევებზე მსხვილი მიწათ-მფლობელობა ლატიფუნდიების სახით აეგო.

მეორე მხრივ, მონათა ლაშქარი დღითი დღე იზრდებოდა ათინაში — საბერძნეთის მთავარ ქალაქში — 35 ათასი თავისუფალი მოქალაქე და 365 ათასი მონა ირიცხებოდა. მთელს იტალიაში სულ ცოტა, მილიონ-ნახევარი მონა იყო და მარტო კუნძულ სიცილიაზე — 400 ათასი, ამიტომ მონათა ფასიც საშინლათ დაეცა. წინეთ ის ჩვეულებრივათ ოთხი-ხუთი თუმანი ფასობდა, და ბოლოს კი ერთ თუ ორ მანეთათ იყიდებოდა.

წარმოების წინსვლა დამოკიდებულია საწარმოვო ძალთა და უპირველესათ ტეხნიკის განვითარებაზე. მონური წარმოება ამას უარყოფს: გაუმჯობესებული ტეხნიკის მაგიერობას იაფი და ური-

ცხვი მონა ასრულებს. ამით ბოლო მოეღო ტეხნიკის განვითარებას. თან რაც დრო და ხანი გადიოდა, მონათა მდგომარეობა უარესდებოდა. ფართო სავაჭრო ბაზარი დღითი დღე მეტ საქონელს ითხოვდა. რით შეეძლო პატრონს ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება? ის იძულებული შეიქმნა მონა უფრო და უფრო გაეყვლიფა და მისთვის რაც შეიძლება მეტი საქმე დაეკისრებია. ასეთმა ზომამ სულ წინააღმდეგი ნაყოფი გამოიღო. თავდაპირველათ მონა ოჯახის წევრი იყო და როგორც ასეთი, რამოდენიმეთ დაინტერესებული ოჯახის კეთილდღეობაში. ამიერიდან კი მას პატრონთან მხოლოთ ძალა აკავშირებდა და ისიც თავის საქმეს მხოლოთ გაჯოხვის შიშით ასრულებდა. ეს კი შრომის ნაყოფიერებას ამცირებს და წარმოებას ძირს უთხრის.

საწარმოვო ძალები — ამ შემთხვევაში ტეხნიკა და მონათა სამუშაო ძალა, ერთ-დონეზედ გაჩერდა. ის კი არა უკან უკან დაექანა და ამით მონურ წარმოებას ნიადაგი გამოეცალა. ეს ნათლათ გამოჩნდა აზიიდან შემოსეულ ბარბაროსებისა და რომაელთა შეტაკების დროს. ბარბაროსებმა უძლეველი რომის იმპერია დაიპყრეს, მონობა და მონური კულტურა გაანადგურეს.

დ) ფეოდალური წარმოება

ფეოდალიზმის სათავე უნდა ვეძიოთ მონობის უკანასკნელ ხანაში, დაახლოებით პირველს საუკუნეში, ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ტეხნიკა დაეცა და მონათა შრომის ნაყოფიერება შემცირდა. ძლიერი გლეხ-კაცობა მოისპო და ამით სახელმწიფოს სამხედრო ძალაც შესუსტდა. გლეხ-კაცობის ადგილი დაიჭირეს ქალაქის ლუმპენ-პროლეტარებმა. ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ წარმოებაში და საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდენ. „პური და გასართობები“ — აი, მათი ლოზუნგი, აი რას მოითხოვდენ ისინი გაბატონებული საზოგადოებისაგან. ეს კი ხელს უწყობდა საზოგადოების ეკონომიურათ დაქვეითებას და არსებული წყობილების განადგურებას.

მუქთახორა ხალხი სუსტია ომშიაც და ამიტომ მონური საზოგადოება უძლური გამოდგა გარეშე მტრებთან შეტაკებაში. ამით

ახალ მონათა მოპოვების წყაროც მოისპო. ასე საზოგადოება ყოველ-მხრივ უკან-უკან დაექანა და არსებული მონური წარმოება დაეცა: ბევრი ადგილ-მამული და მადანი დაუმუშავებელი რჩებოდა.

სად არის ხსნა? სად უნდა ეძიოს შველა მონობის ბრჭყალებში სულშეხუთულმა კაცობრიობამ?

ასეთ პირობებში უფრო სასარგებლო შეიქმნა ლატიფუნდიების პატარა ნაჭრებათ დაყოფა და მათი იჯარით გაცემა. ასეთ ადგილებში ესახლებიან სოფლის გაღატაკებული მესაკუთრენი და ქალაქის პროლეტარები, განთავისუფლებული და თავ-დახსნილი მონები და ადგილ-მამულს საიჯაროთ ამუშავებენ. ამ ახალ მოსახლეთ ეწოდება კოლონები და ახალ საწარმოვო დამოკიდებულებას კოლონატი. კოლონები მემამულეს საიჯარო გადასახადს ხან ფულათ, უფრო ხშირათ კი ნაწარმოების ერთი ნაწილის სახით აძლევდენ და თან ბეგარას იხდიდენ: რამოდენიმე დღის განმავლობაში მემამულის საკუთარ ადგილს ამუშავებდენ.

წინეთ მიწათ-მოქმედებას მუდმივი ომიანობა აფერხებდა. ეს იყო გლეხ-კაცობის ეკონომიურათ დაცემის ერთი მთავარ მიზეზთაგანი. გაბოროტებული მემამულე არისტოკრატია იძულებული შეიქნა ამისთვის ანგარიში გაეწია და იმიტომაც იყო კოლონები სამხედრო სამსახურისაგან გაანთავისუფლეს და გარეშე მტერთაგან დაცვა თვით მემამულეებმა იკისრეს. ამ მიზნით დაწესდა დაქირავებულ ჯარისკაცთა რაზმი. ეს ფეოდალიზმის ჩანასახია.

მიწათმოქმედების ამ ახალ საფუძველზე აგება დააჩქარა წყლისა და შემდეგ ქარის წისქვილის გამოგონებამ. ავგუსტუსიდან ანუ, დაახლოებით, ქრისტეს დაბადებიდან მოკიდებული წყლის ძალას დიდი წისქვილების ასაბრუნებლათ ხმარობდენ.[1] მესამე საუკინიდან ის ფართოთ გავრცელდა. მე-12-13 საუკუნეებში ქარის წისქვილებსაც აწყობდენ, მარა მათი აშენება და მოწყობა აღემატებოდა ჩვეულებრივი გლეხის ეკონომიურ ძალ-ღონეს: მას ამისათვის საჭირო საშვალება არ ჰქონდა. ტეხნიკის გაუმჯობესებით უპირველესათ მუდამ გაბატონებული კლასი სარგებლობს! ამ შემთხვევაშიც ახალ საწარმოვო ძალებს თავიდანვე მემამულე-

[1] Custav Schmoller. Grund. allgemeinen Volkswirtschaftzlehre. 1 Γeil. 2 Aufl. 1908. 210 გვ.

ნი დაეპატრონენ და ამის მეოხებით გლეხობა კიდევ უფრო დაიმორჩილეს.

წარმოების ახალ ნიადაგზე დაფუძნებას ხელი შეუწყო ევროპაში აზიიდან მოსულ მეჯოგე ანუ მომთაბარე ტომთა — ნომადთა — შემოსევამ. ისინი საძოვარ და საბინადრო ადგილ-მამულთა სიმცირის გამო დასავლეთისკენ გაეშურენ. ზოგი მათგანი მიწის დამუშავებას უკვე მისდევდა, ზოგი კი მას გზაში, ან ევროპაში დაბინავებისას გაეცნო. ისინი ილტვოდენ ახალ-ახალი ადგილების დასაპყრობათ. რომაელები ამ მომხდურთა მოგერიებას შეუდგენ. მიწათ-მოქმედნი შეერთდენ და საერთო ძალ-ღონით თავიანთ წინამძღოლთა მეთაურობით მოსულ მტერთ ბრძოლა გამოუცხადეს. ასეთ პირობებში ჯერ კიდევ თავისუფალი მიწათ-მოქმედნიც გარეშე მტერთან აოხრების შიშით ძლიერ საერო და სასულიერო მემამულეთა მფარველობის ქვეშ დადგენ და მათ ხარკისა და ბეგარის მიცემას შეპირდენ. სამაგიეროთ თავიანთ მფარველ მემამულეთაგან გარეშე მტრისაგან დაცვას ითხოვდენ.

მომხდურმა გერმანელმა ტომებმა ძირს დასცეს რომის იმპერია და რომაელთა ადგილ-მამულებს დაეპატრონენ, მარა იძულებული შეიქნენ ეცნოთ უკვე დამკვიდრებული ახალი ეკონომიური ურთიერთობა. ეს კიდევ ცოტაა — ისინი სავსებით დაემორჩილენ ამ ახალ ფეოდალურ ურთიერთობას. საზოგადოების ეკონომიურ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ თვით უძლიერესი პოლიტიკური ძალაც სუსტია!

კაროლინგების დროიდან — მეათე საუკუნიდან მოკიდებული თავისუფალი გლეხკაცობაც ომიანობისა თუ მოუსავლობის გამო თანდათან გაღატაკდა და იძულებული შეიქნა ეცნო მსხვილ მემამულეთა მფარველობა, ე. ი. მისგან დასამუშავებელი ადგილი მიეღო და ნაცვლათ ხარკი და ბეგარა ეძლია. ამ სახით წარმოების ფეოდალური წესი დამკვიდრდა.

ახალ წარმოებას თან მოსდევს ახალი ეკონომიური ურთიერთობა. მთელი ფეოდალური საზოგადოება დარაზმულია მოპირდაპირე ბანაკათ. ერთ მხარეზეა მემამულე არისტოკრატია: წინამძღოლები და მეფეები და მათგან დამოკიდებული საერო და სასულიერო ვასალები — თავადები და აზნაურები, ბარონები და გრაფები, ეპისკოპოზები და პრელატები (არქიმანდრიტები), ხო-

ლო მეორე მხარეზე მშრომელი ხალხი, გლეხ-კაცობა. პირველი ადგილ-მამულს ფლობს, უკანასკნელი კი ამუშავებს. პირველი ვალდებულია გლეხი გარეშე მტრისაგან დაიცვას და საჭიროების დროს მას თავის სასახლეში – ციხე-სიმაგრეში – თავშესაფარი მისცეს. სამაგიეროთ გლეხი იძულებულია წლიურათ რამოდენიმე დღე ბატონის საკუთარ ადგილში იმუშაოს. ეს ბეგარაა. თან ის ვალდებულია შემოსავლის ერთი ნაწილი, უფრო ხშირათ მეათედი, მემამულეს აძლიოს. ეს ხარკია. ამ რიგათ პირველი ბატონი შეიქნა, მეორე მისი ყმა.

წარმოება ნატურალურია. ყველა ფეოდალი და ყოველივე კუთხე დამოუკიდებულ ცხოვრებას ეწევა.გლეხი ერთსა და იმავე დროს მიწასაც ამუშავებდა და ტანთსაცმელსაც ამზადებდა, სახლსაც იშენებდა და საწარმოვო იარაღებსაც იკეთებდა, მაგ. სახნისსა ან გუთანს. აქედან ერთი ნაწილი ბატონის იყო, მეორე კი გლეხის საკუთრებას შეადგენდა; მარა რომელიმე გლეხს ერთი საქმე უკეთ ეხერხებოდა, ხოლო მეორეს – სხვა საქმე. ამიტომაც იყო ბატონებმა თავიანთ სამფლობელოში შრომა გაანაწილეს: ერთ გლეხს დურგლობა მიანდვეს, მეორეს – მჭედლობა, მესამეს ხელზე მომსახურეობა დააკისრეს, მეოთხეს ჭრა-კერვა და სხვა. შრომის განაწილება შრომის ნაყოფიერებას ზრდის და აი მან დღითი დღე უფრო და უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

როგორც პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებაში თემი, ისე ფეოდალურ საზოგადოებაში გლეხი და ბატონი ზედმეტ ნაწარმოებს ყიდდენ და ნაცვლათ სხვა საგნებს იძენდენ. ბატონის მოთხოვნილება დღითი დღე იზრდებოდა: გაბატონებული კლასი წუთისოფელს მუდამ ფუფუნებაში ატარებს. ამ მიზნით საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ნაწარმი და აი, ბატონიც შეურიგდა იმ აზრს, რომ მას ხელოსანი მოშორდეს და ცალკე დასახლდეს, თუ ის ყოველ წლიურათ განსაზღვრულ ხარკს გადაიხდის. ეს ორივე მხრისათვის ხელსაყრელია: ხელოსანს თავისუფლება ეძლევა და მას ამიერიდან შეუძლია უფრო ნაყოფიერათ დახარჯოს თავისი სამუშაო ძალ-ღონე. სასარგებლოა ეს ბატონისთვისაც: ამიერიდან მას შეეძლო რაც შეიძლება მეტი ხარკი დაეკისრებია ხელოსნისათვის, რაკი დაინახავდა, რომ ის ეკონომიურათ მოღონიერდა. და აი, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნეში ევრო-

პის სხვა და სხვა კუთხეში, უმეტეს ნაწილათ ჯვარედინ გზებზე (რადგან ხშირი იყო მიმოსვლა) ხელოსნები დასახლდენ და თავის ხელობას შეუდგენ. ვაჭრობა თავდაპირველათ სუსტათ იყო განვითარებული: ფეოდალურ ხანაში მხოლოთ შეკვეთილ საგნებს ამზადებდენ, ხოლო თავისუფალ დროს ისევ მიწას ამუშავებდენ. ის ადგილები, სადაც ხელოსნები სახლდებოდენ, ანუ მაშინდელი ქალაქები, სოფლებს უფრო წააგავდა, ვინემ თანამედროვე ქალაქებს.

თანდათან ვაჭრობა გაძლიერდა და ხელოსნები მოღონიერდენ. ამით საზოგადოებაში ფულის ტრიალმა იმატა. ამიერიდან ბატონები ხელოსნებისაგან ხარკს ფულათ ითხოვდენ და თანაც დათანხმდენ მათ თავი სამუდამოთ დაიხსნან და ბატონყმური ბორკილებისაგან განთავისუფლდნენ, უკეთუ ფულათ შესაფერ სასყიდელს გადაიხდიან. ამით ხელოსნებმა ისარგებლეს, თავი დაიხსნეს, ამქრებათ შეკავშირდენ, ქალაქს მაგარი კედლები შამოავლეს და ამ გზით ის მიუვალ ციხე-სიმაგრეთ გადააქციეს, რომ თავგასულ ფეოდალთა თავდასხმისაგან თავი უზრუნველყონ. საშუალო საუკუნეთა ქალაქი ციხე-სიმაგრე იყო და არა თანამედროვე ევროპიული ქალაქი.

ქალაქი დღითი დღე გამდიდრდა და ამით მისი პოლიტიკური ძალა-მნიშვნელობაც გაიზარდა. ის ფეოდალთა ბრჭყალებისაგან სავსებით გათავისუფლდა და შემდეგ თვით ფეოდალიზმიც დაამხო.

ე) კაპიტალისტური წარმოება

„საწარმოვო და მიმოსვლის საშვალებანი, რომელიც ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველი შეიქნა, წარმოიშვა ჯერ კიდევ ფეოდალურ საზოგადოებაში“.[1]

სამთამადნო და ტყავის წარმოებაში წყლის ძალა მე-13-ე საუკუნეში გამოიყენეს. მე-15-ე და მე-16-ე საუკუნეები გამოგონება-აღმოჩენათა ხანაა. კომპასი და იურგენსის სელის სართავი ბორბალი, წინდების საქსოვი მანქანა, წყლის შემწეობით აბრეშუმის ძაფის ამოღება და რთვა და ბევრი სხვა – აი, ახალი ტეხნიკა.

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. კომუნისტური მანიფესტი.

ვინ უნდა იკისროს ამ საწარმოვო საშვალებათა გამოყენება და ახალი წარმოების საფუძვლის ჩაყრა?

რასაკვირველია ეს არ შეეძლო ფეოდალს: ის თავის ბატონობას თავგამოდებით იცავდა და ამიტომ ყოველივე ახალს მთელი თავისი ძალღონით მტრობდა. თან მას წარმოებისათვის აღარ ეცალა: ის სასახლეებში მუდმივ ქეიფსა და ლხინში ატარებდა თავის სიცოცხლეს. ამას ვერ იკისრებდა ვერც ხელოსანი ანუ ოსტატი: ამქრული სისტემა უარყოფდა ყოველივე ცვლილებას წარმოებაში. მართლაც, ოსტატი მხოლოდ დაკვეთილ საგნებს ამზადებდა. თვით ბაზარი კი ძლიერ ვიწრო იყო. ასეთ პირობებში ოსტატთა ურთიერთ-შორის მეტოქეობა ამ ვიწრო ბაზარსაც კიდევ უფრო გააუარესებდა და მათ კეთილ-დღეობას სამუდამოთ დასცემდა. ამიტომ საჭირო შეიქნა ამ ბაზრის მოწესრიგება. და აი, ამქარი წინდაწინ ნიშნავდა, რანაირი მასალიდან და რა იარაღით უნდა დაემზადებინათ საგანი, საქონლის ზომასა და ფასს, ქარგალთა და შეგირდთა რიცხვს და სხვ. თან თვითეული ამქრის ასპარეზიც განსაზღვრეს. მაგ., ნალის მჭედელს არ შეეძლო ჩვეულებრივი მჭედლის საქმე ეკისრა, შავი პურის გამომცხობს თეთრი პურის დამზადება, ნარდათ მოვაჭრე ყასაბს საცალოდ ვაჭრობა და სხვ. მოკლეთ, ოსტატის ყოველივე ნაბიჯი წინდაწინ განსაზღვრეს და ასეთ პირობებში წარმოების გაუმჯობესებაზე ფიქრი, რასაკვირველია, ფუჭი ოცნება იყო. წარმოების ახალ ნიადაგზე მოწყობა კი ვაჭარმა იკისრა. ის ამქრის გარეშე იდგა და მას სასტიკათ ებრძოდა. მისი ინტერესები მოითხოვდა ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას და ამქრულ ბორკილების დამსხვრევას.

მართლაც, ვაჭრის მიზანია რაც შეიძლება მეტი ფულის მოგება. ამიტომაც მისთვის ხელსაყრელია ფართო ბაზარი. შინაური ბაზარი საკმარისი არ იყო: გლეხი გაღატაკების გზას დაადგა. გაიზარდა ბატონთა მოთხოვნილება და მით გლეხთა გაყვლეფაც. თან არც ხალხი გამრავლდა, მიწა კი თანდათან გამოიფიტა და გავერანდა. საჭირო იყო გარეშე ბაზარი. და აი, 1492 წელს ამერიკა აღმოაჩინეს. ამით ვაჭრებმა ფართო ბაზარი მოიპოვეს.

ახალი წარმოება თავისუფალ მუშა ხელს ითხოვდა. ასეთი მუშა ყველგან მრავალი აღმოჩნდა. გლეხთა მდგომარეობა გაუარე-

სდა: შიმშილობა და ეპიდემიები ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა. ამნაირ პირობებში, რა თქმა უნდა, მრავალმა გლეხმა დაჰკარგა ყოველგვარი საკუთრება. თან ფეოდალებმა თავიდან მოიშორეს სასახლეთა უთვალავი ამალა და ულუკმაპუროთ ქუჩაში გადაისროლეს: მათი შენახვა ბევრ ფულს ითხოვდა. რეფორმაციის დროს მეფეებმა და თავადებმა საეკლესიო და სამონასტრო ადგილ-მამულები მიისაკუთრეს და მონასტრებიდან გარეკეს ურიცხვი ხალხი, რომელიც თავს ირჩენდა ეკლესიის უხვი კალთის ქვეშ. შემდეგში, მე-17-ე-18-ე საუკუნოებში მემამულენი გლეხთა ადგილებსაც დაეპატრონენ და და გლეხთა მარჩენალ სახნავ-სათეს მინდვრებზე ცხვრებს აძოვებდენ. მოკლეთ უკანონო თუ „კანონიერი“ ზომებით მთელი დასავლეთ ევროპა უმუშევართა უთვალავი რაზმით აივსო. ეს იძულებითი უსაქმურები და მაწანწალები კუთხიდან კუთხეში დახეტიალობდენ და ათასნაირი ბოროტმოქმედებით მთელ არე-მარეს თავ-ზარსა სცემდენ.

საზოგადოების საერთო გაღატაკება და დამხობა, ან წარმოების ახალ საფუძველზე მოწყობა – ასეთი იყო მდგომარეობა. ამ დროს, დაახლოებით მე-15-ე საუკუნის მიწურულში, ვაჭარმა ახალი წარმოება მოაწყო. მას ფული საკმაოთ ქონდა: ის მას ვაჭრობით, უკეთ, ახალი ქვეყნების გაძარცვით შეუძენია. მან რამოდენიმე, ყოველივე საკუთრებას მოკლებული მუშა, ანუ პროლეტარი დაიქირავა და ისინი ერთ ჭერს ქვეშ მოათავსა. ეს ე. წ. კოოპერაციაა. ეს მუშა იგივე ქარგალია, ახალი ამ მუშათა შეერთებაა. მარა ეს რევოლუციას იწვევს წარმოებაში. ოსტატი თვით საქმობდა ქარგალთან და შეგირდთან ერთად. ვაჭარ კაპიტალისტს კი ეს აღარ სჭირია: რამოდენიმე მუშის ზედმეტი შრომა სავსებით საკმარისია მის გამოსაკვებათ და წარმოების გასაფართოებლათ. რაოდენობა თვისებათ იქცევა. კაპიტალისტი სხვისი შრომით მდიდრდება. მრავალ მუშათა ერთათ თავმოყრით კაპიტალისტს საშუალება მიეცა მუშათა შორის შრომა გაენაწილებია. ნაცვლათ იმისა, რომ მუშამ, ცალკე მთელი წაღა შეჰკეროს, აქ ერთი მას სჭრის, მეორე ყელს ამზადებს, მესამე – ძირს და სხვა. ამით შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა და წარმოება სწრაფათ განვითარდა.

მეორე მხრივ, ვაჭარ-კაპიტალისტმა ერთი მეორეს დაუკავშირა და ერთ ჭერ ქვეშ მოათავსა ორი დამოუკიდებელი ხელობა, – მაგალითად, ტყავის დამმუშავებელნი და მეწაღენი, და ასე საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მანუფაქტურას.

„მარა ბაზარი მუდამ იზრდებოდა და მოთხოვნილება მატულობდა. მანუფაქტურაც საკმაო არ აღმოჩნდა. მაშინ ორთქლმა და მანქანამ რევოლუცია მოახდინა ინდუსტრიულ წარმოებაში“.[1] დღეს ორთქლი ელექტრონის ძალამ დაჩრდილა. ამას დაურთეთ ქიმიური ინდუსტრიის განვითარება. ამ გზით კაპიტალისტურმა წარმოებამ ბუნება დაიმორჩილა.

შრომის დანაწილება და ახალი საწარმოვო იარაღები, – მოკლეთ, სწრაფი და შეუჩერებელი ტეხნიკური განვითარება – აი კაპიტალისტური წარმოების საფუძველი.

ახალი წარმოება ახალ საწარმოვო დამოკიდებულებას ამყარებს. წარმოებაში ორი მონაწილეა. ერთ მხარეზეა ყოველივე საწარმოვო საშუალებათა მესაკუთრე კაპიტალისტი, ხოლო მეორეზე – ყოველივე საშვალებას მოკლებული მუშა, ანუ პროლეტარი. პირველს ყველაფერი ეკუთვნის: ფაბრიკები და ქარხნები, მანქანები და ნედლი მასალა, რკინის-გზები და უზარმაზარი ხომალდები, ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონები და სხვ. მას მხოლოთ მუშა სჭირია. მეორე მხარეა პროლეტარი, რომელიც ყოველივე საშუალებას მოკლებულია და იძულებულია თავის გამოსაკვებათ კაპიტალისტს ერთად-ერთი საკუთრება – თავისი სამუშაო ძალა მიჰყიდოს. ასე მათ შორის საწარმოვო ძაფი გაიბა. კაპიტალისტი წარმოებას განაგებს და მუშას თვალყურს ადევნებს, მუშა კი აწარმოებს და ამ გვარათ მთელი საქმე მის კისერზეა. მარა ვისაც ეკუთვნის საწარმოვო საშუალებანი, მისივეა პროდუქტიც. ამიტომ მუშათა შრომის მთელი ნაყოფი კაპიტალისტის ხელში გადადის. მუშა კი იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც საკმარისია აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მუშათა გაყვლეფით კაპიტალისტი მდიდრდება.

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტი ბატონი შეიქნა წარმოებაში, ხოლო მუშა მისი მონა-მორჩილი.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.

2. წარმოება და გაცვლა-გამოცვლა

როგორიც არის წარმოების წესი, ისეთივეა გაცვლა-გამოცვლა. წარმოების შეცვლას მუდამ თანსდევს გაცვლა-გამოცვლის ახალი წესი.

მართლაც, პირველ-ყოფილ კომუნისტურ წყობილებაში წარმოებას მთელი თემი ეწევა, საერთო ძალ-ღონით ყველა საჭირო ნივთებს ამზადებს და ინაწილებს. თემის წევრთა შორის აღებ-მიცემობას ადგილი არა აქვს. სამაგიეროთ, ყველა თემი განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებშია: ერთს შვილდ-ისარი ბლომათ მოეპოება, მარა მარილი აკლია; მეორეს ჯოგი ჰყავს, მარა თევზი არა აქვს და სხვ. ამით აღებ-მიცემობას ნიადაგი მიეცა: ერთი თემი მეორეს ზედმეტ შვილდ ისარს აძლევს, სამაგიეროთ, მარილს ღებულობს, მესამე ზედმეტ ჯოგს თევზში ცვლის და ასე ბოლომდის.

სულ სხვა ნიადაგზეა აგებული, მაგ., არსებული კაპიტალისტური წარმოება. აქ აწარმოებენ არა თავისთვის, არა სახლში მოსახმარათ, არამედ გასაყიდათ, ბაზრისთვის. ამას საქონლის წარმოება ეწოდება. კაპიტალისტის მიზანია ფულის მოგება. ვინც წინ არ მიდის, ის უკან მიექანება, ვინც ეკონომიურათ არ ძლიერდება, მას კონკურენციის ნიადაგზე დამარცხება მოელის. და აი, კაპიტალისტი და მისი მაჩანჩალა ვაჭარი ქვეყანას აწრიალებენ, ჩვენი საქონელი შეიძინეთო. მეტ საქონელს გაყიდი, მეტსაც მოიგებ, მით უფრო ადვილათ დათრგუნავ მოწინააღმდეგეთ და წარმოებას სათავეში მოექცევი. აი, რით აიხსნება ერთი შეხედვით საკვირველი მოვლენა, რომ ევროპის ბურჟუაზიამ მთელი მსოფლიო თავისი საქონლით მოფინა, თვით ჩინეთის კედლებიც გადალახა და ბარბაროსთა შორისაც ევროპიულ საქონელს და ევროპიულ კულტურას ავრცელებს.

ვ) წარმოება და მისაკუთრება

როგორც არის წარმოება, ისეთივეა პროდუქტის დაყოფა ანუ მისაკუთრება.

პირველყოფილ თემში ნაწარმს დაახლოვებით თანასწორათ ინაწილებდენ. იქ ეს სავსებით ბუნებრივია. წარმოება საზოგა-

დოებრივი იყო და ყველა წევრი მასში თანასწორ მონაწილეობას იღებდა. ასე იყო მაგ., ნადირობაში. და ეს იმიტომ, რომ აქ კერძო პიროვნება ვერას გახდებოდა. ნადირობა ტყის საერთო ძალ-ღონით დაზვერვასა და ნადირთა ერთ წრეში მომწყვდევას ითხოვდა. ერთმა მონადირემ მეტი მხნეობა გამოიჩინა და თავისი ისრით ნადირი მოჰკლა; მას სამართლიანათ საუკეთესო ნაწილს აძლევდენ, დანარჩენს კი ყველა მონაწილენი თანაბრათ იყოფდენ.

მონური წარმოების დამკვიდრებით მდგომარეობა ძირბუდიანათ გამოიცვალა. წარმოება კერძო საკუთრებაზე აეგო. ყოველნაირი საწარმოვო საშუალება პატრონისა იყო და თვით მონაც მას ეკუთვნოდა. ამით ის წარმოებას სათავეში მოექცა და მით საზოგადოების ბატონიც შეიქნა. აქ წარმოება ბევრათ უფრო განვითარებულია, ვინემ ეს იყო პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებაში და ზედმეტ ნაწარმოებს იძლევა. ეს ზედმეტი ნაწარმი პატრონმა მიისაკუთრა, ხოლო მონა იძულებული შეიქნა იმას დასჯერებოდა, რაც საკმარისი იყო აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

არსებითათ ასეთივეა მისაკუთრება, როგორც აზიურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში, ისე თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაშიც: ზედმეტ-ნაწარმს ყველგან გაბატონებული კლასები ისაკუთრებენ. და ეს იმიტომ, რომ ამათ საწარმოვო საშუალებანი ხელთ იგდეს და ამ გზით ხალხი დაიმორჩილეს. შემდეგ ამ ზედმეტ-ნაწარმს მთელი გაბატონებული საზოგადოება ურთიერთ-შორის იმისდა მიხედვით იყოფს, თუ რანაირია მისი როლი არსებულ წყობილებაში. აღმოსავლეთის მეფენი ადგილ-მამულსა და შემოსავალს მხედართ და მღვდელთ უნაწილებდენ, ხოლო ფეოდალურ საზოგადოებაში მსხვილი ფეოდალები — წვრილთ.

ეს კიდევ უფრო ნათლათ სჩანს არსებულ კაპიტალისტურ წყობილებაში. ყველანაირი სიმდიდრის ერთადერთი წყარო შრომაა. ამ ჟამათ სიმდიდრე უმთავრესათ საქონლის სახეს ღებულობს და ის ფაბრიკა-ქარხანაში მზადდება. აქ კი ზედმეტ-ნაწარმს კაპიტალისტი ისაკუთრებს, ვინაიდან საწარმოვო საშუალება მისი კუთვნილებაა. მარა ფაბრიკა-ქარხნის მოსაწყობათ ადგილ-მამულია საჭირო, ეს კი მემამულეს ეკუთვნის. უკანასკნელი თავის ადგილს კაპიტალისტს უფასოთ არ მისცემს, ის სასყიდელს მოითხოვს. და

აი, კაპიტალისტიც იძულებულია ზედმეტი ნაწარმის ერთი ნაწილი მიწის რენტის სახით მემამულეს გადასცეს. ასეთივეა ვაჭარი, ბანკირი, სახელმწიფო და სხვა. ყველა ისინი კაპიტალისტს ეხმარებიან: ვაჭარს მისი საქონელი ბაზარზე გააქვს, ბანკირი მას საწარმოვოთ ფულს აძლევს, სახელმწიფო „წესრიგს ამყარებს“ და სხვ. ამიტომ კაპიტალისტი იძულებულია ზედმეტი ნაწარმოების ერთი ნაწილი ვაჭარს დაუთმოს სავაჭრო კაპიტალის სარგებლის სახით, ბანკირს — ფულის სარგებლის სახით, შემდეგ სახელმწიფოს სხვა და სხვა გადასახადი აძლიოს და სხვ.

წარმოება და გაცვლა-განაწილება ერთმანეთზე მჭიდროთ დაკავშირებულია და საერთოთ წარმოებისა და გაცვლა გამოცვლის წესი ეწოდება. იმ კავშირს, რომელიც წარმოების დროს საზოგადოებაში მყარდება, საწარმოვო, ანუ ეკონომიურ დამოკიდებულებას ვეძახით. წარმოება და საწარმოვო დამოკიდებულება მთელი ცხოვრების საფუძველია. ამ საფუძველზე აგებულია ზედნაშენის ორი რიგი: პირველი — საზოგადოებრივ-უფლებრივ-პოლიტიკური წყობილება და მეორე — იდეოლოგია.

თავი III

საზოგადოებრივი ანუ საოციალური წყობილება

„ყოველ ისტორიულ საზოგადოებაში ნაწარმის დაყოფა და მასთან ერთათ სოციალური დანაწილება კლასებათ, ან წოდებებათ ხდება იმისდა მიხედვით, რას და როგორ აწარმოებენ და როგორ ცვლიან ნაწარმოებს ერთი მეორეზე“.[1] წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესი შესაფერ საზოგადოებას ამკვიდრებს.

წარმოება ადამიანთა შეკავშირებას მოითხოვს. განმარტოებულ ადამიანს არ შეეძლო ბუნების დამორჩილება და საწარმოვო ძალთა განვითარება. პირველყოფილ კომუნიზმის დროს ასეთი, სავსებით ბუნებრივი, კავშირი იყო ოჯახი: მამაკაცი, დედაკაცი და მათი შთამომავლობა ერთად აწარმოებდენ. ოჯახისაგან თემი წარმოსდგა, რომელიც არსებითად იგივე მოზრდილი ოჯახი იყო. ამიტომაც ამ ხანაში საზოგადოებისა და ოჯახის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.[2] აქ ინტერესთა სრული ერთობა სუფევდა: ის, რასაც თემის ერთი წევრი იშოვნიდა, მთელი თემის საკუთრებას შეადგენდა; რასაც, მთელი თემი მოინადირებდა, ყველა წევრთა შორის ნაწილდებოდა. მოკლეთ, თემის კეთილდღეობა ყველა წევრთა კეთილდღეობას მოასწავებდა და პირიქით. ინტერესთა ერთობამ წარმოებაში გამოიწვია სოლიდარობა თვით საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის – აი, რა საფუძველზე იყო აგებული პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოება. ამიტომ იქ ჯერ კიდევ ნიადაგი არ ჰქონდა საზოგადოებრივ დაყოფას და ურთიერთ შორის შეხლა-შემოხლას. იქ ერთმანეთს მხოლოთ სხვა და სხვა თემები ებრძოდენ.

მიწის დამუშავებამ და რკინის ათვისებამ საზოგადოება წინ წასწია ეკონომიურათ და რევოლუცია გამოიწვია თვით საზოგადო-

---

[1] ფრიდრიჰ ენგელსი. დიურინგის წინააღმდეგ. მეექვსე ნემეცური გამოცემის 286 გვ. ხაზგასმული ეს აზრი მკრთალათაა გადმოცემული რუსულ გამოცემაში.

[2] ფრ. ენგელსი. Происхождение семьи, частной собственности и государства. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.

ებრივ ურთიერთობაში. აქ ზედმეტ-ნაწარმს ამზადებენ. ამიტომ იყო ომში დატყვევებულნი დაიმონეს და დროთა ვითარებაში მთელი სამუშაო მათ დააკისრეს, ბატონები კი ყოველივე მუშაობიდან განთავისუფლდენ. ამით წინანდელი ეკონომიური თანასწორობა მოისპო და საზოგადოება ორ მოპირდაპირე ნაწილათ გაიყო. ერთ მხარეზეა ყველა ის, ვინც დაეპატრონა სხვა და სხვა საწარმოვო საშვალებას, მაგ, ადგილ-მამულს, მონებს, ჯოგს, იარაღებსა და სხვ. ესენია თვით თემთა, ან ტომთა მეთაურები – პატრიარქები და წინამძღოლები, ხოლო შემდეგ ვაჭრები. საზოგადოების მეორე ნაწილს შეადგენს საკუთრებასა და თავისუფლებას მოკლებული ხალხი – მონები.

ამიერიდან „საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ფეოდალი და ყმა, ოსტატი და ქარგალი, მოკლეთ, მყვლეფელი და გაყვლეფილი მუდმივ ურთიერთ წინააღმდეგობაში იყვნენ და ხან ფარულათ, ხან კი აშკარათ განუწყვეტლივ ბრძოლას ეწეოდენ, ბრძოლას, რომელიც მუდამ ბოლოვდებოდა საზოგადოების რევოლუციონური გარდაქმნით, ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით“.[1]

რას ნიშნავს კლასი

კლასი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომელთა ინტერესი წარმოებაში, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთი და იგივეა, შეთანხმებულია და თან ეწინააღმდეგება სხვა ჯგუფთა ინტერესს.

ერთი ადამიანი თავისუფალია მუშაობიდან და მხოლოთ ხელმძღვანელი ანუ მეთაურია წარმოებისა. მარა ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება მეორე, მესამე და კიდევ ბევრი სხვა ადამიანიც, მოკლეთ საზოგადოების ერთი ნაწილი. ისინი ერთი მეორეს ეჯიბრებიან და ხშირათ ებრძვიან, მარა უმთავრეს კითხვებში მათი ინტერესი სავსებით შეთანხმებულია და მოითხოვს მთელი დანარჩენი საზოგადოების დამორჩილებას და მასზე გაბატონებას. ეს საზოგადოების გაბატონებული ნაწილი, ანუ გაბატონებული კლასია.

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. კომუნისტური მანიფესტი.

მეორე ადამიანი დამორჩილებულია ეკონომიურათ. ის მუშაობს, რომ სხვა არჩინოს, შრომობს, რომ სხვა გაამდიდროს და გააბატონოს. მარა ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება არა მარტო ის, არა მხოლოთ ერთი მუშაკი, არამედ საზოგადოების დიდი უმრავლესობა. ეს საზოგადოების გაყვლეფილი კლასია.

ამნაირათ ყოველივე საზოგადოება მრავალ ნაწილათ არის დაყოფილი, მარა უმთავრესი ნაწილი, უმთავრესი კლასი ყველგან ორია: გაბატონებული და დამორჩილებული, მყვლეფელი და გაყვლეფილი, მუქთახორა და მშრომელი. პირველი ბატონობს იმიტომ, რომ ის დაეპატრონა ყოველივე საწარმოვო საშუალებას. მეორე დამორჩილებულია იმიტომ, რომ მოკლებულია საწარმოვო საშვალებას. პირველის აშენება მეორის დაქცევას ნიშნავს, პირველის გამარჯვება მეორის დამარცხებას მოასწავებს, უკანასკნელის მხიარულება-სიცილი პირველის ტირილსა და ასე ბოლომდის. ეს ორი მოპირდაპირე ქვეყანაა ერთი ქვეყნის ფარგლებში. ამიტომაც არის, როცა ერთი ქვეყანა, ერთი კლასი ამხედრდება, მეორეც საბრძოლველად დაირაზმება; როცა ერთი კაცი თავს ესხმის, მეორე ყველა თავის ძალებს მოუხმობს, რომ მტერს საერთო ძალღონით გაუმკლავდეს. ასეთია ყველგან პირველყოფილი კომუნიზმის დანგრევის შემდეგ საზოგადოებრივი, ანუ სოციალური წყობილება.

აზიურ საზოგადოებაში ბატონობდენ მეფენი და მათი მოხელენი — მღვდლები და მხედრები, ხალხი კი მათ ყურმოჭრილ მონას წარმოადგენდა.

ანტიურ ანუ მონურ საზოგადოებაში მეთაური იყვენ თავისუფალი მოქალაქენი, ანუ პატრონთა[1] კლასი, მთელი წარმოება კი მონათა კისერზე იყო. პირველნი ხელმძღვანელობდენ, მეორენი საქმობდენ. პირველნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ბატონობდენ, მონები კი თავისი შრომით ამ ბატონობას ამაგრებდენ. მონათა მდგომარეობა სამუშაო საქონლის — ხარის და ცხენის მდგომარეობას ემსგავსებოდა. მათ გაჯოხვის შიშით ამუშავებდენ.

ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასი იყო საერო და სასულიერო ფეოდალები — თავად-აზნაურობა და სამღვ-

[1] საკმაოდ არაზუსტი სიტყვაა, მას წიგნის სხვა ადგილებშიც ვხვდებით. დღეს ხმარებაშია „მონათმფლობელი“, „მონათმფლობელები“. რედ.

დელოება, დამორჩილებული კლასი – გლეხობა. პირველი ადგილ-მამულს ფლობდა, მეორე ამუშავებდა. ფეოდალთა ინტერესი მოითხოვდა გლეხთათვის რაც შეიძლება მეტი ბეგარა – ხარკის დაკისრებას, ხოლო გლეხთა ინტერესი პირიქით ფეოდალთა უღლიდან განთავისუფლებას და ადგილ-მამულის დაპატრონებას.

თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაში გაბატონებულია ბურჟუაზია და დამორჩილებული – მუშათა კლასი.

ინტერესთა წინააღმდეგობა, ბატონობა-დამორჩილება იწვევს კლასთა ურთიერთ-შორის შეჯახებას. განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასები ერთი მეორეს ეომებიან და ასე კლასთა ბრძოლა ჩაღდება. ამ ბრძოლის ხასიათი სავსებით დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე.

ძველ რომში სოფლის გაღატაკებული გლეხკაცობა და ქალაქის ლუმპენ-პროლეტარიატი პატრონთა წინააღმდეგ ამხედრდა. მათი მეთაურები, ძმები გრაკხები, ითხოვდენ უზარმაზარი ლატიფუნდიების დაყოფას და საზოგადო ადგილ-მამულის გაღატაკებული ხალხის ხელში გადასვლას. ეს პატრონთა ბატონობას ემუქრებოდა, და უკანასკნელნიც ფეხზე დადგენ. ბრძოლაში მუდამ ძლიერი იმარჯვებს, ამ შემთხვევაში უფრო ძლიერი კლასი. გაღატაკებული გლეხკაცობა ძლიერი იყო თვისი სიმრავლით, მარა სუსტი შეგნება-შეკავშირებით. პატრონთა კლასი სუსტი იყო თავისი რიცხვით, მარა ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციით. შეტაკებაში უკანასკნელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რეფორმატორები და „შეთქმულების“ მეთაურები დამარცხდენ, ისინი სიკვდილით დასაჯეს. გაბატონებულნი თავიანთ ბატონობას ყოველნაირი საშუალებით იცავენ! მონათა აჯანყება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საბერძნეთსა და ძველ რომში. ერთხელ, ქრისტეს დაბადების წინ, პირველ საუკუნეში მონები სპარტაკის მეთაურობით თვით რომს ემუქრებოდენ. მარა დაბოლოს გაბატონებულმა საზოგადოებამ ქალაქის პროლეტართა დახმარებით გაიმარჯვა და აჯანყება ჩააქრო.

ფეოდალურ საზოგადოებაში ყმები ბატონებს ებრძოდენ, ქალაქები კი – სოფლებს და მათ მფლობელ ფეოდალთ. 1525 წ. გერმანიაში „გლეხთა დიდმა ომმა“ იფეთქა: გლეხები ბატონთ აუჯანყდენ, მარა დამარცხდენ. გლეხთა აჯანყება ხშირი იყო რუსეთში

და საქართველოშიც.[1] მე-14-ე საუკუნიდან მოკიდებული ქარგლები ოსტატებს გაფიცვის მეოხებით ებრძოდენ და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდენ.

არსებული კაპიტალისტური წარმოება ხომ განუწყვეტელი კლასიკური ომის ასპარეზია: აქ ქალაქის მუშები იფიცებიან, იქ სოფლის მუშები ბოიკოტს აცხადებენ, აქ კაპიტალისტები ლოკაუტით იმუქრებიან, იქ სოფლის მემამულენი ძველ მუშებს ერეკებიან და ახლებს იწვევენ; აქ მუშები ცდილობენ ნორმალური სამუშაო დღის დაკანონებას, სახელმწიფო კი მათ ძველ კალაპოტში მიერეკება და ასე განუწყვეტლივ.

ბრძოლაში მუდამ ძლიერი იმარჯვებს. ამიტომ ყოველი კლასი ძალღონეს იკრებს, თავისიანებს იერთებს და მტერს შეერთებული ძალღონით ებრძვის. ქარგლები ამქართა საწინააღმდეგოთ მე-15-ე საუკუნიდან მოკიდებული ქარგალთა კავშირებს აწყობდენ; დღეს კაპიტალისტები მრეწველ-ვაჭართა საბჭოში თავს იყრიან და მუშებს ლოკაუტითა და სხვა საშუალებით უმკლავდებიან; სამაგიეროთ მუშები თავს იყრიან სოციალ-დემოკრატიული პატრიის დროშის ქვეშ, ერთდებიან პროფესიონალურ კავშირებში და კაპიტალისტებს გაფიცვითა და ბოიკოტის საშვალებით თავს ესხმიან.

კლასთა ბრძოლის აუცილებელი შედეგია კლასიური შეკავშირება.

[1] ჩვენი ქვეყნის მიმართ ეს აზრი უმართებულოა. რედ.

თავი IV

უფლება[1]

წარმოების წესი და მასზე აგებული სოციალური წყობილება — აი უფლების სათავე.

რა არის უფლება?

უფლება ეწოდება ყველასათვის სავალდებულო ნორმას ანუ კანონს, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა ურთიერთ-დამოკიდებულებას.

სანამ საზოგადოებაში ინტერესთა თანხმობა მეფობს, ე. ი. პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებაში, უფლებას ნიადაგი არ აქვს. დღესაც ასეთია ინდოეთის სოფელი — თემი. იქ „დაზარალებული პირი უჩივის არა იმ უსამართლობას, რომელიც მას კერძოთ მიაყენეს, არამედ იმ წესის დარღვევას, რომელიც დამყარებულია პაწია თემში. კიდევ მეტი, ჩვეულებრივი უფლება (უკეთ ზნე-ჩვეულება. ნ. რ.) მოკლებულია იძულებით ძალას“.[2] ვინც გადალახა არსებული ზნე-ჩვეულება, მას მხოლოთ გაკიცხვა მოელის.

მართლაც აქ წარმოებაში თემის ყველა წევრი მონაწილეობს. ამიტომაც წარმოება ყველას ეკუთვნის. მთელი თემი მტკიცეთ მისდევს იმ წესრიგს, რაც საჭიროა წარმოებისათვის, ხოლო ასეთ პირობებში უფლებასა და სასჯელს ადგილი არა აქვს.

კერძო საკუთრების დამკვიდრებით მდგომარეობა გამოიცვალა. ყველანაირი საწარმოვო საშვალება კერძო მფლობელობაში გადავიდა და საკუთრების გარშემო ბრძოლა გაჩაღდა. საზოგადოების ერთ ნაწილს საკუთრება აქვს. მონურ წყობილებაში ასეთი იყვენ პატრონები. მეორე ნაწილი, მაგ., მონები, საკუთრებას მოკლებულია. პირველისთვის საკუთრება ხელსაყრელია და ამიტომაც ის მის დაცვას ყოველივე ძალ-ღონით ცდილობს. მონებისთვის ეს საზარალოა და ამიტომ ისინი არსებულ საკუთრებას

---

[1] ნაგულისხმევია სამართალი. რედ.

[2] მენი. იხ. პ. ლაფარგის პასუხი ჟ. ჟორესის მოხსენებაზე. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა ვსთქვათ, რომ ინდოეთში აზიური წარმოება ბატონობს, რომლის ადგილობრივ საფუძველს თემი შეადგენს. არსებითად ასეთივე იყო პირველყოფილი თემი. ავტორი. უკანასკნელი მტკიცებულება მცდარია.

ებრძვიან. ასეთ პირობებში გაბატონებულ კლასს მხოლოთ ერთი საშუალება-ღა დარჩენია – ძალას მიმართოს და მისი მეოხებით ურჩნი დაიმორჩილოს. ასე წარმოიშვა უფლება.

„ჩემი“ და „შენი“ – აი რის გარშემო ტრიალებს უფლება. ნებადართული და სამართლიანია ის მოქმედება, რაც საკუთრებას ხელს უწყობს. აკრძალული და უსამართლოა ყველა ის ნაბიჯი, რაც საკუთრებას ვნებს. ვინც მას ხელი შეახო, უფლება სასტიკი დასჯით ემუქრება. ამ გზით სუსტს იმორჩილებენ. უფლება არსებულ სოციალურ ბატონობას ამაგრებს. „უფლება ძალაა“, ძლიერი კი გაბატონებული კლასია. ამიტომაც იყო მონურ საზოგადოებაში პატრონებმა მთელი საზოგადოება დაიმორჩილეს და მას სასტიკათ ყვლეფდენ. აი რას ამბობს გამოჩენილი მეცნიერი ოსკარ პეშელი: „მონობა ადრე თუ გვიან თვითნებობას ამტკიცებს, ვინაიდან მას, ვინც მრავალ მონას ფლობს, მათი შემწეობით ადვილათ შეუძლია ყველა სუსტის დამორჩილება“.[1]

საწარმოვო ძალთა განვითარებით ძველი წარმოება ისპობა და ახალი მყარდება. მასთან ერთათ ახალი საწარმოვო დამოკიდებულება ანუ ახალი საკუთრება დამკვიდრდა. ეს უკანასკნელი ახალ უფლებას მოითხოვს. საზოგადოების მთელი ისტორია ამას ნათლათ ამტკიცებს.

მონური წყობილება კერძო საკუთრებაზე აეგო. ამ ნიადაგზე ფართო აღებ-მიცემობა განვითარდა. სხვა და სხვა ნივთები – მონა და ადგილ-მამული, ათასნაირი ნაწარმი – ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა. ასეთ პირობებში განვითარდა ჯერ საბერძნეთის და შემდეგ რომის უფლება. აქ ყოველივე სააღებ-მიცემო შემთხვევა წინდაწინ გარკვეულია. რომის უფლება სავსებით მესაკუთრეთ გამოექომაგა და სასტიკი დასჯით ემუქრებოდა ყველა მათ, ვინც ადგილ-მამულის საზღვარი გადალახა და სხვისი ქონება მიისაკუთრა. ვინც ვალი ვერ გადაიხადა და პატრონს მისი საკუთრება ვერ დაუბრუნა, ამ უფლების მიხედვით მათ მონათ გახდომა ელოდა.

ფეოდალურ წყობილებაში მონის მაგიერობას ყმა ცვლის. ყმათა ბეგარა და ხარკი – აი, რაზეა დაფუძნებული ფეოდალთა კეთილდღეობა. საკმარისია გლეხები ბატონთ გადაუდგნენ და მათ

[1] ოსკარ პეშელი. Volkerkunde, მეექვსე გამოცემა, 253 გვ.

გაექცენ, რომ მთელ წარმოებას და მით საზოგადოებას დაღუპვა მოელის.

საშუალო საუკუნეთა უფლება ფეოდალთა ინტერესებს ემსახურება. „ყველაფერი გლეხისა ბატონს ეკუთვნის“ – აცხადებს ის. ასეთი იყო ფეოდალური კანონმდებლობა ყველგან, ასეთივეა ქართველთა მეფის ვახტანგ მეექვსის სჯულიც. გლეხი სავსებით დაიმორჩილეს და ფეოდალთა ყველანაირი თვითნებობა დააკანონეს. საკმარისია აქ მოვიგონოთ ერთი საზიზღარი უფლება, ე. წ. უფლება პირველი ღამისა: ყოველივე ახლათ გათხოვილი ქალი პირველ ღამეს ბატონის საკუთრებას შეადგენდა. მაშინდელი უფლება და თვით ეკლესიაც ამ საზიზღარ მოვლენას კანონიერათ რაცხდა. „უფლება ფაქტის მხოლოთ ოფიციალურ დაასტურს წარმოადგენს“.[1]

ბურჟუაზიული წარმოება – ეს საქონლის წარმოებაა. აღებ-მიცემობას ფართო ნიადაგი მიეცა და საშუალო საუკუნეთა კარ-ჩაკეტილობა მოისპო. ასეთივე იყო რამოდენიმეთ მაინც ძველი საბერძნეთისა და კიდევ უფრო რომის საზოგადოება. აღებ-მიცემობის სწრაფ განვითარებას ხელს უწყობდა რომის უფლება. საშვალო საუკუნეებში ვაჭრობა დაეცა და მით ამ უფლებასაც ნიადაგი გამოეცალა. მარა აი ეკონომიურ ასპარეზზე ბურჟუაზია გამოჩნდა და ვაჭრობა-მრეწველობა აყვავდა. მაშინ, ე. წ. აღორძინების ხანაში, დაახლოებით მე-15-ე საუკუნეში, მთელი დასავლეთი ევროპა რომის უფლებას ითვისებს. აქ მის გვერდით ფეოდალური უფლებაც ბატონობს: პირველის ასპარეზია ვაჭრობა-მრეწველობა, მეორისა – ბატონთა და ყმათა ურთიერთდამოკიდებულება. როცა ბურჟუაზია მოღონიერდა, აღმოჩნდა რომ ფეოდალური უფლება საწარმოვო ძალთა განვითარებას აფერხებს. მაშინ რევოლუცია დაიწყო; ბურჟუაზიამ ფეოდალური წყობილება და მისი დამცველი უფლება დაამხო. აქ საჭირო შეიქნა რომის უფლების გადაკეთება: ის მონობას იცავდა. ბურჟუაზიულ წარმოებას მონა კი არა, თავისუფალი მუშა ეწევა. და აი, საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონმა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ რომის უფლება შეასწორა და ე. წ. ნაპოლეონის სჯულის – კოდექსის სახელით განვითარებულ ბურჟუაზიულ წარმოებას შეუთანხ-

[1] კ. მარქსი. Нищета философіи, 57 გვ.

მა. ამიერიდან ბურჟუაზია ყველა ქვეყნებში საერთოთ მტკიცეთ ადგია ნაპოლეონის სჯულის პრინციპებს.

ახალი უფლების დამყარება მუდამ ბრძოლას მოითხოვს. ის ახალ საკუთრებას ექმაგება, ხოლო ეს ძველი საკუთრებისა და მით ძველი გაბატონებული კლასის უარყოფაა. ამიტომაც არის უკანასკნელი ახალ უფლებას ბრძოლას უცხადებს და ასე საწარმოვო ძალთა განვითრებას წინ ეღობება. აი, რას ამბობს რუდოლფ იერინგი: „ყოველივე ახალი უფლება მოპოვებულია ბრძოლის მეოხებით: ყოველივე ცოტათი მაინც მნიშვნელოვანი დებულება ძალით უნდა წაართვან იმ ელემენტებს, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ მის შემოღებას... არსებულ უფლებასთან გადაკვანძულია მრავალ ადამიანთა და მთელ წოდებათა ინტერესები; ამიტომ მისი მოსპობა შეუძლებელია ისე, რომ მათ საგრძნობელი ზარალი არ მიაყენონ. არსებული უფლებრივი ნორმისა და დაწესებულების რეფორმის წამოყენება ნიშნავს ამ ინტერესთა საწინააღმდეგო ბრძოლის ატეხა... ყველა დიდი წარმატებანი, რომელზედაც შეუძლია მიუთითოს უფლების ისტორიამ – მოსპობა მონობისა და ბატონყმობისა, თავისუფლება რწმენისა, ხელობისა, ადგილ-მამულის საკუთრებისა და სხვ. – ყველა ეს რეფორმა კაცობრიობამ მოიპოვა სასტიკი ბრძოლით, რომელიც ხშირათ მთელი საუკუნეები გრძელდებოდა; უფლების განვითარების გზა ხშირათ აღნიშნულია სისხლის ნაკადულებით“.[1]

ფეოდალურ-აბსოლუტური თვითნებობის დამხობა და ადამიანის თავისუფალ მოქალაქეთ გამოცხადება ყველგან ბურჟუაზიული რევოლუციის საქმეა. ძველი უფლების მატარებელნი თავიანთ ბატონობას ყოველთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავენ! მარა რაკი ახალი წარმოება საკმაოთ განვითარდა და ძველი უფლებრივი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა, ის, ასე ვთქვათ, თავისი კანში ვეღარ ეტევა, სქდება და ახალი კლასის ძალით ახალ უფლებას აფუძნებს. „ძალა-უფლებაა“!

ამ გზით გუშინდელი უფლება დღეს უფლების უარყოფათ იქცევა; ის, რაც სამართლიანი იყო წინეთ, უსამართლოა შეცვლილ საწარმოვო ურთი-ერთობის ხანაში; ის, რაც კანონიერი იყო ერთ ადგილას, უკანონოა მეორე ადგილას. მაგ., ბატონ-ყმობის

[1] Рудольфь Іерингь. Борьба за право. Пер. с нем. Губского. 3-8 გვ.

დროს ბატონს უფლება ჰქონდა ყმა გაეყიდა. ცნობილია, ჩვენი სამშობლოს „ბურჯების“ – თავად-აზნაურთა წინაპართ არა ერთი და ორი ყმა მიუყიდნიათ „უსჯულო“ ოსმალ-სპარსთათვის. ეგვიპტის მამელიუკების რაზმში მუდამ მრავალი გაყიდული ქართველი ირიცხებოდა. ეს სავსებით კანონიერი იყო იმ ხანათ. დღეს ეს სასტიკათ აკრძალულია. რა იყო? რა მოხდა? რა შეიცვალა? ბატონ-ყმობა მოისპო და კაპიტალიზმი დამკვიდრდა. პირველი პიროვნების დამორჩილებაზეა აშენებული, მეორე კი თავისუფალ მუშას მოითხოვს. ამიტომ ძველი უფლება დაიმსხვრა და მით ყმათა გაყიდვაც მოისპო. „როგორც პოლიტიკური, ისე მოქალაქეობრივი კანონმდებლობა მხოლოდ, აღიარებდა ანუ მას ოქმში შეჰქონდა ეკონომიურ დამოკიდებულებათა მოთხოვნილებანი“.[1]

ავიღოთ მეორე მაგალითი. როგორც მონურ, ისე ფეოდალურ საზოგადოებაში სასტიკად კიცხავდენ მევახშეობას, ანუ ფულის გასაზრდელათ გასესხებას. რომის პაპები ანათემას ანუ საეკლესიო წყევლას უცხადებდენ „ყაჩაღებს“, როგორც მაშინ უწოდებდენ მევახშეთ. ცნობილი რეფორმატორი ლიუტერი ერთ თავის წერილში 1524 წელს ამბობდა: „თუ მას (მევახშეს) 10 ათასი ფლორინი[2] აქვს, ის წლიურათ 4 ათას ფლორინს სარგებელს იღებს, ეს ნიშნავს წლის განმავლობაში ერთი მდიდარი გრაფის „შეჭმას“. თუ მას 100 ათასი ფლორინი აქვს, როგორც ეს უნდა ჰქონდეს მსხვილ ვაჭარს, ის იღებს 40 ათასს. ეს ნიშნავს მდიდარი თავადის „შეჭმას“. თუ მას მილიონი აქვს, ის იღებს 40 ათასს, ეს ნიშნავს წლის განმავლობაში დიდი მეფის „შეჭმას“. თან მას არავინ ემუქრება, არც მას პირადათ და არც მის ქონებას, ის არაფერს აკეთებს, ზის ბუხართან და „წვავს ვაშლებს“, როგორც გერმანელები იტყვიან: მაშასადამე, ყაჩაღს შეუძლია სახლში იჯდეს და ათი წლის განმავლობაში მთელი ქვეყანა „შეჭამოს“.

ამ ჟამათ ამ „ყაჩაღებს“ – როტშილდ-მენდელსონებს – ფეხ-ქვეშ ეგება მთელი მსოფლიო გვირგვინოსან მეფეებიდან დაწყებული და უბრალო მოქალაქით გათავებული. ეს ცოტაა. მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკა, შინაური და გარეშე, საბოლოოთ ფინანსისტების ხელშია. ბირჟა ტონს აძლევს საარჩევნო კამპანიას,

---

[1] კ. მარქსი. Нищета философіи, 54 გვ.

[2] ფლორინი დაახლოვებით მანეთს უდრიდა. ავტორი.

ამოძრავებს პარლამენტს, ძირს უთხრის სამინისტროს პარლამენტარულ ქვეყნებში, ნიშნავს ახალ მინისტრებს, იწვევს ომს და სხვ. აბა გაბედეთ ბირჟის დამორჩილება და თქვენ განადგურება მოგელის! აბა შეეცადეთ ბირჟის შევიწროებას და მთელი ბურჟუაზიული ქვეყნის სამასხარაო გახდებით! ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა მსოფლიო ომის ხანაში.

სად უნდა ვეძიოთ ამ წინააღმდეგობის სათავე? როგორც მონურ, თავდაპირველათ მაინც, ისე ფეოდალურ წყობილებაში ნატურალური წარმოება ბატონობს: აქ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ აწარმოებენ. მევახშე და მისი მოქმედება ძირს უთხრის ნატურალურ წარმოებას და ხალხს სიღარიბის მორევში მიერეკება. ასეთ მდგომარეობაშია დღესაც ჩვენი სოფელი. აქ გლეხს კარზე ბოქაული და ჩაფარი ადგია და მისგან გადასახადს მოითხოვს. რა უნდა ქნას გლეხმა ამ პირობებში? ის იძულებულია სოფლის ჩარჩს მიმართოს და მისგან სესხი აიღოს. გლეხი მოკლებულია თითქმის ყოველნაირ წყაროს. ასეთ პირობებში მევახშე რამოდენიმე ხნის განმავლობაში გლეხის მთელ სარჩო-საბადებელს ეპატრონება. ბატონყმობის დროს გლეხის სიმდიდრე სასარგებლოა ბატონისთვისაც. მდიდარი გლეხი მეტ ხარკსა და ბეგარას აიტანს. გლეხის გაღატაკება კი ბატონსაც უსპობს საცხოვრებელ საშვალებას და მთელ საზოგადოებას განადგურებით ემუქრება. ამიტომ აქ მევახშეს ყველა ჰგმობს და მის მოქმედებას ყაჩაღობათ ნათლავს. და აი, უფლებაც მევახშეობას კრძალავს და მევახშეს სასტიკათ სჯის.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონლის წარმოება ბატონობს: აქ გასაყიდათ, ბაზრისთვის ამუშავებენ. წარმოებაში ფულია საჭირო, ეს კი ბანკირს აქვს. კაპიტალისტი მისგან სესხულობს და წარმოებაში აბანდებს. მეორეთ, ბანკები და წვრილი მევახშეები გლეხებსა, ხელოსნებსა და საზოგადოთ ქალაქის წვრილ ხალხს აღატაკებენ და უმუშევართა რაზმში ერეკებიან. რაც მეტია მუშა, მით მეტია მათ შორის მეტოქეობა და ამიტომ ნაკლებია მუშათა ხელფასი. ეს საზარალოა მუშისთვის, მარა ხელსაყრელია ბურჟუაზიისათვის. უკანასკნელი გაბატონებული კლასია და მისი ინტერესი საერთო ნაციონალურ ინტერესათ გამოაქვთ. ამ გზით ბანკირები ხელს უწყობენ ბურჟუაზიის გაძლიერებას, ამის გამო

მთელი საზოგადოება მათ წინაშე ქედს იხრის და მათ გუნდრუკს უკმევს. ამიტომაც არის ბურჟუაზიის გაძლიერებისთანავე უფლება[1] მევახშეობას კანონიერათ აცხადებს და ბანკირთა მოქმედებას მთელი თავისი ძალ-ღონით მფარველობს.

უფლება გაბატონებულ კლასს ემსახურება. ამიტომ გაყვლეფილი კლასი არსებულ უფლებას ებრძვის და მის მოსპობას ეტრფის.

ვის შეუძლია ამხედრებული ხალხი დაიმორჩილოს, უფლება გაბატონებულ კლასთა სასარგებლოთ გამოიყენოს და ის დაიცვას?

ეს სახელმწიფოს საქმეა.

[1] ე.ი. სამართალი. რედ.

თავი V

პოლიტიკური წყობილება

სახელმწიფოს წარმოშობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში რამოდენიმეთ ნსხვავდება.

აღმოსავლეთში წარმოების აზიური წესი ბატონობდა. ეს მინდვრების მორწყვასა და ჭაობთა ამოშრობას ითხოვდა. ამისთვის საჭირო იყო სასტიკი ცენტრალიზაცია და ძლიერი მართვა-გამგეობის მოწყობა: ქვეშევრდომი აქ უპირველესათ სახელმწიფოს მოსამსახურე იყო. ამ უზარმაზარ წარმოებას მეფე მეთაურობდა: წარმოების დასაწყისი და დასასრული აქ მეფის სიტყვაა. ამიტომაც იყო მეფე პოლიტიკურათაც ქვეყნის შეუზღუდველი ბატონ-პატრონი შეიქნა, ყველა მისი სურვილი და ბრძანება მთელი ხალხისთვის კანონი იყო.[1] ეკონომიური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის ქვაკუთხედია.

მთელი ადგილ-მამულის მესაკუთრე და ამით ხალხის პოლიტიკური მეთაური მეფეა. მათ ახლო იდგენ და მის მარჯვენა ხელს შეადგენდენ მღვდლები და მხედრები. პირველნი მიწის დამუშავების ვადას იკვლევდენ და ამ მიზნით ვარსკვლათ-მრიცხველობას მისდევდენ. პირველათ იმათ შენიშნეს, რომ მდ. ნილოსის გადმოხეთქა დაკავშირებულია მნათობთა მოძრაობასთან. მხედრები სახელმწიფოში წეს-რიგს იცავდენ და წარმოების წესიერ მსვლელობას დარაჯათ ედგენ. მოკლეთ, მეფის ბრძანებით მიწათმოქმედებას ნამდვილათ ისინი მეთაურობდენ და ამიტომ ბიუროკრატიულ საფეხურზე პირველი ადგილი ეჭირათ და ხალხის ბედ-იღბალს სავსებით განაგებდენ. მათ უკან მისდევდენ წარმოების ადგილობრივი მეთვალყურენი, შემდეგ სხვა და სხვა ხელოსნები[2] და ბოლოს იდგა „შავი ხალხი“ – ყველას მიერ დათრგუნულ-დამონე-

---

[1] აი რას ამბობს ასურეთ-ბაბილონის შესახებ გამოჩენილი მეცნიერი გეორგ ვებერი: „მიწის დამუშავების საფუძველი მორწყვაა... (ამ მორწყვას მეფენი მეთაურობდენ)... საბოლოოთ აქ უნდა ვეძიოთ ეკონომიური მოტივი მეფეთა, აქაც, როგორც ეგვიპტეში, ნამეტანი ძლიერებისა“. იხ. მისი სტატია „Agrargeschichte“ Handwerterbuch der staatswissenschaften“ 1 ტომში, მეორე გამოცემა, 62 გვ.

[2] ეს ტერმინი ნახმარია მოხელის მნიშვნელობით. რედ.

ბული მშრომელი ხალხი. ასე მთელი საზოგადოება რამოდენიმე ნაწილათ დაიყო. არავის არ შეეძლო ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა, თვითეული ნაწილი განცალკევებულათ ცხოვრობდა. ყველა ადამიანი დედის მუცლიდან სიკვდილის კარამდის, მამა და შვილი, მთელი შთამომავლობა, მუდამ ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდენ. ეს კასტებია. კასტები დღესაც არსებობს ინდოეთში.

სად უნდა ვეძიო ამ მოვლენის სათავე?

წარმოება მუდამ ერთი და იგივე იყო, ის ერთ დონეზე გაჩერდა. ტეხნიკის განვითარება მოისპო, მის მაგიერობას ასრულებდა მიწის საზღაპრო ნოყიერობა. ამიტომ მთელი ცხოვრება მუდამ ისეთი იყო, როგორც ასი და მრავალი ათასი წლების წინ: მას მამა-პაპათა გადმოცემანი და ზნე-ჩვეულებანი დაეპატრონენ და ის ღმერთის ნება-კურთხევით მონათლეს. უზარმაზარი წარმოება სასტიკ დისციპლინას ითხოვდა. მოსპეთ საუკუნოებით განმტკიცებული წეს-რიგი და მთელი წარმოება და მით მთელი საზოგადოება უფსკრულისაკენ გაექანება; შეცვალეთ ამ პირობებში საზოგადოების სხვა და სხვა კასტების ურთიერთშორის დამოკიდებულება და მთელ საზოგადოებას განადგურება მოელის. ამიტომაც იყო უკიდურესი დესპოტიზმი და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურათ კასტიური დანაწილება მთელი აღმოსავლეთის პოლიტიკის საფუძველი შეიქნა. ამ საფუძვლის მოშლა ახალი ეკონომიური ურთიერთობის — კაპიტალიზმის საქმეა. აი რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ტრადიციას დღემდისაც განსაკუთრებული გასავალი აქვს აღმოსავლეთში.[1]

სხვა გზით წავიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარება. აქ სახელმწიფოს სათავე კერძო საკუთრება და მონური წარმოება შეიქნა. აი რას მოგვითხრობს ძველი საბერძნეთის შესახებ ლ. მორგანი. საკუთრების დამკვიდრებამ განსაკუთრებული შედეგი გამოიწვია. ათინელთა ერთი ნაწილი დავალიანდა და ამის გამო მონურ

[1] აი რას ამბობს ჩინეთის შესახებ ხსენებული ვებერი: „ზნე-ჩვეულება ბატონობს კანონისებური ძალით და განსაზღვრავს ყოველივე მოქმედებას და მდგომარეობას თვით უმაღლესი ძალა-უფლების გარეშეც. ის განსაზღვრავს თვითოეული პირის წილს საზოგადო ადგილ-მამულში, მიწათ-მოქმედების წესს, სახელმწიფო გადასახადს“ და სხვ. იქვე, 55 გვ.

მდგომარეობაში ჩავარდა. ამით ძველი თემური წყობილება დაირღვა და მონური წყობილება დამკვიდრდა, სოციალური თანასწორობის ნაცვლათ კლასიური საზოგადოება დაფუძნდა. მარა კლასიურ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლა წარმოებს. გაბატონებული – ამ შემთხვევაში პატრონთა კლასი, თავის საკუთრებასა და ბატონობას მტკიცეთ ადგია. გაყვლეფილი მონათა კლასი და სოფლისა და ქალაქის გაღატაკებული მოქალაქენი არსებულ საკუთრებას ებრძვიან და ცდილობენ დაეპატრონონ საზოგადო ადგილ-მამულს, რომელიც ხელთ იგდეს გამდიდრებულმა მოქალაქეებმა. მოკლეთ, აშკარათ თუ ფარულათ, შეერთებულათ თუ ცალ-ცალკე, გაყვლეფილი საზოგადოება გაბატონებულთ ბრძოლას უცხადებს. ასეთ პირობებში პატრონთა ინტერესია გაყვლეფილთა დამორჩილება. რა გზით შეიძლება საზოგადოებაში „წესრიგის“ დაცვა და არსებული ბატონობის განმტკიცება და ხელის შეწყობა?

624 წელს ქრისტეს დაბადებამდე დრაკონმა კანონთა მთელი რიგი შეიმუშავა: კერძო საკუთრების დამრღვევთ ის სასტიკი დასჯით ემუქრებოდა. შემდეგ მეფე[1] სოლონმა მთელი საზოგადოება ორ მთავარ ნაწილად გაჰყო: ერთ მხარეზე იყო მესაკუთრე საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი უფლებებით იყო აღჭურვილი, ხოლო მეორე მხარეზე მონები და გაღატაკებული მოქალაქენი – ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ძალა-უფლებას. თვით მესაკუთრე საზოგადოება, სხვა და სხვა უფლებით სარგებლობს, იმისდა მიხედვით, ვის რამდენი ქონება მოეპოვება. მთელი გაბატონებული საზოგადოება სოლონმა ოთხ კლასათ დაჰყო და ქონების მიხედვით პოლიტიკური უფლებებით შემოსა და ვალდებულებანი დააკისრა. კანონი მესაკუთრეთა სასარგებლოთ გამოიყენეს.

ამით ნიადაგი მოესპო ძველ საზოგადოებას, რომელიც სისხლით ნათესაობაზე იყო აგებული. თემს შეეძლო საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა და ახალ ადგილზედაც ძველი წყობილება შეენარჩუნებია. ახალი მონური წყობილება კერძო საკუთრებაზე და უპირველესათ ადგილ-მამულის დასაკუთრებაზე აეგო. ამ საზოგადოების საცხოვრებელი ადგილი წინდაწინ განსაზღვრულია.

[1] არასწორია, სოლონი არქონტი გახლდათ. რედ.

სახელმწიფო კი კერძო მესაკუთრეთა შეერთებაა. მთელ სახელმწიფოს ფარგლებში კერძო საკუთრების უმაღლესი მფარველობა და დაცვა – აი სახელმწიფო ძალა-უფლების უმთავრესი მიზანი. ამიტომ არის ყველა სახელმწიფოს თავისი ადგილ-მამული, ანუ ტერიტორია მოეპოება. წაართვით ტერიტორია და სახელმწიფოც გაქრება, მოსპეთ კერძო საკუთრება და სახელმწიფოს საფუძველიც მოიშლება.

სახელმწიფოში პოლიტიკურათ ბატონობს ის, ვინც გაბატონებულია სოციალურათ. თემის პატრიარქები და წინამძღოლები და შემდეგ გამდიდრებული ვაჭრები – აი, ვინ დაეპატრონენ საბერძნეთს.[1] საზოგადოების მოსამსახურე პირები თვით საზოგადოებას იმორჩილებენ.

ასეთია დაახლოვებით ყველა სახელმწიფოთა დასაბამი დასავლეთ ქვეყნებში.

ჩვენ დავინახეთ: სახელმწიფო შედეგია წარმოებაზე აგებულ სოციალურ-უფლებრივ წყობილებისა. სოციალური წყობილება კი გაბატონებულთა ინტერესს ემსახურება. ამიტომაც არის „პოლიტიკური ძალა-უფლება მხოლოდ ერთი კლასის შეკავშირებული ძალაა, რომელიც სხვა კლასთა დამორჩილებას ემსახურება“.[2]

„თანამედროვე სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება კი მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტია, რომელიც ბურჟუაზიის საზოგადო საქმეებს განაგებს“.[3] ასეთია სახელმწიფო საერთოთ. აღმოსავლეთის სახელმწიფონი მეფეთა და მღვდელ-მხედარ მოხელეთა ბატონობას იცავს. ანტიური სახელმწიფო პატრონთა ინტერესს ემსახურება, ფეოდალური სახელმწიფო საერო და სასულიერო ფეოდალთა ბატონობას ამაგრებს.

გაყვლეფილი კლასები მუდამ, აშკარათ თუ ფარულათ, იმას ცდილობენ, რომ ბატონობის უღელი ჩამოიშორონ და თავისუფლათ ამოისუნთქონ. მათი დამორჩილება სახელმწიფოს საქმეა.

ამ მიზნისათვის სახელმწიფოს ხელში მრავალი საშვალებაა, უპირველესათ ფინანსური ძალა და ჯარი.

---

[1] ლ. მორგანი. Первобытное общество.

[2] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. კომუნისტური მანიფესტი.

[3] იქვე.

„რომ სახელმწიფოს არსებობა... შესაძლებელი იყოს, ის თვით ეკონომიურ ძალას უნდა წარმოადგენდეს, სულერთია – ამ ძალის წყარო დაპყრობა და ომი იქნება თუ საკუთარი ადგილ-მამულის ფლობა, ან ის შედეგი იქნება, როგორც ჩვენს დროში, გადასახადთა მთელი სისტემის, რომელიც კონსტიტუციონურ სახელმწიფოში გადასახადთა ნებაყოფლობით გაწერის სახეს ღებულობს“.[1]

ეს კი სავსებით დამოკიდებულია წარმოებაზე. განვითარებული წარმოება მდიდარ სახელმწიფოს წარმოშობს. მართლაც სახელმწიფოს შეუძლია ხალხის მხოლოთ ზედმეტი პროდუქტი მიისაკუთროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი სიღატაკის მორევში ჩაეშვება და მით ადრე თუ გვიან, თვით სახელმწიფოც დაეცემა.

იქ, სადაც ნატურალური წარმოება ბატონობს, სახელმწიფოს შეუძლია ხალხისაგან გადასახადი მხოლოდ ნატურით, თვით ნაწარმის სახით აიღოს, ან მას დააკისროს ბეგარა, ანუ წლის განმავლობაში რამოდენიმე დღე სახელმწიფოს სასარგებლოთ მუშაობა. აზიურ სახელმწიფოებში მთელი ჭირნახულის მეათედს მეფის ბეღლებში ეზიდებოდენ. ეს სახელმწიფო ხარკია. მეორეთ მთელი ადგილ-მამულის მეათედს ხალხი მეფის სასარგებლოთ ამუშავებდა. ეს ბეგარაა. ამიტომაც იყო „სახელმწიფოს ეკონომიურ ჩონჩხს წარმოადგენდენ მეფის დომენები[2] და მონები, საკუთარი ხაზინა, მისი ბეღელი, ბოსელი და არსენალი“.[3]

ძველი საბერძნეთის ე. წ. გმირულ ხანაში ნატურალური წარმოება მეფობდა. ამიტომ სახელმწიფოთა მეთაურები თავს ირჩენდნენ საკუთარი ადგილ-მამულის შემოსავლით და ქვეშევრდომთა საჩუქრებით. უკანასკნელნი თავიანთ მეფეთ პატიჟობდენ და მათ შესაფერათ უმასპინძლდებოდენ. დროთა განმავლობაში ეს ქვეშევრდომთათვის სავალდებულო შეიქმნა.

მდგომარეობა გამოიცვალა აღებ-მიცემობის განვითარებით. სახელმწიფოს გასავალი სწრაფათ გაიზარდა. განვითარებული მოქალაქეობრივი ცხოვრება მრავალ საზოგადო შენობათა აგებას ითხოვდა. ხანგრძლივმა ომიანობამ ხალხი წელში გასტე-

---

[1] Антоніо Лабріола, Историческій матеріализмь, 53-54 გვ.

[2] ადგილ-მამული. „მონებში“, ჩანს, მშრომელი გლეხობაა ნაგულისხმევი. რედ.

[3] მაქს ვებერი. Handworterbuch der Staatsswensch aften 1 ტომი, 60 გვ.

ხა. ამიტომ მას შეეძლო საკუთარ ხარჯზე მხოლოთ შეიარაღება, თვით ბრძოლის ველზე კი სახელმწიფოს უნდა ერჩინა. ამ მიზნით ჯარის-კაცთათვის ჯამაგირი დაწესდა. საჭირო იყო ქალაქთა გამაგრება და მაგარი კედლებით მათი შემოზღუდვა. საბერძნეთს გარეშე მტრები ზღვიდანაც ემუქრებოდენ და ეს ითხოვდა საზღვაო ფლოტის გაძლიერებას. თან ძველ საბერძნეთის ზოგიერთ სახელმწიფოში ძალა-უფლებას დემოკრატია დაეპატრონა, და რომ ყველა მოქალაქეთათვის მისაწვდომი ყოფილიყო ყველანაირი საზოგადოებრივი თანამდებობა, საჭირო შეიქნა მოხელეთათვის ჯამაგირის დანიშვნა.

რა გზით შეეძლო საბერძნეთის დემოკრატიას ამ მრავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება?

სახელმწიფომ უპირველესათ არაპირდაპირ გადასახადთა სისტემა დააკანონა. ასეთია სხვა და სხვა ბაჟები, ნავთ-სადგურისა და საბაზრო გადასახადი. შემდეგ ის იძულებული შეიქნა არაჩვეულებრივ, მაგ., ომიანობის ხარჯთა დასაფარავათ, პირდაპირი გადასახადი შემოეღო: ასეთ ხარჯებს ყველა მოქალაქეთა შორის ანაწილებდენ. თან ხშირათ უმეტეს ნაწილათ ათინაში დიდი მოხელენი თანამდებობაზე არჩევისთანავე ვალდებული იყვენ საზოგადო ხარჯები ეკისრათ, მაგ., სამხედრო ხომალდები აეგოთ.[1] ასეთი იყო დაახლოვებით ყველა ანტიურ, ანუ მონურ სახელმწიფოთა შემოსავალი.

ფეოდალურ საზოგადოებაში ბოლო მოეღო ფართო აღებ-მიცემობას და კარჩკეტილობა გამეფდა. აქ კვლავ გაბატონდა ნატურალური წარმოება. და აი, სახელმწიფოც კერძო მეურნეობას ეწევა. მეფის ხაზინა მისი კერძო საკუთრებაა და უმთავრესათ საკუთარი ადგილ-მამულისა, ანუ დომენების შემოსავლით ივსება. აქ სახელმწიფო ბეგარა და ხარკი იგივე საბატონო ბეგარა და ხარკია. ასეთი იყო კერძოთ საქართველოს სამეფო ხაზინა ანუ სალარო. მეფის კერძო ადგილ-მამული და სხვა და სხვა ძვირფასი სამკაულები — აი ქართველ მეფეთა შემოსავლის ერთად-ერთი წყარო.

ნელ-ნელა საშუალო საუკუნოებშიც ფეხი მოიდგა აღებ-მიცემობამ. მეფეებმა და სხვა ფეოდალებმა ეს თავის გასამდიდრებლათ გამოიყენეს და ვაჭრებს დააკისრეს ათასნაირი ბაჟები ე.წ. საგზაო,

[1] იქვე მესამე ტომი. Eduard Meyer-ის სტატია, Geschicte der Finanzen, 940 გვ.

სახიდო, საბაზრო და სხვა ასეთ გადასახადთა სახით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგ., ომიანობის დროს, ცოლის შერთვისა, ქალის გათხოვებისა და სხვა ასეთ ბრწყინვალე ჟამს მეფენი ხალხისაგან და უპირველესათ გაბატონებული წოდებისაგან საჩუქარს ითხოვდენ, ტახტს დაეხმარეთო. ამნაირი „დახმარება“ თანდათან ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა და იძულებითი ხასიათი მიიღო. მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია მოღონიერდა და აბსოლიუტური მონარქია დაწესდა, ათასნაირ გასავალთა და უმთავრესათ დაქირავებულ ჯარის შესანახათ მან შემოიღო სხვა და სხვა პირდაპირი გადასახადი. ასეთი იყო, მაგ., გერმანიაში მე-15-ე საუკუნეში დაწესებული ე. წ. „საყოველთაო ფენიგი“,[1] რასაც ყველა ქვეშევრდომი იხდიდა.

კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელია საწარმოვო ძალთა სწრაფი და ფართო განვითარება. ამიტომ ბურჟუაზიული სახელმწიფო უზარმაზარი ეკონომიური ძალა შეიქნა. მას გაჰყავს რკინიგზები და ფოსტა-ტელეგრაფი, ამუშავებს მადნებს, მაგ., ოქრო-ვერცხლს, ფლობს ტყეებს და სახნავ-სათეს ადგილ-მამულებს და ამასთან ერთათ ხალხს აკისრებს ათასნაირ პირდაპირსა და კიდევ უფრო მეტს, არაპირდაპირ გადასახადს. თვით ხალხი აძლევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ამ ძალას, რომლითაც ხალხსვე იმორჩილებენ და თრგუნავენ.

კლასიურ საზოგადოებაში საკუთრებას და მით გაბატონებულ კლასებს მუდმივი საფრთხე მოელის: მათ ყოველი მხრიდან ემუქრებიან. ამიტომ სახელმწიფოს მიზანია გარეშე და შინაურ მტერთა დათრგუნვა. ამისთვის საუკეთესო იარაღი ჯარია.

რით აიხსნება ჯარის ასეთი თუ ისეთი მოწყობილობა სხვა და სხვა ხანაში?

როცა ერთი თემი მეორეს თავს ესხმოდა, მაშინ იარაღს მთელი თემი ისხამდა და მტერს შეერთებული ძალ-ღონით უმკლავდებოდა. კლასიურ საზოგადოებაში სხვანაირი მდგომარეობაა: აქ მტერი არა მარტო გარეთ, ის თვით სახელმწიფოს ფარგლებშიც არსებობს. მთელი ხალხის შეიარაღება, ეს ხომ შინაურ მტერსაც ხელში იარაღს მისცემდა და გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ მიმართულია. ამიტომ იყო საზოგადოების გაყვლეფილ ნაწილს იარაღი აჰყარეს. მთელი საზოგადოება ორათ გაიყო: ერთია გაბა-

[1] ფენიგი ნახევარ კაპეიკზე ცოტა ნაკლებია. ავტორის შენიშვნა.

ტონებული და თან შეიარაღებული ანუ მეომარი ნაწილი, მეორეა – გაყვლეფილი ანუ უიარაღო ნაწილი; პირველი მბრძანებელია, მეორე დამორჩილებული.[1] ამიერიდან სამხედრო წოდება გაბატონებული კლასის იარაღია.

ბრძოლაში მუდამ ძალა იმარჯვებს, მაშასადამე, უფრო ძლიერი ჯარი. „გამარჯვება კი დაფუძნებულია იარაღის დამზადებაზე, უკანასკნელი საზოგადოთ წარმოებაზე... ჯარის შეიარაღება, შედგენილობა, ორგანიზაცია, ტეხნიკა და სტრატეგია დამოკიდებულია უპირველესათ არსებული წარმოებისა და მისვლა-მოსვლის განვითარების საფეხურზე... მე-14-ე საუკუნეში ევროპიელებმა არაბებისაგან ისწავლეს თოფის წამლის მომზადება – მოხმარა, რამაც, როგორც ყველა მოწაფემ იცის, სავსებით გარდაჰქმნა ომიანობის მსვლელობა.... ცეცხლმსროლელი იარაღის შემოღებამ რევოლიუციონური გავლენა იქონია არა მხოლოთ ომის მსვლელობაზე, არამედ პოლიტიკურ ბატონობა-დამორჩილების დამოკიდებულობაზედაც კი. ცეცხლ მსროლელი იარაღის მოსაპოებლათ საჭირო იყო მრეწველობა და ფული, ამას კი ორივეს მოქალაქენი ფლობდენ. ამიტომ ცეცხლ-მსროლელი იარაღი თავიდანვე ქალაქთა და მათზე დაყრდნობილი მონარქიის იარაღი შეიქნა ფეოდალთა საწინააღმდეგოთ. აზნაურთა სიმაგრეების ქვის კედლებმა, რომლებიც ამ დრომდე მიუწვდომელი იყო, ვეღარ გაუძლეს მოქალაქეთა ზარბაზნებს. მოქალაქეთა თოფების ტყვიებმა მხედართა ჯავშანი გახვრიტეს. ჯავშანში ჩასხმულ თავად აზნაურთა მხედრების დაცემით თვით თავად-აზნაურობის ბატონობაც დაიმსხვრა“.[2]

არა მარტო შეიარაღება, არამედ თვით სამხედრო წესიც სავსებით წარმოებასა და სოციალურ ბატონობას ემორჩილება. ფეოდალური წყობილების დროს გლეხის ომში გაყვანა მას გააღატაკებდა და მით წარმოებას დასცემდა. ასეთი იყო გლეხთა ომიანობაში მონაწილეობის შედეგი მონურ წყობილებაში! ამიტომ როგორც ვიცით, ფეოდალურ წყობილებაში ქვეყნის დაცვა ფეოდალებმა იკისრეს. თავად აზნაურობა სამხედრო წოდებას

---

[1] გუსტავ შმოლერი. Grun. D. allgemeinen Volkswirtschaftslehre. 1 ტომი, მეორე გამოცემა 353 გვ.

[2] ფრ. ენგელსი, Анти-Дюринг, 221-3 გვ.

წარმოადგენდა. აბსოლიუტური მონარქია ფეოდალთა ალაგმვას ცდილობდა და ამ მიზნით ის ქალაქებს დაუკავშირდა. ქალაქები მეფეს ფულით ეხმარებოდენ, ამით კი უკანასკნელი თავისუფალ მეომართ ქირაობდა. დაქირავებულ ჯარში ყველა მეომარს იღებდენ, ვინც კი იკისრებდა მონარქიის ინტერესთა ქომაგობას ფეოდალთა საწინააღმდეგოთ. ყველა ევროპიულ სახელმწიფოთა ჯარში მუდამ ბევრი დაქირავებული მხედარი ირიცხებოდა. ცნობილია, რა თავ-განწირვით იცავდენ დაქირავებული შვეიცარიელები საფრანგეთის დიდ რევოლუციაში ლუი მე-16-ეს და მის მთავრობას! ამის მეოხებით მეფემ ფეოდალები დათრგუნა და თავისი თვითმპყრობელობა განამტკიცა.

აბსოლიუტიზმის დაცემით თვით დაქირავებულ ჯარსაც ბოლო მოეღო. ეს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის საქმეა. ევროპის რეაქციონურმა სახელმწიფოებმა საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ კავშირი, ანუ კოალიცია შეჰკრეს და საფრანგეთის მონარქიას გამოესარჩლენ. კოალიცია დაქირავებული ჯარით იბრძოდა. საფრანგეთის ახალ მთავრობას არ შეეძლო საწინააღმდეგოთ საკმაო ჯარის დაქირავება: რევოლიუციამ ფინანსიური კრიზისი გამოიწვია. და აი, რევოლიუციონურმა მთავრობამ საფრანგეთის ახლათ-განთავისუფლებულ ხალხს მიმართა — რევოლიუციის მონაპოვარნი დაიცავითო. მთელი საფრანგეთი ფეხზე დადგა და იარაღი აისხა. კოალიციას მრავალრიცხოვანი მასა, მთელი მეომარი ხალხი დაუპირდაპირეს. „ამ მასით უნდა დაეცვათ პარიზი, — ერთი განსაზღვრული ადგილი. ეს კი შეუძლებელი იყო მასიურ ბრძოლაში გაუმარჯვებლათ. მსროლელთა უბრალო დატაკება საკმარისი არ იყო მასის ბრძოლის ველზე გამოსაყვანათ საჭირო იყო შესაფერი ფორმის გამონახვა და ეს ფორმა აღმოჩნდა. ეს იყო კოლონა“.[1]

ევროპის კოალიციის ჯარი ძველი „ლინიური“ წესით იბრძოდა. მთელ ჯარს ერთ „ლინიაზე“ ანუ ხაზზე აწყობდენ და მტერს სხვა და სხვა მხრიდან თავს ესხმოდენ. ამიტომ აქ ომის ბედს სწყვეტდა ერთი შეტევა. ვინც პირველ შეტაკებაში ძლიერი აღმოჩნდებოდა და მოწინააღმდეგე ჯარის ხაზის გარღვევას შესძლებდა, ის ბრძოლაში გამარჯვებული რჩებოდა.

---

[1] ფრ. ენგელსი Анти-Дюринг, 224 გვ.

რა გზას უნდა დადგომოდა საფრანგეთის რევოლიუციონური ჯარი?

კოალიციის ჯარი ძლიერი იყო თავისი გაწვრთნა-გამოცდილებით, საფრანგეთის ჯარი კი სიმრავლით: აქ თითო დაქირავებული ჯარის-კაცის საწინააღმდეგოთ შეეძლოთ რამოდენიმე თავისუფალ მეომრის გაყვანა. ამით ჯარის ძველი წესი უხერხული გამოდგა და საჭირო შეიქნა ჯარის ისეთი დაწყობის გამონახვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მრავალრიცხოვანი ჯგუფის ერთსა და იმავე ადგილზე ამოძრავება. ამ მიზნით ჯარი რამოდენიმე რიგში ან ხაზზე დააწყვეს და რომ სხვა და სხვა რიგს ომში ერთი მეორისთვის ხელი არ შეეშალა, პირველი რიგი თოფს მიწაზე დაწოლილი ისროდა, მეორე – წამოჩოქილი და სხვ. ეს კოლონაა. ამ ახალი წესის ცხოვრებაში გასატარებლათ აუცილებელი პირობა იყო ორი ძლიერ მნიშვნელოვანი ტეხნიკური საშუალება: „პირველათ გრებოვალის მიერ მოწყობილი ზარბაზნების მჩატე ლაფეტები... და მეორეთ, თოფის უკანა ნაწილის მოღუნვა, რომელიც წინეთ ლულის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა. ეს პირველათ შემოიღეს საფრანგეთში 1777 წელს სანადირო თოფის დამზადების დროს ამით შესაძლებელი გახდა ცალკე ადამიანის ნიშანში ამოღება“.[1]

ამ გზით რეაქციონური კოალიცია დამარცხდა და დაქირავებული ჯარის ბედიც სამუდამოთ გადაწყდა. მის ნაცვლათ მთელს ევროპაში თან და თან საყოველთავო სამხედრო ბეგარა დაწესდა.

სახელმწიფო მოვლენილია წარმოების განსავითარებლათ და სოციალური ბატონობის განსამტკიცებლათ. აქედან აშკარაა: როგორიც არის წარმოება, ისეთივეა სახელმწიფო და მისი ორგანიზაცია.

აზიური წარმოება სასტიკ დისციპლინასა და ცენტრალიზმს ითხოვდა. საკმარისი იყო რომელიმე ადგილას არხი ჩანგრეულიყო, რომ მთელი წარმოება შეფერხებულიყო. და აი აღმოსავლეთში დესპოტიური მართვა-გამგეობა დამკვიდრდა. ხალხი სავსებით უმწეო იყო მტარვალთა წინაშე: მეფეს შეეძლო ქვეშევრდომთათვის ყოველივე მიზეზთა გარეშე ქონება და სიცოცხლეც წაერთ-

[1] იქვე. 225 გვ.

მია. მეფის ყოველივე სურვილი და სიტყვა ხალხისთვის სავალდებულო შეიქნა.

საბერძნეთსა და რომში წარმოება მონათა საქმე იყო. ამით პატრონები ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლდენ და მათ საშვალება მიეცათ მთელი თავისი ძალ-ღონე საზოგადო საქმეებისთვის შეეწირათ. ამას ხელს უწყობდა სახელმწიფოს ეკონომიური გაძლიერება: საბერძნეთმა და კიდევ უფრო რომის რეს-პუბლიკამ მრავალი ქვეყანა დაიპყრო და ნადავლით სწრაფათ გამდიდრდა. ამ ნადავლით მრავალ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათ აკმაკოფილებდენ, ხოლო რაც გადარჩებოდა, ამას სრულუფლებიანი მოქალაქენი ურთიერთ-შორის იყოფდენ.[1] ამიტომ ღარიბი მოქალაქენი თავიდანვე ცდილობდენ სახელმწიფო ძალა-უფლების დაპატრონებას და ამის მეოხებით უზრუნველყოფილ მდგომარეობის მიღწევას. მათ გაიმარჯვეს: საბერძნეთსა და რომში დემოკრატიული წყობილება დამკვიდრდა — მთელ სახელმწიფო ძალა-უფლებას მთელი ხალხი, დემოკრატია დაეპატრონა.

ფეოდალური წყობილების საფუძველს მიწათ-მფლობელობა შეადგენდა. აქ გაბატონებული იყო ნატურალური წარმოება. ყველა ფეოდალი ეკონომიურათ დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა: ყველაფერი, რაც მას ესურვებოდა, მის სამფლობელოშივე მზადდებოდა, ამით ფართო აღებ-მიცემობას ნიადაგი გამოეცალა: აქ მხოლოთ ზედმეტ ნაწარმს ყიდდენ. ამნაირათ გაწყდა ის ძაფი, რომელიც ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეს ერთი მეორეს უკავშირებს და აერთებს. ეკონომიურმა კარჩაკეტილობამ პოლიტიკური კარჩაკეტილობა, ანუ პარტიკულიარიზმი გამოიწვია. ყველა ფეოდალი თავისი სამფლობელოს პოლიტიკური ბატონიც შეიქნა. აი სად მარხია ბატონ-ყმური საქართველოს დაქუცმაცების სათავე: მე-13-ე საუკუნიდან დაწყებული საქართველო დამოუკიდებელ სამთავრო-სამეფოებათ დაიყო. ამით საქართველოს პოლიტიკური ძალა შესუსტდა და დამოუკიდებლობაც დაჰკარგა.

როგორც საქართველოს ისე პოლონეთის პოლიტიკურათ დაცემის უმთავრესი მიზეზი ბატონ-ყმობა იყო.

---

[1] ედუარდ მაიერი. Handwoerterbuch der Staatssenwich aften. მესამე ტომი. 939 გვ. იხ. სტატია: Geschichte der Finanzen.

ბურჟუაზიული წყობილება აშენებულია საქონლის წარმოებაზე: აქ გასაყიდათ, ბაზრისთვის აწარმოებენ. რაც ფართოა ბაზარი, მით უფრო მეტია წარმოება და, რა თქმა უნდა, კაპიტალისტის მოგებაც. ამიტომაც არის ბურჟუაზია ბაზრის ძებნაში მთელ მსოფლიოს აწუხებს – სოფელს ქალაქთან აერთებს, ერთ პროვინციას მეორეს უკავშირებს და ასე გაერთიანებულ სახელმწიფოს ქმნის. „ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებული თითქმის მხოლოთ მოკავშირე პროვინციები სხვა და სხვა ინტერესებით, მართვა-გამგეობით და ბაჟებით მან (ბურჟუაზიამ) შეაკავშირა ერთ ნაციათ საერთო მთავრობით, საერთო კანონით, კლასთა საერთო ნაციონალური ინტერესით და საერთო საბაჟო საზღვრებით“.[1]

რას წარმოადგენს ბურჟუაზიული სახელმწიფო? ბურჟუაზია ბატონობს არა პრივილეგიების მეოხებით, არა ადამიანთა უფლებრივი დამორჩილებით, როგორც ეს იყო ფეოდალურ წყობილებაში. მონა და ყმა გაჯოხვის შიშით შრომობდენ და ამიტომ მათი შრომის ნაყოფი მეტათ მცირე იყო. ბურჟუაზია კი, რაც შეიძლება ინტენსიურ შრომას მოითხოვს, რომ ამ გზით მეტი საქონელი დაამზადოს და ბაზარს დაეპატრონოს. ეს თავისუფალი მუშის საქმეა. ბურჟუაზიული წარმოება უფლებრივ თავისუფლება-თანასწორობას ამყარებს.

აბსოლიუტური მონარქია ერთი კაცისა და მის გარშემო მყოფი მცირე ჯგუფის ბატონობაა. ბურჟუაზია ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდება. ეს იქნებოდა ბურჟუაზიული წარმოების განვითარების ალალ-ბედზე მიგდება. ბურჟუაზია კი თავის საქმეს თვითონ პატრონობს, სახელმწიფო ხაზინის ყოველივე კაპეიკს თვითვე უწევს კონტროლს, და ყოველივე საკანონმდებლო ზომას თავისი ჯიბის გასასქელებლათ იყენებს. ეს შეიძლება არა ერთი და ორი პირის გაბატონებით, არამედ სახელმწიფო ძალა-უფლების მთელი ხალხის, ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიის ხელში გადასვლით. ამიტომაც იყო ბურჟუაზიამ ხალხის დახმარებით აბსოლიუტიზმი დაამხო და კონსტიტუციონური სახელმწიფო დაამკვიდრა. უკანასკნელი ბურჟუაზიის ბატონობის პოლიტიკური ფორმაა.

---

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. კომუნისტური მანიფესტი.

კლასიურ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლა წარმოებს. „ყოველივე კლასიური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა“.[1] მართლაც, ყოველთვის, ეკონომიური შეტაკების დროს, სახელმწიფო გაბატონებულ კლასს ექომაგება. ამიტომ გაყვლეფილი კლასი იძულებულია გაბატონებულ კლასს და მისს დამცველ სახელმწიფოს ბრძოლა აუტეხოს და განთავისუფლება ეცადოს. ამ გზით ყველა სახელმწიფოში პოლიტიკური ბრძოლა ჩაღდება. რომში პლებეები პატრიციებს ებრძოდენ და პოლიტიკურათ გათანასწორებას მოითხოვდენ და კიდევაც გაიმარჯვეს. ძმები გრაკხები სახელმწიფოსაგან მოითხოვდენ საზოგადო ადგილ-მამულის ხალხის ხელში გადაცემას, მარა დამარცხდენ და გაბატონებულმა საზოგადოებამ ისინი სიკვდილით დასაჯა. ბურჟუაზია ჯერ ფეოდალებს და მერე აბსოლიუტურ მონარქიას შეებრძოლა, დაამხო ის და თავისი ბატონობა დაამკვიდრა. დღეს მას მუშები აუმხედრდენ და ბრძოლა წარმოებს. კაპიტალიზმის დამხობას გამოიწვევს პროლეტარიატის დიქტატურა ანუ მუშათა პოლიტიკური გაბატონება.

ბრძოლაში მუდამ ძლიერი იმარჯვებს. პოლიტიკური ძალა კი შედეგია ეკონომიური ძალისა. როცა შესუსტდება გაბატონებული კლასის ძალა-გავლენა წარმოებაში, ამას ადრე თუ გვიან მისი პოლიტიკური დაცემაც მოყვება. პირიქით, როცა ახალი კლასი ეკონომიურ სარბიელზე მოღონიერდება, ამას ადრე თუ გვიან მისი პოლიტიკური გაბატონებაც თან მოსდევს. ბურჟუაზიის შესახებ ეს პროცესი კომუნისტურმა მანიფესტმა შემდეგ ნაირათ დაასურათა: „ბურჟუაზიამ, რომელიც დამორჩილებული წოდება იყო ფეოდალთა უღელს ქვეშ, შეიარაღებული და თვითმმართველი კავშირი კომუნაში, აქ დამოუკიდებელი ქალაქური რესპუბლიკა, იქ მესამე მეხარკე წოდება მონარქიულ სახელმწიფოში, — რომელიც შემდეგ მანუფაქტურულ ხანაში თავად-აზნაურთა მოწინააღმდეგე როლს თამაშობდა წოდებრივ ანუ აბსოლიუტურ მონარქიაში, საზოგადოთ უმთავრესი საფუძველი იყო დიდი მონარქებიების, — ბურჟუაზიამ დასასრულ მსხვილ წარმოებისა და მსოფლიო ბაზრის შექმნით მოიპოვა სრული პოლიტიკური ბატონობა კონსტიტუციონურ სახელმწიფოში“.[2]

---

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. კომუნისტური მანიფესტი.

[2] იქვე.

როცა ახალი კლასი საკმაოთ მოღონიერდება, ის ახდენს რევოლიუციას, ხელთ იგდებს სახელმწიფო ძალა-უფლებას და თავისი ინტერესისამებრ ახალ წყობილებას აფუძნებს. ეს ახალი კლასის დიქტატურაა.

საზოგადოების განვლილი ისტორია კლასთა ბრძოლისა და პოლიტიკური ბატონობის ისტორიაა. ხალხის სამუდამო განთავისუფლება მომავლის საქმეა.

თავი VI

იდეოლოგია

იდეოლოგია გამოხატავს ადამიანთა ფსიხიურ, ანუ სულიერ ცხოვრებას.

დღეს, სავსებით თუ არა რამოდენიმეთ მაინც, მრავალი გამოჩენილი მეცნიერი იზიარებს შეხედულებას, რომ სოციალური წყობილება და უფლება-პოლიტიკა დაკავშირებულია წარმოებასთან. სულ სხვაა იდეოლოგია, ირწმუნებიან ისინი. აზრთა აღმაფრენა არავითარ კანონს არ ემორჩილება. აზრის განვითარება თვით აზრის საქმეა. ერთი აზრი მეორეს წარმოშობს, მეორე მესამეს და სხვა. მათი დასაბამი ისევ აზროვნებაში უნდა ვეძიოთ. აზრი უნივერსალურია, აბსოლიუტურია და მას ყველაფერი ემორჩილება. განა შეუძლია ნივთიერ მდგომარეობას ადამიანთა სხვა და სხვანაირი შეხედულება გამოიწვიოს და მისი დასაბამი შექნეს? — რიხით კითხულობენ ისინი.

მერე მართალია ეს?

იდეოლოგიის განვითარება უპირველესათ დროსა და საშუალებას მოითხოვს. სანამ ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს ლუკმა-პურის შოვნას ანდომებს, მას არ შეუძლია სულიერ საზრდოზე, ანუ იდეოლოგიაზე იფიქროს. „საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს კეთილდღეობის განსაზღვრულ საფეხურს, რომ მან შესძლოს თვისი წრიდან გამოყოს ადამიანთა განსაზღვრული ნაწილი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მოანდომებს მეცნიერულსა და მის მზგავს საქმიანობას“.[1]

---

[1] იხ. Н Бедьтовь (გ. ვ. პლეხანოვი). „Кь вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію“ 4-е изд. 153 გვ. ამავე აზრს იმეორებს სხვა სიტყვებით ფრ. რატცელი: „ცხოვრება უზრუნველყოფილი უნდა იყოს, არსებობა განმტკიცებული, სანამ მაზე აღიმართება კულტურული შენობა... სადაც მრავალი ადამიანი ცხოვრობს და ბევრი ნაწარმოები მზადდება, სადაც მათ შორის მკვირცხლი გაცვლა-გამოცვლა წარმოებს და ისინი მშვიდობიანობას იცავენ, მათ შეუძლიათ თავისუფლათ განავითარონ გამოკვლევისა და შემოქმედების ლტოლვილება, რომელიც ჩაქსოვილია ადამიანის სულსა და გულში“ Fr. Ratzel. Die Erde u. das Leben. მეორე ტომი 1902 წ. 653 გვ.

ეს შესაძლებელი გახდა უმთავრესათ მეჯოგეობისა და კიდევ უფრო მიწათ-მოქმედების დამკვიდრებით. უკანასკნელი უფრო მეტ ნაყოფს იძლევა, ვინემ ეს საკმარისია მუშაკის გამოსაკვებათ. ამით მონობის ნიადაგი მომზადდა. „შავ“, ანუ ფიზიკურ შრომას მონები მისდევენ და თავისი შრომით პატრონთ არჩენენ. ამიერიდან გაბატონებულ კლასს დრო და საშუალება მიეცა ადამიანთა საზოგადოებისა და გარეშე ბუნების გამოსაკვლევათ და ამ გზით სულიერი ანუ იდეური ცხოვრების გასავითარებლათ.

ამით იდეოლოგიის ნიადაგი მზათაა, მისი სათავე ყველგან წარმოებასა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. აი რას მოგვითხრობს, მაგალითათ, ოსკარ პეშელი: „ბუშმენები, როცა მგზავრობის დროს სტოვებენ თავიანთ გამოქვაბულს, თავის თავს სილით იფარავენ, უკეთუ ღამეს ათევენ ან ხის ტოტებისა ფიჩხისაგან საყუდარს წნავენ“.[1] ეს ხუროთ-მოძღვრების დასაწყისია.

იდეოლოგიის განვითარება სავსებით დამოკიდებულია წარმოებაზე. ამიტომაც ამბობს კომუნისტური მანიფესტი: „რას ამტკიცებს იდეათა ისტორია თუ არა იმას, რომ სულიერი წარმოება ნივთიერ წარმოებასთან ერთად იცვლება“?

ცნობილია პირველ-ყოფილ კომუნისტურ წყობილებაში დატყვევებულ მტერთ ჭამდენ: ადამიანის ხორცი საუკეთესო სადილს შეადგენდა იმ ხანათ. ახლაც მოიპოვება აქა-იქ კაცის- ჭამია ველურები. მათი შეხედულება ამას სავსებით ამართლებდა. შემდეგ საბერძნეთსა და რომში კაცის-ჭამიობა დაჰგმეს და ის სასტიკათ აკრძალეს. ხალხის შეხედულება, მისი იდეოლოგია ძირიანათ გამოიცვალა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ძველ თემში შრომის ნაყოფიერობა ძალიან მცირე იყო: ნადირობა და თევზაობა სრულიად შემთხვევითია. ასეთ პირობებში მტერი მხოლოთ ერთში გამოგადგებოდა: მისი შეჭმით კუჭს გაიძღებდი. ამიტომაც გავრცელდა კაცის-ჭამიობა და მას მთელი საზოგადოება სამართლიანათ ცნობდა: გაჭირვების დროს მოხუცებსა და ბავშვებს, ხშირათ ქალებსაც ჭამდენ.

---

[1] Oscar Peschel. Volkerkunde, მეექვსე გამოცემა, 182 გვ.

მიწის დამუშავების შემოღებით მონურ საზოგადოებაში შრომის ნაყოფიერებამ იმატა: მუშაკს საშუალება მიეცა იმაზე მეტი დაამზადოს ვინემ ეს საკმარისია მის გამოსაკვებათ. აქ უფრო ხელსაყრელი შეიქნა ომში დატყვევებულთა დამონება და მათი მუშაობაში ჩაბმა. ამიტომ ატროპოფაგია ანუ კაცის-ჭამიაობა დაჰგმეს და მას ებრძოდენ.

ამიერიდან წარმოების ქვა-კუთხედი მონაა: ყველაფერს ის აკეთებს, მარა თან ყოველივე უფლებას მოკლებულია. გაბატონებული, ანუ პატრონთა კლასი ფიზიკური შრომისაგან სავსებით განთავისუფლდა: მის მოვალეობას შეადგენდა მხოლოთ მონათა თვალყურის გდება. როგორიც არის მდგომარეობა, ისეთივეა შეგნებაც. ამიტომაც იყო გაბატონებულმა საზოგადოებამ ფიზიკური შრომა მონურ, ანუ საძრახის საქმეთ გამოაცხადა და ამასვე იმეორებდა მთელი გაბატონებული საზოგადოება. „ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები მუდამ გაბატონებულ კლასთა იდეებია“.[1]

ეს გაბატონებული იდეოლოგია იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან გამოჩენილილ ფილოსოფოსებიც დაიმორჩილა. პლატონმა და არისტოტელმა მონობა თვით იდეალურ სახელმწიფოთა საფუძვლათ გამოაცხადეს. და ეს იმიტომ, რომ წარმოება იმხანათ უმონოთ შეუძლებელი იყო.

კლასიურ საზოგადოებაში ყოველი კლასის ეკონომიური მდგომარეობა სხვანაირია. ამიტომ მისი იდეოლოგიაც ნსხვავდება. ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგია იყო ფეოდალურ-სარწმუნოებრივი: ის არსებულ წყობილებას ღვთის სახელით ნათლავდა. მის წინააღმდეგ ბურჟუაზიამ ე.წ. „განმათავისუფლებელი“ იდეები წამოაყენა.

ამ ხანათ მუშები ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ებრძვიან და სოციალიზმს აღიარებენ. მდგომარეობა შეგნებას განსაზღვრავს. მარა შემცდარი იქნება ვიფიქროთ, თითქოს ყოველი კლასი შეგნებულათ ექომაგება თავის ვიწრო კლასიურ ინტერესს. პირიქით, ხშირათ მოხდება, რომ კლასი ან კერძო პირი დარწმუნებულია, რომ ის მთელი ქვეყნის ანუ სახალხო საქმეს ემსახურება, დანამდვილებით

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური მანიფესტი“.

კი ის თავის ვიწრო კლასიურ საქმეს აკეთებს. აი რას ამბობს „მე-18-ე ბრიუმერში“ კარლ მარქსი წვრილი ბურჟუაზიის შესახებ, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა 1848 წ. რევოლუციაში საფრანგეთში: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს წვრილი ბურჟუაზია შეგნებულათ ცდილობდა თავის კლასიურ ინტერესის დაცვას. პირიქით, მას ჰგონია, რომ მისი განთავისუფლების კერძო პირობები წარმოადგენენ საერთო პირობებს, რომელთა მეოხებით შესაძლებელია მთელი თანამედროვე საზოგადოების ხსნა და კლასთა ბრძოლის მოსპობა. აგრეთვე, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს წვრილი ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენელნი მედუქნეებია ან მედუქნეთა თაყვანის მცემელნი. თავისი განათლებით ან პირადული მდგომარეობით ისინი შეიძლება ისე დაშორებული იყვნენ მედუქნეებზე, როგორც ცა დედამიწაზე, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებათ მათ ხდის ის მდგომარეობა, რომ მათი აზრი ვერ გამოდის წვრილ ბურჟუაზიული ცხოვრების ფარგლის გარეთ და ამიტომაც ისინი თეორიაში მიდიან ისეთ ამოცანებსა და დასკვნებამდის, სანამდის წვრილი ბურჟუა მიდის პრაქტიკაში თანახმათ თავისი მატერიალური პირობებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ასეთია საზოგადოთ დამოკიდებულება რომელიმე კლასის პოლიტიკურ და ლიტერატურულ წარმომადგენელთა, ერთი მხრივ, და თვით ამ კლასს შორის, მეორე მხრივ“.

განსაკუთრებულ შემთხვევებში თითო ოროლა პირი უარყოფს თავისი კლასის იდეოლოგიას და ითვისებს მოწინააღმდეგე კლასის აზროვნებას. მაგალითათ, ბურჟუა მუშათა რაზმში გადადის, მუშა ბურჟუაზიულ პარტიას ეკედლება. ეს შედეგია, ერთი მხრივ, თეორეტიული მუშაობისა: ამ გზით მარქს-ენგელსი და შემდეგ პლეხანოვი, ლაბრიოლა, კაუცკი და ბევრი სხვა ცნობილი მეცნიერი სოციალისტურ დასკვნამდის მივიდენ და მუშათა მისწრაფებანი მეცნიერულათ დაასაბუთეს. ზოგჯერ ეს გამოწვეულია დაბალ კლასებისადმი თანაგრძნობით: ამ გზით ფაბრიკანტმა რობერტ ოუენმა უარჰყო თავისი ბურჟუაზიული წრე და მთელი თავისი ქონება და ენერგია მუშათა კლასის კეთილდღეობას შესწირა. ხშირათ ასეთი მოვლენა შედეგია აღზრდა-განვითარებისა, მოწინააღმდეგე კლასთა წარმომადგენლებთან ნაცნო-

ბ-მეგობრობისა: ამ გზით სოფელში დარჩენილი გლეხი ითვისებს თავისი ძმის – ქალაქელი მუშის იდეას და სხვ.

ასეთი მოვლენა, – თავისი კლასის იდეოლოგიის უარყოფა და მოწინააღმდეგე კლასის ბანაკში გადასვლა უფრო ხშირია რევოლიუციის ხანაში. აი რას ამბობს კომუნისტური მანიფესტი: „იმ დროს, როცა კლასიური ბრძოლა უახლოვდება თავის გადამწყვეტ ხანას, გაბატონებული კლასის შუაგულში დარღვევის პროცესი იმდენათ სწრაფ და ნათელ ხასიათს ღებულობს, რომ მას შორდება გაბატონებული კლასის მცირე ნაწილი და უერთდება რევოლიუციონურ კლასს, რომელიც მატარებელია მომავლისა. როგორც წინეთ ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა თავად აზნაურობის ნაწილი, აგრეთვე ამ ჟამათ პროლეტარიატის მხარეზე გადადის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, სახელდობრ, ერთი ნაწილი ბურჟუა-იდეოლოგთა, რომელთაც თეორეტიულათ შეიგნეს მთელი ისტორიული განვითარება“. ეს განსაკუთრებით აშკარაა დიდი რევოლიუციის ხანაში. ამჟამათ რეაქციონერებიც კი რევოლიუციონურ სამოსელში იკაზმებიან.

მარა ეს გამონაკლისია. საერთოთ კი იდეოლოგიურათ დანაწილება სხვა და სხვა ბანაკათ და პარტიებათ ხდება იმისდა მიხედვით, თუ რანაირია საზოგადოების დანაწილება ეკონომიურ სარბიელზე, ეკონომია იდეოლოგიის საფუძველია.[1] როგორიც არის საერთოდ, იდეოლოგია, ისეთივეა მისი სხვა და სხვა დარგი. ამას ახლავე დავინახავთ.

1. მეცნიერება

წარმოება და მასზე აგებული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება – აი რა იწვევს მეცნიერების წარმოშობა-განვითარებას.

აბა, რა კავშირი უნდა ჰქონდეს, მაგ., ალგებრისა და გეომეტრიის ფორმულებს წარმოებასთანო – იფიქრებს ზოგი მკითხველი. ასეთი შეხედულება მართალია მხოლოთ ერთი შეხედვით, ნამდვილათ კი მათემატიკა მჭიდროთ დაკავშირებულია წარმოებასთან. აი რას ამბობს ფრ. ენგელსი:

[1] ხაზგასმა ავტორისეულია. რედ.

„წარმოდგენა როგორც რიცხვზე, ისე ფიგურაზე აღებულია გარეშე ქვეყნიდან და არა ადამიანის თავში წმინდა აზროვნებით შექმნილი... როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ისე მათემატიკაც წარმოიშვა ადამიანთა საჭიროებისაგან: მიწისა და ჭურჭელთა სივრცის დაზომვისაგან, დროთა აღრიცხვისა და მექანიკისაგან“.[1]

პირველყოფილმა ადამიანებმა შვილდ-ისარი გამოიგონა და ცხოველებზე ნადირობას შეუდგა. აქ საჭირო იყო გაყოფა და, მაშასადამე, ნანადირევის დათვლაც. მან ცხოველები მოაშინაურა და მეჯოგეობას მისდევდა, მიწას ამუშავებდა და აღებ-მიცემობას ანვითარებდა და სხვ. აქ ფეხის ყოველივე გადადგმაზე მას გამოანგარიშება სჭირდებოდა. რომ განესაზღვრათ ქონების გაზრდა, ადამიანები იძულებულნი იყვნენ გამოეგონებიათ შეერთება – ეს არითმეტიკისა და ალგებრის სათავე... რომ განესაზღვრათ ქონების შემცირება, მათთვის აუცილებელი იყო გამოკლების გამოგონება... როცა გაცვლა-გამოცვლის საგნები გამრავლდა, საჭირო შეიქნა გამოანგარიშება ერთ-გვარ საგანთა, რომელთაც მეორე ნაირ საგნებზე ცვლიდენ; მაშასადამე, უნდა გამოეგონებიათ გამრავლება, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ გრძელ , გამარტივებულ შეერთებას. მცირე აზიის ზღვის განაპირა ქალაქების მსხვილი ვაჭრები უფრო ადრე მისდევდენ გამრავლებას, ვინემ პითაგორმა შეიმუშავა გამრავლების „ტაბლიცა“, რომელსაც მისი სახელი დაერქვა და რომელიც ნამდვილათ კი შეიძლება ამ ვაჭართა გამოგონება იყოს. რომ რომელიმე ექსპედიციის დროს გაენაწილებიათ წარმოების მოგება მონაწილეთა რიცხვისა და მთი თანხის მიხედვით, მათ მოიგონეს გაყოფა, რომელიც შეადგენს გამრავლება-გამოკლების რთულ რიგს. მხოლოთ მრავალი საუკუნოების შემდეგ, რაც ეკონომიურმა მოთხოვნილებამ აიძულა ადამიანები გამოეგონათ ანგარიშის ოთხი მოქმედება, მათემატიკამ მას მისცა თეორეტიული საფუძველი.[2]

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იცოდენ, რომ გეომეტრია ანუ მეცნიერება მიწის გაზომვის შესახებ ცნობილი იყო ეგვიპტეში. აქ მთელი წარმოება მჭიდროთ იყო (და დღესაც არის) დაკავშირებუ-

---

[1] Фр. Энгелсь. «Анти-Дюрингь» 31-2 გვ.

[2] პოლ. ლაფარგი. Экономика, естествознание и математика.

ლი მდ. ნილოსის ნაპირებიდან გადმოხეთქასთან. ხვნა-თესვის ვადის აღნუსხვა მღვდლების საქმეა. ხალხს მათი ხელმძღვანელობით არხები გაჰყავდათ, ნილოსის ადიდების დროს წყალს აგუბებდა და ამ გზით გვალვის დროს მინდვრებს რწყავდა. როგორ უნდა გაეგოთ, თუ რამდენი არხი იყო საჭირო?

ამ მიზნით მინდვრებს ზომავდენ, რომ არხები ერთი მეორისაგან განსაზღვრულ მანძილზე გაეთხარათ, შემდეგ ეს პრაქტიკული გამოცდილება მღვდლებმა თეორიტიულათ დაასაბუთეს. ასე წარმოიშვა გეომეტრია.

როგორიცაა მდინარე ნილოსი ეგვიპტის წარმოებაში, ისეთივეა ტიგრი და ევფრატი ასურეთ-ბაბილონისათვის. აქ ეგვიპტელებზე უფრო ადრე შენიშნეს, რომ წყალ-დიდობა დაკავშირებულია მთვარისა და ვარსკვლავთა მოძრაობასთან. ასე წარმოიშვა ვარსკვლათ-მრიცხველობა ანუ ასტრონომია.

მათემატიკის განვითარება თან მისდევს წარმოებისა და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. „პირვანდელი მიწად მომქმედნი — ამბობს პოლ. ლაფარგი — პტყელ ადგილათ აღიარებდენ გასაყოფი მიწის ზედაპირს“. ამაზე აშენდა ევკლიდის გეომეტრია. მიწის ზედა-პირი პტყელია, აცხადებს ევკლიდი, და აქედან დასკვნებს აკეთებს: ორი პირდაპირი ხაზი, რომელიც დაშორებულია ერთი მეორისაგან თანასწორ მანძილზე და მაშასადამე პარალელურია, ვერას დროს ვერ შეხვდება ერთი მეორეს, რამდენიც უნდა აგრძელოთ ისინი ამ ზედა-პირზე. 1828 წელს პირველათ რუსეთის გამოჩენილმა მათემატიკოსმა ლობაჩევსკიმ, შემდეგ რიმანმა და სხვებმა აღმოაჩინეს, რომ ევკლიდის შეხედულება შემცდარია: დედამიწის ზედაპირი პტყელი კი არა, მოღუნულია. ამით შესაძლებელი გახდა ზედა-პირის სრული სისწორით გაზომვა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში.

საიდან წარმოიშვა ასეთი შეხედულება მანძილის მოღუნვის შესახებ? როცა ვაჭრებმა, რომელიც ხმელთა-შუა ზღვის გარშემო ცხოვრობდენ, შენიშნეს, რომ დედამიწის ერთ ნაწილს მზე უფრო ადრე ანათებს, ვინემ დანარჩენს, მათ გადასწყვიტეს, რომ დედამიწა გულში ჩაზნექილი, ნახევრათ მრგვალი საგანია ანუ ნახევარი ბურთია, რომლის კიდეებს მზის სინათლე უფრო ადრე

სწვდება, ვინემ ფსკერს. ასტრონომიულმა დაკვირვებამ, რომელიც მოახდინეს ქრისტეს დაბადების წინ მე-5-ე საუკუნეში, აიძულა ბერძნები დედამიწა სრულ ბურთათ წარმოედგინათ. ამისდა მიუხედავათ ასეთმა წარმოდგენამ დედამიწაზე ჯერ კიდევ ვერ გამოიღო პრაქტიკული და თეორეტიული ნაყოფი. მხოლოთ მე-15 საუკუნეში მოგვცა მან პრაქტიკული შედეგი, როცა კოლუმბმა, პტოლომეის შემცდარი გამოანგარიშებით მოტყუებულმა, ინდოეთის საზღვაო გზის მაგიერ ამერიკა აღმოაჩინა... იმ დაკვირვებათა მეოხებით, რომელნიც მოახდინეს მეზღვაურებმა, ვაჭრებმა, მგზავრებმა და მეცნიერებმა, გეომეტრებმა დაასკვნეს, რომ დედამიწა წარმოადგენს ბურთს, რომელიც პოლიუსებთან ჩაჭყლეტილია და ეკვატორზე გამოზნექილი, და რომ ის გარემოცულია შესაფერი ატმოსფერითა. ამიტომაც ამ ზედაპირზე აშენებული ყოველივე გეომეტრიული ზედაპირი აუცილებლათ მოღუნული უნდა იყოს, აგრეთვე ყოველივე ხაზი, რომელიც გაჰყავთ ამ ზედაპირზე“.[1]

როგორიც არის მათემატიკა, ისეთივეა გეოგრაფიაც. მისი წარმოშობა განვითარება შედეგია აღებ-მიცემობის განვითარების.

„უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენანი უმთავრესათ შეუდრეკელი მოგზაურების და მეზღვაურების, მღვდლების, სალდათებისა და ვაჭრების საქმეა. მეცნიერული აღმოჩენანი მხოლოდ თანდათან იკვლევდენ იმ ფართო სამფლობელოს, რომელიც გავლის დროს დაიპყრეს თავისი სახელმწიფოსთვის, თავისი კულტურისა, კაცობრიობისა და დასასრულ, აგრეთვე მეცნიერებისათვისაც რომელიმე ალექსანდრემ[2] ან ცეზარმა, ვასკო დე-გამამ ან კოლუმბმა“.[3] მეზღვაურები და ვაჭრები ახალ ქვეყნებს სავაჭრო მიზნით ეძებენ; მეფე- წინამძღოლთა და სალდათთა მიზანია მათი დაპყრობა და ნადავლით გამდიდრება, ან ვაჭრობა-მრეწველობისათვის ბაზრის შეძენა. თვით მღვდლები — ე. წ. მისიონერები — თავისი ქადაგებით ვაჭრობას გზას უხსნიან და მის განვითარებას ეხმარებიან.

---

[1] პოლ ლაფარგი. Экономика, естествознание и математика.

[2] მაკედონელმა, ნ.რ.

[3] ფრ. რატცელი, Erde u. das Leben, I ტომი, 3 გვ.

ძველათ მსოფლიო ვაჭრობა უმთავრესათ ფინიკიელთა ხელში იყო. და აი, მათ ეგვიპტის ფარაონის ნეხაოს ბრძანებით აფრიკას შემოუარეს და ამით ვაჭრობისა და გეოგრაფიული მეცნიერების ნიადაგზე მაშინდელი დროისთვის უდიდესი ნაბიჯი გადადგეს.

გეოგრაფიის სწრაფი განვითარება უმთავრესათ ბურჟუაზიის წარმოების დამკვიდრებამ გამოიწვია. „თავის ნაწარმთათვის მუდამ გაფართოებული ბაზრის საჭიროება ბურჟუაზიას დედამიწის ყოველ კუთხეში მიერეკება“.[1] ვაჭარს თან მისდევს მეცნიერი, სალდათს – მღვდელი და ყველა ერთად ეხმარება ბურჟუაზიის გაძლიერებას და ამასთან გეოგრაფიული ცოდნის გაფართოებას. ამერიკისა და ინდოეთის გზის, ავსტრალიისა და უთვალავ კუნძულთა აღმოჩენა და შესწავლა სავსებით ბურჟუაზიის საქმეა.

ბურჟუაზიული წარმოება მოითხოვს სხვა და სხვა ნედლ მასალათა დამუშავებას. ამ მიზნით ბურჟუაზიამ მთელი მსოფლიო, თვით დედამიწის გულიც გადმოაბრუნა და იქ სხვა და სხვა მადნებს დაეძებს; და აი, რკინის გზისათვის არხების გათხრისა და მადნების დამუშავების დროს აღმოაჩინეს დედამიწის სხვადასხვა ნაფენი ანუ პლასტები და შიგ ისეთი მცენარენი და ცხოველები, რომელნიც მხოლოთ წინეთ არსებობდენ, დროთა ბრუნვაში კი დედამიწის ზურგიდან გაჰქრენ. ამით ნიადაგი მიეცა ახალ მეცნიერებას – გეოლოგიას. გეოლოგიური გამოკვლევებით კი ნათლათ დამტკიცდა, რომ წინეთ ცხოვრება სხვა იყო, ვინემ დღეს, რომ მცენარეთა და ცხოველთა არსებული სამეფო შედეგია ხანგრძლივი განვითარების. ამით თავის მხრივ ნიადაგი გამოეცალა ძველ შეხედულებას – სამყარო რამოდენიმე დღის განმავლობაში შექმნესო და მომზადდა საფუძველი ევოლიუციონური თეორიის დასასაბუთებლათ.[2]

ჩვენ დავინახეთ, რომ ბუნების-მეტყველების წარმოშობა-განვითარება დამოკიდებულია წარმოებისა და სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაზე.

ავიღოთ ტეხნოლოგია. აი რას ამბობს თავის ერთ წერილში ფრ. ენგელსი:

---

[1] კომუნისტური მანიფესტი.

[2] პოლ ლაფარგის ხსენებული წიგნი.

„თუ ტეხნიკა ბევრში დამოკიდებულია მეცნიერების მდგომარეობაზე, კიდევ უფრო ეს უკანასკნელია დამოკიდებული ტეხნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებაზე. თუ საზოგადოებას აქვს რომელიმე ტეხნიკური მოთხოვნილება, ეს უფრო ეხმარება მეცნიერების განვითარებას, ვინემ ათი უნივერსიტეტი. მთელი ჰიდროსტატიკა (ტორიჩელი და სხვ.) გამოიწვია მე-16-ე და მე-17-ე საუკუნოებში მთის მდინარეთა მოწესრიგების მოთხოვნილებამ იტალიაში. ელექტრონის ძალაზე რაიმე გარკვეული აზრი ჩვენ ვიცით მხოლოთ მას შემდეგ, რაც მოახერხეს მისი ტეხნიკური ხმარება. საუბედუროთ, გერმანიაში შეეჩვიენ მეცნიერების ისტორიის ისე წერას, თითქოს ის ციდან ჩამოვარდნილიყოს“.

ავიღოთ ინგლისი – ეს კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანა. მე-16-ე საუკუნეში აქ ფართოთ გავრცელდა მატყლის წარმოება. ახალი ქვეყნები ფართო ბაზარს წარმოადგენდენ ახლათ ფეხადგმულ კაპიტალისტურ წარმოებისათვის, მაგრამ თავდაპირველათ მატყლს ხელით რთავდენ და ამუშავებდენ. მალე აღმოჩნდა, რომ ამ გზით შეუძლებელია ბაზრის დაკმაყოფილება. ბაზარი ახალ საწარმოვო საშუალებას მოითხოვდა და ასეთიც გამოიგონეს: 1530 წელს იურგენსმა სართავი ბორბალი მოაწყო.

ამ გზით ინგლისი დღითი დღე ძლიერდებოდა. მან მალე ჰოლანდია დაჩრდილა და მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობას დაეპატრონა. ასეთ პირობებში იურგენსის სართავი ბორბალი საკმარისი არ იყო. ან წარმოების სწრაფი განვითარება და ამ მიზნით ახალი ტეხნიკურ საშუალებათ გამოგონება, ან ძველი ტეხნიკა და მით წარმოების ერთ წერტილზე გაყინვა – ასეთი იყო მდგომარეობა. წარმოება მექანიკური საშუალებით რთვას ითხოვდა: მხოლოთ ამ გზით შეიძლებოდა მსოფლიო ბაზრის დაკმაყოფილება. და აი, ჰარგრივსმა 1767 წელს – ე. წ. ჯენი გამოიგონა.

თავდაპირველათ ამ სართავ მანქანას ხელით ამოძრავებდენ. გაფართოებული ბაზარი კი უთვალავ საქონელს ითხოვდა. თან მალე აღმოჩნდა, რომ შორეულ ქვეყნებში ძველი იალქნიანი გემებით საქონლის გადაზიდვა ძნელი საქმეა. საჭირო იყო მისვლა-მოსვლის და ტრანსპორტის დაჩქარება-გადაადგილება. ამ ორთქლმა რევოლიუცია მოახდინა კაპიტალისტურ წარმოებაში.

ჯერ კიდევ 1712 წ. ნიუკომენმა გააკეთა პირველი ორთქლის მანქანა; 1769 წელს ჯემს უატმა გაუმჯობესებული ორთქლის მანქანა გამოიგონა. 1807 წ. ფულტონმა ორთქლით მოძრავი გემი ააგო; 1814 წ. სტეფენსონმა პირველი ლოკომოტივი მოაწყო და 1830 წ. გაიყვანა მანჩესტერსა და ლივერპულს შუა პირველი რკინის-გზა.

წარმოება წინ უსწრებს ტეხნოლოგიას. პირველი უკარნახებს, მეორე ასრულებს. პირველი მეთაურობს, მეორე მას მისდევს. ამიტომაც იყო, – ინგლისი, მეთაური კაპიტალისტური მრეწველობის ნიადაგზე, მეთაური აღმოჩნდა ტეხნოლოგიის განვითარების საქმეშიც. საბოლოოთ ყოველთვის ეკონომია ბატონობს.

როგორიც არის ბუნების-მეტყველება და ტეხნოლოგია, ისეთივეა საზოგადოებრივი მეცნიერებაც. ამ ხანათ მისი უმთავრესი დარგია პოლიტიკური ეკონომია. მისი მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დამკვიდრება კაპიტალიზმის საქმეა. საქონელი და მისი ღირებულება – აი, პოლიტიკური ეკონომიის ქვა-კუთხედი. აღებ-მიცემობამ ფართო ხასიათი საბერძნეთ-რომში მიიღო. მარა მონური საზოგადოების საფუძველი ნატურალური წარმოებაა.[1] ამით აიხსნება ფილოსოფოს არისტოტელის ეკონომიური შეხედულება. ის ხედავდა, რომ ნივთს ორნაირათ ხმარობენ: მას პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ იყენებენ, ან მას სხვა საგანზე ცვლიან. „ორივე თავის თავათ – ამბობდა არისტოტელე – მოხმარაა, მარა არა ერთნაირი წესით; ერთი თვით საგანს შეეფერება, მეორე კი არა. მაგალითათ, შეიძლება წყვილი წაღების ჩაცმა ან გაცვლა. ორივე შემთხვევაში წაღებს ხმარობენ, რადგან ისიც, ვინც წაღას ცვლის ფულზე ან საჭმელ ნივთზე, იმ პირზე რომელსაც ის სჭირია, მას ხმარობს როგორც წაღას, მარა არა იმ სახით, როგორც მას შეეფერება, რადგან წაღა არ არის გასაცვლელათ დამზადებული“.[2] ეს სავსებით გამოხატავდა მაშინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრს. მართლაც, გაცვლა-გამოცვლამ საბერძნეთი ბევრ ქვეყანას დაუახლოვა: სწორეთ ამის მეოხებით საზოგადოების ბედ-იღბალს ფულიანი ხალხი, ანუ პლუ-

[1] ეს აზრი აშკარად მცდარია. რედ.

[2] არისტოტელი. Politik, 1 წიგნი, მე-9-ე თავი 16 გვ. ნემეცური თარგმანი ი. ნ. კირმანის მიერ.

ტოკრატია დაეპატრონა. ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი – ეს ქვაკუთხედი დემოკრატიისა, უკანუკან დაექანა და გაღატაკდა. ამიტომ გაცვლა-გამოცვლა ხალხის დამღუპველათ გამოაცხადეს. არისტოტელიც ამავე ნიადაგზე დგას. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ის ვერ გამოიკვლევდა საქონლის ღირებულებასა და მის საზომს.[1]

მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა კაპიტალიზმის განვითარებით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონლის წარმოება ბატონობს. აქ მთელი საზოგადოება – კაპიტალისტი და ვაჭარი ერთი მხრივ, ყველა მყიდველი მეორე მხრივ, – დაინტერესებულია საქონლის ღირებულების გარკვევაში. ამას პოლიტიკური ეკონომია ასრულებს. მის განსავითარებლათ საუკეთესო ნიადაგი იყო ინგლისი – ეს კაპიტალიზმის კლასიური ქვეყანა და აი, მე-17 საუკუნის ნახევარში ეს როლი უილიამ პეტიმ იკისრა. მან პირველმა წამოაყენა დებულება შრომის განაწილების შესახებ. რით აიხსნება, რომ საქონელი ამდენი ღირს და არა მეტი, ან ნაკლები? რა განსაზღვრავს საქონლის ფასს? საქონლის ფასს განსაზღვრავს მის დასამზადებლათ საჭირო შრომის რაოდენობა, ამბობს ის. ამით პეტი წინ უსწრებს ადამ სმიტს. ის მამამთავარია პოლიტიკური ეკონომიის.

პეტის მოძღვრება საფუძვლათ დაედვა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვენ ადამ სმიტი და დავით რიკარდო.

ეკონომისტთა გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ახალი საზოგადოების ქვა-კუთხედია არა მიწათ-მფლობელობა, როგორც იყო საშუალო საუკუნოებში, არამედ ვაჭრობა-მრეწველობა. მანუფაქტურა – აი საზოგადოების სიმდიდრის უმთავრესი წყარო. ეს ბურჟუაზიამ თავის განთავისუფლების იარაღათ გამოიყენა.

საშუალო საუკუნოებში საერო და სასულიერო ფეოდალები თავიანთ ბატონობას საღვთო წერილით ასაბუთებდენ. ამის წინააღმდეგ ახალი კლასი – ბურჟუაზია ბუნების შესწავლას შეუდგა და ქვეყნის მსვლელობა ბუნებრივი კანონებით განმარტა. ასე, უმ-

[1] ცნობილია, რომ კარლ მარქსი აღნიშნულ გარემოებას სხვაგვარად ხსნიდა. რედ.

თავრესი ბრძოლა ფეოდალთა და ბურჟუაზიას შორის თავდა-პირველათ ბუნების მეტყველების გამო გაჩაღდა. ბურჟუაზია ეკონომიურათ მოღონიერდა და მისი ახალი საბუნების-მეტყველო შეხედულება მთელმა საზოგადოებამ მიიღო. მან საპატიო ადგილი დაიჭირა აბსოლიუტურ მონარქიაში. მარა მალე აღმოჩნდა, რომ აბსოლიუტიზმი მის განვითარებას აფერხებს. ამიერიდან ბურჟუაზია მიილტვის ძველი წყობილების ძირ-ბუდიანათ დამხობისაკენ. ბრძოლა საზოგადოებრივ საკითხთა გარშემო ტრიალებს. აქ უმთავრესი იარაღია კლასიკური პოლიტიკური ეკონომია: ის მეცნიერულათ ამტკიცებს ბურჟუაზიის გაბატონებას. ამასვე ემსახურება მთელი საზოგადოებრივი მეცნიერება და ფილოსოფია. ასე ძველ საზოგადოებას ყველა მხრიდან ებრძვიან. აბსოლიუტიზმი დაემხო და ბურჟუაზია გამეფდა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ამბობდა: ღირებულებას ქმნის არა მარტო მუშათა შრომა, არამედ კაპიტალისტების საქმიანობაც. ამაზე აშენდა მოძღვრება მუშათა და კაპიტალისტთა ინტერესების ერთობაზე, ანუ ჰარმონიაზე. კაპიტალიზმის განვითარებამ ნიადაგი გამოაცალა ამ ილიუზიას. კაპიტალისტი თან და თან ზედმეტი ხდება წარმოებაში. ინტერესთა თანხმობის მაგიერ კლასთა ბრძოლა გაჩაღდა. 1831 წ. ლიონის (საფრანგეთში) მუშები აჯანყდენ; მეორმოცე წლებში ინგლისში ჩარტისტთა მოძრაობა წარმოებს. საჭირო შეიქნა პოლიტიკური ეკონომიის ახალ ნიადაგზე დაფუძნება. ეს კარლ მარქსმა იკისრა. 1845-7 წ. წ. მან საქონლის ღირებულების ერთად-ერთ საზომათ მუშათა შრომა გამოაცხადა და მუშათა გაყვლეფის მიზეზათ – ზედმეტი ღირებულება, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს. ამიერიდან პოლიტიკური ეკონომია მუშათა განთავისუფლების იარაღი შეიქნა. კლასიკური ეკონომიის ადგილი მარქსისტულმა ეკონომიამ დაიჭირა.

ბურჟუაზია ამხედრდა. მეცნიერებას ის იმდენათ აფასებს, რამდენათაც უკანასკნელი მის ინტერესებს ემსახურება. მარქსისტული ეკონომია კი მის წინააღმდეგ მიმართულია და ქვეყნის „დანგრევას“ – მუშათა მისწრაფებას ხელს უწყობს. ბურჟუაზიის ინტერესია პოლიტიკური ეკონომიის სხვა ნიადაგზე დაყენება და ამ გზით ბურჟუაზიული სამყაროს ხსნა. ამას საუცხოვოთ ასრუ-

ლებს ე. წ. „ბოლონდელ ანუ უკანასკნელი სარგებლობის თეორია“.[1] ეს ჯერ ინგლისში ჯევონსმა განავითარა, შემდეგ მას ავსტრიელი კარლ მენგერი და შვეიცარიელი ვალრასი მოემხრენ. ამ ჟამათ კი ამ თეორიას ბევრი გამოჩენილი ეკონომისტი იაზრებს და მათ შორის ბემ-ბავერკი. საქონლის ღირებულების საზომია არა შრომა, არამედ სარგებლობა;[2] თან, არა საზოგადოთ სარგებლობა, არამედ უკანასკნელი უფრო ნაკლები სარგებლობა, რომელიც საქონელს მოაქვს მყიდველისათვის – აი რა განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას ამ თეორიის თანახმათ. ასე, საშიშარი ზედმეტი ღირებულების თეორია „დამარხეს“ და ბურჟუაზიაც დაიხსნეს.

ასეთია საერთოთ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ამ ხანათ. ის ჭეშმარიტების ნაცვლათ ბურჟუაზიის ინტერესებს ექომაგება. საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებისა და განვითარების გარკვევის მაგიერ ის მიზნათ არსებულის დასაბუთებას და განმტკიცებას ისახავს. ეს, მეცნიერების უარყოფაა.

ამნაირია მეცნიერების როლი კლასიურ საზოგადოებაში. გაბატონებულ კლასთა მეცნიერება არსებულს იცავს და ახალს უარყოფს. დამორჩილებულთა მეცნიერება ჭეშმარიტებას იძიებს და ძველს, რომელიც ცხოვრებამ გასწირა, ბრძოლას უცხადებს. მართალია, ყოველთვის არსებობს მეცნიერების ნეიტრალური დარგი, ე. ი. ისეთი ნაწილი, სადაც კლასთა ბრძოლა უკეთ ნაკლებათ გამოსჩანს, მარა ეს გამონაკლისია. ასეთია ამ ხანათ, მაგ., ბუნების-მეტყველება. სამაგიეროთ, ყოველთვის არსებობს მეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც გამომხატველია კლასთა ბრძოლის უკიდურესათ გამწვავებისა. ასეთია ამ ხანათ საზოგადოებრივი მეცნიერება. ეს ჩვენ დავინახეთ პოლიტიკურ ეკონომიაში.

ავიღოთ უფლებრივი მეცნიერება – იურისპრუდენცია და კერძოთ სახელმწიფო უფლება.[3] მის განვითარებას ხელი შეუწყო

---

[1] ამჯერად დამკვიდრებულია „ზღვრული სარგებლიანობის თეორია“.

[2] თანამედროვე ქართული სიტყვახმარებით: „სარგებლიანობა“. რედ.

[3] შეგახსენებთ, რომ ნაგულისხმევია სამართალი და სახელმწიფო სამართალი.

საეკლესიო ძალა-უფლების – პაპის საერო უფლებასთან – იმპერატორებთან შეტაკებამ. მისი მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დამყარება კი ბურჟუაზიის საქმეა. ბურჟუაზიის განვითარება ძლიერი სახელმწიფო ძალა-უფლების შექმნას ითხოვდა. ამიტომ ის მეფეს მიემხრო და ადგილობრივ ფეოდალთა ალაგმვას ხელი შეუწყო. ამ მისწრაფებას გამოხატავს გამოჩენილი აბატი ბოსიუეტი. მან ერთ-მეფობა ღვთის ნებათ გამოაცხადა და ასე, აბსოლიუტური მონარქია დაასაბუთა. ამიერიდან მეფე ბატონობს „ნებითა ღვთისათა". როცა ბურჟუაზია საკმაოთ მოღონიერდა, აქ მის განვითარებას თვით აბსოლიუტური მონარქია გადაეღობა. საჭირო შეიქნა მისი დანგრევა და ამ მიზნით ფეოდალურ-აბსოლიუტური უფლების გადასინჯვა და მისი დაგმობა. ეს ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა იკისრეს და უპირველესათ ჰუგო გროცუსმა, მონტესკიომ და საფრანგეთის „განმანათლებლებმა". აბსოლიუტიზმის ნაცვლათ ისინი კონსტიტუციონურ სახელმწიფოს დამკვიდრებას ითხოვდენ და ხელი შეუწყვეს ბურჟუაზიის გამარჯვებას. დღეს ბურჟუაზია თითქმის ყველგან, როგორც სოციალურათ, ისე პოლიტიკურათ ბატონობს. და აი, მისი დამცველი ბურჟუაზიული მეცნიერება ყოველი ძალ-ღონით ებრძვის მუშათა ლტოლვილებას – სახელმწიფო თავისი ინტერესებისათვის გამოიყენონ.

ჩვენ დავინახეთ, რომ მეცნიერების დანიშნულებაა წარმოებისა და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ხელის შეწყობა. ის ტეხნიკას ანვითარებს და ამ გზით წარმოებას პირდაპირ ემსახურება. ის არსებულ წყობილებას ამართლებს და მას ამაგრებს, ან ის არსებულ წესრიგს ბრძოლას უცხადებს და მის დანგრევას აჩქარებს. მარა სოციალ-პოლიტიკური წყობილება წარმოების წესზეა აგებული. ამ შემთხვევაშიც მეცნიერება არაპირდაპირათ გავლენას ახდენს წარმოებაზე. „რამდენათ ბრწყინვალეთ უნდა განვითარდეს ის, სპეციალიზაციის რანაირ სიმაღლეს მიაღწიოს მან, მისი (მეცნიერების) ცენტრალური „ფოკუსი" მუდამ წარმოება დარჩება".[1]

[1] ფონ კელეს-კრაუცის მოხსენება მეოთხე სოციოლოგიურ კონგრესზე.

2. ხელოვნება

ხელოვნებას ხუთი უმთავრესი დარგი აქვს: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, სკულპტურა ანუ ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა და პოეზია.

ხელოვნების მთავარი საგანია მშვენიერება. მარა ზოგჯერ, მაგ., ხუროთმოძღვრებაში, მას მეორე ხარისხოვანი როლი უჭირავს: ხუროთმოძღვრების უმთავრესი დანიშნულებაა ტეხნიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ე.წ. უმაღლესი ხოლოვნება-ქანდაკება და მხატვრობა და კიდევ უფრო მუსიკა და პოეზია – უპირველესათ მშვენიერებას ემსახურება და ამით ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ამიტომაც არის ზოგნი ფიქრობენ – ხელოვნება უნივერსალური და ზე-კლასიურიაო. ის, რაც მშვენიერია ერთ დროში, მშვენიერია მეორე ხანაშიც. ის, რაც ლამაზია ერთი კლასისთვის, ლამაზია სხვა კლასისთვის. ის, რაც იწვევს ერთ ადამიანის აღფრთოვანებას, ამასვე გამოიწვევს მთელ ხალხშიც; ის, რაც აკმაყოფილებს რომელიმე ერის გემოვნებას, დააკმაყოფილებს მთელი კაცობრიობის გემოვნებასო, ასეთია ზოგიერთთა შეხედულება.

მერე განა მართალია ეს?

ყოველივე საზოგადო მოვლენის ახსნა ისტორიაში უნდა ვეძიოთ. ვისაც სურს ხელოვნების ახსნა-გარკვევა, მან უთუოთ ისტორიას უნდა მიმართოს. რას გვეუბნება ხელოვნების ისტორია?

ხელოვნების წარმოშობა-განვითარება პირდაპირ თუ არა, ყველგან დამოკიდებულია წარმოებაზე.

ველურები ქოხს ასე აშენებდნენ: სჭრიდენ ხის ტოტებს, მათ მიწაში ასობდენ, თავებს ერთი მეორეზე აბამდენ, შენობას წნავდენ და მას ხის ტოტებითვე ან ღერებითა და ტყავით ხურავდენ. დღესაც ასე იქცევიან ჰოტენტოტები და კუნძულ „ცეცხლის ქვეყნის“ მცხოვრებნი.[1]

ეს პირვანდელი ქოხია და ხუროთმოძღვრების, ანუ არქიტექტურის დასაწყისი.

---

[1] ფრ. რატცელი. Anthropogeographie, 1 ნაწილი. შტუგარტი, 1882 წ. 413 გვ. შეადარე ოსკარ პეშელის აზრი (აქვე იდეოლოგია).

ასურეთ-ბაბილონის წარმოება დამოკიდებული იყო მდინარე ტიგრისა და ევფრატის გადმოხეთქაზე. წყალდიდობის დროს მდინარე მთელ არემარეს მილეკდა, რომ მიწა გაენოყიერებიათ და ის დასამუშავებლათ გამოეყენებიათ, მცხოვრებთ უძველეს დროიდანვე არხები გაყავდათ, დამბებს აწყობდენ და ამ გზით ქალაქებში ჭაობებს აშრობდენ და მინდვრებს რწყავდენ. წარმოებამ ხელი შეუწყო არქიტექტურის განვითარებას!

ქვეყნათ ამჟამათ არ მოიპოვება არც ერთი კუთხე და არც ერთი ხალხი, რომ არ მისდევდეს ორნამენტიკას, ანუ იარაღთა გალამაზებას. ეს დამოკიდებულია „საწარმოვო მოქმედებაზე, რომელიც წარმოადგენს მის ნივთიერ სათავეს“.[1]

მართლაც, ცნობილია, რომ ყველა მეჯოგე ტომები კერძო პირის იარაღს განსაკუთრებული ნიშნით ანუ მარკით არჩევენ. რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ ჩვეულებამ საყოველთაო ხასიათი კაცობრიობის განვითარების მეჯოგეობის საფეხურზე მიიღო?

„ხშირათ მოხდება, რომ დაჭრილი ცხოველი კვდება არა იქვე, არამედ რომელსამე სხვა ადგილზე. ასეთ შემთხვევაში მონადირე თავის ნადავლს დაჰკარგავდა თუ მას არ შეეძლო დამტკიცება, რომ ცხოველი სწორეთ მისმა ისარმა მოჰკლა. ამ მიზნით, ყოველივე ისარს განსაკუთრებული მარკით ნიშნავდენ“.[2] ასე წარმოიშვა ორნამენტიკა.

დღეს მხატვრობა მთელი მსოფლიოს სათაყვანოთ გადაქცეულა. როცა პარიზის მუზეუმ – ლუვრიდან ლეონარდო და ვინჩის სურათი ჯიოკონდა დაიკარგა, მთელი მსოფლიო ახმაურდა. მართლაც კაცობრიობას ხელოვნების საუკეთესო საუნჯე მოსტაცეს. რაფაელის სურათ მადონას ხომ ყველა შეჰხარის და მისი ცქერით სტკბება დიდი და პატარა, დალხენილი და გაჭივრებული, იმედ-აღვსილი და სასოწარკვეთილი.

ასეთია მდგომარეობა ამ ხანათ. მარა რა იყო წინეთ? განვითარებული მხატვრობის დასაწყისი ველურთა ხატვაში უნდა ვეძიოთ. რას წარმოადგენს ის?

---

[1] მორიც ჰერნესი Urgeschichte d. bildenden Kunst in Europa, 1898 წ., 38 გვ.

[2] ერნსტ გროსე. Die Anfänge d Kunst, 1894 წ. 1303-1 გვ.

„ველურ ხალხთა შორის ხატვა იხმარება, როგორც ფორმა რომელიმე ცნობის გადასაცემათ. როცა ველურები სანადიროთ მიემგზავრებოდენ, გზაში ფეხებით კვალს სტოვებდენ და უკან დაბრუნებისას ამ კვალს მოსდევდენ. ამიტომ იმ მიზნით, რომ გზა გაეგნოთ, შემდეგში კვალს განზრახ7 აჩენდენ“.[1] ბრაზილიის ველურები რუკას სილაზე ხატავდენ, სადაც სხვა და სხვა ტომთა სამფლობელოს ნიშნავდენ. ეს მხატვრობის დასაწყისია. ახლაც აქა-იქ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც აზრთა გადასაცემათ – საწერ ნიშნათ, სხვა და სხვა სურათებს ხმარობს. ასეთია მაგ. ჩინური ანბანი.

შემდეგში ადამიანი ეჩვევა სხვა საგნების ხატვასაც, მარა ის მუდამ მთავარ ყურადღებას აქცევს იმ საგნებს, რომლებთანაც მას საქმე აქვს წარმოებაში. მომთაბარე ტომები – ნომადები, ცხოველებს ხატავენ, მიწის მომქმედნი კი ცხოველთა გარდა მცენარეებსაც.

ავიღოთ ცეკვა. ამის შესახებ საინტერესოა ის ცნობა, რომელიც მოჰყავს გროსეს ვინმე მენდის აღწერით. უკანასკნელს ის სამხრეთ უელსში უნახავს, ის სამხედრო ცეკვაა, რომელსაც ღამით ასრულებენ. მონაწილენი შეიარაღებული არიან კომბლებით, ლახვრებით, ბუმერანგებითა და ხიშტებით.

„უცებ მასა ორ ნაწილათ გაიყო – მოგვითხრობს მენდი – და მუშტ-მოღერილი საშინელი ღრიალით და ყვირილით გაექანა ერთი მეორის წინააღმდეგ. ერთი პარტია მალე დამარცხდა, ის მინდვრიდან განდევნეს და ბნელში გამოუდგენ, საიდანაც მოისმოდა ტირილ-ქვითინი და კომბალთა ცემა“.[2] მერე ისევ მინდორში გამოჩნდენ და ჯერ ნელი, შემდეგ კი სწრაფი ნაბიჯით ცეკვას შეუდგენ. მეორე ნაწილი ამ დროს დოლს უკრავდა.

აშკარაა, ეს ომიდან აღებულია. უეჭველია, ჩვენებური ლეკურიც სამხედრო ცხოვრებას გვიხატავს. როგორც ვიცით, ლეკურს ხანჯლის მეოხებით თამაშობენ, თუმცა დღითი დღე უფრო და უფრო იშვიათათ მთიულთა შორის ასეთი ჩვეულება დღესაც და-

---

[1] კარლ ფონ-დენ-შტაინენი, Unter Naturvölkern Centralbrasiliens 1894 წ., 442 გვ.

[2] გროსეს ხსენებული თხზულება, 209 გვ.

ცულია. იქ საუკეთესო მოთამაშეთ ის ითვლება, ვინც მოწინააღ-მდეგეს ხელიდან ხანჯალს გააგდებინებს.

ამით, თავდაპირველათ, როგორც ავსტრალიელნი, ისე ჩვენი წინაპრებიც ცდილობდენ ომში ნახულის განმეორებას. ეს სამხე-დრო ვარჯიშობაა და მომავალი ომისათვის მზადებას მოასწავებს. ამიტომაც იყო თავდაპირველათ ქალები ცეკვიდან განდევნილი იყვენ: ისინი ომში მონაწილეობას არ იღებდენ. დროთა ვითარე-ბაში ცეკვის პირვანდელი ხასიათი შეიცვალა და ის უბრალო გასა-რთობათ გადაიქცა. და აი, ცეკვა-თამაშში ქალებიც მამაკაცებთან ერთათ თანასწორ მონაწილეობას იღებდენ.

ხშირათ ცეკვა მეჯოგე-მონადირეთა ცხოვრებას გამოხატა-ვს. ასეთი ცეკვა მრავალგვარია. ავსტრალიელ ველურთა შორის უფრო გავრცელებულია და დიდი ყურადღებით ეპყრობიან ე.წ. კენგურუს ცეკვას. კენგურუზე ნადირობას ფართო ადგილი უჭი-რავს ავსტრალიის ველურთა ცხოვრებაში.

მოკლეთ, რასაც ადამიანი ხედავს წარმოების დროს, ან თავისი სარჩო-საბადებელის გარეშე მტერთაგან დაცვის საქმეში, ის ცე-კვა-თამაშში გადააქვს. ცეკვა ეკონომიკას ემორჩილება.

მით უფრო უნდა ითქვას ეს მუსიკის შესახებ. გამოჩენილი მეც-ნიერის კარლ ბიუხერის აზრით შრომასა და მუსიკის შორის კავ-შირი არსებობს და თან შრომას უთუოთ „ხელმძღვანელი როლი“ ეკუთვნის. „სიმღერა გამოწვეულია შრომის რიტმიული მსვლელო-ბით და მის ტემპს ეწყობა“.[1] ასეთ აზრს ნათლათ ამტკიცებს ბევ-რი დღემდისაც შენახული სიმღერა, რომელიც ხშირათ ყოველივე აზრს მოკლებულია. ასეთია, მაგალითათ, ჩვენებური „იო-იო, ჰო-პა-ჰოპა“, „აბადელავ-აბადელავ“[2] და ბევრი სხვა. ავიღოთ პირველი სიმღერა. სად უნდა ვეძიოთ მისი სათავე? ის უმთავრესათ მასიუ-რი შრომის დროს გაისმის: მას თოხნის დროს მღერიან. დაახლოვე-ბით 20-30 კაცი იყრის თავს. ერთი იწყებს – ის შრომის მეთაურია. „იო“– დაწყების ნიშანია. დანარჩენნი „ჰოპა“-ს შესძახიან და გაო-

[1] კარლ ბიუხერი. Arbeit u. Ritmus (Работа и ритмъ). მეოთხე გამოცემა 1908 წ., 51 გვ.

[2] ეს და ბევრი სხვა ამგვარი ჩვენებური სიმღერები მოყვანილი აქვს კ. ბიუხერს ფ. გოგიჩაიშვილის ჩვენებით. იხ. ხსენებ. წიგნის 271-80 გვ.

რკეცებული ენერგიით თოხნიან. ეს სიმღერა შედეგია მასიური შრომისა.

ამიტომაც სამართლიანათ ამბობს კ. ბიუხერი: „ყოველ სამუშაოს თავისი საკუთარი მუსიკა აქვსო-“.[1] ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენებური „ნადური“ და „ჰოოპუნა“,[2] აგრეთვე გურული „ხელხვავი“, რომელსაც სიმინდის გარჩევის დროს მღერიან.

პოეზია ხელოვნების უმაღლესი დარგია, მარა ამ უმაღლეს დარგსაც შრომა განსაზღვრავს. პოეზიის სათავე წარმოებაა, მისი დასაბამი ადამიანთა ეკონომიური მოქმედებაა. აი რას ამბობს ხსენებული კარლ ბიუხერი: „შრომა, მუსიკა და პოეზია შეერთებული უნდა ყოფილიყვენ თავისი განვითარების პირველ საფეხურზე, მარა ამ სამებაში საფუძველი შრომაა იმ დროს, როცა ორ დანარჩენს მხოლოთ მეორე ხარისხოვანი როლი უჭირავს“.[3]

ველურები წარმოდგენებს დიდი ხალისით ეტანებიან. ომი და ნადირობა, მეჯოგეობა და მიწათმოქმედება – აი წარმოდგენათა უმთავრესი საგანი. ჩვენ მიერ მოყვანილი ახალი სამხრეთ უელსის სამხედრო ცეკვა ერთსა და იმავე დროს დრამატიული წარმოდგენაა. აქ „მონაწილეობას იღებდა მთელი ტომი, რომელიც თან მღეროდა. მღეროდენ ყოველივე აზრს მოკლებულ სიტყვებს: შინაარსი – ეს თვით წარმოდგენაა (პანტომიმა). ადგენენ ყოველ-დღიური ცხოვრების ისეთ მოქმედებათ, რაც აუცილებლათ საჭიროა არსებობისათვის ბრძოლაში“.[4]

ხშირათ ასეთ წარმოდგენაში ხალხი ორ ნაწილათ ირაზმებოდა და ურთიერთ-შორის დიალოგი, ანუ საუბარი იმართებოდა. ასეთი იყო პირვანდელი ბერძნული ტრაგედია, რომელსაც ბახუსის დღესასწაულზე აწყობდენ. „თავდაპირველათ ის იყო ცხოველთა წარმოდგენა (პანტომიმა). ცხოველთა შორის თხა თამაშობდა უფრო დიდ როლს ბერძენთა ეკონომიურ ცხოვრებაში (სიტყვა ტრაგედია წარმოსდგება სიტყვიდგან თრაგოს (ტრაგოს) – თხა“.[5]

---

[1] იქვე, 36 გვ.

[2] ამ ორივეს იხსენიებს კ. ბიუხერი.

[3] იქვე, 364 გვერ.

[4] რიხარდ ვალშეკი. Anfänge d. Volkunst, Leipzig, 257 გვ.

[5] იქვე.

მოკლეთ, ხელოვნების ყველა დარგის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დასაბამი წარმოებაა. რა გზით ვითარდება ის? ხელოვნების განვითარება მუდამ თან მოსდევს ეკონომიურ განვითარებას.

საზოგადოება, ძლიერი ნივთიერ წარმოებაში, ძლიერია სულიერ წარმოებაშიც. ქვეყანა, რომელმაც შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინა ეკონომიურ სარბიელზე, ამგვარსავე ნიჭს იჩენს სულიერი განვითარების ნიადაგზედაც. ის, ვინც მიუძღვის ეკონომიას, მიუძღვის ხელოვნების განვითარებასაც.

ცნობილია, ფინიკიელებმა ფართოთ განავითარეს მეზღვაურობა და მსოფლიო ვაჭრობას დაეპატრონენ. და აი, ხელოვნების სარბიელზედაც ისინი პირველ როლს თამაშობდენ ამ ხანათ. მეათე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ იმათ ააგეს სოლომონის დიდებული ტაძარი იერუსალიმში.

ხელოვნების კლასიკურ ქვეყნათ ძველი საბერძნეთი ითვლება. მერე განა ეს შედეგია „ელინური სულის“ აღმაფრენისა, როგორც ამას იდეალისტები ამბობენ? ბერძნული ხელოვნება უაღრესათ სწორეთ მაშინ განვითარდა, როცა საბერძნეთში ვაჭრობა-აღებ-მიცემობის განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო.[1] ეკონომიური აყვავება საფუძვლათ დაედვა ხელოვნების აყვავება-განვითარებას. საბერძნეთის გმირული ხანა ცნობილია ციკლოპიური, უზარმაზარი შენობებით. აქ პატრიარქალური წეს-წყობილება მეფობდა და ხელოვნებაც პატრიარქ-წინამძღოლთა გემოვნებას ემსახურებოდა.

მეხუთე საუკუნეში, ქრისტეს დაბადებამდე, საბერძნეთი, ხოლო საბერძნეთის სახელმწიფოთა შორის ათინა, მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი შეიქნა. და აი ხელოვნებაშიაც ის მეთაურობდა კაცობრიობას. ეს ე.წ. პერიკლეს ხანაა. სახელმწიფო ძალაუფლებას ხალხი, დემოკრატია დაეპატრონა და ხელოვნებაც მიზნათ ისახავდა დემოკრატიის სამსახურს. ამ დროს ცნობილმა ხუროთმოძღვრებმა იკტინემ და კალიკრავმა ქალღმერთ ათინას დიდებული ტაძარი, პართენონი ააგეს; პერიკლემ ქალაქ ათინას გარს შემოა-

[1] ანტონ შპრინგერის თხზულება: Handbuch d. Kunstgeschichte, მერვე გამოცემა, I ტომი, 264 გვ.

ვლო სახელ-განთქმული ქვის კედლები; ფილონმა პირეიში ააგო არსენალი, ხოლო ლიკურგმა ქვის თეატრი. აშენებდენ სამხედრო ხომალდებს და სხვა. ამ დროს მხატვარმა ფიდიასმა შექმნა ზევესის და აკროპოლში ქალ-ღმერთ ათინას ქანდაკებანი, რომელთაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ყველა მნახველი.

მარა დემოკრატიას ძლიერი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. ეს იყო ახალი არისტოკრატია. ფართო აღებ-მიცემობის მეოხებით მოქალაქეთა ერთი ნაწილი ძლიერ გამდიდრდა და ამით გაძლიერდა მისი პოლიტიკური ძალა-გავლენაც. მათ მისწრაფებას ფრთებს აკვეცდა დემოკრატია. და აი, გამდიდრებული არისტოკრატია შეეცადა დემოკრატიულ ლტოლვილებათა დათრგუნვას და დემოკრატიული წყობილების დამხობას. მან ხელოვნებაც დაიმორჩილა. ამიერიდან ხუროთმოძღვრება და ქანდაკებაც უმთავრესათ არისტოკრატიის ინტერესსა და გემოვნებას ემსახურება: აშენებენ კერძო-პირთათვის მდიდრათ და ბრწყინვალეთ მოკაზმულ სახლებსა და სხვ.[1]

ასეთივეა პოეზია, მელექსეობა. ალექსანდრე მაკედონელმა ჰესიოდის ლექსებს სამართლიანათ გლეხთა ლექსები უწოდა, ჰომიროსისა კი მეფე-ბატონთა პოეზიათ მონათლა. მოკლეთ, საზოგადოების ყველა კლასი თავისებურ ბეჭედს ასვამს ხელოვნებასაც.

მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებათ დაიყო, ყველა კლასი თავისებურ ცხოვრებას ეწევა. ის, რაც ხელსაყრელია ერთი კლასისთვის, დამღუპველია მეორისათვის; ის, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია ერთისთვის, საზარალოა მეორისათვის. აი სათავე სხვა და სხვა ნაირი გემოვნებისა. ჯერ კიდევ ნ.გ. ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ მაღალ საზოგადოებას სხვანაირი წარმოდგენა აქვს სილამაზეზე, ვინემ გლეხს. მართლაც, გლეხი მთელი თავის სიცოცხლეს მუშაობასა და ჭაპან-წყვეტაში ატარებს და აქ მას გვერდით მთელი ოჯახი და, სხვათა შორის, ქალიც უდგია. გლეხის მეურნეობაში უფრო გამოსადეგია ფიზიკურათ ჯანმრთელი და ღონიერი ქალი, ასეთი კი მუდამ ჩასუქებული და ლოყა-ჩაწითლებული

[1] იქვე, 21 გვ.

ქალია. გლეხის გემოვნებაც ამას ეწყობა. ლამაზია ისეთი ქალი, რომელიც ამ გემოვნებას აკმაყოფილებს. ულამაზო და მახინჯია ისეთი ქალი, რომელიც ამ გემოვნებას ეწინააღმდეგება. სულ სხვა ნაირია მაღალი საზოგადოების მდგომარეობა. ის ეკონომიური საქმიანობიდან ჩამოშორებულია და მთელ თავის სიცოცხლეს უმთავრესათ უსაქმობასა და ლხინში ატარებს და ვნებათა ღელვას ეტრფის. ამიტომ საქებ-სადიდებელია ისეთი ქალი, რომელსაც ამ მხრივ ბევრი გამოუცდია, „ბევრი უცხოვრია“, როგორც ამბობენ. ასეთი ცხოვრება ადამიანს ფერს უკარგავს და ასუსტებს. და აი სინაზე და ფერმიხდილობა სილამაზის აუცილებელ თვისებათ გამოაცხადეს.

კლასიური დანაწილება ხელოვნებაშიაც გადადის და მასაც კლასიური ელფერი ეძლევა. ეს ხომ ხელოვნებაში ტენდენციის გამეფებაა, გვისაყვედურებს ზოგი მკითხველი.

რა არის ტენდენციური ხელოვნება? რას ნიშნავს კლასიური ხელოვნება?

ტენდენციურია ხელოვნება, როცა მხატვარი თავის ნაწარმოებში ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათ განზრახ, შეგნებულათ ალამაზებს ან ამახინჯებს. ვთქვათ პოეტს სურს თავისი სამშობლო აქოს-ადიდოს და ამ მიზნით ის გვისურათებს, თითქო საქართველო წინ უძღოდა მთელ ევროპიულ კულტურას. ეს სინამდვილის უარყოფაა და ხელოვნების აბუჩათ აგდებას ნიშნავს. წარმოვიდგინოთ, მხატვარი ცდილობს მუშათა მოძრაობა სასაცილოთ აიღოს და ამ მიზნით ის გვიხატავს სურათს, სადაც მუშა კულტურას განადგურებას უქადის და ქვეყნიერებას ბარბაროსობისაკენ მიერეკება. და ეს იმ დროს, როცა მუშათა კლასი დედაბოძია კულტურის.

რა აქვს საერთო კლასიურ ხელოვნებას ასეთ „ხელოვნებასთან“? სრულიად არაფერი. ტენდენცია ცხოვრების გამრუდებაა, ხოლო კლასიური ხელოვნება მისი ნამდვილი სარკეა.

მართლაც კლასებათ დანაწილებულ საზოგადოებაში ყველა ადამიანი ზედმიწევნით იცნობს მხოლოთ თავის წრეს და გაჟღენთილია მისი ფსიხოლოგია-შეხედულებით. მუშას კარგათ ესმის მუშათა გემოვნება-შეხედულება, კაპიტალისტის ფსიხოლოგია

ბურჟუაზიული კლასის სულისკვეთებას გამოხატავს და სხვ. და აი, ეს ფსიხოლოგია ხელოვანსაც ნებით თუ უნებლიეთ თავის ნაწარმოებში გადააქვს და უმეტეს ნაწილათ სრულიათ შეუგნებლათ თავის კლასს ემსახურება, თუმცა ჰგონია, თითქოს მისი ასპარეზი მთელი კაცობრიობის სამსახურია.[1] ამიტომ არის ყველა რა ხელოვნების ნაწარმოებს ნათლათ აზის ამა თუ იმ დროისა და კლასის ბეჭედი. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, თითქოს, მაგ., შილერის პოეზია, ან რიხარდ ვაგნერის მუსიკა გვეუბნებოდეს – ხელი შეუწყვეთ ბურჟუაზიული ბატონობის განმტკიცებასო. ეს ხელოვნებაში მართლაც ტენდენციის გაბატონება იქნება! მარა ხელოვნების ნაწარმოები საზოგადოების გამომხატველია და ემსახურება თავისი დროის მოწინავე ბურჟუაზიის გემოვნება-მოთხოვნილებას და ამ მხრივ იგი კლასიურია. დროთა ვითარებაში ეს კლასიური ბეჭედი იშლება და კაცს ეგონება, თითქოს შილერის პოეზია უნივერსალური და ზეკლასიურია და „აბსოლიუტურის სულის“ გამოხატულებას წარმოადგენსო. მარა საკმარისია მოვიგონოთ, როგორ ებრძოდენ შილერის განმანთავისუფლებელ იდეებს გერმანელი კონსერვატორები – ბურჯნი „ნებითა ღვთისათა“ განმტკიცებული წესწყობილების, და დავინახავთ, რომ ასეთი აზრი ყოველივე საფუძველს მოკლებულია. დროთა ვითარებაში კონსერვატორები დამარცხდენ, შილერის იდეები რამოდენიმეთ მაინც განხორციელდა და მთელი საზოგადოება შეურიგდა ახლათ დამყარებულ ბურჟუაზიულ კონსტიტუციონურ წესრიგს. და აი, შილერიც საერთო ნაციონალურ გენიოსათ გამოაცხადეს.

ხელოვნების მთელი ისტორია ამ აზრს ნათლათ ამტკიცებს. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი.

ეგვიპტელთა ხელოვნებას ჰქონდა ორნაირი მიმართულება. „ერთი, რომელსაც შეგვიძლია სასახლის ხელოვნება ვუწოდოთ, მბრძანებელთა და წარჩინებულთა ხელოვნებაა, რომელსაც აქვს განსაზღვრული, ჩამოყალიბებული ხასიათი და მუდამ ჩვეულებრივი მიმდინარეობა: მასზე მტკიცე ტრადიცია ბატონობს. ამ სტი-

[1] კ. მარქსი. მე-18-ე ბრიუმერი. ლუი ბონაპარტისა, აქვე, იდეოლოგია.

ლის კლასიურ ფორმას წარმოადგენს ხეფრენის გამოჩენილი ქანდაკება“.[1] ეს მეფეთა და მღვდელ-მხედართა ხელოვნებაა. მეფენი და ტაძრები – აი მისი უმთავრესი საგანი.

„სასახლის ხელოვნების გვერდით ხალხური ხელოვნება არსებობს. მისი მხატვრობის ასპარეზს შეადგენს დაბალი – მეფეთა და წარჩინებულთაგან სასტიკათ გამოყოფილი წოდებანი, მათი მრავალგვარი საქმიანობით. აქ ბევრათ უფრო თავისუფალი სტილი... ბატონობს“.[2] ამ მხრივ საინტერესოა გამოჩენილი ქანდაკებანი საკარას საფლავზე სოფლის მამასახლისისა და მისი ცოლისა, ტვირთის გადამტანისა, ტომრიანი ბავშვისა და ბევრი სხვა. ასე, ოფიციალური ხელოვნების გვერდით, რომელიც მეფე-წარჩინებულთა ქება-დიდებას ემსახურებოდა, განვითარდა ხალხური ხელოვნება – ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი.

საშუალო საუკუნოები ევროპის ეკონომიურათ დაუძლურების ხანაა. ამან ხელოვნების დაცემაც გამოიწვია. ის კვლავ აყვავდა მე-15-ე საუკუნეში. ეს შედეგი იყო იტალიის ქალაქ-რესპუბლიკების ეკონომიურათ გაძლიერების. იმ ხანათ იტალია მეთაურობდა მთელ განათლებულ კაცობრიობას. ღირსშესანიშნავია ის მდგომარეობა, რომ აღორძინების ხანაში ხელოვნების აკვანი შეიქნა ფლორენცია, სადაც გაძლიერდა ახალი კლასი – ბურჟუაზია და არა ის ქალაქები, სადაც ბლომათ ეყარა ძველი – ანტიური ხელოვნების ნაშთები.[3]

აღორძინების ხანა ხელოვნებაში ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. ამ დროს დახატა რაფაელ სანციომ მადონას სურათი, რომელიც დღემდე ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება.

როცა ბურჟუაზია ეკონომიურ ასპარეზზე საკმაოდ მოღონიერდა, მაშინ ნათლათ გამოჩნდა, რომ მის განვითარებას ძველი ფეოდალური საზოგადოება და მისი დამცველი სახელმწიფო აფერხებს. ძველი ბორკილების ყოველგვარი საშვალებით დამსხვრევა – აი რა გზას დაადგა ბურჟუაზია. ასეთ პირობებში მან ხელო-

---

[1] ანტონ შპრინგერის ხსენებული თხზულება, 20 გვ. ხაზგასმული აქაც და ქვევითაც ავტორისაა.

[2] იქვე, 21 გვ.

[3] იგივე თხზულება. მესამე ტომი, 32 გვ.

ვნებაც ბრძოლის იარაღათ გამოიყენა. ამას ახლავე დავინახავთ დრამატიული პოეზიის მოკლე განხილვით.

საშუალო საუკუნოებში სცენა ხალხს ემსახურებოდა. იქ უმთავრესათ ფარსებს ადგენდენ. ფარსი გამოხატავდა ხალხის შეხედულება-მისწრაფებას და მაშასადამე, მის უკმაყოფილებას მმართველ კლასთა წინააღმდეგ. როცა აბსოლიუტური მონარქია მოღონიერდა, მეფემ და სასახლის არისტოკრატიამ ფარსი ლაქიების საქმეთ გამოაცხადეს. მისი ადგილი დაიჭირა ტრაგედიამ. მარა ფრანგულ ტრაგედიას არავითარი საერთო არ ჰქონდა ხალხის შეხედულება-მისწრაფებასთან. ის იყო არისტოკრატიის ნაწარმოები, და გამოხატავდა მაღალი წოდების შეხედულებას, მის გემოვნებასა და მისწრაფებას. ის შეადგენდა არისტოკრატიისა და არა ხალხის იარაღს.[1]

ამით წარმოდგენის გარეგანი მხარეც გამოიცვალა. არისტოკრატია მუდამ და ყოველგან ცდილობს ხალხს გამოეყოს და მასთან არავითარი საერთო არ იქონიოს. ცნობილია, გურული გლეხი სწრაფათ მოლაპარაკეა. გურიის გამოჩენილი თავადები კი ძლიერ დინჯათ და დარბაისლურათ საუბრობენ. გლეხის კილო თავადს არ შეეფერება! ახლა ყური დავუგდოთ ბერ დიუბოს: „ფრანგები არ სჯერდებიან მხოლოდ ტანთსაცმელს, რომ საჭირო კეთილშობილება და ღირსება მიანიჭონ მსახიობებსა და ტრაგედიას. ჩვენ გვსურს, რომ მსახიობნი ლაპარაკობდენ უფრო მაღალი და გაჭიანურებული კილოთი, ვინემ ჩვეულებრივათ საუბრობენ. ასეთი მანერა უფრო ძნელია, მარა მასში მეტია ღირსება“.[2] ასეთი იყო საფრანგეთის თეატრი მე-18-ე საუკუნეში. როგორც ხედავთ, მაშინდელი არისტოკრატები გურულ თავადებსავით მსჯელობდენ. ერთნაირი მდგომარეობა ერთნაირ აზროვნობას წარმოშობს.

ასე, თეატრი ხალხს გადუდგა, ხოლო ხალხი თეატრს დაშორდა. როცა ბურჟუაზია საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა თეატრიც ახალ ნიადაგზე მოეწყო, ბურჟუაზიული დრამის შექმნა ნივე-

---

[1] Н. Бельтовъ (Г.В. Плехановъ). За двадцать лътъ. Французская драматическая литература и французская живопись съ точки зрънія соціологіи. 309 გვ.

[2] იქვე, 305-6 გვ.

ლ-დე-ლაშოსეს საქმეა. მისი დრამა სარკეა ბურჟუაზიული ცხოვრების და გამოხატავს ახალი კლასის აჯანყებას არისტოკრატიული ფრიხოლოგიის წინააღმდეგ.[1]

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დაამხო ტახტისა და არისტოკრატიის ბატონობა. თეატრიც რევოლიუციის იარაღი შეიქნა: მან ხელი შეუწყო ძველი გაბატონებული კლასების დათრგუნვას, ერთი წარმოდგენის დროს, 1790 წ., ხალხი მღეროდა: „არისტოკრატებო, თქვენ დამარცხდით“! თავის მხრივ დამარცხებული თავად-აზნაურები და მღვდლები ესწრებოდენ ისეთ წარმოდგენებს, რომელიც მათ აგონებდა სანატრელ ძველ დროს. მსახიობები ამ დროს დასცინოდენ ძველი დროის მსახიობთა ნაძალადევ ფორმებსა“.[2] თეატრი ცხოვრების სარკეა.

აბსოლიუტურ-ფეოდალური წყობილება დაინგრა და ცხოვრებას სათავეში ბურჟუაზია მოექცა. საფრანგეთის „განმანათლებელნი“ ელოდენ ძმობა-ერთობა-თანასწორობის დამყარებას, ნაცვლათ ამისა ბურჟუაზიის ბატონობა დაფუძნდა. ბურჟუაზიული წარმოება – ეს განხორციელებული მოუსვენრობაა. წარმოების აყვავება და დამარცხება, მუშათა საქმეში ჩაბმა და უმუშევრობა, ბედნიერება და უბედურება, ყველაფერი ელვის სისწრაფით მოსდევს ერთი მეორეს, ყველაფერი წუთიდან წუთში იცვლება. ბურჟუაზიული აზროვნება სუსტია ასეთ ცვლილებათა ახსნაში. აქ ხომ ნათლათ გამოჩნდებოდა, რომ თვით ბურჟუაზიული წყობილებაც წარმავლია. და აი, ბურჟუაზიული იდეოლოგიაც, ნაცვლათ ცხოვრების ახსნისა, თვით ამ ცხოვრებას შორდება, ბიწიერების სამეფოს გაურბის და თავის ხსნას სიმბოლისტურ-ფანტასტიურ შემოქმედებაში დაეძებს. აი სათავე ე.წ. მოდერნისტული მიმდინარეობისა ლიტერატურაში. დეკადენტობა და სიმბოლიზმი, – აი რაში გამოიხატება ბურჟუაზიული აზროვნების ორიგინალობა ამ ხანათ. კნუტ ჰამსუნი და ოსკარ უაილდი, პშიბიშევსკი და მეტერლინკი და ძმანი მათნი – აი ბურჟუაზიის სათაყვანებელი მწერლები.

---

[1] Н. Бельтовъ (Г.В. Плехановъ). За двадцать лътъ Французская драматическая литература и французская живопись съ точки зръенія соціологіи. 309 გვ.

[2] იქვე, 321 გვ.

ოსკარ უაილდი ხედავს, რომ არსებული ცხოვრება აუტანელია. მერე სად უნდა ვეძიოთ ხსნა? ცხოვრება თავის-თავის მოტყუილებაა, მირაჟია და არა ფაქტი; ხელოვნება სინამდვილეა, ცხოვრება კი ქმნილებაა თვით ადამიანის ფანტაზიისა – გვასწავლის ის.

ამასვე იმეორებს სხვა სიტყვებით კნუტ ჰამსუნიც. „გონიერების სამეფოს“ საწინააღმდეგოთ ის უგნურების სამეფოს აშენებს, არსებულ ქვეყანას ის სიმბოლიურ-ჯადოქრულ წყობილებას უპირდაპირებს. ბურჟუაზიული იდეოლოგია სუსტია ცხოვრების მწვავე კითხვათა გადაჭრის საქმეში!!

ეს მუშა კლასმა უნდა იკისროს, და აი, მან ხელოვნებასაც თავისი საკუთრი ბეჭედი დაასვა. მუშათა მხატვრათ წოდებული ბელგიელი მენიე თავისი დიდებული ნიჭით ასურათებს მუშათა ტანჯვა-ვაებას. ჩვენშიც უკანასკნელ დროს გაჩნდა პოეტთა მთელი რიგი, რომელიც თავისათ აცხადებს ხალხის ჭირ-ვარამს და დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებას ემსახურება.

3. ეთიკა

ეთიკა არის მოძღვრება ზნეობაზე, უკეთ ზნეობის ფილოსოფია.

რა არის სამართლიანი და რა უსამართლო? რომელი საქციელი ეთანხმება ზნეობის კანონებს და რომელია მას წინააღმდეგი? – აი რას იკვლევს ეთიკა.[1]

მას შემდეგ, რაც წარმოიშვა ეთიკა, ის ცდილობს ზნეობის სამუდამო თვისებანი აღმოაჩინოს. დღესაც ხშირია ისეთი მორალისტი, რომელიც აბსოლიუტურ ზნეობას დაეძებს, მარა ამაოთ, ზნეობის ისტორია ნათლად ამტკიცებს, რომ ის, რაც სამართლიანია ერთ დროში, უსამართლოა მეორე ხანაში, ის რაც უმაღლეს ზნეობათ ითვლება ერთი ერის შეხედულებით, უზნეო საქციელია მეორე ერის თვალთახედვით. სად უნდა ვეძიოთ ასეთი მოვლენის სათავე?

[1] მორალი. რედ.

ზნეობის საფუძველი წარმოებაა და გამოხატავს საწარმოვო ურთიერთობას. წარმოების შეცვლას ადრე თუ გვიან თან მოსდევს საზოგადოებაში ახალ ზნეობრივ შეხედულებათა გაბატონება. ამას ახლავე დავინახავთ.

კუნძულ ტაიტის ველურებში ხოცვენ ახალ-დაბადებულთა დიდ ნაწილს და უმთავრესათ ქალებს.[1] რით ხელმძღვანელობენ ისინი? ნადირობასა და ომიანობაში ბავშვები და თვით მოზრდილი ქალებიც უვარგისნი არიან, სმა-ჭამა კი მათაც სჭირია. რომ ეს ზედმეტი ბარგი თავიდან მოიშორონ, მათ კლავენ. ასეთივე ბედი მოელით ავათმყოფთ და მოხუცებს.

ველურთა შორის ახლაც გავრცელებულია კაცისჭამიაობა ანუ ანტროპოფაგია. განსაკუთრებულ გაჭირვების ჟამს ასეთი მოვლენა ხშირია თვით განათლებულ ხალხთა შორისაც. საერთო შიმშილობის დროს კაცისჭამიაობა ფართოთ ვრცელდება ციმბირში და აქა-იქ შიდა რუსეთშიც.

რამ გამოიწვია ასეთი ზნე ჩვეულებანი?

თევზაობა-ნადირობის ხანაში საცხოვრებელი საშუალებანი ძალიან მცირეა. მონადირე ზოგჯერ მრავალ ნადირს ჰკლავდა, ხანდისხან კი სახლში სავსებით ხელცარიელი ბრუნდებოდა, ამიტომ არის პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებაში შიმშილობა ხშირი მოვლენა იყო. და აი, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებია თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, თემი თავიდან იშორებდა ყველა სუსტს – ბავშვებსა და ქალებს, ავათმყოფთა და მოხუცებს და ხშირათ მათ ხორცსაც სჭამდა.

მიწის დამუშავების შემოღებით მდგომარეობა სავსებით გამოიცვალა. მარცვალი საკმარისი იყო ყველას გამოსაკვებათ. ამასთანავე წარმოებაში მოზრდილი ბავშვებიცა და ქალებიც გამოიყენეს და აი, წინანდელი ზნე-ჩვეულებანი დაგმეს და უზნეობათ გამოაცხადეს.

ძველათ ფართოთ გავრცელებული იყო სისხლის აღების ზნე-ჩვეულებაც. ყველა ერი მტკიცეთ ასრულებდა ამ ადათს, რომელიც დღემდისაც დაცულია ალბანელთა შორის. ჩინელებს კონფუციმ

[1] ჯონ ლებოკი, Die Entstehung d. Civilisation, 329 გვ.

დააკისრა: შვილმა მანამდის ატაროს იარაღი, სანამ შეხვდება და მოჰკლავს მამის მკვლელს.[1] ალ. ყაზბეგის თხზულებებიდან ნათლათ სჩანს, რომ ჩვენი მთიულები დღესაც მისდევენ ამ ადათს.

ეს მტკიცეთ დაკავშირებულია თემურ წყობილებასთან. აქ სახელმწიფო ჯერ არ არსებობს. ამიტომაც თავის წევრთა დაცვა თემისა და ახლო ნათესავთა საქმეა. ასეთ პირობებში განვითარდა სისხლის-აღების ზნე-ჩვეულება. დღეს კი ეს მხოლოთ იქ ბატონობს, სადაც ჯერ არ გამქრალა თემის ნაშთები და სუსტია სახელმწიფოს გავლენა. ასეთია ამ ჟამათ ალბანეთი. იქ ჯერაც თემური წყობილებაა.[2]

რაინდობაც ამ ნიადაგზე აღმოცენდა. ომის დროს აღარაფერს ინდობდენ, ეკლესიებს ანგრევდენ, ქალებსა და ბავშვებს ჰკლავდენ ან ტყვეთ მიყავდათ, მიწის მუშაკთ ხოცავდენ, და ასე შიმშილობა ჩნდებოდა. და აი, იშვა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ყველა ამ უბედურებათა ხალხის თავიდან აცდენა. ამისთვის მან ომი მეომართა დუელათ გამოაცხადა. ქალის კულტი რაინდობამ მხოლოდ ბოლოს, დასუსტების დროს მიიღო. ხოლო როცა იშვა პოლიციური სახელმწიფო, მაშინ საჭირო აღარ იყო კერძო პირთა თავ-გამოდება. ამას თვით სახელმწიფო ასრულებს ტრაქტატებითა, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულობით, ომის საერთაშორისო ეთიკის შემოღებით. ასე მოისპო რაინდობა, დონ-კიხოტი სასაცილო იყო მხოლოდ მე-15-ე – მე-16-ე საუკუნეში, როცა მის როლს უბრალო პოლიციელი ასრულებდა და აი, ისიც მეტ-ბარგათ იქცა, წინეთ კი ის გმირი იყო და მისი ეთიკა – უმაღლესი ეთიკა.

დაახლოვებით ამავე პირობებით აიხსნება მეგრელ-აფხაზთა შეხედულება მტაცებლობაზე და გურულთა – ყაჩაღობაზე. მეგრელ-აფხაზნი მეჯოგეობას მისდევდენ, მეჯოგე ხალხი – ნომადები კი ყოველთვის სახელგანთქმული მეომრებია. თან თემურ წყობილებაში თემი მხოლოდ თავის წევრთ იცავს. ვინც თემის გარეშეა, ის მისი მტერია და მის წინააღმდეგ ყველა ზომა სამართლიანი და ნება დართულია. ერთი თემი მეორეს თავს ესხმო-

[1] Oscar Peschel. Uôlkerunde. 6 გამოცემა, 248 გვ.

[2] რასაკვირველია, ამგვარი განზოგადება უმართებულო გახლავთ. რედ.

და და მის ქონებას იტაცებდა. და აი, ჩვენ ვხედავთ, სამეგრელოს მკვიდრნი ჯგუფებს ადგენდენ, გურულ-იმერლებს ესხმოდნენ და ქონებას, უმთავრესათ ჯოგს, იტაცებდენ. ეს სასარგებლოა მეჯოგეთათვის, და ამიტომ მეგრელთა შეხედულებამ ეს მამაცობათ გამოაცხადა. გმირი ის იყო, ვინც დახელოვნდა მტაცებლობაში: მას მთელი ხალხი ქება-დიდებას ასხამდა. პირიქით, ვინც ხელს ახლებდა მეგრელთა ქონებას, მას ლაჩრათ სახავდენ: ეს თემისა და ხალხის ღალატი იყო. მას შემდეგ, რაც თემი დაირღვა და კერძო საკუთრება დამკვიდრდა,[1] მეგრელნი ჩვეულებისამებრ მაინც განაგრძობდენ ჯოგის მოტაცებას, მარა ამიერიდან მან ახალი სახე მიიღო. ძველი და ახალი ზნეობა ერთი-მეორეს დაეჯახა, ძველებური მტაცებლობა გმირობა იყო, ახალი მდგომარეობის თანახმათ კი კერძო საკუთრება წმინდა და ხელუხლებელია. ამ შეჯახებიდან ახალი ვითარება იშვა. აშკარა მოტაცების მაგიერ ფარული მოტაცება ანუ ქურდობა დამკვიდრდა. ასე იყო აფხაზეთშიაც. წინეთ ეს ითვლებოდა სამართლიანათ და უმაღლესი ზნეობის გამომხატველათ. ინგილოები,[2] ოსები და ინგუშები დღესაც მტკიცეთ ადგიან ასეთ შეხედულებას.

გურიაში სახელგანთქმული გმირი დახელოვნებული ყაჩაღი ანუ ფირალი იყო. დღესაც იქ ხშირათ გაისმის სიმღერები, რომლითაც ხალხი აქებ-ადიდებს სისონა დარჩიას ან სხვა ცნობილ ფირალებს. რით აიხსნება გურულთა ასეთი შეხედულება? გურული ხალხი მუდმივ ომს განიცდიდა. მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდენ: გარედან მაჰმადიანთა ტომები და შიგნიდან ბატონები – თავად აზნაურობა. ბრძოლა უთანასწორო იყო: მაჰმადიანები გურულებს სჯობნიდენ თავიანთი სიმრავლით, ბატონები კი საუკუნოებით განმტკიცებულ დაწესებულებით. ხალხი სუსტი გამოდგა მტერთან შეტაკებაში. და აი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელნი ყაჩაღდებოდენ, ყაჩაღთა რაზმებს ადგენდენ, რომ გარეშე და შინაურ მტრებზე შური ეძიათ. ამ გზით ფიქრობდენ მტარვალთა ალაგმვას და ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქებას, ამიტომაც

[1] როგორც ცნობილია, აქ მაღალ ფორმაში განვითარდა ფეოდალიზმი. რედ.

[2] ჩანს, ლეკებია ნაგულისხმევი. რედ.

იყო ხალხმა ყაჩაღობა გმირობათ, თავის საქმეთ გამოაცხადა და ის შარავანდედით შემოსა.

ამავე გზას ადგია ილია ჭავჭავაძის გმირი კაკო ბღაჭიაშვილი: ის ყაჩაღი ხდება, რომ ბატონებზე შური იძიოს. ყაჩაღი არსენ ოძელაშვილი ებრძვის ბატონებს, ვაჭრებსა და მოხელეთ. ამიტომ ხალხმა მასში თავის ინტერესთა დამცველი დაინახა და ის თავის საყვარელ გმირათ იცნო, რადგან არსენა „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო“ – ამბობს ხალხური ლექსი.

ამხანათ ჩვენში ბურჟუაზიული წარმოება არსებობს. ვაჭრობა-აღებმიცემობა მშვიდობიანობა-წესრიგს მოითხოვს. აქ ყაჩაღობა, მტაცებლობა წარმოებისა და მით საზოგადოებრივი განვითარების ხელშემშლელია. და აი ისიც დაგმეს და მას ებრძვიან. რაც სამართლიანი იყო წინეთ, უსამართლობაა ამხნათ; რაც უმაღლეს ზნეობათ იყო მიჩნეული წინანდელ დროში, უზნეობაა ამჟამათ.

ეთიკის მტკიცე ფილოსოფიურ საფუძველზე დამყარება საბერძნეთის საქმეა, აყვავების ხანაში (მეხუთე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ) საბერძნეთსა და უმთავრესათ ათინის მოქალაქეთა კეთილდღეობა სავსებით დამოკიდებული იყო სახელმწიფოს ავლა-დიდებისაგან. სახელმწიფოს შემოსავალი აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ თვით მოქალაქეთ ურიგდებოდა. კერძო კეთილდღეობა საზოგადო კეთილდღეობას ითხოვდა!

ამ მდგომარეობის გამომხატველი იყო სოფისტების მოძღვრება. მოქალაქის ვალია, ქადაგობდენ ისინი, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მთელი თავისი ძალღონით სახელმწიფო ბედნიერება-განვითარებისათვის ხელის შეწყობა. რა ამოძრავებს კერძო მოქალაქეს? საითკენ მიილტვის ის? კმაყოფილებისაკენ, აცხადებს სოფისტი პროტაგორი.[1] ასეთი იყო მაშინდელი საზოგადოების ლტოლვილება! თვითკმაყოფილების საზომია კერძო პირთა გრძნობიერება. აი სოფისტების ეთიკური მოძღვრება, რომელიც საფუძვლათ დაედვა ბერძენთ ეთიკურ კვლევა-ძიებას შემდეგში.

[1] პროტაგორა (რედ.).

ამ დროს საბერძნეთში ფართოთ განვითარდა აღებ-მიცემობა. სპარსელებთან ომის შემდეგ ათინა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი შეიქმნა. სასტიკი ეკონომიური მეტოქეობა გაჩაღდა. საზოგადოების მცირე ნაწილი სწრაფათ გამდიდრდა, მეორე ნაწილი უფრო და უფრო დავალიანდა და გაღატაკდა. ამ გზით წარმოიშვა ლუმპენპროლეტართა ურიცხვი რაზმი. უკანასკნელთ მხოლოდ ერთი საკუთრება გააჩნდა – პოლიტიკური უფლება. ამით სარგებლობს გამდიდრებული არისტოკრატია, ის გაღატაკებული დემოკრატიის ხმას ყიდულობს, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი ეკონომიურ-პოლიტიკური ბატონობა. ასე ათინა უკან უკან მიექანება და მას დაცემა მოელის. საიდ არის ხსნა!

საზოგადოების ერთმა ნაწილმა ქვეყნის დამქცევათ დემოკრატია და თავისუფალი აზრები გამოაცხადა და მათ მქადაგებელთა და დამცველთ, სოფისტებს სასტიკი ომი აუტეხა. საზოგადოების ხსნას ის დაეძებს სარწმუნოების განმტკიცებაში. ეთიკაში ამ რეაქციონური სულის-კვეთების საუკეთესო გამომხატველი იყო ფილოსოფოსი პლატონი (ცხოვრობდა 428-27 – 348-47 წ.წ. ქრისტეს წინ).[1]

ყველა ადამიანი სიამოვნებისაკენ მიილტვის, გვასწავლის პლატონი. სიამოვნება კი ორნაირია: – სულიერი და ხორციელი. არა ხორციელი, არამედ სულიერი კმაყოფილება – აი უმაღლესი ბედნიერება. ამის მიღწევას წინ ეღობება არსებული გარე სამყარო – ეს ბოროტების სამეფო. ამიტომ ვისაც სურს ბედნიერება, მან ზურგი უნდა აქციოს ამ სამეფოს და დაუბრუნდეს სულს, უმაღლეს იდეა, ანუ ღვთაებას. მხოლოთ სულიერი მოსვენება და განთავისუფლება ხორციელ გრძნობათა, წარმოდგენათა მისწრაფებათაგან – აი ერთათ ერთი გზა, რომელსაც ბედნიერობის სამეფოში მივყევართ.

ამ მიზნისთვის საჭიროა მოქალაქეთა ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღზრდა-განვითარება, მარა ეს არ შეუძლია ათინის დემოკრატიას: ის იხრწნება. და აი, პლატონი უტოპიურ სისტემას ქმნის და ცდილობს მის განხორციელებას მეფეთა და

[1] უახლესი მონაცემებით 428-27-348-347წწ.

უპირველესათ სირაკუზის ტირანის დახმარებით. ის დემოკრატიას უარყოფს და თავის იდეალურ სახელმწიფოს არისტოკრატიულ საფუძველზე აშენებს. ახალ სახელმწიფოში სამი წოდებაა: 1) მმართველები, რომელნიც მთელ ქვეყანას განაგებენ. ასეთ მოვალეობას ის აკისრებს ფილოსოფოსებს; 2) მეომრები, რომელნიც სამეფოს იცავდენ და 3) ხელოსნები. მონები ძველებურათვე არსებობდენ და საზოგადოებას არჩენენ. მმართველ ფილოსოფოსთა ცხოვრება კომუნისტურ საფუძველზეა მოწყობილი: მათი ქონება საერთო კუთვნილებას შეადგენს და მათ ბავშვთა აღზრდა-განვითარებაც ერთათ წარმოებს.[1] ასეთია პლატონის ეთიკური სისტემა. სარწმუნოება და არისტოკრატიული კომუნიზმი — აი რა გზით ფიქრობს ის ათინის სახელმწიფოს ახალი სული შთაბეროს და ის გახრწნისაგან დაიხსნას.

პლატონსა და სხვა იდეალისტთა ცდა სახელმწიფო ახალ საფუძველზე ააგონ ან „ბედნიერი“ ძველი დრო დააბრუნონ, ამაო გამოდგა. საზოგადოების გამდიდრებული ნაწილი ფუფუნებაში ჩაეფლა და გარყვნილ ცხოვრებას შეუდგა. პროლეტართა, უკეთ ლუმპენ-პროლეტართა რაზმი სწრაფათ გაიზარდა და ცხოვრებას ფსკერში მოექცა. მისი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა. და აი ფილოსოფიის ერთმა შტომ პროლეტართა გულშემზარავი ყოფა-ცხოვრება იდეალურათ გამოაცხადა, გაჭირვება სათნოებათ აქცია და მთელ საზოგადოებას ლუმპენ-პროლეტარული მდგომარეობისაკენ უხმობდა. დღესაც ხომ გლეხი თავს ინუგეშებს თავისი აუტანელი მდგომარეობით: მას გაჭივრება ის ბეწვის ხიდი ჰგონია, რომელსაც საიქიოს, ბედნიერების სამეფოში მივყევართ!!

ეს ცინიკოსთა ფილოსოფიის საქმეა. ბუნების შესაფერი ცხოვრება — აი საითკენ მოუხმობს ის კაცობრიობას. მოთხოვნილებათა უარყოფა — აი ერთათ ერთი გზა ბედნირების მოსაპოებლათ. ცნობილია, ამ ფილოსოფიის მიმდევარი დიოგენი კასრში ცხოვრობდა, ტანთ ეცვა მხოლოთ მოსასხამი, ხელში ჯოხი ეჭირა და თან ჰქონდა ჩანთა და ჯამი. ასეთ მდგომარეობაში აქ ინახულა ის

[1] პლატონი. Der staat, შლეიერმახერის ნემეცური თარგმანი, მესამე თავი.

ალექსანდრე მაკედონელმა და მიმართა წინადადებით, მთხოვე რაც გსურსო. „მზეს ნუ მიჩრდილებო“ – უპასუხა განთქმულმა ფილოსოფოსმა.

ცინიკოსთა ფილოსოფია ცხოვრებას უკან უხმობდა და ამიტომ მას არ შეეძლო საზოგადოების ახალ საფუძველზე მოწყობა. საზოგადოება კვლავ უკან-უკან დაექანა. საზოგადო კეთილდღეობა დამარხეს და ყველგან კერძო ინტერესი გამეფდა, საზოგადოებრივი მისწრაფებათა მაგიერ ინდივიდუალიზმი გაბატონდა. ამიერიდან ეთიკა ორნაირ მიმდინარეობას ღებულობს. ერთი ინდივიდუალიზმს ეყრდნობა და მას ასაბუთებს. ეს ეპიკურეს სკოლაა. მეორე მას მტრობს და საზოგადოებრივ თვალსაზრისს ექომაგება, რომ ამ გზით საზოგადოება დაცემა-გახრწნისაგან დაიხსნას. ეს სტოიკური სკოლაა.

არა საზოგადოების, არამედ კერძო მოქალაქის ბედნიერება – აი რას ემსახურება ეპიკურეს (ცხოვრობდა 341-270 წლებში ქრისტეს დაბადების წინ) ეთიკა. ლტოლვილება კმაყოფილებისაკენ, ბრძოლა ტანჯვასთან და მისი თავიდან აცდენა – აი საბოლოო მიზანი ყოველივე პრაქტიკული მოქმედებისა.[1] ამის თანახმათ სიკეთეა ის, რაც პიროვნებას კმაყოფილებას უმზადებს, მის ბედნიერებას ხელს უწყობს, ბოროტია ის, რაც წინააღმდეგს წარმოშობს. მარა ხშირათ მოხდება, რომ ზოგი ადამიანი ბოროტისაკენ მიილტვის. სად უნდა ვეძიოთ ეპიკურეს აზრით ასეთი მოვლენის მიზეზი? „არსებობს კმაყოფილებისა და ბედნიერების სხვა და სხვა სახე. ბოროტება მაშინ წარმოსდგება, როცა ადამიანი კმაყოფილებისა და ბედნიერების დაბალ სახეს წინ აყენებს უფრო მაღალთან შედარების დროს – მაშასადამე, შეუგნებლობისა და ჭკუა-მოკლეობისაგან. ასე თანახმათ ეპიკურისა სულიერი დაკმაყოფილება უმჯობესია ფიზიკურზე, რადგან ის უფრო ხანგრძლივ გრძელდება და წმინდა კმაყოფილებას ამზადებს... სულიერი მოსვენება მას უმაღლესი ბედნიერება ჰგონია“.[2]

ასე, საზოგადოებრივი მისწრაფებანი სავსებით დამარხეს და

---

[1] ფრ. იოდლის ხსენებული თხზულება, I ტომი, 24 გვ.

[2] კ. კაუცკი. ეთიკა და მატერიალისტური გაგება ისტორიისა. ნემეცური გამოცემა, 3-4 გვ.

კერძო პიროვნების კმაყოფილება და მისი სულიერი მოსვენება ერთათ-ერთ ბედნიერებათ გამოაცხადეს.

ეს კიდევ უფრო აჩქარებდა საზოგადოების დაცემა-გახრწნას. ასეთი მოძღვრების წინააღმდეგ ხმა აიმაღლა სტოიკურმა ფილოსოფიამ. ადამიანი საზოგადოებრივი არსება არის და საერთო ბუნების ნაწილს შეადგენს. ამიტომ არაბუნებრივი ცხოვრება სასტიკათ დასაგმობია. „მისდიე ბუნებას! იცხოვრე ბუნებასთან თანახმათ!“ – აი უმაღლესი ეთიკა სტოიკური მოძღვრების მიხედვით. თავდაჭერა და ვნებათა დათრგუნვა – აი რა გვაძლევს სულიერ სიმშვიდეს. მოკლეთ, სტოიციზმმა დაგმო გაბატონებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება და მოქალაქეთ ზომიერება-თავდაჭერისაკენ უხმობდა.

ძველი ანუ ანტიური საზოგადოება სავსებით გაიხრწნა. ქალაქები ლუმპენ-პროლეტართა ურიცხვი ლაშქრით აივსო. ასეთი ხალხი ყველგან ბევრი იყო და სხვათა შორის ურიასტანში, ანუ პალესტინაში. აი ამ ლუმპენპროლეტართა შორის იშვა ახალი მოძღვრება – ქრისტიანობა. ურიასტანი ქრისტიანობის აკვანი შეიქნა.

რანაირია ქრისტიანული ზნეობა? ურიასტანში კლასთა ბრძოლა უკიდურესათ გამწვავდა. ხალხს მდიდრები – მღვდლები და ვაჭრები, შემდეგ გარეშე მტრებიც – რომაელები ავიწროებდენ. ქრისტიანობამ მდიდრებს ბრძოლა გამოუცხადა და პროლეტარებ – ჩაგრულთა და ტვირთ-მძიმეთ გამოესარჩლა. „ვითარცა იხილა იგი (მთავარი) იესო – მოგვითხრობს სახარება ლუკასი – რამეთუ შესწუხნა, ჰსთქვა, ვითარმე შინად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქვდეს საფასე. უადვილეს არს მანქანისა საბელი ხვრელსა ნემსისასა გასვლათ ვიდრე მდიდარი შესვლა სასუფეველსა ღრმთისასა“.[1] სამაგიეროთ ლუმპენპროლეტარებს მოელის ბედნიერება: „ნეტარ ხართ თქვენ, რომელნი გშიის აწ; რამეთუ გასძღეთ. ნეტარ ხართ, რომელნი სტირით; რამეთუ იცინოდეთ“.[2] მონური საზოგადოება პიროვნების დამორჩილებაზე აეგო. იესო საერთო სიყვარულს ქადაგობს. გიყვარდეს მოყვასი

[1] სახარება ლუკასი, 18 თავი, 24-25 მუხლები.

[2] იქვე, 6 თავი, 21 მუხლი.

თვისი ვითარცა თავი თვისი – აი რას მოითხოვს ის მოწაფეთაგან. ამით ნაზარეველმა დაგმო მონური ბორკილები და პიროვნების განთავისუფლებას გამოესარჩლა.

რანაირია ის ბედნიერება, რომელსაც ჰპირდება ქრისტიანობა ლუმპენპროლეტართ?

ლუმპენპროლეტარები მოკლებული იყვნენ ყოველივე ქონებას და წარმოების გარეშე იდგენ. თანაც იმ ხანათ წვრილი წარმოება ბატონობდა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო საწარმოვო საშვალებათა მთელი საზოგადოების ხელში გადასვლა. და აი პროლეტართა დასაცველათ ქრისტიანობა მოსახმარ ნივთთა კომუნიზმს აწესებს, ე.ი. საერთო ტრაპეზს, საერთო სადილ-ვახშამს და მდიდართაგან მოითხოვს მთელი თავისი ქონების ქრისტიანული თემის ხელში გადაცემას. „განჰყიდეთ მონაგებნი თქვენი და მიეცით ქველის-საქმე“,[1] ქადაგებს იესო ნაზარეველი. „ეგრეცა ყოველგანვე თქვენთაგანმა, რომელმან არა იჯმნას ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“.[2]

ტანჯული საზოგადოება აღტაცებით მიეგება იესო ნაზარეველის ქადაგებას, „და ყოველივე მორწმუნენი იყვნეს ერთბაშათ, და ქონდა ყოველივე ზომათ“,[3] მოგვითხრობს საქმე მოციქულთა.

ამ გზით ფიქრობდენ კლასთა წინააღმდეგობის მოსპობას, მდიდართა და ღარიბთა გათანასწორება-დაძმობილებას და ბედნიერების მიღწევას. ეს მოასწავებდა არსებული საზოგადოების დამხობას. და აი გაბატონებული კლასები – მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომაელები და მათი მომხრენი ამხედრდენ. პირველი ქრისტიანებიც საომრათ ირაზმებიან. „ცეცხლისა მოვედ მოფენათ ქვეყანასა ზედა – ქადაგებს იესო – და არა მნებავს, რათა აწვე აღეგზნას. ეგრე ჰგონებთ, ვითარმდე მშვიდობისა მოვედ მოფენად ქვეყანასა ზედა? არა, გეტყვით თქვენ, არამედ განყოფათ, რამეთუ იყვნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფით, სამნი ორთგან, და ორნი სამთგან. განყოფათ მამა ძისაგან

[1] იქვე, 21 თავი, 33 მუხლი.
[2] სახარება ლუკასი, 18 თავი, 24-25 მუხლები.
[3] საქმ. მოციქულთა, 2 თავი, 44 მუხლი.

და ძე მამისაგან; დედა ასულისაგან, და ასული დედისაგან; დედა-მთილი ძის ცოლისაგან მისისა, და სძალი დედამთილისაგან“.[1]

სახარება მათესი გადმოგვცემს: „ნუ ჰგონებთ – ამბობს იესო – ვითრმედ მოვედ მე მოფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ – მახვილისა“.[2] და აი ორი მოპირდაპირე ძალა – ახალი და ძველი, ერთი მეორეს დაეჯახა. ბრძოლაში მუდამ ძლიერი იმარჯვებს. იესო ნაზარეველი ძლიერი იყო თვისი იდეით, მარა მახვილში ძლიერი გამოდგა გაბატონებული საზოგადოება. იესო ჯვარს აცვეს, მისი იდეა კი ფართოთ გავრცელდა ქვეყნის კიდიდან კიდემდე: ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი ასობით და ათასობით უერთდებოდენ ქრისტიანულ თემს. დროთა ვითარებაში უკანასკნელმა დაჰკარგა თვისი პირვანდელი სახე. თემში მრავალი მდიდარი შევიდა და ამით მას ნელ-ნელა კომუნისტური სული გამოაცალეს. მალე მას თვით გაბატონებული საზოგადოება დაეპატრონა. დღეს ქრისტიანული ეკლესია ყველგან გაბატონებულ კლასთა იარაღია.

რას წარმოადგენს მაჰმადიანური ეთიკა? მაჰმადიანობის აკვანია არაბეთი – ეს მეჯოგეობის ქვეყანაა. დღესაც იქ ხალხის დიდი უმრავლესობა მეჯოგეობით ირჩენს თავს. ჯოგი ერთი ადგილიდან მეორეში გადადის და საძოვარ ადგილს დაეძებს. მას ძალა უნებურათ მეჯოგეც უკან მიჰყვება და ამიტომ უკანასკნელი მუდმივ ადგილს ბინადრობის მოკლებულია. ის ყოველ ჟამს მზათაა თავისი სარჩო საბადებელი სამუშაო საქონელს ზურგზე აჰკიდოს და უფრო შორეულ ადგილს გაემგზავროს. ამ აყრა-გადასახლების დროს ყველას მიჩენილი აქვს თავისი ადგილი და მთელი რაზმი მხედრულათ შეკავშირებულია. მართლაც, მეჯოგე იძულებულია ახალი საძოვარი ადგილები დაიპყროს და თან მას ყოველ მხრივ თავდასხმა მოელის: ყველას სურს მის ჯოგს დაეპატრონოს და ამ გზით გამდიდრდეს. ამიტომ მეჯოგეობა მუდმივი შეიარაღებისა და ომის დასაბამია.[3]

---

[1] სახარება ლუკასი, 12 თავი, 49-53 მუხლი.

[2] სახარება მათესი, 10 თავი, 34 მუხლი.

[3] ფრ. რატცელი. Die Frde u. Leben. მეორე ტომი 656-7 გვ. და მისივე: Uôlkerkunde, მეორე ტომი, 100.

აი ამ მეჯოგე ტომთა შორის არაბეთში, მე-7-ე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ, იშვა მაჰმადიანობა. მაჰმადი მეჯოგე ტომთა – ნომადთა მისწრაფებათ გამოხატავდა და მათ მოქმედებას ალლაჰის სახელით ადასტურებდა. იდეოლოგია ნიშნავს პრაქტიკის თეორიულათ დასაბუთებას!

ყური დავუგდოთ მაჰმადიანთა სახარებას – ყურანს.[1] აი მერვე თავის ღირს-შესანიშნავი მუხლები:

„40. ებრძოლეთ მათ (ურწმუნოთ) – ქადაგებს მაჰმადი – სანამ არ მოსპობილა ყოველივე სამოქალაქო ომი და სანამ ყველამ არ ირწმუნა ალლაჰი. გადაუდგებით მას, იცოდეთ, ალლაჰი ხედავს თქვენ საქმეს.

47. მორწმუნენო! ოდეს აღჭურვილი ჯარის პირის-პირ იქმნებოდეთ, შეურყეველ იქმენით, და უფლის სახელი განუწყვეტლივ განიმეორეთ. კურთხეულ იქმნეთ!

48. უსმინეთ ალლაჰს და მის მოციქულს და ნუ ებრძვით ერთი მეორეს, რომ არ შეიქმნეთ სულ-მოკლე და არ დაღუპოთ გამარჯვება. იყავით მედგარი; იცოდეთ, ალლაჰი მედგართ ემხრობა!

58. თუ მათთან (ურწმუნოებთან) კავშირი შეჰკრათ, ის მუდამ დაარღვიე და ნუ გეშინიათ ღვთისა.

60. თუ რომელსამე თემს ღალატობა შეატყო, მიუზღევი მას შესაფერი. ალლაჰს არ უყვარს მოღალატენი.

66. წინასწარმეტყველო! ააღფრთოვანე საბრძოლველათ მორწმუნენი; თუ თქვენ შორის არის ოცი მედგარი, ისინი დასძლევენ ორასსა და თუ ასია, ისინი დასძლევენ ათასს ურჯულოს, რადგან ურჯულოთ არაფერი გაეგებათ.

68. წინასწარმეტყველს არასოდეს არ მინიჭებია ტყვეთა წაყვანა ისე, რომ ქვეყანაზე დიდ კაცთა კვლა არ ყოფილიყო. თქვენ გსურთ სიკეთე ამა ქვეყნისა, ხოლო ღმერთს ნებავს საიმქვეყნიო ბედნიერება მოგანიჭოს. შემძლებელი და ბრძენია.

---

[1] ჩვენ ვსარგებლობთ მაქს პენიგის გერმანული თარგმანით (რეკლამის გამოცემა) და ქართული თარგმანით („შრომის“ გამოცემა), უკანასკნელი გერმანულ თარგმანს ბევრში არ ეთანხმება.

70. თავი ისაზრდოეთ ქონებით, რომელიც მტერს (ომში) წაართვით, რომელიც ნებადართულია და კარგი, და უფლის გეშინოდეთ. მოწყალე და შემწყნარებელია.

73. მორწმუნენი, რომელიც გადასახლდენ და ალლაჰის გზით იბრძოდენ თავიანთი ქონებისა და თავისთვის და წინასწარმეტყველს თავშესაფარი მისცეს და საქმეში დაეხმარენ, ისინი მიჩნეული უნდა იქმნენ ერთი მეორის ნათესავებათ. მათთან კი, ვინც ირწმუნა, მარა არ გადასახლდა, ნათესაური კავშირი არ უნდა გააბათ, სანამ ისინი არ გადასახლებულან...[1]

74. ურჯულოები ერთმანეთს შემწეობას აძლევენ, თუ იმნაირათვე არ მოიქეცით, შესაძლებელია უწესოებამ და დიდმა უბედურებამ შეიპყრას ქვეყანა.

75. მორწმუნენი, რომელნიც გადასახლდენ და ალლაჰის საქმისათვის იბრძოდენ, ვინც წინასწარმეტყველს თავშესაფარი მისცეს და დაეხმარენ, მართლმორწმუნენი არიან მიტევება უფლისაგან და უხვათ სიკეთე მოენიჭებათ სამართლისაებრ.

76. ვინც ირწმუნა და შემდეგ გადასახლდა და თქვენთან ერთათ ღვთის გზაზე იბრძოდა, თქვენი საზოგადოების მონაწილეა...

აყრა-გადასახლება ახალი ქვეყნის დაპყრობა და ნადავლით გამდიდრება – აი საითკენ მიილტვოდენ მეჯოგე ტომები. ეს მოითხოვდა მუდმივ შეიარაღებას, მტერთან თავდადებულათ და მედგრათ ბრძოლას და მოღალატეთა სასტიკ ალაგმვას. ეს ლტოლვილება მაჰმადმა ზნეობრივ კანონათ გამოაცხადა და ის ალლაჰის სახელით დააკანონა. რომ ხალხი უფრო აღაფრთოვანოს მან თავის ზნეობას საფუძვლათ დაუდვა ისლამის სხვა და სხვა ერთა შორის გავრცელება. ამიერიდან ყველა მუსულმანი თავის სარწმუნოებას ქვეყნის კიდიდან კიდემდე ცეცხლითა და მახვილით ავრცელებს. აი უმაღლესი ეთიკა მაჰმადის შეხედულებით.

საშუალო საუკუნოები ბატონყმობის ხანაა. ქრისტიანობა ქადაგებს: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდეთ მოყვასთა თქვენთა“.[2] მარა ამას უარყოფს გაბატონებული ფეოდალუ-

[1] ხაზ-გასმული აქაც და ქვევითაც ჩვენია (ავტორი).

[2] სახარება მათესი, 5 თავი, 44 მუხლი.

რი წარმოება: ის გლეხთა დამორჩილებას მოითხოვს. წარმოება საფუძველია, ეთიკა მხოლოთ ზედნაშენია. და აი პირვანდელი ქრისტიანული ეთიკა დამარცხდა და მან ახალი ვითარება ზნეობის სახელით მონათლა. სამართლიანია ყველა ის, რაც გაბატონებული კლასის ინტერესს ემსახურება. და აი ყმათათვის ახალ-ახალი ხარკისა და ბეგარის დაკისრება, მათი ძაღლებზე გაცვლა-გამოცვლა და ან ისე გაყიდვა, ხუნდებში ჩაჭედვა და გაშოლტვა-გაციმბირება, ეს ყველაფერი ქრისტიანულ მოქმედებათ გამოაცხადეს! სამაგიეროთ არა კანონიერია ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს ყმათა აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქებას. ყმები შეერთდენ და თავადს აუჯანყდენ – ეს ქრისტიანობის დაქცევათ იცნეს. ყმამ ხარკის გადახდა აღარ ისურვა – ეს ხომ ღვთიური კანონის შელახვა არის! ეს კიდევ ცოტაა. თვით პირველი ღამის უფლება დაა-კანონეს და ფეოდალთა გარყვნილება სათნოებათ გამოაცხადეს. ზნეობა მუდამ წარმოებას ემორჩილება.

ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზია ამხედრდა. რას წარმოადგენს ბურჟუაზიული ეთიკა?

ფეოდალური წარმოება დამორჩილებული გლეხის ანუ ყმის საქმეა. ამიტომაც ფეოდალურ ზნეობას ორნაირი მხარე აქვს: ერთი მხრივ ის ყმას ეხება და მას თრგუნავს: მეორე მხრივ, ის სამართლიანათ ცნობს საერო და სასულიერო ფეოდალთა უპირატესობა-პრივილეგიებს. ბურჟუაზიულ წარმოებას თავისუფალი მუშა ეწევა. საზოგადოების უფლებრივათ გათანასწორება – აი რას მოითხოვს ბურჟუაზიული წარმოების განვითარება ბურჟუაზიის ასეთი ლტოლვილება ეთიკურათ სახელ-განთქმულმა ფილოსოფოსმა კანტმა დაასაბუთა. „მოიქეცით ისე, რომ პრინციპი შენი ნებისა[1] მუდამ გამოდგეს საყოველთო კანონმდებლობათ“[2] – ქადაგობს კანტი. „საყოველთო კანონმდებლობა“ ანუ მოქალაქეთა თანასწორობა – აი უმაღლესი ზნეობა კანტის თანახმათ.

ეს მოასწავებდა პიროვნების განთავისუფლებას და ბატონ-ყმური ბორკილების დამსხვრევას. ფეოდალის ხელში ყმა დაახლო-

---

[1] ე.ი. მოქმედებისა. ნ. რ.

[2] კანტი Kritik დ. პრაკტისცჰენ Uernunft, რეკლამის გამოცემა. 36 გვ. არის რუსული თარგმანი: Критика практическаго разума.

ებით ისეთივე საშუალება იყო, როგორც ხარი, ცხენი, აქლემი და სხვა სამუშაო საქონელი, ბურჟუაზიული წარმოება მოითხოვდა ამის მოსპობას. და კანტიც აცხადებს: „მოიქეცი ისე, რომ როგორც შენს პიროვნებაში, ისე ყველა ადამიანის პიროვნებაში კაცობრიობას ისახავდე მიზნათ, საშვალებათ კი – დროს“.[1] და ეს იმიტომ, რომ „მხოლოთ ადამიანი და მასთან ერთათ ყოველივე შეგნებული არსება მიზანია თავისთავათაც“.[2]

მოკლეთ, კანტმა დაგმო პიროვნების დამორჩილება და თავისუფლებას გამოესარჩლა; მან უარჰყო ფეოდალური ზნეობა და ეთიკურ პრინციპათ ბურჟუაზიული მისწრაფებანი გამოაცხადა. ფეოდალიზმი დაეცა და ცხოვრებას სათავეში ბურჟუაზია მოექცა. ნაცვლათ ძმობა-ერთობა-თანასწორობისა კაპიტალის ბატონობა განმტკიცდა. ეს საშინელი მეტოქეობის სამეფოა, ეს საყოველთაო შეხლა-შემოხლის ხანაა. ამ საერთო შეტაკებაში მუდამ ძლიერი იმარჯვებს. ძლიერია ის, ვისაც ვაჭრობა-მრეწველობით, ან ბირჟაზე სპეკულიაციით დიდძალი ფული შეუძენია. ვისაც მემკვიდრეობით მილიონ-მილიარდები დარჩენია. ის ეკონომიურ ბრძოლაში სუსტს ამარცხებს და დღითი-დღე უფრო და უფრო მდიდრდება. მსხვილი წარმოება ვითარდება და ძლიერდება, წვრილი წარმოება კი უკან-უკან მიექანება და ეცემა. ამ გზით კაპიტალისტური საზოგადოება ორ მთავარ ნაწილად დაიყო. ერთ მხარეზეა ერთი მუჭა კაპიტალისტები და მათი ამყოლ-დამყოლნი, მეორე მხარეზეა ხალხის დიდი უმრავლესობა – მშრომელი ხალხი, დემოკრატია. ეკონომიური სხვადასხვაობა იდეოლოგიურ სხვადასხვაობის საფუძველია და აი, ეთიკამაც ორნაირი სახე მიიღო. ბურჟუაზიის ბატონობას საუკეთესოთ გამოხატავს სახელ-განთქმული ფილოსოფოსი ფრიდრიჰ ნიცშე თავის ცნობილ თხზულებაში: „ასე ამბობდა ზარატუსტრა“.

ორნაირი ხალხია ამ ქვეყნათ – ქადაგებს ფრ. ნიცშე „უკანასკნელი ადამიანები“ ანუ დემოკრატია და არისტოკრატია, რომლისგანაც ზეკაცი წარმოიშობა.

---

[1] მისივე. Grundlegung d. Metaphisik d. Sitten რეკლამის გამოცემა. 65 გვ. ხაზგასმული აქაც და ქვეითაც ავტორისაა.

[2] მისივე, პირველათ ნახსენები თხზულება (Критика практическаго разума). 106 გვ.

რა სურს „უკანასკნელ ადამიანს“?

„ჩვენ მივაღწიეთ ბედნიერებას – ამბობენ უკანასკნელი ადამიანები. ამიერიდან არ იქნებიან არც ღარიბები და არც მდიდრები; ერთიც და მეორეც თავის მტვრევას მოითხოვს. ან კი ვინ ისურვებდა მართვა-გამგეობას? ვინ ისურვებდა დამორჩილებას? ერთიც და მეორეც თავის მტვრევას მოითხოვს. არ არსებობს მწყემსი, არამედ მარტო ჯოგი! ყველა ეტრფის თანასწორობას, ყველა თანასწორია. ვინც სხვანაირათ გრძნობს, თავისი სურვილებისამებრ საგიჟეთში მიემართება“.

რამ შეაშფოთა ნიცშე?

„ჯოგი“ ანუ დემოკრატია ინდივიდიუალურ, თავისებურობას სპობს – ამბობს ის – და თანასწორობას მოითხოვს. ის სუსტია და მას ფეხქვეშ ჯეკნიან: ამიტომაც ის ღირსია უკიდურესი ზიზღისა. ყველა სუსტი ადამიანი სხვისი იარაღია, ხოლო ნიცშეს იდეალია უძლიერესი პიროვნება ანუ ზეკაცი. და აი მან „ჯოგურ“ ზნეობას ბრძოლა გამოუცხადა და მის განადგურებას ლამობს. მოკლეთ, თანასწორობა – ეს მთავარი მიზანი დემოკრატიული მოძრაობისა – აი რა ღუპავს ნიცშეს აზრით კაცობრიობას, აი რა მიაქანებს მსოფლიოს უფსკრულისაკენ. ნიცშემ ზურგი შეაქცია სუსტ კლასს – მშრომელ ხალხს და მის მისწრაფებათ დასცინის.

სულ სხვაა არისტიკრატია. ის ძლიერია და ამიტომაც ღირსია საყოველთაო პატივისცემის, მას მთელი სამყარო ემორჩილება. არისტოკრატია – აი ვინ უწყობს ხელს ადამიანის წინსვლა-განვითარებას: მისგან ზეკაცი წარმოიშობა. რას წარმოადგენს ზეკაცი? ეს ის პიროვნებაა, რომელსაც კაცობრიობის განვითარების მაღალ საფეხურზე მივიღებთ; ეს ის არსებაა, რომელიც ადამიანის ადგილს დაიჭერს. „საზიზღარი ბრბო“, „უკანასკნელი ადამიანები“ ამ ზეკაცის გზა და ხიდია. მათი მოსპობა, მათი ძვლები – ეს ის ქვაფენილია, რომლითაც ზეკაცი ქვეყანას მოევლინება. უმრავლესობის ტანჯვა-წვალება – აი საფუძველი ზეკაცის წარმოშობისა, აი რას მივყევართ აღთქმული ქვეყნის კარებში. ასეთია ნიცშეს მოძღვრება. ბურჟუაზიული ვითარება, კლასთა დამონება მან უმაღლეს ზნეობათ გამოაცხადა.

ამის წინააღმდეგ მუშათა კლასი ილაშქრებს.

„იმ დროიდანვე რაც წამოაყენეს ბურჟუაზიული მოთხოვნილება პრივილეგიების მოსპობის შესახებ, მისი გვერდით დგება პროლეტარული მოთხოვნილება თვით კლასთა მოსპობის შესახებ – თავდაპირველათ სარწმუნოებრივ ფორმაში გამოხვეულ პირველყოფილ ქრისტიანობასთან მიკედლებით, შემდეგ კი დაყრდნობილი ბურჟუაზიულ მცნებაზე თანასწორობის შესახებ. პროლეტარები ბურჟუაზიას სიტყვაში იჭერენ: თავისუფლება უნდა იყოს არა მხოლოთ მოჩვენებითი, არა მხოლოთ პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ – ის დანამდვილებით უნდა გატარდეს საზოგადოებრივ-ეკონომიურ სარბიელზედაც. უფრო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ დიდი რევოლიუციის შემდეგ პირველ რიგში წამოაყენა მოქალაქობრივი თანასწორობა, საფრანგეთის პროლეტარიატი სიტყვა-სიტყვით უპასუხებდა სოციალური, ეკონომიური თანასწორობის მოთხოვნილებით, და თანასწორობა შეიქნა საფრანგეთის პროლეტარიატის საბრძოლველი ამოძახილი... პროლეტარული თანასწორობის მოთხოვნილების ნამდვილი შინაარსია კლასთა მოსპობა, თანასწორობის ყოველივე მოთხოვნილება, რომელიც უფრო შორს მიდის, აუცილებლათ სისულელეთ გადიქცევა“.[1]

ეთიკა კლასიურ ხასიათს ღებულობს. და ეს იმიტომ, რომ „ადამიანები თავიანთ ზნეობრივ შეხედულებას საბოლოოდ ქმნიან, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მათი პრაქტიკული საქმიანობისგან, რომელიც მათი კლასიური მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენს – მათი ეკონომიური ვითარებიდან, რომელშიაც ისინი აწარმოებდენ და ცვლიან... როგორც საზოგადოება მოძრაობდა აქამდის კლასიურ წინააღდეგობათა ფარგლებში, აგრეთვე ზნეობაც მუდამ კლასიური იყო; ის ან ამართლებდა გაბატონებული კლასის ბატონობასა და ინტერესს, ან და ის გამოხატავდა დამორჩილებულთა აღშფოთებას დამმორჩილებელთა ბატონობის წინააღმდეგ და მომავლის ინტერესთა სასარგებლოთ“.[2]

ყოველივე კლასსა და ხანას საკუთარი ზნეობა ახასიათებს.

---

[1] ფრ. ენგელსი. Анти-Дюрингъ, 132-3 გვ. საზგასმული ავტორისაა.

[2] ფრ. ენგელსი. „ანტი-დიურინგის“ გერმანული გამოცემა, 89-90 გვ.

4. ფილოსოფია

„უფრო მაღალი იდეოლოგია, ე.ი. ისეთი, რომელიც უფრო დაშორებულია ეკონომიურ საფუძველთან, იღებს ფილოსოფიისა და სარწმუნოების ფორმას“ – ამბობს ფ. ენგელსი. „აქ უფრო დაბნეულია წარმოდგენათა კავშირი ადამიანური ცხოვრების ნივთიერ პირობებთან, ის უფრო დაბნელებულია მოსაშუალე რგოლებით, მარა ეს კავშირი მაინც არსებობს“.[1] ამას ახლავე დავინახავთ.

ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა სამყაროს შესწავლას. რანაირია მისი მსოფლ-მხედველობა?

დასავლეთ აფრიკაში სინგას დედოფალი უპასუხებს მისიონერს, ქვეყანა ჩემმა წინაპრებმა შექმნესო. გვინეას ნეგრებს სწამდათ, რომ ადამიანი დიდი შავი ობობისაგან წარმოსდგა.[2] აბიპონები ამბობენ: ჩვენმა წინაპრებმა გამოიკვლიეს მხოლოდ დედამიწის ზედაპირი, რომელიც მათ და მათ ცხენებს საუკეთესო ბალახს და მეტათ სუფთა წყალს აძლევდა. ისინი თავს არ იწუხებდენ იმაზე, თუ რა მოხდა ზეცაში და არც ცდილობდენ გამოეკვლიათ, ვინ არის ვარსკლავთა შემოქმედი და მბრძანებელი.[3] აბიპონები მეჯოგე ტომია. ამით აიხსნება მათი მსოფლ-მხედველობა. მდგომარეობა შეგნებას განსაზღვრავს.

არსებითათ ამავე ნიადაგზე იდგა ბერძნული მითოლოგია. მან ქვეყნის მპყრობელათ ზევესი გამოაცხადა, რომელიც „იყო, არის და იქნება“, რომელიც დასაბამია ყველა საგნისა და ბატონობს ყველა მომაკვდავსა და უკვდავზეც.

ასეთი პრიმიტიული აზროვნების წინააღმდეგ გაილაშქრა ფილოსოფიამ. მისი აკვანია ძველი საბერძნეთი.

პირველათ ის განვითარდა იონიელთა კოლონიებში, მცირე აზიის სანაპიროს ქვეყნებში. აქ ვაჭრობა-აღებ-მიცემობა აყვავდა და მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქი დაარსდა. ეფესისა და მილეტის მცხოვრებნი სავაჭრო და პოლიტიკური მიზნით სხვა და სხვა

---

[1] ფრ. ენგელსი. Людвигъ Фейербахъ. 74-5 გვ.

[2] ჯ. ლებოკი. Entstehung d. Civilisation (Происхождение цивилизации). ინგლისურიდან გერმანულად ნათარგმნი პასოვის მიერ. 320 გვ.

[3] იქვე. 318 გვ.

ქვეყნებში მოგზაურობდენ, უცხო ზნე-ჩვეულებათა და აზრებს ეცნობოდენ და უკან დაბრუნებისას თანამემამულეთ უზიარებ-დენ. ამიტომაც მცირე აზიის ახალშენებში ადრე განვითარდა თავისუფალ-მოაზრე არისტოკრატია, ასევე ადრე აყვავდენ დორიელთა ახალშენები სიცილიაში და სამხრეთ იტალიაში. აი, ამ მდიდარ, არისტოკრატიულ წრეებში ფეხი მოიდგა განათლებულმა და თავისუფალმა მსოფლმხედველობამ და აღმოცენდა ფილოსოფია.[1]

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჭრობა-აღებ-მიცემობამ ხელი შეუწყო გეოგრაფიის განვითარებას. ბერძენთა განათლებული პირები უფრო შორს მიდიან და ცდილობდენ მსოფლიოს უპირველესი მიზეზის ახსნა-გარკვევას და ამ გზით მითოლოგიის დამხობას. თავდაპირველათ ფილოსოფია ბუნებისმეტყველება იყო და პირიქით.

რა არის სამყარო? სად უნდა ვეძიოთ ბუნებრივ მოვლენათა უპირველესი მიზეზი? აი ეს იყო ფილოსოფიის საგანი იმ ხანათ.

ამ საკითხის გარკვევა პირველათ იკისრა თალესმა მილეტიდან (ცხოვრობდა დაახლოებით 624-548 წწ. ქრისტეს წინ). ის უგანათლებულესი პირი იყო იმ დროში. მან ბევრი ქვეყანა შემოიარა და სხვა და სხვა აზრსა და მიმართულებას გაეცნო. ამ პირობებში შეუდგა ის მსოფლიო საკითხების ახსნა-გარკვევას. „პრტყელი და მრგვალი დედამიწის წრე – ასწავლის ის – დაუყრდნობლათ ჩამოკიდებულია უზარმაზარი ჩაზნექილი ბურთის შუაგულში, რომლის შინაგან ზედაპირზე მიმაგრებული არიან ვარსკვლავები“.[2] მარა როგორ წარმოიშვა თვით მსოფლიო?

„ყოველი საგნის პირვანდელი მიზეზი წყალია. ყველაფერი წყლისაგან წარმოსდგა და წყალსვე უბრუნდება“ – ამბობს ის.

ანაქსიმანდრი, აგრეთვე მილეტის მცხოვრები, შეუდგა თალესის შეხედულების განვითარებას. პირვანდელი მიზეზი „უსაზღვრო, მუდმივი და აუხსნელია“ და მუდმივ მოძრაობას განიცდის. ორგანიზმები წარმოსდგენ ტალახისაგან მზის გავლენით. ასეთია

---

[1] ფრიდრიჰ ლანგე, Geschichte d. Materialismus (Исторія матеріализма), Reclamsansgabe, I ტომი, 29 გვ.

[2] ზიგმუნდ გიუნტერი. Ceshishte d. Naturwissenschaften. 17 გვ.

მისი მოძღვრება. ანაქსიმენმა, ანაქსიმანდრის მოწაფემ, ყოველ შემთხვევაში მისმა ამხანაგმა, უარჰყო თალესის შეხედულება და პირვანდელ მიზეზათ წყლის ნაცვლათ ჰაერი გამოაცხადა. მოკლეთ, იონიელთა ფილოსოფია დაეყრდნო პრიმიტიულ მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობას და ასე იკვლევდა სამყაროს.

რანაირია ფილოსოფიის შემდეგი განვითარება? მთელი იდეოლოგიისა და მით ფილოსოფიის საფუძველს შეადგენს წარმოება და მასზე აგებული სოციალ-პოლიტიკური წყობილება. მარა იდეოლოგიის ყველა შტო დამოუკიდებლობისაკენ მიილტვის. მით უფრო ფილოსოფია. რამოდენიმეთ ის ამას კიდევაც აღწევს. „ერთი ფილოსოფიური სისტემა მეორეს წარმოშობს, ერთი ფილოსოფიური შეხედულება დასაბამს აძლევს მეორეს და ასე ბოლომდის. სოკრატის ფილოსოფია საფუძვლათ დაედვა პლატონის ფილოსოფიურ მოძღვრებას; უკანასკნელი თავისი მხრივ არისტოტელის შეხედულებათა დასაბამია. მარა ფილოსოფია მაინც მუდამ „იმყოფება ეკონომიურ განვითარების ძლიერი გავლენის ქვეშ“.[1]

მართლაც ფილოსოფიის მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რაც საზოგადოების ინტერესია. ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა მას ყველა საჭირო მასალას უმზადებს. უამისოთ თვით გენიოსიც სუსტია რითიმე თავისი შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინოს.

ფილოსოფიის მთელი ისტორია ნათლათ ამტკიცებს ასეთ შეხედულებას.

მეექვსე საუკუნის დასასრული საბერძნეთში უდიდესი ეკონომიური რევოლიუციის დასაწყისია. ეს რევოლიუცია თავდაპირველათ მცირე აზიის ახალშენებში დაიწყო. აღებ-მიცემობის სწრაფმა განვითარებამ გაანადგურა პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობა. აქ ცხოვრება დუღს და გადადუღს, ყველაფერი წუთიდან წუთში იცვლება. ის რაც გუშინ იყო, დღეს უკვე მოისპო; იმას რაც დღეს არსებობს, ხვალ სიკვდილი მოელის. ასეთი იყო მდგომარეობა.

---

[1] ფრ. ენგელსი. წერილი Leipziger Uolkszeitung-ში, 1895 წ. N 250.

ის რაც ეკონომიაში წარმოებს, ჰერაკლიტმა (ცხოვრობდა მეხუთე საუკუნის დასაწყისში) ქ. ეფესოდან ფილოსოფიაში გადაიტანა. ელეატები ამბობდენ: არსებობს ერთი და მრავალი, ცდა კი მათ შესაერთებლათ ფუჭი ოცნებაა. ჰერაკლიტმა თვით ასეთი დებულება ოცნებათ გამოაცხადა. ყველაფერი არსებობს და არც არსებობს, ამბობს ის, ვინაიდან მუდმივ ცვლილებას განიცდის. ერთისაგან მრავალი წარმოიშობა, მრავალი ერთის დასაბამია.

ასეთი შეხედულება შემდეგში გამოჩენილმა იდეალისტმა ჰეგელმა საფუძვლათ დაუდვა თავის დიალექტიკას.

საბერძნეთის აყვავების ხანაა მეხუთე საუკუნე ქრისტეს წინ, სპარსელებთან ომიდან (492-479 წ.) მოკიდებული პელოპონესის ომამდე (431-404 წ.). სხვანაირათ მას ეწოდება განათლებისა, ანუ პერიკლის ხანა. ბერძნებმა მოიგერიეს სპარსელთა შემოსევა და შემდეგ ომი გამოუცხადეს მათ ბატონობას დასავლეთ აზიაში. მერე ვინ იკისრა ეს დიადი როლი? არა მიწასთან მიმაგრებულმა გლეხებმა, არამედ მოძრავმა მეზღვაურებმა. ბერძნებმა უაღრესათ განავითარეს ნავოსნობა და ამის მეოხებით ბოლო მოუღეს სპარსეთის დესპოტიის ბატონობას მცირე აზიაში. საბერძნეთი მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი შეიქნა. ნავოსნობაში საბერძნეთის სახელმწიფოთა შორის პირველი იყო ათინა. და აი, მან იკისრა სპარსელებთან ომში მეთაურობა ანუ ჰეგემონია. ამიტომ უპირველესათ ათინამ ისარგებლა ამ გამარჯვებით: ის შეუდგა ეგეოსის, იონიისა და შავი ზღვების განაპირა ადგილებში მდებარე კუნძულების გაძარცვას. დაპყრობილ კუნძულებსა და განაპირა ადგილებს დააკისრეს გადასახადი და თან ხელში ჩაიგდეს მთელი საბერძნეთის ვაჭრობა-აღებ-მიცემობა. ასე, ათინა სწრაფათ გამდიდრდა. ამან გამოიწვია გამოუთქმელი ეკონომიური განვითარება, რის შემდეგ იყო ხელოვნებათა და მეცნიერებათა აყვავება.

ამას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ: ათინის ეკონომიური განვითარება, ეკონომიური რევოლიუცია სწრაფი და პირდაპირი გამოდგა, ეს კი საუკეთესო ნიადაგია აზრისა და ფანტაზიის, ფილოსოფიისა და ხელოვნების განვითარება-აყვავებისთვის.

თანაც ათინა დემოკრატიული სახელმწიფო იყო და ეკონომიური განვითარებით მთელი დემოკრატია სარგებლობდა. ამით უკა-

ნასკნელი მონაწილეობას იღებდა სულიერ აყვავებაში და მას შესაფერ ხასიათს აძლევდა: თუ მოაზრე და მხატვარი ქმნის მუშტარს, კიდევ უფრო უკანასკნელი ქმნის მოაზრეთა და მხატვრებს.[1]

ამ გზით ბერძენთა კულტურის და კერძოთ ფილოსოფიის მეთაურობა ათინის ხელში გადავიდა. აქ იყრიდენ თავს საბერძნეთის ყველა კუთხიდან გამოჩენილი ფილოსოფოსები. თანაც შეიცვალა ფილოსოფიის შინაარსი და მიმართულება.

სწრაფი ეკონომიური განვითარებით კლასთა სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. დემოკრატიული წყობილება საუკეთესო ნიადაგია კლასიური ბრძოლის უკიდურესათ გამწვავებისთვის! აქამდის საზოგადოების მოწინავე ნაწილის ყურადღება მიპყრობილი იყო საბუნებისმეტყველო, კოსმოლოგიური საკითხებისკენ. ფილოსოფიაც მათ ახსნა-განმარტებას ემსახურებოდა. ამიერიდან ყველა მოქალაქეთა უმთავრესი მიზანია სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის თავის ინტერესებისათვის გამოყენება. ასე შეიცვალა საზოგადოების მიდრეკილება და მით — ფილოსოფიის საგანიც. ფილოსოფიაში ახალი ხანა იწყება. ის უმთავრესათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხთა გარკვევას ემსახურება.

ასეთი იყო სოფისტთა ფილოსოფია. სხვა და სხვა ცოდნათა ხალხის ფართო წრეებში გავრცელება-პოპულიარიზაცია — აი რა იყო საჭირო. ათინაში სახელმწიფო ძალაუფლებას დემოკრატია დაეპატრონა და ხალხის სვე ბედს თვით ხალხი სჭედდა. ასეთ პირობებში მჭერმეტყველობა და სახელმწიფო საკითხთა ცოდნა ფრიად მნიშვნელოვანი შეიქნა. აქ კი არ არსებობდა არავითარი უმაღლესი სასწავლებელი, მზგავსათ ჩვენებური უნივერსიტეტებისა, საჭირო იყო კერძო ინიციატივა. და ეს სოფისტებმა იკისრეს. ისინი ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდენ, ხალხს დემოკრატიული წყობილების მნიშვნელობას უხსნიდენ, მჭერმეტყველობას ასწავლიდენ და სხვა და სხვა ცრუ-მორწმუნოებათ ებრძოდენ.[2]

რანაირია მათი მოძღვრება?

ეკონომიურმა რევოლიუციამ გამოიწვია რევოლიუცია აზროვნებაში. ძლიერი ეკონომიური ცხოვრება დაემხო და თან ძველი

---

[1] კ. კაუცკი, კამათი ბელფორტ-ბაქსთან.

[2] ფრიდრიჰ იოდლი, Geschichte d. Ethlik. მეორე გამოცემა, Stuttgart U. Berlin. 10 გვ.

იდეოლოგიაც გაიყოლია. ძველი კერპები დაიმსხვრა! ნაცვლათ მტკიცე რწმენისა ყველგან იჭვი და უარყოფა გამეფდა, ღმერთების მაგიერ უმაღლესი ავტორიტეტი ადამიანის გონება შეიქნა, ჭეშმარიტია მხოლოთ ის, რასაც გონება ამტკიცებს; ფანტაზიაა ყველა, ის, რაც არ მართლდება გონებრივი აწონ-დაწონით, სარწმუნოებრივ შეხედულებას ნიადაგი გამოეცალა და მისი ადგილი დაიჭირა კრიტიკულ-რაციონალურმა მსოფლ-მხედველობამ.

ასეთ საზოგადოებრივ სულისკვეთებას გამოხატავდა სოფისტური ფილოსოფია. „ყველა საგანთა საზომია ადამიანი“ ასწავლიდა სოფისტი პროტაგორი. ამით ის ამბობდა, რომ მხოლოთ ადამიანს შუძლია შეგრძნებით არსებული ქვეყნის შესწავლა. მარა ყოველი პიროვნების შეგრძნება სხვანაირია და თვით საგანიც მუდმივ იცვლება, აქედან მან ასეთი დასკვნა გამოიყვანა: არც ერთი საგნის შესახებ არ შეიძლება გადაჭრილი სამუდამოთ გარკვეული პასუხის გაცემა. ეს შეხედულება მან სარწმუნოებაშიც გადაიტანა: „მე ღმერთებზე არც ის შემიძლია ვიცოდე, რომ ისინი არსებობენ და არც ის, რომ ისინი არ არსებობენ“, – ამბობს ის.

მომდევნო სოფისტები კიდევ უფრო შორს მიდიან.[1] კრიტიასი, უფრო ნიჭიერი ოცდაათ ტირანთა შორის, ამბობს ერთ თავის ლექსში: რწმენა ღმერთთა არსებობის შესახებ გაქნილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა მოიგონესო.

ასე, სოფისტებმა ძველი აზროვნობა უარყვეს, სარწმუნოება ცრუ-მორწმუნოებათ გამოაცხადეს, განათლება მოქალაქეთა ფართო წრეებში გადაიტანეს და ამ გზით ათინის დემოკრატიის განმტკიცება-გაძლიერებას ხელი შეუწყვეს. ეს ბერძენთა კულტურის აყვავების ხანაა.

ამან რეაქცია გამოიწვია, ეკონომიურმა აყვავებამ საზოგადოება გაჰყო ორ შეურიგებელ მოპირდაპირე ბანაკათ. ერთი ნაწილი

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი სოფისტის უკიდურესობას საზღვარი არ ქონდა: ისინი ცდილობდენ ყველაფრის მტკიცებას და მოწინააღმდეგეთ ათასნაირი ხრიკებით ებრძოდენ. მარა ჩვენთვის საყურადღებოა მხოლოთ ის პირობები, რომელმაც წარმოშვა სოფისტური ფილოსოფია და უკანასკნელის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებანი. მისი განხილვა გადაგვარების ხანაში ჩვენს საგანს არ შეადგენს. ნ.რ.

ძლიერ გამდიდრდა და ფუფუნებაში ჩაეფლა, მეორე სავსებით გაღატაკდა და განიდევნა წარმოებიდან: მის მაგიერობას ასრულებდენ მონები. ქალაქები მუქთახორა ლუმპენპროლეტარებით აივსო: ისინი საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდენ. ასე მთელი საზოგადოება გადაგვარების გზას დაადგა. სად არის ხსნა! სად უნდა ვეძიოთ ამ საერთო უბედურების მიზეზი?

საზოგადოების ერთი ნაწილის შეხედულებით ეს სავსებით დემოკრატიული წყობილებისა და სოფისტების ბრალია. ის აღტაცებით იგონებდა განვლილ ხანას, როცა ყველა „კმაყოფილი“ იყო და ბედნიერათ ცხოვრობდა. ამ „ბედნიერი“ ძველი დროის აღდგენა და სარწმუნოება – ზნეობის განმტკიცება – აი საითკენ მოუწოდებდა ის ათინის საზოგადოებას, ასეთია რეაქციონერთა მუდმივი წადილი!

ამ სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი იყო ცნობილი კომედიოგრაფი არისტოფანი. ის აქებ-ადიდებდა მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებათ და ძველ წესრიგს და შეუდარებელი სარკაზმით დასცინოდა თანამედროვე ხელოვნებასა და ფილოსოფიას, პოლიტიკასა და განმანათლებელთა მოქმედებას, რითაც ასე ისახელა თავი ათინის დემოკრატიამ.[1]

ამ პირობებში იშვა იდეალისტური ფილოსოფია, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნი იყვენ სოკრატი, პლატონი და არისტოტელი. იდეალისტები სავსებით იზიარებდენ ამ რეაქციონურ მიდრეკილებას. სოკრატმა უბრძნეს ელინათ დელფოსის ორაკული – ეს ძველი დროის მკითხავი გამოაცხადა. დაახლოებით ამ ნიადაგზე იდგენ პლატონ-არისტოტელიც.

აი ეს სარწმუნოებრივი, ანუ თეოლოგიური მსოფლმხედველობა მათ ფილოსოფიაში გადაიტანეს და ამ გზით ებრძოდენ „უღვთო“ სოფისტებს.

რანაირია იდელისტური ფილოსოფია?

სოკრატის აზრით ფილოსოფიის მიზანია თავისი თავის შესწავლა და სათნოების გარკვევა. ასე მან სოფისტთა საწინააღდეგოთ ბუნებას და საზოგადოებას ზურგი აქცია და სათნოების ახსნას შეუდგა. რა არის სათნოება? ცოდნაა, ამბობს სოკრატი. ცოდნა

[1] ალბერტ შვეგლერი. Geschichte d. Philosophie, 63 გვ.

ცნებათა დალაგებაა. ცნება საგნის გამოხატულებაა და აი, სწორეთ ეს წარმოადგენს ნამდვილ არსებას.

სოკრატის საქმეს განაგრძობს მისი მოწაფე პლატონი, რომლის თვალთხედვაც სარწმუნოებრივ-ეთიკიურია. ამიტომაც მისი ფილოსოფიაც ადამიანთა სულიერი მდგომარეობის კვლევა-ძიებას ემსახურება. პლატონის აზრით ცოდნის შესაძენათ ორნაირი წყარო არსებობს: ერთი მხრით შეგრძნება და წარმოდგენა. და მეორე მხრივ, გონებრივი ფიქრი. პირველი გზა იკვლევს მას, რაც ცვალებადია და მუდმივ გარდაქმნაშია. ეს შემცდარი აზროვნებაა. მეორე, გონებრივი ფიქრი კი უცვლელს არკვევს, ის შორდება ხორციელს და ეყრდნობა ადამიანის შინაგან მოქმედებას. ეს ჭეშმარიტი აზროვნებაა, ასე მეცნიერებისა და ფილოსოფიის დანიშნულებას შეადგენს ადამიანის სულიერი მდგომარეობის გარკვევა და ადამიანთა ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღრზდა-განვითარება.

ცოდნა არის ცნებათა ანუ იდეათა შესწავლა. რა არის იდეა? იდეა პირველ სახეა, საგანი მისი გამოკრთომაა. იდეა ნამდვილი არსებაა, საგანი მხოლოთ აჩრდილია. ასე, არსებობს ლოგინის იდეა, სიძლიერისა და სისუსტის იდეა, მაგიდის იდეა, ბოროტების იდეა და სხვა. იდეათა დაგვირგვინებას ანუ საბოლოო იდეას წარმოადგენს სიკეთის იდეა ანუ ღვთაება, რომლისგანაც ყველა იდეა გამომდინარეობს. ასე მან ფილოსოფიაში მისტიციზმი გააბატონა.

არისტოტელის აზრით მიცნიერება საფუძველთა და მიზეზთა ცოდნაა. არსებობს მრავალი მეცნიერება, მარა უმთავრესია დიალექტიკა ანუ პირველი ფილოსოფია. მის საგანს შეადგენს შესწავლა არა მატერიალური და უმოძრაო არსებისა ანუ ღვთაების. ამიტომ პირველ ფილოსოფიას ეწოდება საყოველთაო ფილოსოფია.

არსებობს ოთხი დიალექტიკური, ანუ მეტაფიზიკური პრინციპი: მასალა, ფორმა, მიზეზი და მიზანი. ყველა საგანი ამ ოთხი პრინციპის შეერთებაა. მაგალითათ, სახლის აშენების დროს მასალაა ხე, ფორმა – სახლის ცნება, მამოძრავებელი მიზეზია ოსტატი და მიზანი – თვით სახლი. მასალა ანუ მატერია ცალკე აღებული განუსაზღვრელია და უფორმო: მისგან შესაძლებელია ფორმა წარმოდგეს და ასე ნამდვილი საგანი გაჩნდეს. ფორმა კი იდეაა.

ყველა საგანს აქვს თავისი მამოძრავებელი მიზეზი, აგრეთვე ბუნებასაც. პირველი მამოძრავებელი ძალა აბსოლიუტური სული, ანუ ღვთაებაა, რომლისგანაც ყველაფერი წარმოსდგა. აი რით აიხსნება პირველი შეხედვით ის საკვირველი მოვლენა, რომ საშუალო საუკუნეებში ბერები დაეპატრონენ ბერძნულ იდეალისტურ ფილოსოფიას, არისტოტელი კი თვით წმ. მამათა გვერდით დააყენეს და მის ნაწერებით ასაბუთებდენ ეკლესიის ძალა-უფლებას და ბატონობას.

არისტოტელი შეუდგა დამთავრებული ფილოსოფიური სისტემის შექმნას და ამ მიზნით არსებული ქვეყნის ემპირიული გზით – ცდის მეოხებით შესწავლას. ამით მან საფუძველი ჩაუყარა და განავითარა მრავალი მეცნიერება. ის ცნობილია, როგორც მამათ- მთავარი ლოღიკისა, ესთეტიკის, ფსიხოლოგიის, ეკონომიისა და სხვა. მარა ყოველივე აბსოლიუტური სისტემა წინ ეღობება მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარებას. ამიტომაც იყო, როცა ახალი ფილოსოფია აღორძინდა, მისი პირველი ნაბიჯი იყო არისტოტელის ფილოსოფიური სისტემის დარღვევა.

საბერძნეთის დემოკრატია დაეცა და საზოგადოება გაიხრწნა. ყველა უიმედობამ მოიცვა. ამ სულისკვეთებას გამოხატავდა სკეპტიკური ფილოსოფია. ამ სკოლის მეთაური პირონი ამბობდა: არ შეიძლება რისამე გადაჭრით მტკიცება, ვინაიდან ყველაფერი საეჭვო არის. ამ დროს ეკონომიურ-სოციალურათ დასუსტებულმა საბერძნეთმა პოლიტიკური დამოუკიდებლობაც დაჰკარგა. ბერძნული ფილოსოფიაც დაეცა.

საშუალო საუკუნეთა იდეოლოგიას და კერძოთ ფილოსოფიას მღვდლები დაეპატრონენ. მთელი სწავლა-განათლება ეკლესია-მონასტრებში ბუდობდა. იმ ხანათ სამღვდელოება უგანათლებულესი წოდება იყო.

რას წარმოადგენდა ეს მღვდლური ფილოსოფია?

არა ბუნებისა და საზოგადოების შესწავლა, არამედ ეკლესიის ბატონობის დასაბუთება. არა ცოდნათა გავრცელება, არამედ სარწმუნოების განმტკიცება – აი რას უნდა ემსახურებოდეს ფილოსოფია ხუცების აზრით, ასე განვითარდა ე.წ. სხოლასტიკა. ჩრედო უტ ინტელლიგამ, მრწამს რომ ვიცოდე – აი ფილოსოფიის

მიზანი განთქმული სხოლასტიკოსის შეხედულებით. ფილოსოფია სარწმუნოებას დაუმორჩილეს და ცოდნის წყაროთ თეოლოგია, ანუ ღვთისმეტყველება გამოაცხადეს. სხვა და სხვანაირ დებულებებს საღმრთო წერილისას, წმინდა მამათა და იდეალისტ-ფილოსოფოსთა, უპირველესათ არისტოტელის ამონაწერებით ასაბუთებდენ.

მერე რით აიხსნება ასეთი მოვლენა?

მღვდლები და მათი მეთაური, წმ. პეტრეს მოადგილე, რომის პაპი უძლიერესი ფეოდალები იყვენ. ამიტომ პაპმა საერო უფლებაც ხელთ იგდო. ეკონომიური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის დასაბამია. მღვდლების ინტერესი – ფეოდალური წესწყობილების დაცვა და განმტკიცებაა. ამ მიზნისთვის იმ ხანათ საუკეთესო საშუალება იყო სარწმუნოება. და აი, ისიც თავის ინტერესისათვინ გამოიყენეს: მთავრობისა და ფეოდალთა წინაშე მორჩილება და მოთმინება უმაღლეს სათნოებათ გამოაცხადეს და ასე ხალხი ღვთის სახელით დაიმორჩილეს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა სხოლოსტიკის მთავარი დებულება: სარწმუნოება ცოდნის წყაროა.

ფეოდალური წყობილების ფარგალში იშვა ახალი კლასი – ბურჟუაზია. საწარმოვო ძალთა შეუჩერებელი განვითარება, – აი, რა ახასიათებს ბურჟუაზიას. ეს შეიძლება ბუნების შესწავლით და ბუნების ძალთა წარმოებაში გამოყენებით. და აი ბურჟუაზიამ სხოლასტიკას ომი გამოუცხადა და საბუნებისმეტყველო ცოდნათა გავრცელებას შეუდგა. ასეთი იყო მე-15-ე – მე-17-ე საუკუნეთა მიდრეკილება. ამას გამოხატავდა ახლათ აღორძინებული ფილოსოფია. იმ ხანათ ფილოსოფიის საუკეთესო წარმომადგენელნი იყვენ დეკარტი (კარტეზიუსი) და ბეკონი. ფილოსოფიის საგნათ იმათ გამოაცხადეს საბუნებისმეტყველო ცოდნათა გავრცელება, – იარაღათ კი სამეცნიერო ექსპერიმენტი. ამით ნიადაგი გამოეცალა სხოლასტიურ ფილოსოფიას. ამნაირათ ფილოსოფია იმას ასრულებს თეორიაში, რასაც ბურჟუაზია ემსახურება პრაქტიკაში. კერძოთ დეკარტი სასტიკათ განარჩევდა გონების ასპარეზს სარწმუნოების ასპარეზიდან. მისი მოძღვრება არა თუ ეწინააღდეგებოდა კათოლიკურ ეკლესიის მოძღვრებას, არამედ მას

ხშირათ ასაბუთებდა ფილოსოფიური მოსაზრებით. რით აიხსნება დეკარტის ფილოსოფიის ასეთი მიმართულება?

მე-16-ე საუკუნე საფრანგეთში სარწმუნოებრივი შეხლა-შემოხლის ხანაა. კათოლიკურ ეკლესიას რეფორმატორებმა – გუგენოტებმა ბრძოლა გამოუცხადეს. ამან გამოიწვია ხანგრძლივი სისხლის ღვრა: კეთილმორწმუნეთა და მწვალებელთა შორის გაჩაღდა სასტიკი ომი, რისი შედეგიც იყო საფრანგეთის საზოგადოების დაუძლურება. ასეთ პირობებში იშვა ლტოლვილება მშვიდობიანობისა და წესიერებისაკენ. ნანტი ედიქტით (1598 წ.) ორივე მხარე მორიგდა და დროებითი ზავი გამოცხადდა. ამის შემდეგ ყველა ცდილობდა გვერდი აეხვია იმ საკითხებისათვის, რაც საზოგადოებას მოაგონებდა განვლილ სამოქალაქო ომს. ასეთი იყო სარწმუნოებრივი საკითხები. რომ მათ არ შეხებოდენ, საჭირო იყო განსაზღვრა სარწმუნოების ასპარეზისა გონების ასპარეზიდან. ეს დეკარტმა მოიმოქმედა. საზოგადოებრივი მშვიდობიანობის ინტერესისთვის ფილოსოფიას უნდა ეცნო სარწმუნოებრივი დოგმატის სიმართლე. მან ეს შეასრულა დეკარტის პირით. ამიტომაც იყო ბევრმა სასულიერო პირმა თანგრძნობით მიიღო ამ მოაზრის სისტემა, რომლის სამი მეოთხედი მატერიალისტური სისტემა იყო.

დეკარტის ფილოსოფიის ლოღიკური შედეგი იყო ლამეტრის მატერიალიზმი, მარა აქედან იმავე უფლებებით შეიძლებოდა იდეალისტურ დასკვნათა გამოყვანა. თუ ფრანგები ასე არ მოიქცენ, ამას ჰქონდა სავსებით გარკვეული საზოგადოებრივი მიზეზი: მესამე წოდების უარყოფით დამოკიდებულება მე-18-ე საუკუნის საფრანგეთის სამღვდელოებასთან. თუ დეკარტის ფილოსოფია წარმოიშვა საზოგადოებრივ მშვიდობიანობისადმი ლტოლვილებისაგან, მე-18-ე საუკუნის მატერიალიზმი მოასწავებდა ახალ შეჯახ-შემოჯახებას. საწარმოვო ძალთა განვითარებას ძლიერ აფერხებდა წარმოების მოძველებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი. ამ დაწესებულებათა მოსპობა აუცილებლათ საჭირო იყო საწარმოვო ძალთა შემდეგი განვითარებისათვის“.[1]

ძველ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათ იცავდა ძველი

[1] Н. Бельтовъ (Г. В. Плехановъ). Критика нашихъ критиковъ. 33-5 გვ.

იდეოლოგია ანუ იდეალისტური ფილოსოფია და კათოლიკური ეკლესია, სარწმუნოება მუდამ იდეალისტურ საფუძველზე დგას! და აი, როცა ბურჟუაზია მოღონიერდა, მისი ინტერესთა დამცველი ფილოსოფიაც მატერიალიზმს მიემხრო.

მე-18-ე საუკუნის მატერიალისტები, რომელთა მთავარი წარმომადგენლებია გელვეციუსი, ბარონი გოლბახი და ლამეტრი, ამბობდენ: არსებობს მხოლოთ მატერია და მოძრაობა, ხოლო უკანასკნელი პირველის თვისებას შეადგენს. ისინი გადაჭრით უარყოფდენ სულს, როგორც განცალკევებულ არსებას და მამოძრავებელ ძალას. ბუნებაში მექანიკური კანონები მეფობენ. თვით ადამიანიც უბრალო მანქანას წარმოადგენს. ფიქრი, გრძნობა და ნება მატერიალური ფუნქციებია. არ არსებობს არავითარი თანადაყოლილი იდეა. ღმერთის არსებობა ფანტაზიაა, ასე, ეკლესიას აშკარა ომი გამოუცხადეს.

სულ სხვანაირი იყო ფილოსოფიის დამოკიდებულება სარწმუნოებასთან ინგლისში. ერთხელ ფრანგ მატერიალისტებს ესტუმრა მათი თანამოაზრე ინგლისელი ფილოსოფოსი იუმი. გოლბახთან სადილობისას მან ლაპარაკი დაიწყო „ბუნებრივ სარწმუნოებაზე“. „რაც შეეხება ათეისტებს, სთქვა მან, – მე მათ არსებობას არ ვცნობ: მე არას დროს არ მინახავს ისინი“. „თქვენ ბედი არ გწყალობდათ, – მიუგო „ბუნების სისტემის“ ავტორმა (გოლბახმა) – პირველათ თქვენ ხედავთ ამ მაგიდასთან ჩვიდმეტ ათეისტს“.[1]

მერე საიდან წარმოსდგა ინგლისელ და ფრანგ ფილოსოფოსთა ასეთი სხვადასხვაობა?

საფრანგეთში რეფორმაცია დამარცხდა, კათოლიკური ეკლესია კი ხელს უშლიდა ხალხის განთავისუფლებას და საზოგადოების ახალ ნიადაგზე მოწყობას. საწარმოვო ძალთა განვითარება აქ ეკლესიის დათრგუნვას ითხოვდა. და აი, ფილოსოფიაც მას გადაუდგა და სარწმუნოება უარყო; ამით აიხსნება, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ თავისუფალ-მოაზრეობისა და მატერიალიზმის დროშა ააფრიალა. რობესპიერმა გონების კულტი გამოაცხადა.

---

[1] Н. Бельтовъ (Г. В. Плехановъ). О монистическомъ взгладе на исторію, 164 გვ.

სულ სხვა იყო ინგლისში. აქ რეფორმაციამ გაიმარჯვა; სარწმუნოება გადააკეთეს და ის შეუთანხმეს ბურჟუაზიულ ცხოვრებას. ასეთ პირობებში ზედმეტი იყო ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრება, და ფილოსოფიაც სარწმუნოებასთან მეგობრულ კავშირს ამყარებს. პირიქით, თვით რევოლიუცია სარწმუნოებრივ სამოსელში ეხვევა და ეს იმ მიზნით, რომ ხალხის ფართო მასა მოიმხროს და ძველი წყობილება ადვილათ დაამხოს. იმ დროში ყოველნაირი რევოლიუციონერული მოძრაობა სარწმუნოებრივი დროშით გამოდიოდა, რევოლიუციონერთა თვალთა-ხედვა სარწმუნოებრივი, ანუ იდეალისტური იყო. ამიტომ მათ დასათრგუნავათ ინგლისის რეაქციონერები მატერიალიზმს მიემხრენ. იმ ხანათ მატერიალიზმი არისტოკრატიული მოძღვრება იყო.

იდეოლოგია მუდამ ეწყობა არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

გერმანიაში იდეალისტური ფილოსოფია გამეფდა. ე.წ. 30 წლისიანი ომიდან მოკიდებული გერმანია ეკონომიურ-პოლიტიკურათ დაეცა. ეს აფერხებდა ბურჟუაზიის განვითარებას. ის სუსტი იყო, რომ არსებული ფეოდალურ-ბიუროკრატიული წყობილება გადამჭრელ შეტაკებაში დაემხო. აშკარა ბრძოლის მაგიერ მან უკანიდან თავდასხმა არჩია. ასეთი იყო გერმანიის ბურჟუაზიის ფსიხოლოგია, ამასვე დაემორჩილა ფილოსოფიაც. ამიტომ იყო, რომ ახალი დროის მოთხოვნილებანი იდეალისტურ სამოსელში გახვიეს. აი რას ამბობს ფრ. ენგელსი: „მსგავსათ იმისა, როგორც საფრანგეთში მე-18-ე საუკუნის განმავლობაში, ისე გერმანიაშიც მე-19-ეში, ფილოსოფიური რევოლიუცია შესავალი იყო პოლიტიკური რევოლიუციისა, მარა როგორ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ეს ფილოსოფიური რევოლიუციები! ფრანგები აშკარათ ებრძვიან მთელ ოფიციალურ მეცნიერებას, ეკლესიას, ხშირათ სახელმწიფოსაც; მათი თხზულებანი იბეჭდება საზღვარ-გარეთ – ჰოლანდიაში, ანდა ინგლისში და თვით ისინი ხშირათ ესახლებიან ბასტილიაში. პირიქით, გერმანელები პროფესორები არიან სახელმწიფოს მიერ დანიშნული აღმზრდელნი ახალგაზრდობისა; მათი თხზულებანი მთავრობის მიერ ნება დართული სახელმძღვანელოებია. ჰეგელის სისტემას კი – მთელი ფილოსოფიური განვითარების დაგვირგვი-

ნებას პრუსიის სამეფო-სახელმწიფო ფილოსოფიის ჩინი უბოძეს. ამ პროფესორების უკან, მათ სავსებით ბნელ სიტყვებში, მათ მოუხეშავ და მოსაწყენ პერიოდებში რევოლიუცია იმალებოდა“![1]

ფრანგული მატერიალიზმი მჭიდროთ გადაბმული იყო რევოლიუციასთან: პირველი უკანასკნელის საფუძველს წარმოადგენდა. ამიტომ გერმანელმა ფილისტერმა მატერიალიზმი უარყო, ვინაიდან რევოლიუციონერობა მას ხალხის თვალში დასცემდა. ამნაირივე სულით გაჟღენთილი იყო ფილოსოფიაც. რომ ტახტისა და არისტოკრატიისათვის ადვილათ მისაღები გაეხადათ, ფილოსოფოსებმა ახალი აზრები იდეალისტურ ფორმაში გახვიეს. ასე დამარხეს მატერიალიზმი.

ახალმა მოძრაობამ, რომელიც დამთავრდა 1848 წლის რევოლიუციით, თვით არისტოკრატიაც დაამხო და არა ერთსა და ორს გვირგვინოსანს ტახტი წაართვა. ბურჟუაზიას მრისხანე მტერი გაუჩნდა. ეს მუშათა მოძრაობაა. ნაცვლათ საერთო ბედნიერება-ჰარმონიისა კლასიური ბრძოლა გაჩაღდა. და აი ომი გამოუცხადეს ბურჟუაზიულ მოთხოვნილებათა დამცველ იდეალისტურ ფილოსოფიას და თვით მის დაგვირგვინებას – „პრუსიის სამეფო“ ანუ ჰეგელის ფილოსოფიას. კვლავ აღორძინდა მატერიალიზმი, სავსებით ახალ ნიადაგზე დაფუძნებული. ეს მარქს-ენგელსის საქმეა. მათ ჰეგელის სისტემიდან დიალექტიკა ისესხეს და ის მატერიალისტურ ნიადაგზე ააგეს. ეს ახალი მატერიალისტურ-დიალექტიური მეთოდი მათ ისტორიის ახსნაში გამოიყენეს და მისი მეოხებით მეცნიერულათ დაასაბუთეს მუშათა კლასის საბოლოო მიზანი – სოციალიზმი.

ამიერიდან მატერიალიზმი საფუძველია სოციალიზმის, „ქვეყნის დამხობის“, როგორც ბურჟუაზია აცხადებს. ამიტომაც უკანასკნელი მატერიალიზმს გადაჭრით უარყოფს და თავის ხსნას იდეალისტურ სისტემებში და სარწმუნოებაში დაეძებს. აი რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ბურჟუა-ფილოსოფოსთა შორის მატერიალისტი თითით საჩვენებელი შეიქნა. ყური დავუგდოთ ფრ. ენგელსს: „რაც უფრო ხდებოდა მატერიალიზმი საფრანგეთის

[1] Фр. Энгельсъ. Людвигъ Фейрбахъ. 30 გვ.

რევოლიუციის სიმბოლოთ სარწმუნოებისა, მით უფრო მტკიცეთ იცავდა ღვთის მოშიში ინგლისელი ბურჟუა თავის სარწმუნოებას და განა ტერორის ეპოქამ პარიზში არ დაგვანახვა, რა ხდება, როცა ხალხს სარწმუნოებას ართმევენ?...

საფრანგეთისა და გერმანიის მუშები გაიჟღინთენ აჯანყების სულისკვეთებით. ისინი სოციალიზმს მიემხრენ... რით შეეძლო გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიას თავისი ხსნა, თუ არა შეუმჩნეველი უარყოფით თავისუფალ-მოაზრეობისა მზგავსათ იმ ხელ-გაშლილი ფრანტისა, რომელიც, როცა მას ზღვის ავათმყოფობა ერევა, ხელიდან აგდებს ამოღებულ სიგარას, რომლითაც წინეთ თავს იწონებდა გემის კიდეზე... საფრანგეთის ბურჟუებმა თავი მიანებეს პარასკეობით ხორცის ჭამას, გერმანელები მოთმინებით და გაოფლიანებული ისხდენ საეკლესიო წირვის დროს და ბოლომდე – ისმენდენ დაუსრულებელ პროტესტანტულ ქადაგებებს".[1]

უკანასკნელი დროის იდეალისტურ სისტემათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პესიმისტური ფილოსოფია. სად უნდა ვეძიოთ მისი საფუძველი?

ნატურალური წარმოების მიზანია წარმოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამით მისი საზღვარიც გარკვეულია. ბურჟუაზიული წარმოება კი საქონლის წარმოებაა: აქ ყველაფერს ბაზრისთვის, ანუ გასაყიდათ ამზადებენ. რაც მეტია საქონელი, მით უფრო დიდია კაპიტალისტის მოგება. ამიტომ კაპიტალისტურ წარმოებას საზღვარი არ აქვს. ვისაც ასი-ათასი მანეთი შეუძენია, ის მილიონს ეტრფის; ვისაც მილიონი აქვს, მილიარდს შეჰხარის და ასე დაუსრულებლივ.

ეს საერთო მოუსვენრობისა და უკმაყოფილების ხანაა. ეს ნერვების აშლის საუკუნეა.

ასეთი საზოგადოებრივი სულისკვეთების გამომხატველია არტურ შოპენჰაუერის (ცხოვრობდა 1788-1860 წწ.) ფილოსოფია. აბსოლიუტური ანუ ნება – აი ნამდვილი არსება ყველა საგნისა და მათ შორის ადამიანისა, გვასწავლის შოპენჰაუერი. ნება ვერას

[1] ფრ. ენგელსი. Объ историческомъ матеріадизме.

დროს ვერ კმაყოფილდება და ამიტომაც არსებობა და ტანჯვა განუყრელია. ვისაც სურს ბედნიერება, მან თვითონ ნება უნდა უარყოს და ცხოვრებას მოშორდეს. არ-არსებობა ანუ სიკვდილი – აი საუკეთესო მდგომარეობა.

ბურჟუაზიული აზროვნება ათასგვარ წინააღმდეგობაში ვარდება და ის პესიმიზმში დაეძებს თავის ხსნას...

5. სარწმუნოება

„სარწმუნოება წარმოადგენს ადამიანთა თავში გამოკრთომას იმ გარეშე ძალთა, რომელნიც განაგებენ მათ ცხოვრებას, – გამოკრთომას, რომელშიც მიწიერი ძალები ზეციურ სახეს იღებენ“.[1]

მოკლეთ, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი ადამიანს ზეცაში გადააქვს და მათ ფანტასტიურ სამოსელში ხვევს. ამას ნათლათ ამტკიცებს სარწმუნოებათა წარმოშობა-განვითარების ისტორია.

სარწმუნოების დასაბამი პირველყოფილ ადამიანთა მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ.

რა არის სამყარო? ვინ არის მისი შემოქმედი და მბრძანებელი? რაზე ეყრდნობა დედამიწა? სად უნდა ვეძიოთ ბუნების სხვა და სხვა მოვლენათა მთავარი მიზეზი? რატომ ქვეყნათ ერთი იტანჯება და მეორე ხარობს და სხვ. – აი რა კითხვებს არკვევს სარწმუნოება.

რა ნაირი იყო ამ მხრივ პირველყოფილ ადამიანთა მსოფლ-მხედველობა?

ინდოელები დღესაც ფიქრობენ, რომ დედა-მიწა ეყრდნობა უზარმაზარ კუს, რომელსაც სანსკრიტულათ ეწოდება კუმარაია ანუ კუთა მეფე. მას შემდეგ, რაც დედამიწა წარღვნას გადარჩა, მას ეზიდება გველეშაპი; როცა ის წყალში ჩაიყურყუმალავებს, ახალი წარღვნა მოხდება.[2]

კუნძულ ცელებესის მცხოვრებთ ჰგონიათ, რომ დედამიწას ეზიდება გარეული ღორი. როცა ის ხეზე ზურგს აფხანს, მიწის

---

[1] ფრ. ენგელსი. ანტი-დიურინგის ნემეცური გამოცემა, 342 გვ.

[2] ე. ტეილორი. Urgeschichte d. Menschheit. 428 გვ.

ძვრა ხდება. ქართველი ხალხი კი ფიქრობს – მიწა დგას გველეშაპზე ან ირმის რქაზე! როცა ისინი გაინძრევიან, მიწაც ინძრევა.

მზისა და მთვარის დაბნელება ირიკეზების აზრით ბოროტი სულის საქმეა. როცა უკანასკნელი სინათლეს დაიჭერს, დაბნელება მოხდება. ჩინელები ფიქრობენ – მთვარეს აბნელებს ბოროტი სული, რომელიც მას ხელით ეფარება. რომ ის დააფრთხონ და მთვარე განათავისუფლონ, ისინი ხმამაღლა ყვირილს იწყებენ. ოსები მთვარეს თოფს უშენენ, რომ უკუაქციონ ეშმაკი, რომელიც მთვარეს ამოეფარა და მისი დაბნელება გამოიწვია. ჩვენ ხალხს ჰგონია, ეს დედაბრის საქმეა; რომელმაც ხელში ფუნე აიღო და მთვარეს ესროლა.

ამგვარათ, პირველყოფილი ადამიანი ყოველივე მოვლენის მიზეზათ რომელიმე სულდგმულს თვლის.

მოძრაობა სიცოცხლის ნიშანია, ფიქრობს ველური, ამიტომ მას ქარიც ცოცხალი არსება ჰგონია. კუნძულ ტაიტის მცხოვრებნი ფიქრობენ, თითქოს ხეებსა და ქვებსაც სული აქვთ. კუნძულ ბორნეოს მცხოვრებნი ამბობენ, ბრინჯი იმიტომ დალპა, რომ მას სული მოშორდაო.

მოკლეთ, მთელი ბუნება ცოცხალი არსებაა. ასეთია პირველყოფილი ადამიანის შეხედულება. ამისდაგვარათ მას სიზმარიც სინამდვილე ჰგონია. აი რას ამბობს ამერიკელ წითელკანიან ინდიელებზე კარლ ფონ-დენ-შტაინენი: „ჩვენი ინდიელები, როგორც ბევრი სხვა ველურები, დარწმუნებული არიან – (განათლების თანამედროვე საფეხურზე ასეთი შეხედულების არიან ბავშვები და მთვრალნი და არა მარტო ისინი) – რომ ღრმა სიზმარში ნამდვილ ცხოვრებას ეწევიან. ძილში, როცა სხეული ლოგინში რჩება, ისინი სანადიროთ მიდიან, თევზაობენ, ხეს სჭრიან. ბორორროს ტომთან ცხოვრებისას ჩვენ მოწმე ვიყავით ერთი შემთხვევის, როცა მთელ სოფელს გაქცევა სურდა, რადგან ერთმა მათგანმა სიზმარში იხილა მტერი, რომელიც სოფელს ეპარებოდა, ბაკაირების აზრით კაცის აჩრდილი, ანუ სული სიზმარში მოგზაურობს“.[1]

[1] კარლ ფონ-დენ-შტაინენის ხსენებული თხზულება. 340 გვ. ხაზგასმული ავტორისაა.

ვინ არის ის არსება, რომელიც ადამიანს ძილში შორდება – ნადირობს, თევზაობს, მტერს ებრძვის და შემდეგ უკანვე ბრუნდება? ეს სულია – დაასკვნა პირველყოფილმა ადამიანმა.

რას წარმოადგენს ის? „სული ნელი სუნთქვაა“.[1] როცა სუნთქვა შეწყდება, ადამიანი მკვდარია. აშკარაა, ფიქრობს ველური, სული სხეულს მოშორდა და ცალკე ცხოვრებას შეუდგა. სული უსხეულო სურათია ადამიანისა, ანუ მისი აჩრდილი – ასე ახასიათებს ტეილორი ველურის შეხედულებას. როცა აფრიკელი ბასუტო წყლის ახლოს მიდის, ის ყოველივე ძალღონით ცდილობს აჩრდილი წყალს არ მიეკაროს. მას ჰგონია, გველეშაპს შეუძლია გამავალი აჩრდილი დაიჭიროს, წყალში ჩაითრიოს და ისე მოჰკლას, რომ ხორცს არაფერი ავნოსო, ცხელ ქვეყნებში ველურები შუადღისას გარეთ არ გამოდიან. მათ ეშინიათ: რაკი მზე პირდაპირ დაჰყურებს, არ დაჰკარგონ აჩრდილი, ანუ სული და სიცოცხლეს არ გამოესალმონ.

მოკლეთ, ადამიანს სული აქვს, ფიქრობს ველური. ასეთ შეხედულებას ეწოდება ანამიზმი (წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან ანიმა, ანიმა – სული). დღეს მას იზიარებს მთელი კაცობრიობა ველურიდან მოკიდებული და განათლებული ერებით დამთავრებული.

ადამიანთა სულების გვერდით არსებობენ ცხოველთა და მცენარეთა სულებიც. ასეთია ველურთა შეხედულება. მაგალითად, კუნძულ ფიჯის მცხოვრებთ ჰგონიათ, რომ ზოგიერთი ფრინველები, თევზები და მცენარეები მჭიდროთ დაკავშირებული არიან ღმერთებთან, ან და მათში ღმერთები ბუდობენ. კუნძულ სამოას მკვიდრთ ყავთ თავიანთი მფარველი ანუ აიტუ. ასეთია, მაგ., კუ, ძაღლი და სხვა.

სად უნდა ვეძიოთ ასეთ წარმოდგენათა სათავე?

პირველყოფილი ადამიანი თავს უმთავრესათ ნადირობა-თევზაობით ირჩენდა, წარმოებაში ის თევზებს და ნადირებს გაეცნო, ისინი სულდგმულებია. მსგავსათ ადამიანისა ეს ცხოველები კვდებიან. ადამიანის სიკვდილი სულის მოშორებამ გამოიწვია.

[1] პოლ. ლაფარგი. Entwicklnng Urspurung n. d. Begriffs der Seele. „ნოიე ცაიტის“ 1909 წ. 6 სექტემბრის ნომრის დამატება.

მაშასადამე, ცხოველთა სიკვდილიც იმას მიეწერება – ასკვნის ველური – რომ მათი სულები სხეულს სტოვებენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, ამ გზით „თან და თან მთელი ქვეყანა იფინება სულებით და ბუნების ყოველივე მოვლენა, რომელიც იპყრობს პირველყოფილი ადამიანის ყურადღების, „სულიერ“ ახსნას ღებულობს“.[1]

ასეთი შეხედულება საფუძვლათ დაედვა ე.წ. ტოტემიზმს (წარმოსდგება სიტყვისაგან ტოტემ,[2] ანუ თემის ნიშნი). რას ნიშნავს ის?

პირველყოფილი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ადამიანთა თემსა და ცხოველს შორის ნათესაური კავშირი არსებობს. ვთქვათ, თემი კუს თვლის თავის ტოტემათ. მაშინ თემსა ჰგონია, რომ კუ მასთან სისხლით მონათესავეა და მას ეხმარება და მფარველობს. სამაგიეროთ, თემი ვალდებულია კუს არავითარი ვნება არ მიაყენოს და თუ მას ოდესმე მკვდარს იხილავს, ის ისეთივე წესით დაასაფლავოს, როგორც ამას თავისი თემის წევრის დასაფლავებისას მოიქცეოდა. ან თუ თემმა გაჯავრების დროს მოჰკლა ტოტემი, მან ბოდიში უნდა მოიხადოს თავის საქციელში. როცა წითელ-კანიანი ინდიელი ჰკლავს თავის ტოტემს – დათვს, ის ბოდიშს იხდის მის წინაშე და მასვე ეპატიჟება თავის საკუთარ ხორცს შეექცეს. და ეს იმიტომ, რომ ინდიელს ჰგონია, მკვდარ დათვს სული მოშორდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობს. ციმბირელი ვოგულები ეუბნებიან მათ მიერ მოკლულ დათვს, რომ მისი მოკვლა მათი კი არა, ისრისა და ლახვრის საქმეა, რომელიც რუსებმა დაამზადესო.

თუ თემმა შეურაცხყო ტოტემი, მას უკანასკნელის რისხვა მოელის. კუნძულ სამოას მცხოვრებთ სწამთ, თუ ვინმე მათგანმა შესჭამა თავისი ტოტემის – კუს ხორცი, ის უთუოთ ავათ გახდება. მათ არა ერთხელ გაუგონიათ, რომ ავათმყოფის მუცლიდან ხმა

---

[1] გ. პლეხანოვი. Отъ обороны къ нападенію. წერილი: О религіи. 197 გვ. ვისაც სურს ამ საკითხს საფუძვლიანათ გაეცნოს, უნდა გადაიკითხოს გ. პლეხანოვის წერილები სარწმუნოებაზე (იხ. დასახელებული წიგნის 185-287 გვ.).

[2] მკითხველთა საყურადღებოთ: ტოტემი და არა ტოტები, როგორც შეიძლება მკითხველმა იფიქროს. ნ.რ.

ისმოდა: „მან მე შემჭამა, მე მას ვკლავ“. ცხადია, ამას ამბობდა შეჭმული ტოტემის სული. პირიქით, თუ თემი ტოტემს პატივისცემით ეპყრობა, ის მას არ ავნებს. მაგალითად, სენეგამბიაში გველის თემის წევრთ არას დროს არ კბენს გველი, რომელიც ძლიერ შხამიანია ამ მხარეში.

ასეთ შეხედულებას თან და თან ფართო სარბიელი მიეცა. ველურმა გამოაცხადა, რომ ის ტოტემისაგან წარმოსდგა და ყოველივე კულტურული ნაბიჯი სავსებით მისი საქმეა. რით აიხსნება ასეთი შეხედულება?

განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა კეთილდღეობა სავსებით დამოკიდებული იყო ცხოველებზე. აი რას ამბობს ხსენებული ფონ-დენ შტაინენი: „წითელ-კანიან ინდიელთა კულტურის უმთავრესი ნაწილი უთუოდ ცხოველებს მიეწერება... მათი კბილები, ძვლები, ხოჭოები შეადგენენ იმათი (ინდიელთა) შრომის იარაღებს, ურომლისოთაც მათ არ შეეძლოთ დამზადება არც თავისი იარაღებისა და არც სახლში საჭირო ნივთების“.[1]

იმიტომაც ცხოვრების მეთაურათ ტოტემი გამოაცხადეს და მის თაყვანისცემას შეუდგენ. ეს სარწმუნოების დასაბამია. პირველ-ყოფილ კომუნისტურ წყობილებაში ცხოველი ადამიანზე უფრო ძლიერი იყო. და აი გულუბრყვილო და განუვითარებელმა ადამიანმა ის ღმერთად ჩასთვალა და მის თაყვანისცემას შეუდგა. ველურის პირვანდელი ღმერთი – ტოტემი – ცხოველი იყო.

რას წარმოადგენს ეს ტოტემისტური სარწმუნოება?

სარწმუნოებას სამი უმთავრესი ნაწილი შეადგენს: მითოლოგია, ანუ სხვა და სხვა თქმულება, სულთან ან სულებთან დამოკიდებულება და მათი თაყვანისცემა, ანუ კულტი.

რანაირია პირვანდელი მითოლოგია?

ის სავსებით ცხოველთა გარშემო ტრიალებს. ტლინკიტების მითოლოგიის მიხედვით ელი, ანუ ყორანი ქვეყნის შემოქმედი და კაცობრიობის კეთილის-მყოფელია. ბუშმენთა შეხედულებით ყველაფერი დამოკიდებულია ცხოველებზე, რომელთა შორის უფრო დიდ როლს თამაშობდა ვინმე კაგანი ანუ კაჯენი, ე.ი. კა-

[1] ხსენებული თხზ. 354 გვ.

ლია. ავსტრალიელთა თქმულებით ზოგი ცხოველი პრომეთეოსის როლს ასრულებს, ე.ი. ადამიანებს ცეცხლის ხმარებას ასწავლის.

რანაირია პირველ ყოფილ ადამიანთა დამოკიდებულება ტოტემთან?

პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებაში ერთი თემი მეორეს უკავშირდებოდა. ასეთივეა თემის დამოკიდებულება თავის ღმერთთან, ანუ ტოტემთან. ის დაფუძნებულია ხელშეკრულობაზე. ღმერთი თემს ეხმარება და მას კეთილს უმზადებს. სამაგიეროთ თემი ტოტემს არა ჰკლავს და მას პატივისცემით ეპყრობა. თუ ვინიცობაა, ადამიანმა დაარღვია ხელშეკრულობა, სიტყვა გასტეხა – ტოტემს უღალატა და მოჰკლა, ის ავათ გახდება, ხშირათ კიდევაც მოკვდება. ასეთი რისხვა მთელ თემს მოელის, ვინაიდან ტოტემი მონათესავეა მთელ თემთან. იმ ხანათ მთელი თემი აგებდა პასუხს თავისი წევრის დანაშაულში!

აქიდან გამომდინარეობს ტოტემის თაყვანისცემა, ანუ კულტი. თემი დრო-გამოშვებით ჰკლავდა ერთ-ერთ ტოტემს, მაგალითად კუს, ქელეხს აწყობდა და მის ხორცს დიდის ამბით შეექცეოდა. ამით ფიქრობდენ ნათესაური კავშირის განმტკიცებას და ტოტემის გულის მოგებას. ამ მიზნით წმინდა ცხოველთა მოკვლას ცოდვათ კი არა, სათნოებათ ნათლავდენ. ნაცვლათ ამისა შემდეგში დაწესდა ღმერთთან მსხვერპლის შეწირვა. მაგალითად, ძველი არკადიის მცხოვრებნი ზევესს სწირავდენ კაცის მსხვერპლს, ჭამდენ მოკლული კაცის ხორცს და მის შემდეგ თავის თავს მგლებათ რაცხდენ, თვით ზევესს კი მგლის მზგავსათ იხსენიებდენ.

უთუოდ ტოტემიზმის ნაშთია ჩვენში დღემდის დაცული ზნე-ჩვეულება: ყოველ მრევლს სოფლათ დაწესებული აქვს ყოველწლიური წირვა. ზოგი მრევლი ღმერთს სწირავს ხარს, ზოგი ცხვარს, თხას და სხვ. ამ დღესასწაულში მონაწილეა მთელი მრევლი და ამ მიზნით ქალაქში ან სხვა ადგილებში გადასახლებულნი დანიშნულ დღეს მამა-პაპისეულ სოფლებში ემგზავრებიან.

ყოველ საგანს თავისი სული აქვს, ასეთია პირველ-ყოფილ ადამიანთა შეხედულება. რა მოელის ამ სულებს მას შემდეგ, როცა საგანი კვდება და ისპობა?

როცა კუნძულ ფიჯის მცხოვრებს გული დაუსუსტდება, მისი თანამემამულენი მის სულს უხმობენ. იმათ ჰგონიათ, გულის დასუსტება სულის დროებითმა მოშორებამ გამოიწვიაო. თუ სული დაბრუნდა, ავათმყოფი განიკურნება. როცა ის კვდება – აშკარაა, ფიქრობს ველური, მას სული გაექცა და განაგრძობს დამოუკიდებელ ცხოვრებას. წინეთ ის ცხოველი იყო: ის თავისი ტოტემისაგან წარმოდგა მას შემდეგ, რაც ადამიანი მოკვდა, სული კვლავ ცოცხლობს და უბრუნდება თავის ტოტემს – ის ტოტემათ გადაიქცევა: გველის თემის წევრი გველი გახდება, კუს წევრი კუ და სხვ. ასე იცვლება ადამიანის გარეგანი სახე – სხეული, თვით სული კი მუდმივ არსებობს, ის უკვდავია. ასე წარმოიშვა რწმენა პიროვნების უკვდავებაზე.

ტოტემიზმი დღესაც ფართოთ გავრცელებულია ველურთა შორის. იროკეზების ტომში თვითოეულ თემს ჰყავს თავისი ტოტემი, რომლის სახელსაც ის ატარებს. სენეკას ფრატრიაში შემდეგ რვა თემია: 1) მგელი; 2) დათვი: 3) კუ; 4) წავი; 5) ირემი: 6) ღალღა: 7) ყანჩა და 8) მიმინო.

პირველყოფილი კომუნიზმი დაეცა. ნაცვლათ თევზაობა-ნადირობისა ცხოვრების უმთავრესი წყარო მიწის დამუშავება შეიქნა. და აი ადამიანებმა მოშინაურებული ცხოველებიც მიწათ მოქმედებაში გამოიყენეს და ამ გზით ისინი სავსებით დაიმორჩილეს. წინეთ ძლიერი და მრისხანე – ამიერიდან ცხოველი უძლური გამოდგა ადამიანის წინაშე. ასეთ პირობებში კი ცხოველებთან ნათესაობა სიძრახისია და ისიც დაგმეს და ტოტემიზმი უარყვეს.

სარწმუნოებაში ახალი ხანი იწყება. მიწათმოქმედების აკვანი აღმოსავლეთია: ეგვიპტე, ასურეთ-ბაბილონი, ინდოეთი და ჩინეთი. აქ წარმოების აზიური წესი ბატონობს. როცა ამ ქვეყანებში მდინარეთა გადმოხეთქა და მინდვრების მორწყვა წესიერია, მაშინ წელიწადიც ძლიერ მოსავლიანია. მარა თუ ქვეყანას ხანგრძლივი გვალვა ეწვია ან წყალ-დიდობა ძლიერი გამოდგა, მაშინ ჭირნახული ერთიანად განადგურდება და მიწის მუშა სავსებით ხელცარიელი დარჩება. მოკლეთ, აქ ადამიანი სავსებით ბუნების მონაა და ისიც გრძნობს თავის უძლურება-დამორჩილებას. დღესაც ასეთია ჩვენი გლეხის მდგომარეობა!

მიწის მუშა სუსტია ნათელჰყოს თავისი მდგომარეობა. და აი მან თავისი ბედნიერება-უბედურების მიზეზათ ის სულები გამოაცხადა, რომელნიც მას ეხმარებიან და კარგ მოსავალს უმზადებენ, ანდა მას მტრობენ და სარჩო საბადებელს ხელიდან აცლიან. ასეთია, მისი ფიქრით, ბუნების საგნები და მოვლენანი: მას ხომ მთელი ბუნება ცოცხალი არსება ჰგონია! ასე გააღმერთეს ბუნება და მის თაყვანისცემას შეუდგენ.

ასეთი იყო ძველ არიელთა (ცხოვრობდენ ახლანდელ ინდოეთში) სარწმუნოება. ისინი თაყვანს სცემდენ ცას, რომელიც წვიმას იძლევა; – მზეს, რომელიც ანათებს და პურს ამწიფებს; – წვიმას, რომელიც მინდვრებს რწყავს და სხვ.

ასეთი რწმენა მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა, მაგ., ეგვიპტელებს უმთავრეს ღმერთათ მიაჩნდათ რა, ანუ მზე.

ამ ახალი სარწმუნოების გვერდით არსებობდა ტოტემიზმის ნაშთებიც. სარწმუნოება უფრო კონსერვატიულია, ვინემ იდეოლოგიის სხვა ფორმა და შედარებით ძლიერ ნელა იცვლება. ეგვიპტელებს სწამდათ ღმერთი აპისი, ანუ ხარი და გველეშაპები. ინდოელები და ეგვიპტელებიც აღიარებდენ სულთა გარდასახვა-გადასახლებას.

პირველყოფილი კომუნიზმი – ეს ადამიანთა ერთობისა და სოლიდარობის ხანაა. დროთა ვითარებაში ეს წინანდელი ერთობა და სოციალურ ეკონომიური თანხმობა შეირყა. საზოგადოებას განსაკუთრებული მეთაური გაუჩნდა. ასეთი იყო მატრიარქი და კიდევ უფრო შემდეგში – პატრიარქი. ის მთელ წარმოებას მეთაურობდა, ყოველივე უკმაყოფილებას თემში არჩევდა და ამ გზით საერთო წესრიგს იცავდა. თან მას უფლება ჰქონდა თემთა შორის დავა მოესპო და ზავი ჩამოეგდო. ასე, ყოველივე მნიშვნელოვანი მოვლენის ჟამს მთელი თემი თვალს მისკენ აპყრობდა და შველასა და მფარველობას ითხოვდა. ამიტომ მას სიკვდილის შემდეგაც ხშირათ იხსენებდენ. მას სიზმარში ხედავდა და მისგან რჩევა-დარიგებას ისმენდა თემის ხან ერთი წევრი და ხან მეორე. აქედან დაასკვნეს, რომ გარდაცვლილი პატრიარქის სული თემს არ ივიწყებს, მას ეხმარება და მის ცხოვრებას წინანდებურათ სათავეში უდგასო.

ეს ადამიანთა გაღმერთებაა, ანუ ანტროპომორფიზმი. წინაპრები, გარდაცვლილი პატრიარქები – აი ახალი ღმერთები. შემდეგ გააღმერთეს გამოჩენილი სახალხო გმირებიც. მაგ. ბერძნებმა ტირანთ მკვლელნი: არისტოგიტონი და ჰარმოდიუსი.

ამით შეიცვალა ადამიანთა და ღმერთთა ურთიერთდამოკიდებულებაც. ამიერიდან ღმერთი ადამიანთა მამა შეიქნა, მსგავსათ პატრიარქებისა ღმერთები ადამიანებს იცავენ და ცხოვრებაში მათ აქტიურათ ეხმარებიან. მარათონთან და სალამინთან ბრძოლაში ბერძნებმა იხილეს თეზევსის სული, რომელიც სპარსელებს ებრძოდა. „ოდისეა“ მოგვითხრობს, რომ ტროიანელებთან ბრძოლაში ღმერთები შეიარაღებული იყვენ ლახვრებითა და ფარებით და ტროანელთა დამარცხებას ხელი შეუწყვესო.

თემში პატრიარქები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდენ. ასეთივეა ამიერიდან ადამიანთა დამოკიდებულება ახალ ღმერთებთან, ჯერ კიდევ ტოტემიზმის დროს ღმერთები ბინადრობდენ განსაკუთრებულ სახლებში და იქ მათ სასმელ-საჭმელს აძლევდენ. ნეგრებს გველი – ღმერთები ახლაც დამწყვდეული ყავთ ტაძარში და მსხვერპლათ სწირავენ ღორებსა, ცხვრებსა და ფრინველებს. გარდაცვალებულთა საფლავზე ბერძნებს თაფლი და რძე მიჰქონდათ. წინაპარ-ღმერთებთან კავშირის გასაძლიერებლათ მათ მსხვერპლათ ადამიანებს სწირავდენ. „დაბადება“ მოგვითხრობს, რომ ებრაელთა პატრიარქს აბრაამს სურდა ელოჰიმისთვის – ებრაელთა ღმერთისთვის – მსხვერპლათ თავისი შვილის ისაკის შეწირვა. ამ ახალ ღმერთთა ბინა მთის მწვერვალზეა და ეწოდება სამოთხე. ბერძენთა მითოლოგიით სამოთხე გაშენებული იყო ოლიმპოს მთაზე: იქ ნექტარი ამოდიოდა და ღმერთებს ატკბობდა აპოლონისა და მუზების სიმღერა. ქალღმერთებს ძლიერ უყვარდათ ჩაცმა-დახურვა და თავს იმნაირათვე ილამაზებდენ, როგორც ამ ქვეყნის ქალები.

საზოგადოება კლასებათ დაიყო და კლასთა ბრძოლა გაჩაღდა. ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა სახელმწიფო. მისი მიზანია „წესრიგის დაცვა“ და დაბალ კლასთა დამორჩილება. სახელმწიფოს მეთაურები – წინამძღოლნი და მეფეები ცხოვრებას სათავეში მოექცენ და ხალხის სვე-ბედს თავისი სურვილისამებრ განაგებდენ. დასა-

ვლეთ აფრიკის წინამძღოლები მონათა გაყიდვით ძლიერ გამდიდრდენ და ხალხისაგან მონურ დამორჩილებას ითხოვდენ. ისინი ფუფუნებაში ცხოვრობენ, ქვეშევრდომთ კი უფლება არა აქვთ მათ სუფრას მოუსხდენ, ან მათ მიუახლოვდენ, თუ არ მუხლებზე ჩოქვით. ლოანგოს მეფე წმინდანია და არავის არ შეუძლია ის ჭამა-სმის დროს იხილოს.

ასეთი მდგომარეობა სარწმუნოებამ ზეცაში გადაიტანა. ამიერიდან ღმერთი მეფის თვისებებითაა აღჭურვილი. ის ხალხსა და სამყაროს მოშორდა. ბერძნებმა ღმერთთა სამფლობელო, ანუ სამოთხე ოლიმპოს მთიდან „ნეტართა კუნძულზე“ – სადღაც ქვეყნის კიდეში გადაიტანეს: იქ დედამიწა ნაყოფს სამჯერ იძლევა. დასასრულ ღმერთები ზეცაში ესახლებიან და იქიდან განაგებენ მსოფლიოს.

თუ ქვეშევრდომი მეფის სურვილს უსიტყვოთ დაემორჩილა, მას ჯილდო და პატივი მოელის. მარა საკმარისია მან ურჩობა გაბედოს, რომ თავს დაატყდეს მეფეთა რისხვა, ასეთივეა სარწმუნოებრივი წესრიგიც. ღმერთები ზეციერი მეფენი და მოსამართლენი შეიქნენ. ყველა მორწმუნე, ვინც ღმერთთა ნებას დაემორჩილა და მათ მცნებებს ასრულებს, ცხონებულია და სამოთხეში – საიქიოში მუდმივი ბედნიერება მოელის. ცხონებული ბერძნები ელიზიუმში ცხოვრობდენ, სადაც იზიარებდენ ღმერთების ბედნიერებას, თუმცა ნაკლები ხარისხით.

რას წარმოადგენს სამოთხე!

ის საუცხოვო ბაღია – ასეთი იყო ებრაელთა შეხედულება. ის შესანიშნავი მინდორია – ფიქრობდენ ბერძნები. ის ედემის ბაღია – აცხადებს მაჰმადი.

ედემის წალკოტებს, საცა უნდა შეიყვანონ იგინი (მორწმუნენი) მდინარენი ჩაუდიან, ხოლო მათ შეუძლიათ ჰპოონ იქ ყველაფერი, რაც ინატრონ. ამნაირათ აჯილდოებს ღმერთი მათ, რომელთაც მისი ეშინიათ.[1]

აი, თუ როგორი იქნეს წალკოტი, აღთქმული მათთვის. რომელთაც ღვთის ეშინიათ: წალკოტი მდინარის წყალით მორწყული;

[1] ყურანი. ქართული თარგმანი. 16 თავი, 33 მუხლი.

იმის ნაყოფთა საზრდო დაულეველია და იმის ჩრდილი მუდმივი. ასეთი აღსასრული ექმნესთ მორწმუნეებსა; ურჯულოებს კი ცეცხლი ექმნესთ.[1]

„მათია (მორწმუნეთა) ედემის წალკოტები; ფეხთა ჩაუდიოდესთ წყალი, სამკაულათ ექნესთ ოქროს ხელსაბამები, ტანთ ეცვასთ მწვანე ფარჩეულისა და ატლასის სამოსელი, რა დამსხდარ იმქმნენ თავთავიანთ ადგილზე“. რა ჩინებული ჯილდოა! რა გასაოცარი ადგილგანსასვენებელია![2]

მოკლეთ, სამოთხე აქაური ცხოვრების გაგრძელებაა. გარჩევა ერთშია: აქ ადამიანი ტანჯვა-წვალებაში ატარებს სიცოცხლეს, საიქიოში კი ის სტკბება მუდმივი ბედნიერებით. სად უნდა ვეძიოთ ასეთი რწმენის სათავე?

ადამიანს სულს უხუთავდა არსებული ცხოვრება, მარა ის უძლური იყო მისთვის ბოლო მოეღო და ბედნიერების სამეფო აეგო. სახელმწიფოში კი ყველაფერი დაფუძნებულია დაჯილდოებასა და სასჯელზე. და აი ადამიანმაც დაასკვნა: რაკი აქაური ცხოვრება მწარეა, ჯილდოს თავისი კეთილი ცხოვრებისათვის, ის საიქიოში, სამოთხეში მიიღებს. ასეთ პირობებში სამოთხე ნეტარების სამეფოთ გადააქციეს: რაც სანატრელი იყო ამ ცხოვრებაში, ის ზეცაში გადაიტანეს.

ვინც სახელმწიფო წესრიგს წინაღუდგა, მას მეფეთა რისხვა მოელის. მზგავსათ ამისა, ვინც ღმერთებს გადუდგა, ის ეშმაკის შვილია, უკუნითი უკუნისამდე წაწყმედილია და ჯოჯოხეთში მუდმივი ტანჯვა მოელის. ის იქ იხრაკება ცეცხლსა და კუპრში.

ბერძენთ ჯოჯოხეთს ტარტაროზი ეწოდებოდა. მის წარმოშობას ასე აგვიწერს ბერძნული მითოლოგია: ღმერთები ორ ბანაკათ გაიყვენ. ერთ მხარეზეა კრონოსი და ქალ-ღმერთები: ტიტანია, დემეტრა და გეა. ისინი მატრიარქატს იცავდენ. მეორე მხარეზეა კრონოსის შვილი ზევესი და მისი მომხრე ღმერთები – პატრიარქატის თავგამოდებული დამცველნი. ომში კრონოსის პარტია დამარცხდა და ოლიმპოს ღმერთთა სამფლობელოს ზევესი დაეპატრონა. და აი, ის თავის პირად მტერთ – კრონოსსა და მის მომხრე

[1] იქვე, 14 თავი, 35 მუხლი.
[2] იქვე, 18 თავი, 30 მუხლი.

ღმერთებს აბამს ჯაჭვებით და სატუსაღოში – ტარტაროზში მიერეკება, „სადაც არ მოსჩანს მზის სხივი და მტრები გამოუთქმელათ იტანჯებიან“.[1]

„ურჯულოთ“ მაჰმადი ჯოჯოხეთში ანუ „ჯანაბაში“ მიერეკება. ჯანაბა ურჯულოთა სატუსაღოა.[2] „ხოლო ჩვენ დაგვიმზადებია – აცხადებს წინასწარმეტყველი მაჰმადი – არაწმიდებისთვის ცეცხლი, რომელმაც იგინი გარემოიცვას თავის ალითა, შველის შემხვეწართ შეაძლიონ ახვარხვალებული წყალი, თითქო გადამდნარი ლითონიაო, რომელმაც პირისახე დასწვას, რა საძაგელი სასმელია! რა საძაგელი ადგილ განსასვენებელია“.[3]

ამ გზით ზნეობა სარწმუნოებას დაუკავშირეს წინეთ ორივე ერთი მეორისაგან დამოუკიდებლათ ვითარდებოდა. ვედებს კუნძულ ცეილონზე დღესაც არა სწამთ ღმერთი და არც ფიქრობენ, რომ მათ სადმე რაიმე სასჯელი მოელის, აგრეთვე არც ავსტრალიელი და კუნძულ „ცეცხლის ქვეყნის“ მცხოვრებნი ფიქრობენ, რომ სულები სჯიან ადამიანებს ცუდი ყოფაქცევისთვის, თუმცა ისინი ბავშვებს ხშირათ აშინებენ ასეთი საუბრით. ხოლო როცა იშვა სახელმწიფო, ხალხმა სახელმწიფოში გამეფებული დაჯილდოვება – დასჯის წესრიგი სარწმუნოებაში გადაიტანა და ზნეობა სარწმუნოებას დაუმორჩილა. ზნეობრივი მცნებანი ღვთის სახელით მონათლეს და მათი ასრულება სასტიკათ დაავალეს მორწმუნეთ, რომ მათ ამ გზით თავიდან აიშორონ ღმერთების რისხვა-სასჯელი.

სახელმწიფოში ყველაფერი მეფის სურვილზეა აშენებული. ასეთივეა ზეციერი მეუფეც: ის ყოვლის შემძლებელია და ყოვლის მცოდნე, ის დასაწყისია ყოველი საგნის, ის აძლევს სიცოცხლეს და მას ასალმებს და სხვ. მოკლეთ, სარწმუნოებაც „მონარქიულ საფუძველზე“ მოეწყო – ასე ახასიათებს ტეილორი ბერძენთა სარწმუნოებას.

ამიერიდან ღმერთი ეროვნული ღმერთია. წინეთ ყველა თემს ყავდა თავისი ღმერთი: ტოტემი და ღმერთი-წინაპარი – თემთა

---

[1] ილიადა. VIII თავი.

[2] ყურანი. 17 თავი, 8 მუხლი.

[3] იქვე, 18 თავი, 28 მუხლი.

ღმერთი. მას შემდეგ, რაც თემები ერთი მეორეს დაუკავშირდენ და ამ გზით სახელმწიფო დამკვიდრდა, მსგავსათ ამ ქვეყნის მეთაურისა, ზეციერი მეფეც ერთია: ის განაგებს მთელი ერის სვე-ბედს, როცა ეგვიპტეში მრავალი თემთა შეერთებიდან სამი სახელმწიფო დაარსდა – თისი, მემფისი და თებენი, ეგვიპტელთა მეთაურობა სამი ღმერთის ხელში გადავიდა. ესენია უზირის–რა ანუ ოზირის-რა, ფტაჰ-რა და ამონ-რა თავიანთ ცოლებით იზიდით, ზეტით და მუტით. ბაბილონის ეროვნული ღმერთი იყო მარდუკი და ინდოელთა-ინდრა. ებრაელებს სწამდათ ღმერთი იეღოვა, ბერძნებს ზევესი ანუ ზევსი, ბუდისტებს ბრამა და სხვ. ყველა ეს ეროვნული ღმერთია და მხოლოთ თავის ერს ექომაგება.

ქრისტეს დაბადების წინ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ჯერ საბერძნეთში და შემდეგ რომში მსოფლიო აღებ-მიცემობა აყვავდა და ერთი კუთხე მეორეს ეკონომიურათ დაუკავშირდა. ეკონომიური გაერთიანება პოლიტიკური გაერთიანების საფუძველია. და აი მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა და მერე რომაელებმა მთელი მაშინდელი ქვეყნიერება დაიპყრეს და ასე ერთი იმპერია დაარსდა, განადგურდა ცალკე ერთა პარტიკულიარიზმი და მომზადდა ნიადაგი ერთი საყოველთაო ღმერთისთვის. დედამიწას ერთი იმპერატორი ბატონობს და ამისდაგვარათ ზეცას ერთი ღვთაება – აი ახალი შეხედულება. ეს ქრისტიანობამ დაასაბუთა. იესო ნაზარეველმა და მოციქულებმა ქვეყანას აუწყეს, რომ ყველაფერი ერთი ღმერთისაგან გამომდინარეობს და მას ემორჩილება მთელი სამყარო – ყველა ერი და ყველა სულიერი და უსულო არსება. ღმერთი ერთია, მარა სამ- პიროვანი და განხორციელებაა ყოველნაირი სათნოებისა, ამიერიდან ერთი ღმერთის რწმენა ანუ მონოთეიზმი დღითი-დღე ახალ-ახალ მიმდევართ პოულობს.

ქრისტიანობიდან ასეთი შეხედულება მაჰმადმა ისესხა და ის კიდევ უფრო განავითარა. მან უარყო ღმერთის სამპიროვნება და გამოაცხადა: არის მხოლოთ ერთადერთი ალლაჰი და წინასწარმეტყველია მისი მაჰმადი.

საშუალო საუკუნეები ფეოდალური წარმოების ხანაა. ხალხი საერო და სასულიერო ფეოდალებმა დაიმორჩილეს. სარწმუნოე-

ბაც ამ დამონებას ღვთის სახელით ადასტურებდა. როცა ახალი კლასი, ბურჟუაზია მოღონიერდა, მან ფეოდალიზმს ბრძოლა გამოუცხადა. ბრძოლამ სარწმუნოებრივი ხასიათი მიიღო და ეს იმიტომ, რომ ფეოდალიზმის მესვეურებმა სარწმუნოებას დაუმორჩილეს მთელი იდეოლოგია: ფილოსოფია და მეცნიერება, პოლიტიკური მსოფლმხედველობა და სხვ. „ამიტომაც ყოველნაირი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა იძულებული იყო სარწმუნოებრივი ფორმა მიეღო. მასის გრძნობას მხოლოთ სარწმუნოებრივი საზრდო აკმაყოფილებდა. ამიტომ, რათა მრისხანე მოძრაობა გამოეწვიათ, მასას თავისი ინტერესები სარწმუნოებრივ სამოსელში უნდა წარმოედგინა“.

ბურჟუაზიული ოპოზიცია შესდგებოდა ორი ნაწილისაგან. ერთი იყო ქალაქის წვრილი ხალხი – დღიური მომუშავენი და სხვა და სხვა მოსამსახურენი – და ცდილობდა საზოგადოების რადიკალურათ გარდაქმნას. მეორე იყო თვით ბურჟუაზია, რომელიც ახალ წარმოებას მეთაურობდა. გაბატონებულ კათოლიკურ ეკლესიას ომი ორივე მხრივ აუტეხეს. ასე წარმოიშვა მწვალებლობა ანუ ერესი. ორივე ნაწილი შეერთდა ერთ აზრში – კათოლიციზმის ბატონობის ამოგდებაში. პაპმა მთელი დასავლეთი სამყარო დაიმორჩილა, აუტანელი გადასახადები დააკისრა და ამ რიგათ სწრაფად გამდიდრდა. ამიტომ მთელი ბურჟუაზიული ოპოზიცია შეეცადა პაპის ალაგმვას. ამის შემდეგ განსხვავება იწყება. ბურჟუაზია ცდილობდა პაპის ნაცვლათ თავისი ბატონობის აგებას, რადიკალური ნაწილი კი მიისწრაფოდა საზოგადოების ძირ-ბუდიანათ გარდაქმნისაკენ და კომუნიზმის დაფუძნებისაკენ. ამ მიზნით მან ააფრიალა დროშა პირველყოფილი ქრისტიანობის. მწვალებლობამ ანუ ერესმა მიიღო ორნაირი სახე: ბურჟუაზიული, ანუ რეფორმატორული და რევოლიუციონური ანუ კომუნისტური.

ომში პაპი ძლიერი აღმოჩნდა და კომუნისტური მწვალებლობა სასტიკათ დამარცხდა. უკანასკნელმა მაინც დიდი გავლენა მოიპოვა ხალხის ფართო, უფრო დაბალ წრეებში. ასეთი იყო, მაგალითათ, ვალდენსებისა ანუ ალბიგოელთა სექტა სამხრეთ საფრანგეთში მე-12-ე – მე-13-ე საუკუნეში. პაპმა მათ წინააღმდეგ ჯვაროსანთა ომი გამოაცხადა და მათი ქონება მეომართ აღუთქვა.

მხოლოთ ოცი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ შესძლო ჩრდილოეთ საფრანგეთის თავადთა ბრბომ ალბიგოელთა ქალაქების აღება და მათი განადგურება“.[1]

მწვალებლობის მოსპობა შეუძლებელი შეიქნა და ეს იმიტომ რომ პაპის ბატონობის მოსპობა, ყოველ შემთხვევაში მისი შეკვეცა, აუცილებელი პირობა იყო ბურჟუაზიული წარმოების განვითარებისათვის. ამიტომაც მწვალებლობამ უფრო და უფრო ფართე ხასიათი მიიღო.

მე-16-ე საუკუნის დასაწყისში პაპის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა გერმანიამ იკისრა. აქ ზომიერთ ლიუტერი ხელმძღვანელობდა და რადიკალებს – თომას მიუნცერი. უკანასკნელი ქადაგობდა კომუნიზმს და წყობილების რევოლიუციონური გზით შეცვლას. ის მეთაურობდა გლეხთა აჯანყებას 1525 წელს. ქალაქებმა მხარი არ დაუჭირეს გლეხებს და აჯანყება მსხვილ მემამულეთა ჯარმა ჩააქრო.

ასე, რადიკალური სოციალური მოძრაობა დამარცხდა და მით ეკლესიის რადიკალური ცვლილებაც. ლიუტერმა შექმნა ახალი სარწმუნოება, მარა სწორეთ ისეთი, რომელიც შეეფერებოდა აბსოლიუტური მონარქიისა და მისი მომხრე ბურჟუაზიის ინტერესს. თავადები დაეპატრონენ პაპისა და ეკლესიის ადგილ-მამულებს, ხოლო გლეხები კიდევ უფრო დაიმორჩილეს და კვლავ ყმებათ გამოაცხადეს.

„რაც ვერ შესძლო ლიუტერმა, ის აასრულა კალვინმა. მისი მოძღვრება ეთანხმებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის უფრო რადიკალური ნაწილის მოთხოვნილებას, მისი მოძღვრება წინასწარ განსაზღვრის შესახებ სარწმუნოებრივი გამოხატულება იყო იმ ფაქტის, რომ ვაჭრობაში, კონკურენციის სამეფოში, მოგება ან გაკოტრება დამოკიდებულია არა კერძო პიროვნების მოქმედებასა და მოხერხებაზე, არამედ გარეშე პირობებზე. „განსაზღვრავს არა კერძო ადამიანის ნება და მოქმედება, არამედ მოწყალება“ ძლიერ, მარა უცნობ ეკონომიურ ძალთა. ეს რასაკვირველია, მართალი იყო ეკონომიური გარდაქმნის ხანაში, როცა ძველი სავაჭრო გზებისა და ცენტრების ადგილი დაიჭირეს ახლებმა,

[1] Фр. Энгельсъ. Л. Фейербахъ, 75-76 გვ.

როცა აღმოაჩინეს ამერიკა და ინდოეთი, როცა შეირყა და დაეცა ოქროსა და ვერცხლის – ამ დიდი ხნიდან თაყვანცემულ ეკონომიურ წმინდანთა – ფასი. ამასთან ეკლესიური წყობილება სავსებით დემოკრატიული და რესპუბლიკანური იყო; იქ კი სადაც ღვთის სამეფო რესპუბლიკანური შეიქნა, განა შესაძლებელი იყო ამ ქვეყნიური სამეფონი დარჩენილიყვნენ კეთილ მორწმუნე ქვეშევრდომებათ თავიანთ მეფეთა, ეპისკოპოსთა და ფეოდალთა წინაშე? თუ ლიუტერანობამ მოხერხებული იარაღი მისცა ხელში გერმანიის წვრილ თავადებს, კალვინის მოძღვრებამ დაამყარა რესპუბლიკა ჰოლანდიაში და შექმნა ძლიერი რესპუბლიკანური პარტიები ინგლისში და კიდევ უფრო შოტლანდიაში".[1] საფრანგეთის რეფორმაცია დამარცხდა. ეკლესია ძლიერი გამოდგა და ის წინააღუდგა ქვეყნის ახალ საფუძველზე მოწყობას. ამიტომ იყო, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სარწმუნოებას ომი აუტეხა და რევოლიუციამ, რობისპიერის დროს, 1793 წ., ის უარყო და გონების კულტი გამოაცხადა. ნაპოლეონს შემდეგ ბევრი ცდა დასჭირდა სარწმუნოების კვლავ აღსადგენათ და წმ. ტახტთან – პაპთან კავშირის დასამყარებლათ.

მოკლეთ, სარწმუნოება ამა თუ იმ კლასის იარაღია, და ეს იმიტომ, რომ ის ფანტასტიური გამოხტულებაა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა. ის, რაც აქ ცხოვრებაში სწარმოებს, სარწმუნოებას ზეცაში გადააქვს და მას არაჩვეულებრივ სამოსელში ხვევს. „ზეცა" ამ ქვეყნის სიმბოლიური სარკეა.

ამიტომ არის რევოლიუცია სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში – ეს რევოლიუციაა საერთოთ იდეოლოგიაში და კერძოთ სარწმუნოებაში და პირიქით აი რას მოგვითხრობს «Речь»-ის კორესპონდენტი კიევ-პეჩერის ლავრიდან (მონასტრიდან):

„ლავრის ეზო სავსეა მფორთხავი, დამწუხრებული ხალხითა...

ამდენი მლოცველი ბევრი წელია რაც არ ყოფილა – მეუბნებოდა სასტუმროში ლამაზი და მხიარული ბერი. – რევოლიუციის წინეთ ასე იყო მხოლოთ აღდგომას. რევოლიუციონურ წლებში მლოცველთ რიცხვმა იკლო (სიტყვებს – რევოლიუცია და რევოლიუციონური წლები – ის გამოთქვამდა ხმის ამაღლებით და ამ

[1] ფრ. ენგელსი. Объ историческом матеріализме.

დროს თავის თავს უცქერდა სარკეში), ახლა მლოცველი კვლავ მოდის. ახლა, ხედავთ, ადგილიც არაა. ყველა დერეფანიც კი დაჭერილი და გავსებულია.

– რატომ იკლო თქვენი აზრით რევოლიუციონურ წლებში მლოცველმა?

– ერთი უნდა ვთქვა – ღმერთი დაივიწყეს. ეს რაღაცა ათასნაირი თავისუფლება შემოიღეს. გონების, გულის დაბნელება. და აი, ღმერთმა დასაჯა, კვლავ გონს მოვიდენ და მოაწვა ხალხი, მოაწვა...

მართლაც მოაწვა, კვლავ ყოველი მხრიდან მიემართება მონასტრებისკენ მფორთხავი, მაძიებელი რუსეთი...“[1]

სავსებით მართალია „ლამაზი და მხიარული“ ბერი. განვლილი მოძრაობის ჟამს ხალხმა ზურგი შეაქცია სარწმუნოებას. მან მთელი თავისი გონება და გული, აზრი და ლტოლვილება მიაპყრო ამ ქვეყნიური ბედნიერების მიღწევას. მარა ის დამარცხდა და აი კვლავ მიემართება მონასტრებისკენ „მფორთხავი და მაძიებელი რუსეთი“.

თავისუფლების ნაცვლათ წმინდანებს „ეძიებდენ და ჰპოებდენ“.

1) მეფობის დამხობით სარწმუნოებასაც ახალი ელფერი ეძლევა. რევოლიუციამ ბატონყმობის ნაშთებს წესი აუგო. ცვლილება ეკონომიასა და პოლიტიკაში ნიადაგს უმზადებს ცვლილებას სარწმუნოებაშიაც. და აი „კეთილმორწმუნე“ რუსეთი ამ ჟამათ უწმინდესი სინოდის წინააღდეგ ილაშქრებს, რომელიც რეაქციის ძლიერ ბურჯს წარმოადგენდა. ეკლესიის დემოკრატიულ საფუძველზე აგებას ცდილობენ და ამ მიზნით საეკლესიო კრების მოწვევას და მით „ეკლესიის მთავართა“ ალაგმვას ელტვიან. რევოლიუციონურ ხანაში მთელი ცხოვრება დემოკრატიის ზეგავლენას ემორჩილება.

2) ჩვენ დავინახეთ, რომ მთელი იდეოლოგია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, წარმოებაზე შენდება. მარა ეს როდი ნიშნავს, თითქოს წარმოება ყველაფერია, იდეოლოგია კი მოკლებულია ყოველივე მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების საქმეში. პირიქით, იდეოლოგია თავის მხრივ გავლენას ახდენს წარმოებაზე და ადამიანთა ცხოვრების დანარჩენ მხარეზე.

რა პირობებში წარმოებს ეს ურთიერთ-გავლენა?

---

[1] გაზეთი «Речь» 1910 წ. №109. კორესპონდენცია С.К.-ს: «Съ богомольцами».

თავი VII

ურთიერთგავლენა

„პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი მხატვრული და სხვ. განვითარება დაყრდნობილია ეკონომიურ განვითარებაზე. მარა ყველა ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძველზედაც. მარტო ეკონომიური მდგომარეობა კი არაა აქტიური და დანარჩენი მხოლოთ პასიური მოქმედება, არამედ ხდება ურთიერთ გავლენა ეკონომიური აუცილებლობის ნიადაგზე, რომელიც დაბოლოს მუდამ იმარჯვებს“.[1]

სახელმწიფოს დამკვიდრება წარმოების განვითარებამ გამოიწვია, მარა ის თავის მხრივ გავლენას ახდენს წარმოებაზე. ცნობილია, საფრანგეთის აბსოლიუტური მონარქია მე-17-ე საუკუნეში შეუდგა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ამ მიზანს ემსახურებოდა პირველი მინისტრი კოლბერი. ის ეხმარებოდა კაპიტალისტებს პრემიებისა და ათასნაირი პრივილეგიების მინიჭებით, საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე მაღალი სადამოჟნო ბაჟების დაწესებით, უცხოელ მუშათა ჩამოსახლების გაადვილებით, ფრანგ მუშათა გადასახლების აკრძალვით და სხვ. მართლაც, ამ ზომების მიხედვით ვაჭრობა- მრეწველობა აყვავდა და საფრანგეთმა ამ მხრივ პირველი ადგილი დაიჭირა ინგლისის შემდეგ მთელ დასავლეთ ევროპაში. მარა ახალ წარმოებას აფერხებდა მოძველებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება. ბურჟუაზიული წარმოება მოითხოვდა ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას, საფრანგეთში კი ამქრული სისტემა ბატონობდა: აქ წინდაწინ განსაზღვრული იყო, რამდენი ქარგალი და შეგირდი უნდა ყოლოდა ხელოსანს, აგრეთვე საქონლის მასალა და ფასი. ბურჟუაზიული წარმოება თავისუფალი მუშის საქმეა. საფრანგეთში კი მშრომელი ხალხი – გლეხკაცობა თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ დაიმორჩილა: გლეხი მათ წინაშე ბეგრითა და ხარკით მოვალე იყო.

---

[1] ფრ. ენგელსი. კერძო წერილი, 1894 წ. თარიღით დაიბეჭდა „Socialistische Akademiker“- ში, 1895 წ., 373 გვ.

ამიტომ 1789 წ. საფრანგეთში რევოლიუცია დაიწყო. როცა აჯანყება სოფლებსაც მოედვა და ასე ძველი წყობილების წინააღმდეგ მთელი ერი ამხედრდა, საერთო კრებამ ერთ ღამეს – 4 აგვისტოს 1789 წ. – ხალხის დამონებას ბოლო მოუღო. ქალაქებში მოსპო ამქრული წესები და სოფლებში ფეოდალიზმის ნაშთები.

რუსეთში მთავრობამ 1906 წ. 9 ნოემბერს გამოსცა ახალი აგრარული კანონი. მისი მიზანია სოფლათ თემური წყობილების მოსპობა და კერძო მიწათ-მფლობელობის დაფუძნება. და აი მთელ რუსეთში გლეხები „ობშჩინიდან“ გადიან, სათემო ადგილ-მამულს იყოფენ და ამ გზით ძირს უთხრიან საუკუნეებით განმტკიცებულ ძველ ეკონომიურ წყობილებას.

მოკლეთ, პოლიტიკა განსაზღვრულ პირობებში ძველ ეკონომიას ამტკიცებს და ახალ გზას უხსნის. აი, რით აიხსნება მუშათა ლტოლვილება: ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაეპატრონონ და სახელმწიფოს მექანიზმი თავის განმათავისუფლებელ იარაღათ გამოიყენონ. ეს პროლეტარიატის დიქტატურაა. ამ გზით ბურჟუაზიული წარმოება და მასზე აგებული სოციალ-პოლიტიკური წყობილება განადგურდება და საზოგადოება ახალ საფუძველზე მოეწყობა. ეს სოციალიზმის სამეფოა.

ასეთივეა იდეოლოგიის გავლენაც. ახალი იდეები ძველი წყობილების დამხობას ეხმარებიან. საფრანგეთის „განმანათლებელთა“ მოღვაწეობამ ხალხი აამხედრა აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ და გამოიწვია მონარქიის დაცემა და ფეოდალიზმის ნაშთების დამსხვრევა.

მეცნიერი ახალ საწარმოვო იარაღს იგონებს და მით წარმოების განვითარებას აჩქარებს. ის იმუშავებს ახალ მეცნიერულ სისტემასა და ამით სწავლა-განათლების გავრცელებას ემსახურება. მარა განათლება მოთხოვნილებათა ზრდას იწვევს. ეს კი ამწვავებს კლასიურ ბრძოლასა და ამით გავლენას ახდენს პოლიტიკასა და წარმოებაზე.

მხატვარი თავის ხელოვნური[1] ნაწარმოებით ხალხს ამხედრებს მოძველებული წყობილების წინააღმდეგ და მის დამხობას აჩქარებს, ან ის ეკედლება რეაქციას და მას ამაგრებს. ასე, არაპირდაპირი გზით ის ანვითარებს წარმოებას ანდა მას აფერხებს.

[1] სახელოვნებო. რედ.

სარწმუნოება გაბატონებულ კლასთა ზნეობრივ შეხედულებათა განმტკიცება-დაკანონებას ემსახურება, ზნეობა სარწმუნოების იარაღი შეიქნა. ორივე ერთათ ღვთის სახელით ნათლავს არსებულ წყობილებას და წინ ეღობება საწარმოვო ძალთა განვითარებას.

მოკლეთ, ცხოვრების სხვა და სხვა მხარე ერთი მეორესთან ათასნაირი ძაფით გადაბმულია და ასე ურთიერთობა მყარდება. ამაზე აღმოცენდა ე.წ. ფაქტორების თეორია. პოლიტიკა ეკონომიაზე ახდენს გავლენას, ეკონომია – პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე, უკანასკნელი – თავის მხრივ წარმოებაზე და სხვ. ასე არსებობს მრავალი სხვა და სხვა ფაქტორი. ისტორია წარმოადგენს ამ ფაქტორების ურთიერთ-გავლენას და ამიტომ შეუძლებელია ისტორიული განვითარების ერთი საფუძვლის აღმოჩენა. ასეთია ეს მოძღვრება, რომელსაც რუსეთში იზიარებდენ ნაროდნიკები პეტრე ლავროვისა და ნ. მიხაილოვსკის მეთაურობით და დღესაც მტკიცეთ ადგია ოფიციალური მეცნიერება.

განა მართალია ასეთი შეხედულება?

პოლიტიკა გავლენას ახდენს წარმოებაზე, მარა იბადება კითხვა: საიდან წარმოსდგა თვით პოლიტიკა და მისი ასეთი თუ ისეთი მიმართულება. ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს დამკვიდრება აზიურმა და მონურმა წარმოებამ გამოიწვია.[1] ასე, წარმოება პირვანდელია, პოლიტიკა მისი შედეგი; წარმოება საფუძველია, ხოლო პოლიტიკა ზედნაშენია:

ამ ჟამათ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო კოლონიებს დაეძებს და ძალით ახალ ქვეყნებს იერთებს, რამოდენიმე წლის წინეთ ინგლისმა სამხრეთ აფრიკაში ბურების რესპუბლიკა – ტრანსვაალი და ორანჟი შემოიერთა; საფრანგეთმა მაროკოს წაართვა დამოუკიდებლობა; იტალიამ – ტრიპოლისს და სხვ. ახალი ქვეყნების დაპყრობა უთუოთ ხელს უწყობს ბურჟუაზიული წარმოების სწრაფ განვითარებას. გამოდის, წარმოება გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. უკანასკნელი თავის მხრივ წარმოებაზე და ასე თითქოს ფაქტორების თეორია მტკიცდება. მარა – ეს მხოლოთ ერთი შეხედვით. მართლაც სად უნდა ვეძიოთ კოლონიალური პოლიტიკის სათავე?

---

[1] იხ. აქვე მე-V თავი: პოლიტიკური წყობილება.

კაპიტალისტური წარმოება საქონლის წარმოებაა: აქ ბაზრისთვის, გასასყიდათ აწარმოებენ. რაც უფრო ფართოა ბაზარი, მით უფრო მეტი საქონელი საღდება და მით, შედარებით, უფრო დიდია კაპიტალისტის მოგებაც. შინაური ბაზარი საკმარისი არაა: გაღატაკებულ მშრომელ ხალხს არ შეუძლია აუარებელი საქონლის შეძენა. ამიტომ ბურჟუაზია გარეშე ბაზრებს დაეძებს. თანამედროვე სახელმწიფო ბურჟუაზიის „აღმასრულებელი კომიტეტია“ და ისიც ხან ტრაქტატებით და მშვიდობიანი მოლაპარაკებით, ფინანსიური ოპერაციებით და რკინის გზების გაყვანით და სხვ., ხან კი იარაღით ხელში „ბარბაროსთ“ იმორჩილებს და მათში „კულტურას“ ავრცელებს და ამ გზით ახალ ბაზრებს იპყრობს. საბოლოოთ პოლიტიკა მუდამ წარმოებას ემორჩილება.

ახლა იდეოლოგია ავიღოთ. ახალი იდეოლოგია ძირს უთხრის ძველ წყობილებას, მარა თვით ის შედეგია საწარმოვო ძალთა განვითარების. ჩვენ ვიცით, რომ განმათავისუფლებელმა იდეებმა ბოლო მოუღეს საფრანგეთის აბსოლიუტიზმს, მარა ეს გამოიწვია ბურჟუაზიის ეკონომიურათ გაძლიერებამ.

მონარქია და მისი დამცველი იდეოლოგია აფერხებდენ ახალი წარმოების განვითარებას. ამის საწინააღმდეგოთ საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ახალი იდეები წამოაყენა და მოითხოვდა საზოგადოების განთავისუფლებას. იდეური ომი გაჩაღდა. ბურჟუაზია დღითი დღე ძლიერდებოდა და ამისდა მიხედვით ახალი იდეებიც ფართოთ ვრცელდებოდა ხალხის წრეებში. და აი, როცა მთავრობა დარწმუნდა, რომ მას ხალხი გადუდგა და ახალ იდეოლოგიას მიემხრო, ის შეეცადა მოძრაობის ჩაქრობას და ამ მიზნით მოიწვია გენერალური შტატები. რა უნდა იკისროს ამ წოდებრივმა წარმომადგენლობამ? მთავრობა და სასახლის არისტოკრატია მისგან ითხოვდა ახალი გადასახადების გაწერას და ამ გზით ხალხის სამუდამოთ დამორჩილებას, ბურჟუაზიის ინტერესი იყო თვით აბსოლიუტური მონარქიის მოსპობა და ამის მეოხებით ახალ საწარმოვო ძალებისათვის გზის გაკაფვა. პირველის ხელშია ჯარი და მთელი სახელმწიფო მექანიზმი, მეორეს ზურგს უმაგრებს ახალი ეკონომია. და აი უკანასკნელმა სძლია ძველ სახელმწიფო წყობილებას. გენერალურმა შტატებმა, – სახალხო წარმომადგენლობამ, რომელიც ბურჟუაზიის მისწრაფე-

ბებს გამოხატავდა, თავი საერთო კრებათ გამოაცხადა, მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას დაეპატრონა და ახალი სახელმწიფო ააგო. ასე საბოლოოთ გაიმარჯვა ახალმა ეკონომიამ. მოკლეთ, ბურჟუაზიულ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენდა ახალი ბურჟუ-აზიული იდეოლოგია და მისი მეოხებით დამკვიდრდა ახალი ბურ-ჟუაზიული სახელმწიფო.

ჩვენში მთავრობა თემს არღვევს. ნუ თუ მან ეკონომიური გა-ნვითარება დაიმორჩილა და მას თავისებურ ხასიათს აძლევს? ქალაქში დამკვიდრებული ბურჟუაზიული წარმოება და აღებ-მი-ცემობა სოფელშიც შეიჭრა და ნიადაგი გამოაცალა თემურ ურთი-ერთობას. ასე, ახალი ეკონომია ძველ ეკონომიას ამარცხებს. აი აქ ჩნდება მთავრობა და თემს უკანასკნელ ლახტსა ჰკრავს და მის მოსპობას აჩქარებს.

ასეთია პოლიტიკისა და იდეოლოგიის დანიშნულება. ისინი გა-ნსაზღვრულ პირობებში ეხმარებიან ეკონომიურ რევოლიუციას და ამსუბუქებენ ისტორიული „მშობიარობის ტკივილებს“. ამაზე შენდება მუშათა რწმენა, რომ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელ-ში ჩაგდებით ისინი ბურჟუაზიულ წყობილებას სამუდამოთ მოს-პობენ და ბედნიერების სამეფოს – სოციალიზმს დაამყარებენ.

საფუძველი ყოველთვის საწარმოვო ძალთა განვითარებაა და საბოლოო გამარჯვებაც მუდამ მას რჩება. ავიღოთ ერთი მაგა-ლითი. ჩვენ ვიცით, რომ სარწმუნოება დიდი კონსერვატიული ძა-ლაა: ის სხვა იდეოლოგიასთან შედარებით უფრო ნელა იცვლება. მას ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდა ისტორიაში და ხშირათ მთელ ცხოვრებას თავის ელფერს აძლევდა. ასეთი იყო კათოლიკური ეკ-ლესია დასავლეთში და მაჰმადიანობა აღმოსავლეთში.

მაჰმადიანობა დესპოტიზმის მთავარი ბურჯი შეიქნა: ხალხის სოციალურ-პოლიტიკური დამონება მან დააკანონა ალლაჰისა და წინასწარმეტყველის სახელით. ამიტომაც იყო მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა მუსულმანობა კულტურიდან განდევნეს და პო-ლიტიკური სიკვდილი გადაუწყვიტეს. მართლაც მთელი მე-18-ე და მე-19-ე საუკუნეთა განმავლობაში მუსულმანობა უკან-უკან მიექანებოდა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?

მაჰმადიანთა ძალა ნომადთა ძალაა. სანამ ისინი მეჯოგეო-ბას მისდევდენ და ჯოგისა და თავის სარჩენათ ახალ ქვეყნებს

იპყრობდნენ, მუსულმანობა დღითი-დღე ძლიერდებოდა და დიად მსოფლიო-ისტორიულ როლს თამაშობდა. მუსულმანებმა დაიპყრეს დასავლეთი აზია და ჩრდილოეთი აფრიკა, სამხრეთი ევროპა და პირენეის ნახევარ-კუნძული და მთელ მსოფლიოს მოჰფინეს არაბული კულტურა. საკმაოა აქ მოვიგონოთ მათი როლი ისპანიაში, სადაც მათ მოქმედებამ ქვეყნის აყვავება გამოიწვია.

აქედან იწყება მუსულმანობის დაცემა. გაძლიერებამ დაუძლურება წარმოშვა, ახალი ქვეყნების დაპყრობით მათ უკვე მიაღწიეს თავიანთ მიზანს, ხელში ჩაიგდეს უთვალავი ადგილ-მამული და შეუდგენ ბინადრობასა და მიწის დამუშავებას. ამით მოისპო მათი ეკონომიურ-პოლიტიკური ბატონობის ბურჯი — მეჯოგეობა. ამიერიდან მთავარი როლი მსოფლიო ისტორიაში სავაჭრო-სამრეწველო ქვეყნებს ეკუთვნის.

ისპანია და პორტუგალია, ჰოლანდია და ბოლოს ინგლისი — აი ვინ დაეპატრონა მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობას და ამით ხელში ჩაიგდო პოლიტიკური მეთაურობა.

მუსულმანობა დაეცა, მარა არა სარწმუნოების გავლენით — პირიქით, მან თავდაპირველათ ხელი შეუწყო მის გაძლიერებას — არამედ ეკონომიური დაუძლურებით.

ამ ხანათ ყოველი ხალხის ძალა ევროპიული კაპიტალიზმისა და მით ევროპიული კულტურის შეთვისებაა. ამას უარყოფს მაჰმადიანური სარწმუნოება და ამით აფერხებს ქვეყნის განვითარებას. მამა-პაპათა საქმის გაგრძელება და ძველ ზნე-ჩვეულებათა მტკიცეთ შენახვა — აი რა შეადგენს ყოველი მუსულმანის მოვალეობას ხოჯა-მოლების შეხედულებით. სანამ ისინი ქვეყანას უკან უხმობდენ, აღმოსავლეთში კაპიტალიზმი გავრცელდა. ეს ბურჟუაზიის საქმეა. „ბურჟუაზია ყველა ბარბაროსულ ნაციებს მიერეკება ცივილიზაციისაკენ საწარმოვო საშუალებათა სწრაფი განვითარებით, მიმოსვლის დაუსრულებელი გაადვილებით. მის საქონელთა იაფი ფასი — ეს ის მძიმე არტილერიაა, რომლითაც ის არღვევს თვით ჩინეთის კედლებს და სპობს ბარბაროსთა უცხოელთადმი უსაზღვრო სიძულვილს. ის აიძულებს ყველა ნაციებს შეითვისონ ბურჟუაზიული წარმოების წესი, თუ მათ სიკვდილი არა სურთ; ის აიძულებს მათ შემოიღონ ე.წ. ცივილიზაცია, ე.ი. გახდენ „ბურჟუა“. ამგვარათ, განათლებულ და უკან ჩამორჩენილ

ერთა-შორის მყარდება აღებ-მიცემობა და ამის მეოხებით უკანასკნელთა შორის ახალი იდეები ვრცელდება“.[1]

კაპიტალიზმთან ერთათ აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი იდეოლოგიაც შეიჭრა და ამით ნიადაგი გამოეცალა დესპოტიურ მართვა-გამგეობას და დამყარდა კონსტიტუცია. დღეს კი სარწმუნოება – წინეთ დესპოტიზმის მთვარი ბურჯი – ამართლებს კონსტიტუციას და მას ასაბუთებს ყურანის ტექსტებით.

კიდევ უფრო საყურადღებო მაგალითს მსოფლიო ომი იძლევა. მისი ატეხა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საქმეა. პოლიტიკამ ერები სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაითრია. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდა საიდუმლო დიპლომატია. ომისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მისი საქმეა. ამიტომაც არის ომის მთავარ მიზეზათ დიპლომატიურ საქმიანობას აღიარებენ. ეს შეცდომაა.

დიპლომატია ვაჭარ-მრეწველთა „აღმასრულებელი კომიტეტია“, ის ბურჟუაზიის კარნახს ემორჩილება. სამართლიანათ ამბობს კარლ რენერი: „ნაციონალური კაპიტალიზმი, ეს გაერთიანებული საკუთრებაა. ომი მის მოქალაქეობრივ უფლებას შეიცავს და იარაღი აქ მოსამართლის როლში გამოდის“.[2]

ბურჟუაზიულ წყობილებას ზედმეტი წარმოება ახასიათებს. ხალხს ლუკმა პური აკლია, ხოლო ბურჟუაზიის ხელში თავს იყრის უთვალავი სიმდიდრე, რომელიც ამ ჟამათ საქონლის სახეს ღებულობს. „მუშებს საქონელი ესაჭიროებათ, მარა არ აქვთ ფული მის შესაძენათ; კაპიტალისტთა ხელში დიდძალი ფულია, მარა მათ არ ესაჭიროებათ საქონელი. ამიტომ არის ყოველწლიურათ დამზადებული საქონელის ერთი ნაწილი ამაოთ ეძებს მომხმარებელს“.[3] ამ ზედმეტი საქონლის გასასაღებლათ, აგრეთვე ზედმეტი კაპიტალის დასაბანდებლათ ახალ ბაზრებს ეძებენ და კოლო-

---

[1] კომუნისტური მანიფესტი. ამასვე ეთანხმება, ფრ. რატცელი. „მიმოსვლასთან ერთად ერთი ერიდან მეორეში გადააქვთ გამოგონებანი, იდეებიც, რომელნიც ანვითარებენ წარმოებასა და ხელოვნებას. ასე ვითარდება და აღიმართება ნივთიერი კულტურის მთელი შენობა, რომელიც წარმოადგენს მტკიცე საფუძველს სულიერი კულტურის განვითარებისათვის“. იხ. მისი Erde u. das Lebeu. II. B. 653 გვ.

[2] Der Kampf, 1910 წ. N 12.

[3] Парвусъ, Колоніальная политика, გვ. 17.

ნიებისაკენ იცქირებიან, ამ ნიადაგზე უკანასკნელი ოციოდე წლის განმავლობაში დასავლეთ ქვეყნებში მაგრათ გაიდგა ფეხი იმპერიალიზმმა. მისი მიზანია დიდძალი ტერიტორიის შეძენა და მისი დაცვა მაღალი ბაჟებით.

ბაზარზე მუდამ ძლიერი იმარჯვებს, ხოლო ამ ჟამათ ასეთია ის, ვისაც შეუძლია დიდძალი და თან იაფი საქონლის დამზადება. „რაც უფრო ფართო და მჭიდროთ დასახლებულია ეკონომიური ტერიტორია – ამბობს ჰილფერდინგი – მით უფრო მსხვილია საწარმოვო ერთეული, ნაკლებია საწარმოვო ხარჯები და მეტი სპეციალიზაცია საწარმოვო დარგებს შორის, რაიცა აგრეთვე საწარმოვო ხარჯების შემცირებას მოასწავებს“.[1] ამიტომაც ყველა სახელმწიფო ახალი ტერიტორიის შემოერთებას ელტვის. აი აგრესიული პოლიტიკის სათავე. თვით პაწია ბელგიაც კი აფრიკაში აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა.

ბურჟუაზიული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა განსაკუთრებით უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გამწვავდა. ევროპიულმა სახელმწიფოებმა თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრეს და ყველგან ბარბაროსთა შორის თავის „კულტურას“ ავრცელებენ. დაბოლოს თვალი ძალაუნებურათ ნახევარ-განათლებულ ქვეყნებს მიაპყრეს. ასეთი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძული და მცირე და საშუალო აზია. აქ ერთი მეორეს ეტაკება ორი უდიდესი სახელმწიფო – გერმანია და ინგლისი. გერმანია ძლიერია ინდუსტრიის განვითარებით. ამ ნიადაგზე ის პირველობს ევროპაში. მარა მას შედარებით ცოტა კოლონია მოეპოება. საგარეო პოლიტიკის დაკვირვებული მკვლევარი მ. პავლოვიჩი ამბობს: „გერმანიას არ აქვს საყურადღებო კოლონიალური სამფლობელონი; და ეს იმ დროს, როცა არა თუ მის ძლიერ მეტოქეებს, ინგლისსა და შეერთებულ შტატებს – უკანასკნელისათვის მთელი ამერიკის კონტინენტს ეკონომიურათ კოლონიის ხასიათი აქვს – არამედ შედარებით პაწია სახელმწიფოებსაც: საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას დიდძალი კოლონიები აქვს, ხოლო მის მომავალი მეტოქის, რუსეთის ხელში უდიდესი ეკონომიური ტერიტორიაა“.[2]

---

[1] Р. Гильфердингъ, Финансовый капиталъ, გვ. 157-7.

[2] М. Павловичъ. «Великіе железно-дорожные и морскіе пути будущаго», გვ. 7.

ინგლისს არ ძალუძს თავისი უთვალავი კოლონიების დათმობა. ეს მისი ეკონომიურ-პოლიტიკურ ბატონობის დამხობა იქნებოდა. გერმანიას არ შეუძლია თავის მრეწველობაზე ხელი აიღოს, ხოლო, როგორც ვიხილეთ, განვითარებული ინდუსტრია ახალ ბაზრებს მოითხოვს. ბრძოლა გაჩაღდა. ორივე სახელმწიფო მოკავშირეებს დაეძებს. და აი შედგა ორი კოალიცია; სამთა კავშირი გერმანია-ავსტრია-იტალიისაგან და სამთა შეთანხმება ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მონაწილეობით. არც ერთ მხარეს არ ძალუძს მეორეს თვალსაჩინო კომპენსაცია მიუძღვნას, ვინაიდან ფაქტიურათ მსოფლიო უკვე დაინაწილეს. იმპერიალისტური ევროპა მოჯადოებულ წრეში მოექცა. მისი გარღვევა საიდუმლო დიპლომატიის ძალღონეს აღემატება. პირიქით, უკანასკნელი მუდამ ხელს უწყობდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებას. აქ საჭირო იყო უბრალო ნაპერწკალი საყოველთაო ცეცხლის ასანთებათ. ასეთ პირობებში 1914 წ. ავსტრიის ერც-ჰერცოგ ფერდინანდის მოკვლა მსოფლიო კატასტროფის შესავალი შეიქნა. ბურჟუაზიამ და მემამულეებმა ხმალი იშიშვლეს, ვინაიდან ეკონომიური კვანძის გახსნა მათ ვეღარ შესძლეს. ეკონომიურმა შეტაკებამ მსოფლიო ომი გამოიწვია. მარქსიზმი ერთხელ კიდევ საუცხოვოთ დამტკიცდა.

დაბოლოს მუდამ ეკონომია იმარჯვებს – ეს საფუძველი მთელი ცხოვრების. ე.წ. ფაქტორების თეორია, რასაც იდეალისტები ებღაუჭებიან, მოკლებულია ყოველივე ნიადაგს.

თავი VIII

რევოლიუცია

„თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების ნივთიერი საწარმოვო ძალები ეჯახებიან არსებულ საწარმოვო დამოკიდებულებას ანუ, იურიდიული ფორმულა რომ ვიხმაროთ, ქონებრივ დამოკიდებულებას, რომლის ფარგლებშიც ისინი ვითარდებოდენ. საწარმოვო ძალთა განვითარების ფორმის მაგიერ ეს დამოკიდებულებანი მათ აფერხებენ. მაშინ სოციალისტური რევოლიუციის ხანა იწყება. ეკონომიური საფუძვლის შეცვლით ადრე თუ გვიან მთელი ვეებერთელა ზედნაშენიც გარდაიქმნება“.[1]

ყოველივე წესწყობილება თავდაპირველათ ხელს უწყობს საწარმოვო ძალთა განვითარებას. ადრე თუ გვიან მდგომარეობა ძირბუდიანათ იცვლება: ახალი საწარმოვო ძალები ძირს უთხრის ძველ წარმოებას და ამით ემუქრება გაბატონებული კლასის ქონებას. ან ახალი საწარმოვო ძალები და ამ შემთხვევაში ძველი ქონების მოსპობა, ან საწარმოვო ძალთა დათრგუნვა და მით კაცობრიობის ერთ წერტილზე გაყინვა – ასეთია მდგომარეობა. გაბატონებული კლასის ინტერესია ქონების დაცვა და ამ გზით ბატონობის შენარჩუნება. ამიტომაც ის ყოველგვარი ძალღონით ცდილობს ახალ საწარმოვო ძალთა დათრგუნვას. ბრძოლა ჩაღდება. საწარმოვო ძალები ეჯახებიან ძველ საწარმოვო დამოკიდებულებას ანუ ქონებას. და აი, როცა მდგომარეობა აუტანელი ხდება, როცა ახალი საწარმოვო ძალები იმდენათ მოღონიერდენ, რომ მათ ვერ იტევს ძველი წყობილების კანი, ის სქდება და რევოლიუცია იწყება.

რევოლიუციის კლასიკური მაგალითია საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

ეს ბურჟუაზიულმა წარმოებამ გამოიწვია. ვაჭარი მრავალ მუშას ერთათ თავს უყრის და მათ საქონლის დამზადებას ავალებს. რაკი მრავალი ხელი ერთ საქმეზე მიჩენილია, შესაძლებელი გახდა მათ შორის შრომის განაწილება. ეს კი შრომას ანაყოფიერებს და ვაჭართა გამდიდრებას ხელს უწყობს, ასე წარმოიშვა მანუფქტურა.

---

[1] კ. მარქსი. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ წინასიტყვაობა.

ვაჭარ-კაპიტალისტი საქონელს გასასყიდათ ანუ ბაზრისთვის ამზადებს. რაც მეტია საქონელი, მით კაპიტალისტის მოგებაც მეტი იქნება. ამიტომაც მისი ინტერესია მრავალ მუშათა ამოქმედება, ანუ წარმოებაში მუშათა მასის ჩაბმა. მარა მშრომელთა უდიდესი ნაწილი – გლეხკაცობა, საერო და სასულიერო ფეოდალთა მონა-მორჩილი იყო: გლეხები მათ სასარგებლოთ ბეგარასა და ხარკს იხდიდენ.

წარმოების გაფართოება მოითხოვდა ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას. ეს კი ამქართა პრივილეგიების უარყოფაა და ოსტატთა საკუთრებას ემუქრებოდა. ქალაქის საზღვრებში ვაჭრობა-მრეწველობა შეადგენდა ამქართა უფლებას, ამქარში კი ყველაფერი წინდაწინ იყო განსაზღვრული: ქარგალთა და შეგირდთა რიცხვი, საქონლის მასალა და ფასი და ბევრი სხვა.

ახალ წარმოებას აფერხებდა სახელმწიფოს ფარგალში ადგილობრივი დაბაჟვა. ამიტომაც კაპიტალისტები მიისწრაფოდენ ერთი მთლიანი საბაჟო სისტემის დამყარებისაკენ. ეს კი მოასწავებდა ფეოდალთა და ქალაქთა პრივილეგიების მოსპობას: ადგილობრივი დაბაჟვა მათი უფლება იყო.

მოკლეთ, ერთიმეორეს დაეჯახა ორი მოპირდაპირე ძალა. ერთია ახალი საწარმოვო ძალები: მანუფაქტურა, აგებული შრომის განაწილებაზე და მანუფაქტურაში მომქმედნი კაპიტალისტები და თავისუფალი მუშები – პროლეტარები, მეორეა ძველი წარმოება, ძველი ფეოდალურ-ამქრული საკუთრება და მისი წარმომადგენელნი ფეოდალები და ოსტატები და მათი დამცველი აბსოლიუტური სამეფო.[1]

ფეოდალ-ამქარნი და ძველი სახელმწიფო ვერ დასთმობენ თავიანთ პრივილეგიებს: ეს ხომ მათი განადგურება იქნება. მანუფაქტურა და მასში მონაწილე ორი მოპირდაპირე კლასი – ბურჟუაზია და პროლეტარიატი უარს ვერ იტყვიან თავიანთ არსებობაზე; მათი ინტერესი მთელი ხალხის ინტერესია. ამ გზით ბრძოლა გაჩაღდა.

ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა – ე.წ. „განმანათლებლებმა“ ააფრიალეს დროშა ძველი წყობილების დამხობის და საზოგადოების ახალ საფუძველზე მოწყობის. ისინი მოითხოვდენ ფეოდალი-

[1] მონარქია. რედ.

ზმის ნაშთების განადგურებას და პიროვნების განთავისუფლებას, ფეოდალთა და ამქართა პრივილეგიების მოსპობას და ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას, სახელმწიფოს ბურჟუაზიის სასარგებლოთ ამუშავებას და ამ მიზნით, ნაცვლათ აბსოლიუტიზმისა – კონსტიტუციონური სახელმწიფოს დაფუძნებას: ეს ახალი იდეები მთელ ხალხს მოეფინა და მღელვარება გამოიწვია.

მეორე მხრივ, თვით აბსოლიუტური მონარქია უკან-უკან მიექანება. ნაცვლათ მიწათ-მფლობელობისა სიმდიდრის უმთავრესი წყარო ახალი ბურჟუაზიული წარმოება შეიქნა. ფეოდალებმა დაჰკარგეს წინანდელი ეკონომიური ძალა-გავლენა, სოფლებს მოშორდენ და მეფის სასახლის გარშემო მოიკალათეს. ასე მეფე, განსაკუთრებით ლუი მე-XVI-ე, განცხრომა-ფუფუნებაში ჩაეფლა. რომ თავისი უთვალავი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებიათ, ხალხს დააკისრეს ათასნაირი გადასახადი და ის სავსებით გააღატაკეს. ამით მოისპო სამეფო სიმდიდრის უმთავრესი წყაროც: ის ჩავარდა ფინანსიურ გაჭივრებაში და დაადგა გაკოტრების გზას.

ამის თავიდან ასაცილებლათ მეფე ლუი მე-XVI-ემ განიზრახა რეფორმების მოხდენა და ამ მიზნით პირველი მინისტრობა ჩააბარა ჯერ ტიურგოს და მერე – ნეკერს. მარა მათი ცდა, გააუმჯობესონ სამეფოს ფინანსიური მდგომარეობა და განახორციელონ სხვა და სხვა რეფორმები, ხოლო თვით პოლიტიკურ წყობილებას, აბსოლიუტიზმს, კი ხელი არ ახლონ, ამაო გამოდგა. საჭირო იყო მთელი ძველი წყობილების დაშლა და ახლის აგება.

ხალხის მოთხოვნილებით 5 მაისს 1789 წ. ვერსალში შეიკრიბა გენერალური შტატები. იქ თავმოყრილია სამი წოდება: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ე.წ. მესამე წოდება – მოქალაქენი და გლეხები, უკანასკნელ წოდებას ჰყავდა იმდენივე დეპუტატი, რამდენიც ერთათ ორივე გაბატონებულ წოდებას. ასეთი იყო ხალხის მოთხოვნილება და მეფეც იძულებული იყო დაეთმო.

ტახტი და მისი ამყოლ-დამყოლნი შეეცადენ გენერალური შტატების თავიდანვე დამორჩილებას. ამ მიზნით შტატების გახსნისთანავე მეფემ სეფე-სიტყვაში გამოაცხადა, ყველა წოდება ცალ-ცალკე შეიკრიბოსო. ეს გენერალურ შტატებს დაასუსტებდა და გაბატონებულ კლასთა ინტერესს ეთანხმებოდა: მათი სუ-

რვილის წინააღმდეგ ვერც ერთი რეფორმა ვერ განხორციელდებოდა.

მესამე წოდება მიისწრაფოდა საერთო კრების შედგენისაკენ და ამ მიზნით თავის კრებაზე მოიხმო ორივე გაბატონებული წოდება, მარა ამაოთ, ექვსი კვირის უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ – 17 ივნისს, მესამე წოდებამ, როგორც წარმომადგენელმა ნაციის 96%-ის, აბატ სიეისის წინადადებით თავი საერთო კრებათ გამოაცხადა და შეუდგა კონსტიტუციის შემუშავებას. ამ ნაბიჯს აღტაცებით მიეგება ვერსალისა და პარიზის ხალხი. საერთო კრების გავლენა დღითი დღე ძლიერდებოდა და აი ამიტომაც მას მალე მიემხრო სამღვდელოების 149 დეპუტატი, უმეტესათ სოფლელი მღვდლები.

რა დარჩენოდა სასახლის არისტოკრატიას?

ან დამორჩილება და მით წინანდელი ძალა-გავლენის დაკარგვა, ან საერთო კრების გარეკა. ტახტმა უკანასკნელი აირჩია და ვერსალ-პარიზისაკენ ჯარებს მოუხმო.

და აი, როცა აშკარა შეიქნა, რომ საერთო კრებას განსაცდელი მოელის, პარიზის ხალხი – უმთავრესად მუშები, აჯანყდენ, თოფ-იარაღი აისხეს და 14 ივლისს ერთიან გაანადგურეს ბასტილია, პოლიტიკურთა სატუსაღო – ეს დესპოტიზმის მთავარი სიმბოლო.

ამას პროვინცია გამოეხმაურა, გლეხები აუჯანყდენ თავად-აზნაურებს და მღვდლებს, წვავდენ თავადთა სასახლეებს და ეკლესია-მონასტრებს, ჰკლავდენ სასტიკ ფეოდალთ და უარყოფდენ სახელმწიფო გადასახადისა, ბეგარა-ხარკისა და საეკლესიო მეათედის გადახდას.

ხალხის რევოლიუციამ გამოიწვია პარლამენტარული რევოლიუცია: საერთო კრებამ ღამით 4 აგვისტოს მოსპო ფეოდალური და ამქრული წესები, უარყო სხვა და სხვა პრივილეგიები და დაამყარა მოქალაქობრივი თანასწორობა. ძველი წყობილება გაანადგურეს. ამით მომზადდა ნიადაგი კონსტიტუციის დასამყარებლათ.

ვინ უნდა იკისროს ქვეყნის განახლების მეთაურობა? რასაკვირველია, არა ტახტმა და გაბატონებულმა კლასებმა, პირიქით, მათი ინტერესი იყო არსებული ბატონობის განმტკიცება და ხალხის კიდევ უფრო დამორჩილება. ამიტომაც საერთო კრებაში

მათი წარმომადგენელნი ცდილობდენ აბსოლიუტიზმის აღდგენას და რევოლიუციაში დაკარგულ უფლებათა უკანვე დაბრუნებას.

თავისი ბედნიერების გამჭედი ეს თვით ხალხია. ხალხს კი ბურჟუაზია მეთაურობდა: საწარმოვო ძალთა განვითარება მოითხოვდა ბურჟუაზიის გაბატონებას. თვით ბურჟუაზია სამ ნაწილათ იყოფა: მსხვილ, საშუალო და წვრილ ბურჟუაზიათ. პირველს შეადგენენ ფინანსისტები, ანუ ბანკირები და მსხვილი მრეწველნი. მათი ეკონომიური ძლიერება, უფრო ფინანსისტების, ბევრში დამოკიდებული იყო აბსოლიუტიურ მონარქიაზე. მათთვის სასარგებლო იყო მეფე-სასახლის განცხრომა: ამით ისინი ბლომათ ასაღებდენ თავიანთ საქონელს, მეფე ფულს სესხათ აძლევდენ და დიდ სარგებელს იღებდენ. მათ ეხმარებოდა სამეფო პრემიების დაწესებით, უცხო საქონელზე მაღალი ბაჟების შემოღებით და სხვ. მოკლეთ, მსხვილი ბურჟუაზია ტახტს ეკონომიურათ დაუახლოვდა და ამით მათი პოლიტიკური ინტერესებიც რამდენიმეთ შეერთდა. ის მიისწრაფოდა ინგლისური კონსტიტუციის გადმოღებისაკენ და ამ გზით ძველი წყობილების გარდაქმნისაკენ. მარა თან ის ეომებოდა დემოკრატიას და მის რევოლიუციონურ სულისკვეთებას. საერთო კრებაში მას მიემხრო თავად-აზნაურობა – სამღვდელოების ერთი ნაწილიც.

საერთო კრების მეთაურობა იკისრა საშუალო ბურჟუაზიამ და მისმა პარტიამ – კონსტიტუციონალისტებმა ანუ კონსტიტუციონურ-დემოკრატიულმა პარტიამ. საშუალო ბურჟუაზიის ინტერესია აბსოლიუტიზმის ძირ-ბუდიანათ დამხობა: ის საწარმოვო ძალთა განვითარებას აფერხებს, მარა თან ის უფრთხის ხალხის ამოძრავებას: მუშათა კლასში ის ხედავს თავის კლასიურ მოწინააღმდეგეს. ამიტომაც ის ცდილობს კონსტიტუციის ორ საფუძველზე აგებას: ერთია ხალხი და მეორე – ძველი უფლების მატარებელი ტახტი. მისი მიზანი იყო მეფის გადმობირება და მასთან დაკავშირება. ის უძლიერესი პარტია იყო საერთო კრებაში: მას მიემხრო წვრილი თავად-აზნაურობა და სოფლის სამღვდელოება. ამ პარტიას ხელმძღვანელობდენ სახელგანთქმული ორატორი გრაფი მირაბო, აბატი სიიესი, ლაფაიეტი და ბალი – შემდეგში პარიზის ქალაქის თავი (მერი).

დასასრულ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესს გამოხატავდა დემოკრატიული პარტია ანუ მონტანიარები, ე.წ. მთა. მისი როლი უმნიშვნელო იყო საერთო კრებაში.

ტახტი, სასტიკათ დამარცხებული 14 ივლისს და 4 აგვისტოს, მაინც ძველ გზას მისდევდა, ახლა განიზრახეს მეფის მეცში გაქცევა, იქიდან პარიზისა და ვერსალის წინააღმდეგ გამოლაშქრება და ხალხისა და საერთო კრების დათრგუნვა. საჭირო იყო მეფის ალაგმვა, საერთო კრება და მისი მეთაურები – კონსტიტუციონალისტები კი მასთან მორიგება-შეთანხმებას ცდილობდენ. რევოლიუციის საქმე პარიზმა იხსნა. ამ დროს იქ საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა. ქალები აღელდენ და ქალაქის კომუნიდან, ანუ საბჭოდან პური მოითხოვეს. როცა უარი მიიღეს, ისინი შეიარაღდენ. მალე მათ მუშები მიემხრენ და გადაწყდა შეერთებული ძალღონით ვერსალში გამგზავრება. ამით ნაციონალური გვარდიაც აიყოლიეს და ვერსალში საერთო კრებას და მეფეს ესტუმრენ. მეფე შეპირდა ქალთა დეპუტაციას, რომელსაც საერთო კრების წევრი მეთაურობდა, შიმშილობის წინააღმდეგ ზომების მიღებას. მარა აქ ხალხის წინააღმდეგ მეფის გვარდიამ გამოილაშქრა და შეტაკება გაჩაღდა. მეფის გვარდია დამარცხდა და მეფე იძულებული შეიქნა 6 ოქტომბერს პარიზში გადასახლებულიყო, სადაც მას 19 ოქტომბერს თან გაყვა საერთო კრებაც. ასე, სასახლის გეგმა ჩაფუშეს. ეს უმთავრესათ პარიზელ ქალთა ღვაწლია.

ამით საერო კრებას საშუალება მიეცა მთელი თავისი ძალღონით შესდგომოდა კონსტიტუციის შემუშავებას. 3 სექტემბერს 1791 წ. მან დაამთავრა და დაამტკიცა კონსტიტუცია.

დეპუტატ ლაფაიეტის წინადადებით საერთო კრებამ თავდაპირველათ გამოიმუშავა ადამიანისა და მოქალაქის დეკლარაცია – ეს კატეხიზმო თავისუფლებისა. ის წინ უძღოდა კონსტიტუციას. ლამაზ სიტყვებში ბურჟუაზიის ბატონობა გამოხატეს!

საფრანგეთი კონსტიტუციონური მონარქია შეიქნა. ბურჟუაზია და მეფე – აი ორი მისი შემადგენელი ნაწილი. ხალხი ორათ გაიყო: აქტიურ და პასიურ მოქალაქეებათ. აქტიურ მოქალაქეთ ჩარიცხეს ყველა ის, ვინც იხდიდა წლიურ სახელმწიფო გადასახადს არა უმცირეს სამი დღიური ხელფასისა. მას საარჩევო უფლება მიეცა და ასე ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილე შეიქნა. და-

ნარჩენნი, ე.ი. მუშათა კლასი, რომელიც წინ მიაქანებდა რევოლიუციას და რომელმაც დესპოტიზმი დაამხო, პასიურ ანუ უფლებააყრილ მოქალაქეებათ გამოაცხადეს და კონსტიტუციიდან განდევნეს. სამაგიეროთ, ძველი უფლების წარმომადგენელი – მეფე კონსტიტუციის სათავეში წამოასკუპეს, მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება და ომის გამოცხადება მასვე მიანდეს და კანონთა შეჩერებისა ანუ ე.წ. ვეტოს უფლებით აღჭურვეს.

მოკლეთ, ბურჟუაზიამ ხალხი დათრგუნა და ტახტს დაუკავშირდა. და ეს იმიტომ, რომ ხალხი შეეცადა რევოლიუციის თავის იარაღათ გამოყენებას და მისი მეოხებით თავის სოციალურ ინტერესთა დაკმაყოფილებას.

რევოლიუცია კლასთა ბრძოლის უკიდურესათ გამწვავებაა. იმ დროს, როცა ძველი წყობილება ემხობა, ყველა კლასი ცდილობს ისარგებლოს საუკეთესო შემთხვევით და ფართოთ დაიკმაყოფილოს თავისი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები.

მუშათა კლასიც ამხედრდა. შიმშილობის წინააღმდეგ ზომათა მიღება, ჩარჩ-მეპურეთა ალაგმვა და უფლება არსებობისა – აი მუშათა მოთხოვნილება. რა გზას მისდევენ ქალაქ პარიზის მართველობა და საერთო კრება?

მას შემდეგ, რაც საშუალო ბურჟუაზიამ ხელთ იგდო სახელმწიფო საქმეთა მეთაურობა, ის შეუდგა თავისი კლასიურ მოწინააღდეგეთა, მუშათა დათრგუნვას და ამ მიზნით თავის იარაღათ გამოიყენა ნაციონალური გვარდია, რომლის სათავეში იდგა ლაფაიეტი და რომელიც ხალხის უფლებათა დასაცველათ იყო დაარსებული. ნაცვლათ მუშათა სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, მან აჯანყების ბუდეთ გამოაცხადა მუშათა კავშირები და მათ ასალაგმავათ კვლავ აღადგინა სახელმწიფო სატუსაღო, რომელიც რამოდენიმე ხნის წინეთ გაანადგურა ხალხის ძლევა-მოსილმა რევოლიუციამ. მუშათა ძველი ზომებით დამორჩილება – აი ბურჟუაზიის სამოქმედო პროგრამა. 14 ივნისს 1791 წ. საერთო კრებამ სავსებით აღკრძალა მუშათა კავშირები იმ მოსაზრებით, რომ ისინი ამქრული კავშირებია. თავის ინტერესთა დასაცველათ ბურჟუაზიამ ფეხქვეშ გასთელა მის მიერვე შემუშავებული კონსტიტუცია.

ასეთმა პოლიტიკამ საშუალო ბურჟუაზიას ჩამოაშორა მუშები. მალე მას წვრილი ბურჟუაზიაც გადუდგა. სავაჭრო-სამრეწველო კრიზისმა ერთიან გაანადგურა მისი კეთილდღეობა, საერთო კრება კი არ იღებდა არავითარ ზომებს. ასე დროებით შეერთდა მუშათა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესები. მალე სავსებით დაეცა საერთო კრების ხალხში გავლენა.

ტახტი მიუხედავათ მრავალი დამარცხებისა, განაგრძნობდა ძველ პოლიტიკას. 20 ივნისს 1791 წ. მეფე გაიქცა, სასახლეში მანიფესტი დასტოვა, რომელშიაც უჩიოდა საერთო კრებისა და პარიზელთა „დესპოტიზმს“ და უკანონოთ სცნობდა რევოლიუციით მომხდარ ცვლილებებს. მეფემ აიხადა ნიღაბი და თავი ძველი წყობილების მოტრფიალეთ გამოაცხადა. ვარენში ის დაატუსაღეს და კვლავ დააბრუნეს პარიზში.

რა გზას უნდა დაადგეს საერო კრება?

ხალხი აშკარათ გადუდგა მეფეს და მის გადაყენებას მოითხოვდა. საერთო კრებამ კი მეფის საქციელი გადააბრალა მის მრჩეველთ და ასე მის დაცვას შეუდგა.

გაქცევის შემდეგ მეფეს ყველა უფლება აართვეს. 16 ივლისს 1791 წ. მას კვლავ დაუბრუნეს მთელი სამეფო ძალა-უფლება, ხალხის აღელვება კი ჩააქრეს საერთო გვარდიის ხიშტითა და ტყვიებით. საშუალო ბურჟუაზია ძირს უთხრის ბურჟუაზიას!! მან უკვე მოიპოვა რაც სურდა.

ის ძველ გზას განაგრძობდა საკანონმდებლო კრებაშიც, რომელიც მოიწვიეს 30 ოქტომბერს 1791 წ. მის ინტერესებს გამოხატავდა ე.წ. ჟირონდისტების პარტია. საკანონმდებლო კრებამ შეიმუშვა ორი დეკრეტი – ერთი მიმართული ემიგრანტებისა და მეორე რეაქციონურ მღვდლების საწინააღმდეგოთ. ამით ფიქრობდენ რეაქციის განადგურებას. ხალხის მტერთ სიტყვით ებრძვიან! მეფემ უარი განაცხადა დეკრეტების დამტკიცებაზე: მან ისარგებლა ვეტოს უფლებით.

ხალხში აღელვება ძლიერდებოდა. ტახტმა არჩია ძველი სამინისტროს დათხოვა და ჟირონდისტული მთავრობის შედგენა. ასე წარმოიშვა ე.წ. ქალბატონ როლანის სამინისტრო. უკანასკნელი მინისტრ როლანის ცოლი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა. მეფემ კვლავ უარყო დეკრეტების ხელის მოწერა.

რა დარჩენოდა ჟირონდისტურ პარტიას?

ან აჯანყება და მონარქიის მოსპობა ან იარაღის დაყრა და უმნიშვნელო დემონსტრაციის მოხდენა. ასეთი იყო მდგომარეობა. პირველი გზა სახიფათოა: ამოძრავებული ხალხი ბურჟუაზიის საშიში მტერია. ამიტომაც დემონსტრაცია მოაწყვეს, მარა ამაოთ. ახლა უფრო ნათლათ გამოჩნდა ჟირონდისტების სისუსტე. საშუალო ბურჟუაზიამ დაჰკარგა მთელი თვისი ძალა-გავლენა.

ამიერიდან რევოლიუციის მეთაურია წვრილი ბურჟუაზია და მისი პარტია მონტანიარები, ანუ მთა. საერთო და საკანონმდებლო კრებაში ისინი ისხდნენ უკანა – ამაღლებულ ადგილზე. აქედან წარმოსდგა მათი სახელწოდება.

მონტანიარები სუსტი არიან საკანონმდებლო კრებაში, მარა ძლიერი მის გარეთ – პარიზში: მათი ლაშქარია წვრილი ბურჟუაზია და მუშათა კლასი – საშუალო ბურჟუაზიის პოლიტიკით უკმაყოფილო. მათი უმთავრესი ბურჯია იაკობინელთა კლუბი: აქ მოღვაწეობდა რობესპიერი, ცნობილი დიქტატორი შემდეგში.

საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ მთელი რეაქციონური ევროპა ამხედრდა: სახელმწიფოებმა შეადგინეს კავშირი ანუ კოალიცია. მათი მარჯვენა ხელია საფრანგეთის ტახტი და ემიგრანტები. და აი, როცა აშკარა შეიქნა, რომ თავისუფლებას განსაცდელი მოელის ურიცხვ შინაურ და გარეშე მტერთაგან და რომ ჟირონდისტების პარტია სავსებით უძლურია ხალხის უფლებათა დაცვაში, მონტანიარები ანუ იაკობინელები 10 აგვისტოს 1792 წელს აჯანყდენ. აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა ხელთ იგდო ქალაქ პარიზის კომუნა, გარეკა ძველი საბჭოს წევრები და ჩააყენა ახლები – ყველა რევოლიუციის თავგამოდებული დამცველი სენ-ანტუანისა და სენ-მოსოს უბნის მუშები კი თავს დაესხენ ტიურის[1] სასახლეს. მეფე გაიქცა და თავი შეაფარა საკანონმდებლო კრებას. ხალხმა გაიმარჯვა, ტიუილრი დაეცა.

საკანონმდებლო კრებას ეწვია ახალი კომუნის დეპუტაცია და გადაჭრით მოითხოვა მეფის ტახტიდან ჩამოგდება. რა გზას უნდა დაადგეს ჟირონდისტების პარტია? ან დათმობა და ან მეფესთან ერთათ დაღუპვა – ასეთია მდგომარეობა. ჟირონდისტებმა პირველი აირჩიეს: საკანონმდებლო კრებამ დაადგინა მეფე გადააყენოს

[1] ტიუილრის, რედ.

და მოიწვიოს საერთო კონვენტი საყოველთავო, მარა არა-პირ-დაპირი არჩევნების მეოხებით. ამიერიდან მთელ სახელმწიფოს, ძალაუფლების სახელით საკანონმდებლო კრება დაეპატრონა: მან შეადგინა ახალი მთავრობა ჟირონდისტ-მონტანიარებისაგან. ფაქტიურათ კი მთელი ძალაუფლება პარიზის კომუნის ხელშია: ის უკარნახებდა საკანონმდებლო კრებას თავის სურვილებს. ეს წვრილი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაა. მონარქია ფაქტიურათ უკვე დაეცა.

რა იხსნის ხალხისა და რევოლიუციის საქმეს? აი პარიზის კომუნის თავსამტვრევი საკითხი მან აირჩია კომიტეტი თვალყურის-გდებისა და შეუდგა თავისუფალ-მეომართა რაზმების შედგენას. პირველი გზით ფიქრობდენ უთვალავ შინაურ მტერთა ალაგმვას, მეორე ზომით კი რეაქციონური კოალიციის მოგერიებას. კომიტეტმა მრავალი ცნობილი რეაქციონერი დაატუსაღა. საჭირო იყო მათი გასამართლება, საკანონმდებლო კრება კი ყოყმანობდა. ამ დროს მონტანიარების მეთაურობით აჯანყებული ხალხი სექტემბრის პირველ რიცხვებში თვითვე შეუდგა დასჯა-გასამართლებას: პარიზის სატუსაღოებში ათასამდე რეაქციონერი დახოცეს.

20 სექტემბერს 1792 წ. შეიკრიბა კონვენტი, რომელსაც კვლავ ჟირონდისტები დაეპატრონენ: პროვინცია უმთვრესათ მათ მიემხრო, პარიზი კი – მონტანიარებს. მარა კონვენტს ფაქტიურათ ბატონობს პარიზის ხალხი, თავისი კომუნის მეთაურობით. მეორე დღეს, 21 სექტემბერს, კონვენტმა საფრანგეთი ერთხმათ რესპუბლიკათ გამოაცხადა. ის, რაც პარიზის ხალხმა მოიპოვა 10 აგვისტოს, კონვენტმა მხოლოთ დააკანონა. სახალხო წარმომადგენლობა ხალხის სურვილს ემორჩილება!

ეს ერთათ-ერთი უმთავრესი საერთო ნაბიჯი იყო კონვენტში. ამიერიდან სასტიკი პარტიული ბრძოლა გაჩაღდა. ჟირონდისტები, აღელვებული სექტემბრის ხოცვა-ჟლეტით, ითხოვდენ ხალხისა და მონტანიარების ალაგმვას და „დიქტატორების“ დათრგუნვას. ასე მონათლეს მონტანიართა მეთაურები – მარატი და რობესპიერი. ჟირონდისტები მიეკედლენ რეაქციას, კავშირი გააბეს ტამპლში დატუსაღებულ მეფესთან და ცდილობდენ მის სიკვდილისაგან დახსნას. და ეს იმ დროს, როცა საფრანგეთს მთელი რე-

აქციონური ევროპა შემოესია რევოლიუციის საქმის დასაღუპავათ.

ნუთუ საშუალო ბურჟუაზიისა და მისი პარტიის – ჟირონდისტების ინტერესია რევოლიუციის დამარცხება და მეფის ხსნა?

ხანგრძლივმა რევოლიუციამ კიდევ უფრო გაამწვავა სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი. ვაჭრობა-მრეწველობა დაეცა, ეს კი ემუქრებოდა ბურჟუაზიის კეთილდღეობას, ამიტომაც ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვდა „წესიერების“ აღდგენას და რევოლიუციის ალაგმვას. ხალხი და მონტანიარები კი მის გაგრძელებას ცდილობდენ. და აი, საშუალო ბურჟუაზიაც მოეკედლა რეაქციონერთ და ასე დამკვიდრდა მტკიცე რეაქციონურ-ბურჟუაზიული ბლოკი. ის საერთო ძალით ცდილობდა „დიქტატურის“ მოსპობას, ანუ მონტანიართა ალაგმვას. ამ ჟამათ ბლოკი სუსტი გამოდგა, ხალხი კი – ძლიერი ეს ნათლათ გამოჩნდა კონვერნტში.

ხალხისა და კომუნის მოთხოვნით კონვენტმა მეფე გაასამართლა და 17 იანვარს 1793 წ. მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. ოთხი დღის შემდეგ რევოლიუციის მოედანზე თავი მოჰკვეთეს მოქალაქე ლუი კაპეტს. ასე უწოდეს ლუი მე-XVI-ს! ხალხმა თავიდან მოიშორა რევოლიუციისა და რესპუბლიკის უსაშიშრესი მტერი.

ამით კიდევ უფრო განრისხდა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია და ახალი ჯარით საფრანგეთს შემოესია. შინაურმა მტრებმა ვანდეასა და ბრეტანში რესპუბლიკის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყება მოაწყვეს. პარიზში და სხვა ქალაქებში ჩარჩებმა თავი წამოყვეს: ყოველნაირი სანოვაგე საშინლათ გაძვირდა. საჭირო იყო განსაკუთრებული ზომები. კონვენტმა დაადგინა შეკრიბოს 300.000 ჯარისკაცი და კომუნის მოთხოვნით აირჩია კომიტეტი საზოგადოებრივი დაცვისა, რომელსაც უფლება ჰქონდა რესპუბლიკის მტერთა დატუსაღების და მათი სიკვდილით დასჯისა. ამასთანავე გადაწყდა, რომ ყველა მღვდელი და თავად-აზნაური, ვინც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებაში, დგება კანონის გარეშე, ყველა ემიგრანტები კი სამუდამოთ იდევნებიან საფრანგეთიდან.

ჟირონდისტები თავდაპირველათ მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძოდენ კომუნისა და მონტანიართა ანუ იაკობინელთ წინადა-

დებებს. დაბოლოს ისინი დაემორჩილენ ხალხის მოთხოვნილებას. რაკი კონვენტში დამარცხდენ, რესპუბლიკის დასაღუპავათ და 1791 წ. კონსტიტუციის აღსადგენათ, ისინი დაუკავშირდენ ზოგიერთ გენერლებს, რომელნიც საფრანგეთის საზღვარზე შემოსეულ მტერთა წინააღდეგ იბრძოდენ, და მათთან ერთათ შეეცადენ რესპუბლიკის დამხობას. და აი, როცა ნათელი შეიქმნა, რომ ჟირონდისტები ძირს უთხრიდენ რესპუბლიკასა და ხალხის კეთილდღეობას, როცა გამოაშკარავდა ერთი გენერლის – დიუმურიეს ღალატი, პარიზის კომუნის სექციები აჯანყდენ: 2 ივნისს 1793 წ. ასი ათასი შეიარაღებული კაცი 60 ზარბაზნით თავს დაესხა კონვენტს და მოითხოვა 22 ჟირონდისტი დეპუტატის გარიცხვა. ხალხმა კონვენტი დაიმორჩილა. 22 ცნობილ ჟირონდისტს კონვენტმა დეპუტატის უფლება აართვა. ამიერიდან კონვენტი სავსებით იაკობინელთა და პარიზის კომუნის იარაღია. წვრილი ბურჟუაზია ოფიციალურათ დაეპატრონა სახელმწიფო ძალა-უფლებას.

საითკენ მიისწრაფვის ის და მისი პარტია იაკობინელები?

24 ივნისს 1793 წ. კონვენტმა შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია. ის აგებულია ფართო დემოკრატიულ საფუძველზე: ყველა მოქალაქე, 21 წლისა, განურჩევლათ მდგომარეობისა, სარგებლობს ყველა პოლიტიკური უფლებით და ირჩევს დეპუტატს საერთო კრებაში პირდაპირი კენჭის ყრით. საერთო კრების მიერ შემუშავებული კანონები ხალხს გადაეცემა დასამტკიცებლათ. ამით რეფერენდუმი დააკანონეს! კონსტიტუციამ გამოაცხადა ყველა მოქალაქეთა უფლება შრომისა. ნუ თუ წვრილი ბურჟუაზია ძირს უთხრის კაპიტალიზმს და საზოგადოებას ახალ საფუძველზე აშენებს?

მისი ინტერესია დემოკრატიის გაბატონება. ასე, პოლიტიკაში ის რადიკალობს, ეკონომიურ საფუძველზე კი ის ცდილობს წვრილ წარმოების დაცვა-შენარჩუნებას და მსხვილი წარმოების დათრგუნვას: უკანასკნელი მას ამარცხებს და მის კეთილ-დღეობას აქარწყლებს. ამიტომაც ის კერძო საკუთრებას ექომაგება და მას ყველა მოქალაქეთათვის მოითხოვს. ასეთია წვრილი ბურჟუაზიის ბუნება. მუშებმა საკუთრება უკვე დაკარგეს. რა გზით შეუძლია წვრილ ბურჟუაზიას მათ დაეხმაროს? რასაკვირველია,

არა კერძო საკუთრების მოსპობითა და ყველა საწარმოვო საშუალებათა მთელი საზოგადოების ხელში გადასვლით, არამედ მხოლოდ ქველმოქმედების დაკანონებით. კონვენტიც ასე მოიქცა: ქველმოქმედება „შრომის უფლების“ სახელით მონათლეს!

ამქრული წესების მოსპობით და ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლების დაკანონებით საფრანგეთში ეკონომიური კონკურენცია გამწვავდა. ჩარჩები და სპეკულიანტები შეეცადენ სავაჭრო-სამრეწველო კრიზისის თავისი ჯიბის გასასქელებლათ გამოყენებას. ამას ხელი შეუწყო თვით სახალხო წარმომადგენლობამ. ათასნაირ სახელმწიფო ხარჯთა დასაფარავათ ჯერ კიდევ საერთო კრებამ გამოსცა უთვალავი ქაღალდის ფული, ანუ ასიგნაცია, ხოლო კონვენტმა – მარტო 1793 წ. იანვარში სამ ნახევარი მილიარდი. თანაც რესპუბლიკის მტრები ავრცელებდენ ყალბ ასიგნაციებს: ინგლისის მინისტრმა პიტმა გამოსცა რამოდენიმე მილიარდი ყალბი ქაღალდი. ამიტომ ასიგნაციების ფასი საშინლათ დაეცა და ყოველნაირი სანოვაგე კიდევ უფრო გაძვირდა. და აი, სპეკულიანტებიც ამუშავდენ, რომ ხალხის ნაოფლარს ჩალის ფასათ დაპატრონებოდენ და ის სავსებით გაეღატაკებიათ.

კონვენტი ამხედრდა. მან დაადგინა ყველა საქონელზე დაწესდეს მაქსიმალური, ანუ უმაღლესი ფასი. ასიგნაციები კი ფასით ოქრო-ვერცხლს გაუთანასწორეს. ამ დეკრეტთა დამრღვევთ სიკვდილის დასჯით ემუქრებიან. დეკრეტებით ცდილობენ ეკონომიური მდგომარეობის დამორჩილებას! ბურჟუაზიული წარმოება, მარა კონკურენციის მოსპობით! კერძო საკუთრება, სპეკულიაციის დათრგუნვით! მოკლეთ, კაპიტალიზმის ბატონობა, მარა მისი ბნელი მხარეების უარყოფით – აი იაკობინელთა და კონვენტის პროგრამა. ეს უტოპიაა. ყოველთვის ასეთია წვრილი ბურჟუაზიის სოციალური მიდრეკილება.

23 აგვისტოს 1793 წ. კონვენტმა გადასწყვიტა ყველა ფრანგი შეიარაღდეს. სამშობლოსა და რესპუბლიკის დასაცველათ მთელი ნაცია ამხედრდა. კარნოს მიერ გაწრთვნილი რევოლიუციონური ჯარი თავს დაესხა ევროპიელ სახელმწიფოთა კოალიციას და ის საფრანგეთის საზღვრებიდან განდევნა; თავისუფალმა მოქალაქემ სძლია დაქირავებულ ჯარისკაცს – ამ დესპოტიის ყურმოჭრილ მონას. თავისუფლებამ დესპოტია დაიმორჩილა. ახლა საფრანგეთი

თვით შეესია რეაქციონურ ევროპას და შეუდგა ცეცხლითა და მახვილით ხალხთა განთავისუფლებას და დესპოტთა ალაგმვას. შიგ საფრანგეთში ჩააქრეს ვანდეა-ბრეტანისა და ლიონ-მარსელ-ტულონის აჯანყება და ყველგან რესპუბლიკის დროშა ააფრიალეს.

სწორეთ ამ დროს, როცა რევოლიუციისა და კონვენტის წინაშე ძრწოდა მთელი ოფიციალური ევროპა და რეაქციონური საფრანგეთი, აშკარათ გამოჩნდა უძლურება წვრილი ბურჟუაზიის და კონვენტის. ის სუსტი გამოდგა ჩარჩ-სპეკულიანტების დამორჩილების საქმეში: ერთი დასჯილი სპეკულიანტის ადგილს იჭრდა მეორე, მეორის ადგილზე მესამე ჩნდებოდა და სხვ. უმუშევრობა და გაჭირვება გაიზარდა და ამიტომ მუშათა აღელვებამაც იმატა. რა დარჩენოდა კონვენტს? მუშათა აღელვების მიზეზათ მან გამოაცხადა პარიზის კომუნა – ეს მუშათა ინტერესების დარაჯი – და იაკობინელთა უკიდურესი ჯგუფი, რომელსაც წინეთ მარატი მეთაურობდა და რომელსაც მისი მოკვლის შემდეგ ებერტისტები უწოდეს. უკანასკნელნი ცდილობდენ რევოლიუციის მუშათა სასარგებლოთ გამოყენებას და არა მთელი ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნას. მაშინ ეგონათ, თითქოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფარგლებშიც შეიძლებოდა მუშათა ბედნიერების მიღწევა! ეს სავსებით საკმარისი იყო, რომ პარიზის კომუნას და ებერტისტებს დაემსახურებინათ წვრილი ბურჟუაზიის ზიზღი და უკმაყოფილება. ის ყოველთვის ებრძვის უკიდურესობას მარჯვნივ და მარცხნივ და თავისი პოლიტიკის ქვეკუთხედათ ზომიერებას აცხადებს: მისი სოციალური ინტერესია წვრილი საკუთრების განმტკიცება.

და აი კონვენტმა მარქსიმილიან რობესპიერის მეთაურობით თავისი კლასიური მოწინააღმდეგის, მუშათა კლასის, მეთაურობით ებერტისტები გაასამართლა და ისინი სახრჩობელაზე გაგზავნა. ამით მუშათა კლასი ჩამოიშორეს და ასე წვრილი ბურჟუაზია სავსებით განაცალკევეს. ამით მომზადდა ნიადაგი რევოლიუციის დაცემის.

მუშათა ჩამოშორებით რესპუბლიკის უმთავრესი ბურჯი მოისპო. წვრილი ბურჟუაზია შეეცადა რესპუბლიკის გაძლიერებას, მარა ფაქტიურათ მისი დაუძლურება გამოიწვია. სად არის რესპუბლიკისა და მისი მეთაურის – კონვენტის ხსნა? ტერორის

გაძლიერება – აი ერთად ერთი იარაღი იაკობინელთა ხელში. და აი ზომიერ რესპუბლიკელ დანტონისტებსაც თავი მოჰკვეთეს და გზა გაუხსნეს მაქსიმილიან რობესპიერის დიქტატურას. ის დაეპატრონა მთელ სახელმწიფო ძალა-უფლებას და შეუდგა გილიოტინით რესპუბლიკის მტერთა დათრგუნვას. ახლა გილიოტინა თვით კონვენტისა და იაკობინელთა წინააღმდეგ მიმართულია: ამ გზით ცდილობს რობესპიერი პირად მოწინააღდეგეთა თავიდან მოშორებას, როცა ეს ყველასათვის ნათელი შეიქნა და კონვენტის იარაღი მათვე უქადდა განადგურებას, ისინი და იაკობინელთა პარტია აუჯანყდენ თავის მეთაურს და 9 თერმიდორს, ანუ 27 ივლისს 1794 წ. რობესპიერი დასცეს და მეორე დღეს, 28 ივლისს, ის და მისი მომხრენი სახრჩობელაზე გაგზავნეს. დიქტატორ რობერსპიერის საუკეთესო იარაღმა – ტერორმა თვით რობესპიერი იმსხვერპლა! დიქტატურა დაეცა, მარა მალე რესპუბლიკაც თან გაიყოლია. გამართლდა რობერსპიერის უკანასკნელი სიტყვა კონვენტში: „რესპუბლიკა დაიღუპა, ყაჩაღებმა გაიმარჯვეს“-ო. რევოლიუცია დამარცხდა. და ეს იმიტომ, რომ იმ ხანათ რევოლიუციის წინააღმდეგ მთელი საზოგადოება ამხედრდა: ფეოდალებსა, მღვდლებსა და მსხვილ ბურჟუაზიას შეუერთდა საშუალო ბურჟუაზია და თვით წვრილი ბურჟუაზიის უმცირესობაც. მართლაც, კონვენტი ცდილობდა ჩარჩობა-სპეკულიაციისა და ვაჭრობის თავისუფლების ტერორის მეოხებით დათრგუნვას, ეს კი აფერხებდა ბურჟუაზიული წარმოების განვითარებას. ვაჭრობა-მრეწველობა დაეცა, კრიზისი გაძლიერდა, უმუშევრობა-გაჭირვებამ იმატა. საწარმოვო ძალთა განვითარება მოითხოვდა წვრილი ბურჟუაზიის ბატონობის დამხობას და „წესიერების“ აღდგენას. და აი იაკობინელთა ბატონობა დაეცა და რევოლიუცია მოისპო. საწარმოვო ძალთა განვითარება, რომელმაც 1789 წ. რევოლიუცია გამოიწვია, ამჯერად კონტრ-რევოლიუციის საქმეს აკეთებს. ეკონომიური მოთხოვნილების წინაშე კი სუსტია თვით უძლიერესი მთავრობაც. ასე წარმოიშვა ახალი პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეეფერებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს.

ამ წყობილებიდან სავსებით განდევნილია მუშათა კლასი. კონვენტმა მისი მეთაურები – ებერტისტები დასაჯა და ის სავსებით რიყეზე დასტოვა. მარა თუ კი თვით უკიდურესი ბურჟუა-

ზიულ-დემოკრატიული მთავრობა მუშებს უმასპინძლდებოდა გი-ლიოტინითა და ტყვიებით, ცხადია, ბურჟუაზიული წყობილების ფარგალში შუძლებელია მათი ტანჯვა-წვალების მოსპობა. ასეთ სულისკვეთებას გამოხატავდა გრაკხ ბაბეფი. მან 1796 წ. მოაწყო „შეთქმულება თანასწორთა“ და შეუდგა დირექტორიის დამხობას, სახელმწიფო ძალა-უფლების დაპატრონებას, მისი მეოხებით ქო-ნებრივი თანასწორობის დაფუძნებას და ამ მიზნით მოითხოვდა დატუსაღებულ და გაქცეულ რეაქციონერთა ქონებისაგან ნა-ციონალური ფონდის შედგენას. მოკლეთ, ბაბეფმა სოციალური პროგრამა წამოაყენა. შეთქმულება აღმოაჩინეს და ბაბეფი და მისი მომხრენი სიკვდილით დასაჯეს. იმხანათ საწარმოვო ძალთა განვითარება მოითხოვდა ბურჟუაზიული და არა სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრებას.

ამ ჟამათ მდგომარეობა სავსებით გამოიცვალა. ბურჟუაზიამ უაღრესათ განავითარა საწარმოვო ძალები. წარმოებამ ახალი ხასიათი მიიღო. ფაბრიკა-ქარხნებში თავმოყრილია მუშათა უთ-ვალავი ლაშქარი. წარმოებას კერძო პირი კი არა, საზოგადოება ეწევა; მარა მის მიერ შექმნილ სიმდიდრეს ისაკუთრებს კერძო პი-რი – კაპიტალისტი. აი ბურჟუაზიული წესწყობილების უმთავრე-სი წინააღმდეგობა.

კაპიტალისტის მიზანია არა საზოგადოებრივი მოთხოვნილე-ბათა დაკმაყოფილება, არამედ რაც შეიძლება მეტი მოგების უზ-რუნველყოფა. ამ ნიადაგზე კაპიტალისტთა შორის მეტოქეობა ჩაღდება. წარმოება სწრაფათ იზრდება და უთვალავი საქონე-ლი მზადდება. არავინ იცის, რამდენათ ფართოა საზოგადოების მოთხოვნილება, რამდენი საქონელი უნდა გასაღდეს. და ეს იმი-ტომ, რომ წარმოება მოწესრიგებულია კერძო ფაბრიკასა და ქა-რხანაში და მოუწესრიგებელია საზოგადოებაში: აქ სრული ანარ-ქია ბატონობს. თანაც საზოგადოების დიდი ნაწილი პროლეტა-რდება, გაღატაკების მორევში მიექანება და ამიტომ არ შეუძლია, დამზადებული საქონელი იყიდოს და თავის მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ხალხის გაპროლეტარება ბურჟუაზიული წა-რმოების აუცილებელ პირობას შეადგენს, მარა ამ ჟამათ ის თვით კაპიტალიზმის წინააღდეგ მიმართულია. რაც შეიძლება მეტი საქონლის დამზადება – ეს ნიშანი კაპიტალისტური საზოგადოე-

ბის აყვავებისა – დღეს ბურჟუაზიულ საკუთრებას ეომება და მას უფსკრულში გადავარდნას უქადის, და ასე დაუსრულებლივ.

მოკლეთ, ადრე თუ გვიან, დაახლოვებით ათ წელში ერთხელ, ბაზარზე უთვალავი საქონელი გროვდება და ის მყიდველს ვეღარ პოულობს. ვაჭრობა-მრეწველობა ჩერდება, მუშებს ფაბრიკა ქარხნებიდან ერეკებიან და ეს უმუშევართა არმია იზრდება. ვაჭარი კაპიტალისტს ვალს ვეღარ უხდის, კაპიტალისტი ბანკირს ვერ უსწორდება და ამ გზით მრავალი დაწესებულება კოტრდება და საერთო ეკონომიური უწესრიგობა და შიში მეფდება. ასეთ მდგომარეობას ეწოდება კრიზისი.

რა მოსდევს კრიზისს?

„სავაჭრო კრიზისების დროს მუდამ ისპობა შესამჩნევი ნაწილი არა მარტო დამზადებული ნაწარმისა, არამედ საზოგადოების განკარგულებაში მყოფი საწარმოვო ძალებისაც. კრიზისების დროს ჩნდება ისეთი სენი, რომელიც წინეთ ყველას სისულელეთ მოეჩვენებოდა – სენი ზედმეტი ნაწარმისა. საზოგადოება უცებ განსაზღვრული ხნით ბარბაროსულ მდგომარეობას უბრუნდება: თითქოს შიმშილობამ ან საყოველთაო განმანადგურებელმა ომმა მოსპო ყოველივე საცხოვრებელი საშუალება; თითქოს ჰქრება ვაჭრობა და მრეწველობა. მერე რატომ? იმიტომ რომ საზოგადოებას ბევრი აქვს საცხოვრებელი საშუალება, მისი ვაჭრობა და მრეწველობა მეტის მეტათ განვითარებულია. მის განკარგულებაში მყოფი საწარმოვო საშუალებანი ბურჟუაზიული ქონებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას ხელს აღარ უწყობენ. პირიქით, ისინი ამ ურთიერთობისათვის მეტის მეტათ დიდია, მასში ვეღარ ეტევა, დაბრკოლებებს ხვდება და როცა ის ამას სძლევს, მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება ირყევა. ბურჟუაზიული ურთიერთობანი ვიწრო შეიქმნა მის მიერ წარმოშობილი სიმდიდრის დასაპატრონებლათ. – რა საშუალებით სპობს ბურჟუაზია კრიზისებს? ერთი მხრივ, საწარმოვო ძალთა ნაწილის მოსპობით; მეორე მხრივ, ახალი ბაზრების დაპყრობით და ძველი ბაზრების უფრო საფუძვლიანი გაყვლეფით. მაშ რით? მით, რომ საყოველთო და უფრო მრისხანე კრიზისს ამზადებს და ამტკიცებს იმ საშუალებათ, რომელნიც ხელს უშლიან ახალი კრიზისის წარმოშობას“.[1]

[1] კომუნისტური მანიფესტი.

ამ გზით მზადდება ნიადაგი კაპიტალიზმის უარყოფისა. ეს შედეგია „თვით კაპიტალისტური წარმოების შინაგან კანონებისა“. კაპიტალისტი ისაკუთრებს ზედმეტ ღირებულებას და აფართოებს წარმოებას. ამის მეოხებით მის ხელში თანდათან უფრო და უფრო მეტი საწარმოვო საშუალება გროვდება. ეს კაპიტალის კონცენტრაციაა. მეორე მხრივ, თვით კაპიტალისტთა შორის ხელჩართული ომი წარმოებს. ყველას სურს მოწინააღმდეგე დასცეს და მის ქონებას დაეპატრონოს. ამ საერთო შეტაკებაში უფრო ძლიერი, ანუ მსხვილი კაპიტალისტი იმარჯვებს, ის მრავალ წვრილს ამარცხებს და მათ კაპიტალს ხელთ იგდებს. მსხვილი კაპიტალისტები ერთი მეორეს უკავშირდებიან, სინდიკატებსა, კარტელებსა და ტრესტებს ადგენენ, მთელ ბაზარს ეპატრონებიან და მუშებსა და მთელ მომხმარებელ საზოგადოებას კიდევ უფრო იმონებენ და ძარცვავენ. მოკლეთ, მრავალ წვრილ კაპიტალისტთა ადგილს სხვა და სხვა გზით რამოდენიმე მსხვილი კაპიტალისტი იჭერს. ეს კაპიტალის ცენტრალიზაციაა. „იმის და მიხედვით, როგორ კლებულობს რიცხვი კაპიტალის მაგნატთა,[1] იზრდება სიღატაკე, ძალდატანება, დამონება, გადაგვარება, გაყვლეფა; მარა ამასთან ერთათ მატულობს აღშფოთება მუშათა კლასისა, რომელიც მუდამ მრავლდება, იძენს შეგნებას. ერთდება და კავშირდება თვით კაპიტალისტური წარმოების მსვლელობით. კაპიტალის მონოპოლია აფერხებს წარმოების წესს, რომლის ფარგლებშიაც ის აყვავდა. საწარმოვო საშუალებათა კონცენტრაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს ისეთ საფეხურს, სადაც მათთვის კაპიტალისტური კანი აუტანელი ხდება, ის სქდება“.[2]

ამ გზით, ისპობა კაპიტალისტური წყობილება, აგებული კერძო საკუთრების ნიადაგზე, და მის ნაცვლათ სოციალური წყობილება მყარდება: ყოველივე საწარმოვო საშუალება – ფაბრიკა-ქარხნები, რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ადგილ-მამული და სხვ. – მთელი საზოგადოების ხელში გადადის. ამას ეწოდება სოციალიზმი. ეს შრომის სამეფოა. მისი დაფუძნება მუშათა კლასის საქმეა.

---

[1] ანუ მსხვილ კაპიტალისტთა. ნ.რ.

[2] კ. მარქსი. Капиталъ, т. 1, 667 გვ.

რევოლიუციას მუდამ ერთი, დამორჩილებული კლასი მიუძღვის. „განსაზღვრული კლასი ცდილობს მთელი საზოგადოების განთავისუფლებას, გამოდის რა თავისი საკუთარი მდგომარეობისაგან. ეს კლასი ანთავისუფლებს მთელ საზოგადოებას, თუ კი წარმოიდგენ, რომ მთელი საზოგადოება იმყოფება ამ კლასის მდგომარეობაში... ამ ხანათ ეს კლასი უძმობილდება და უერთდება მთელ საზოგადოებას, იჭერს მის ადგილს, გრძნობს თავის თავს საზოგადოების წარმომადგენლათ და თან ყველა მას ასეთათ რაცხს. ამ ხანათ ამ კლასის მოთხოვნილებანი და უფლებანი მთელი საზოგადოების მოთხოვნილებანი და უფლებებია; ასეთ დროში ის მართლაც მთელი საზოგადოების თავი და გულია“.[1] მას უერთდება მთელი დამორჩილებული საზოგადოება, მთელი ნაცია და ასე ძველ წყობილებას ყოველი მხრიდან ემუქრებიან. რევოლიუცია საერთო, ანუ ნაციონალურ სახეს ღებულობს.

რით აიხსნება, რომ რევოლიუცია ხან გამარჯვებით თავდება და ძველ წყობილებას სავსებით აცამტვერებენ, ხან კი თვით ამოძრავებული ხალხი მარცხდება და მას კვლავ ძველ კალაპოტში ერეკებიან?

ეს სავსებით ძალთა განწყობილებას მიეწერება, რაც უმთავრესათ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შედეგია. ზოგან ძველი წყობილება სუსტია. ასეთი იყო სპარსეთის მთავრობა და ისიც დასცეს და პარლამენტარული რეჟიმი დააფუძნეს. საფრანგეთის აბსოლიუტიზმმა მეთვრამეტე საუკუნეში სავსებით დაჰკარგა ხალხში ძალა-გავლენა და ამიტომ ის სუსტი გამოდგა ხალხთან შეტაკებაში. მონარქია დაეცა და რესპუბლიკა დამკვიდრდა.

სხვა პირობებში მოხდა გერმანია-ავსტრიისა და რუსეთის რევოლიუცია 1905 წელში. გერმანია თავდაპირველათ ნაპოლეონის ზეგავლენით შეირყა: რევოლიუციონური საფრანგეთის შემოსევით მოისპო ფეოდალიზმის ნაშთები და გზა გაეხსნა ბურჟუაზიული წარმოების განვითარებას. ნაპოლეონი დაეცა და რევოლიუციონური საფრანგეთი დათრგუნეს. მთელი ევროპა ე.წ. „საღვთო კავშირმა“ შებოჭა. გერმანია-ავსტრიის სულის ჩამდგმელნი ხალხს ძველ კალაპოტში ერეკებოდენ. და აი, 1848 წელს რევოლიუცია დაიწყო. აქ ძველი სახელმწიფო ძლიერი აღმოჩნდა, ხალხი კი

[1] კ. მარქსი. Къ критикѣ гегелевской философіи права.

– სუსტი. სახელმწიფოს გაწვრთნილი ჯარი და მოწესრიგებული ბიუროკრატიული აპარატი ემორჩილება. თანაც ბურჟუაზიის ინტერესია წესწყობილების მხოლოთ რამოდენიმეთ გადაკეთება და არა მისი ძირბუდიანათ მოსპობა: მას ძილს უფრთხობს ამხედრებული მუშათა კლასი და ამიტომაც ის ცდილობს მონარქიას შეუთანხმდეს და მუშათა „უკიდურესი მისწრაფებანი“ დათრგუნოს. ამ გზით რევოლიუციონური ლაშქარი დასუსტდა და რევოლიუცია დაიმორჩილეს. ხალხმა ვერ შესძლო მონარქიის მოსპობა და რესპუბლიკის გამოცხადება. მარა თვით მთავრობაც სუსტი გამოდგა, ხალხი სავსებით ძველ კალაპოტში ჩააბრუნოს და „ნებითა ღვთისათა“ განმტკიცებული ძველი წყობილება კვლავ აღადგინოს. ასეთ პირობებში კუდ-მოკვეცილი კონსტიტუცია დაწესდა.

ყოველი რევოლიუცია მუდამ იწვევდა ნაცვლათ ძველი კლასისა ახლის გაბატონებას. გამონაკლისს მომავალი წყობილება წარმოადგენს. სოციალისტური საზოგადოება კლასთა მოსპობას მოითხოვს. ეს მუშათა კლასმა უნდა იკისროს.[1]

წყობილების შეცვლა თვით ადამიანთა საქმეა.

რას ნიშნავს ეს?

[1] კ. მარქსი. Нищета филасофіи, 141-2 გვ.

თავი IX

პიროვნებათა როლი ისტორიაში

„თუ კი საზოგადოება დაადგა თავის ბუნებრივ განვითარების კვალს, მას არ შეუძლია გადასცდეს განვითარების ბუნებრივათ აუცილებელ საფეხურს ან ისინი დეკრეტებით ჩამოიშოროს, მარა მას შეუძლია შეამოკლოს და შეამსუბუქოს მშობიარობის ტკივილები“.[1]

წესწყობილების წარმოშობა და მოსპობა, სახელმწიფოს გაძლიერება ან დაუძლურება, ხალხის გამარჯვება, დამარცხება და პოლიტიკურ პარტიათა ძალა-გავლენა, – მოკლეთ, ყველაფერი ისტორიაში აუცილებლობის კანონს ემორჩილება. ისტორია ხომ თვით ადამიანთა საქმეა, ადამიანი კი თავისუფალი არსებაა. როგორ შეიძლება აუცილებლობისა და თავისუფლების შეთანხმება და ერთათ თავმოყრა?

ადამიანი ქმნის ისტორიას. ამას ორნაირი მხარე აქვს.

ადამიანს იმონებს არსებული ეკონომიური და მასზე აგებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება. ამიტომ, ადრე თუ გვიან, მარა აუცილებლათ, ის მიილტვის არსებულ წესწყობილებას ძირი გამოუთხაროს და მის ნაცვლათ ბედნიერების სამეფო ააგოს. მას გვერდში უდგას მეორე, მესამე და ბევრი სხვა ადამიანი: მათი ინტერესები ერთდება. ეს მიმართულია გაბატონებული კლასის წინააღმდეგ და უკანასკნელიც ცდილობს თავისი ბატონობა დაიცვას და მომხდურნი მოიგერიოს. ამ გზით აუცილებლათ ბრძოლა ჩაღდება. ბრძოლის „საბოლოო შედეგი გამომდინარეობს მრავალ კერძო სურვილთა შეჯახებისაგან... ერთი ადამიანის სურვილს წინ ეღობება მეორე ადამიანის სურვილი; ის კი, რაც ნამდვილათ ხდება, არავის არა სურს. ამნაირათ ისტორია მიმდინარეობს მსგავსათ ბუნებრივი პროცესებისა და არსებითად ამავე ბუნებრივ კანონებს ემორჩილება“.[2]

---

[1] კ. მარქსი. წინასიტყვაობა „კაპიტალი“-ს პირველი ტომის პირველი გამოცემისა.

[2] ფრ. ენგელსის კერძო წერილი. დაბეჭდილია „Socialistiche Akademiker“-ში. 1895 წელი, 351 გვ.

აქ იწყება საქმის მეორე მხარე. ადამიანი მონაა, სანამ არ შეუგნია ცხოვრების აუცილებელი მსვლელობა და მას ძალაუნებურათ ემორჩილება. მარა ის უკვე თავისუფალია, რაკი გაითვალისწინა ცხოვრების მიმდინარეობა, ალღო აუღო მის განვითარებას და შეიგნო თავისი მდგომარეობა. სრულ სიმართლეს ამბობდა ფილოსოფოსი ჰეგელი: „ბრმაა აუცილებლობა, სანამ ის არ შეუგნიათო“. შეგნებას ხომ თვით აუცილებლობა ამზადებს: ეკონომიური მდგომარეობა, ადრე თუ გვიან, შესაფერ შეგნებას წარმოშობს.

ამიერიდან ადამიანი ცდილობს ცხოვრება თავისი სურვილისამებრ მოაწყოს, ის მიზანს ისახავს და თავისუფლათ მიილტვის მისი განხორციელებისაკენ. ასეთ მიზანს ეწოდება იდეალი.

რომელი იდეალია მართალი? სად უნდა ვეძიოთ იდეალის საზომი?

საზომი ერთათ ერთია – ცხოვრების განვითარება. მართალია, ანუ განხორციელდება ისეთი იდეალი, რომელიც შეესაბამება ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. ვერასოდეს ვერ განხორციელდება, ანუ უტოპიაა ისეთი იდეალი, რომელიც ეწინააღმდეგება ცხოვრების მსვლელობას. ჩვენში უთუოთ მოიპოვებიან ისეთი თავად-აზნაურები, რომელნიც ეტრფიან ბატონ-ყმობის დაბრუნებას. ეს უტოპიაა: კაპიტალისტური წარმოება პიროვნების თავისუფლებას მოითხოვს. რუსეთის ნაროდნიკები და ჩვენებური თავად-აზნაურული ინტელიგენცია ებძოდა კაპიტალიზმის გაჩენას. ეს უტოპია იყო: ევროპასთან აღებ-მიცემობამ ჩვენში გზა გაუხსნა კაპიტალიზმის განვითარებას. რომის პაპი – წმ. პეტრეს მოადგილე – დღესაც მილტვის ძველი საერო უფლების აღდგენისაკენ. ეს უტოპიაა: კაპიტალიზმი მოითხოვს ბურჟუაზიისა და არა მღვდლების ბატონობას. საშუალო საუკუნოებში ცდილობდენ სიცოცხლის ელექსირის აღმოჩენას, რომლის მეოხებითაც, კაცი უკვდავი უნდა გაეხადათ. ეს ფუჭი ოცნებაა: ყოველივე სულდგმული იბადება, იზრდება და ბოლოს კვდება. ასეთია ცხოვრების საერთო კანონი!

საფრანგეთის „განმანათლებელთა“ იდეალები საერთოდ უკვე განხორციელდა: ამას ითხოვდა კაპიტალიზმის განვითარება. ოსმალეთისა და სპარსეთის კონსტიტუციონალისტებმა უკვე მიაღწიეს თავიანთ იდეალს: კაპიტალიზმის შეჭრამ ორივე ქვეყანაში

ძირი გამოუთხარა სულთან-შაჰის აბსოლიუტიზმს და გზა გაუხსნა თავისუფლებას!

ახლა ვიკითხოთ, რა ნაირი შედეგი მოაქვს ადამიანთ ცდას, განახორციელონ თავიანთი იდეალი და ამ გზით გაიუმჯობესონ თავისი მდგომარეობა?

შედეგი მხოლოთ ერთია: „მშობიარობის ტკივილთა შემოკლება და შემსუბუქება", ე.ი. წესწყობილების შეცვლის დაჩქარება და ბრძოლაში აუცილებელ მსხვერპლთა შემცირება. საზოგადოება დარაზმულია ორ მოპირდაპირე ბანაკათ: არსებულის დამცველებათ ანუ რეაქციონერებათ და ახლის მოტრფიალებათ ანუ რევოლიუციონერებათ. უკანასკნელთ არ შეუძლიათ ერთი დაკვრით თავიანთ გემოზე მთელი ცხოვრება შესცვალონ. წეს-წყობილების ცვლილებას ეკონომიური განვითარება ამზადებს და სანამ ის არ მოითხოვს პოლიტიკური შეცვლის მოხდენას, რევოლიუციონერთა ყოველივე ცდა-რევოლიუცია ხელოვნურათ გამოიწვიონ – ამაოა და უნაყოფო მსხვერპლით თავდება. აგრეთვე არც რეაქციონერთ შეუძლიათ სამუდამოთ წინ გადაეღობონ ცხოვრების განვითარებას და დეკრეტებით ან ტლანქი ძალით საბოლოოთ დათრგუნონ რევოლიუციონერთა ლაშქარი. ეკონომიური ცვლილება ადრე თუ გვიან პოლიტიკურ ცვლილებასაც წარმოშობს! მარა მათ შეუძლიათ გაიხანგრძლივონ თავისი არსებობა და დაა-გვიანონ ახალი წყობილების დამკვიდრება.

მხოლოთ მას შემდეგ, რაც ეკონომიური განვითარება მომწიფდა, ამოძრავებულ ხალხს შეუძლია თავისი მიზნის მიღწევა და ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია მის შეგნება-მოქმედებაზე. რაც ადრე შეიგნებს ის თავის მდგომარეობას და დაუკავშირდება ერთი მეორეს რომ საერთო ძალღონით დათრგუნოს ძველი წყობილება და დააფუძნოს ახალი, მით უფრო ადრე მიაღწევს ის თავის იდეალს. ამიტომ არის რევოლიუციონერები მუდამ ცდილობენ ხალხი მიიმხრონ და ის შეაკავშირონ, ხოლო კონტრრევოლიუციონერები ყოველი ძალღონით წინ ეღობებიან ხალხის შეგნება-შეკავშირებას.

აქედან ცხადია, რომ მარქსისტული მოძღვრება ხალხს ურჩევს არა გულზე ხელის დაკრეფას და ბედისადმი დამორჩილებას; ის ემხრობა არა ფატალიზმს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ,

არამედ ის აძლევს უფართოეს ასპარეზს ადამიანთა მოქმედება-მოღვაწეობას. ეკონომიური განვითარების გათვალისწინება, თავისი მდგომარეობის შეგნება და საყოველთაო ბედნიერების მიღწევა, ანუ სოციალისტური სამეფოს დამკვიდრება – ასეთია მშრომელთა მოვალეობა მარქს-ენგელსის შეხედულობით.

ამით განისაზღვრება და ამაზე შენდება კერძო პიროვნებათა როლი ისტორიაში.

საზოგადოებას ყავს თავისი მეთაურები, ანუ ე.წ. გამოჩენილი პირები, რანაირია მათი ძალა-გავლენა საზოგადოებაში? რანაირია მათი მნიშვნელობა ისტორიაში?

საზოგადოება ორი ნაწილისაგან შესდგება – ამბობდენ ნაროდნიკები და დღეს ამასვე იმეორებს ჩვენი ნაციონალისტური ბანაკი. ერთია გამოჩენილი პირი ანუ „გმირი“, მეორეა ხალხი ანუ „ბრბო“. პირველი ახალი საზოგადოების გეგმას ადგენს და ცხოვრებას თავის გემოზე აშენებს. და მხოლოთ ის არის ცხოვრების აქტიური ელემენტი. სულ სხვაა ხალხი, „ბრბო“. ის ყოველივე შეგნებას მოკლებულია და გმირთა ყურმოჭრილ ლაშქარს შეადგენს. ის ისტორიის პასიური ელემენტია. პირველი გენერალია. მეორე – სალდათი. ბრბო – ეს ქვევრია, ანუ ჭური, რომელიც იმას ამოიძახებს, რასაც გენერლები გადასძახებენ. აი, ამ გენერალთა „გმირული“ საქმიანობა ბრბოს იტაცებს, მათ ფეხის ხმას მიყვება და მათ სურვილებს ასრულებს. მოკლეთ, ისტორია „გმირთა“ საქმეა, „გენერალთა“ სამფლობელოთ გამოაცხადეს და ხალხი ისტორიიდან სავსებით განდევნეს. მერე მართალია ასეთი შეხედულება?

გამოჩენილი პირი სავსებით საზოგადოების შვილია და მის ინტერესს ემსახურება. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ის სწორეთ მაშინ ჩნდება, როცა ამას საზოგადოების განვითარება მოითხოვს. საბერძნეთმა ძველათ უაღრესათ განავითარა მსოფლიო აღებ-მიცემობა, მარა ამას ხელს უშლიდა აღმოსავლეთში ბარბაროსთა თარეში. სპარსელები თვით საბერძნეთს შემოესიენ და ბერძნული კულტურა საფრთხეში ჩააგდეს. მათი საბოლოოთ ალაგმვა და ბერძნული აღებ-მიცემობა – კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელება ალექსანდრე მაკედონელმა იკისრა. მან მთელი ქვეყანა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო და ელინიზმი მთელ მსოფლიოს მოჰფინა. როცა რომის იმპერია სავსებით გაი-

ხრწნა, იშვა იესო ნაზარეველი, რომ საზოგადოებას ახალი სული შთაბეროს. როცა დასავლეთის ეკლესია კათოლიციზმით გარყვნილებაში ჩაეფლა და საზოგადოების განვითარებას გადაეღობა, გაჩნდენ ლიუტერი და კალვინი, რომ ეკლესია ახალ საფუძველზე მოეწყოთ. როცა საფრანგეთში ბურჟუაზია განვითარდა, რომლის ინტერესი მოითხოვდა აბსოლიუტიზმის დამხობას, ჟან-ჟაკ-რუსსომ, ვოლტერმა, ლამეტრიმ, ჰოლბახმა, დალამბერმა და სხვა „განმანათლებლებმა“ ომი გამოუცხადეს ძველ წყობილებას და თავისუფლებას გამოესარჩლენ. როცა 1908 წ. სპარსეთის შაჰ-მა მაჰმედ-ალიმ მოსპო კონსტიტუცია, დააშლევინა მეჯლისი და დაახოცინა დეპუტატები, თავრიზელმა სათარხანმა აჯანყების დროშა ააფრიალა. თუ არა სპარსეთის რევოლიუცია, ის სრულიად უცნობი პირი იქნებოდა კაცობრიობისათვის! თუ არა სახელმწოფო დუმა, რუსეთის ფართო საზოგადოება ვერ გაეცნობოდა მურომცევს ალადინს, ნ. ჟორდანიას, ირაკლი წერეთელს, კარლო ჩხეიძეს, სკობელევს და დუმის სხვა ორატორებს. სახელგანთქმული ორატორი მირაბო სრულიად უცნობი იქნებოდა ჩვენთვის, რომ საფრანგეთის აბსოლიუტიზმის არსებობა კიდევ ხუთი წელი გაგრძელებულიყო.

გამოჩენილ პირთა მოღვაწეობა სავსებით დამოკიდებულია საზოგადოებაზე. უკანასკნელი აძლევს მათ შესაფერ განათლება-განვითარებას, უმზადებს საჭირო მასალას, ურომლისოდაც თვით გენიოსიც სუსტია, რითიმესთვის შემოქმედება გამოიჩინოს, და მათ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე. მოკლეთ, გამოჩენილი პიროვნება საზოგადოებრივ გარემოს ემორჩილება. ჩვეულებრივ ადამიანთგან ისინი მხოლოთ ერთით განირჩევიან: უფრო ადრე შეიგნებენ იმ ცვლილებას, რომელიც ხდება ცხოვრებაში და უფრო გაბედულათ და ნიჭიერათ იცავენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და მის დაკმაყოფილებას ეხმარებიან. ამ ფარგლებში მათი ღვაწლი დიდია კაცობრიობის წინაშე: ისინი აჩქარებენ საზოგადოების განვითარებას, ან მას აფერხებენ, როცა რეაქციონერთა ბანაკს ეკედლებიან.

ასეთია, მაგ., მეცნიერის როლი ისტორიაში. თავისი გენიოსური აღმოჩენით ის საზოგადოებრივ პროგრესს ემსახურება. მარა

„არა მხოლოთ მეცნიერს შეუძლია შეამოკლოს განვითარების გზა და შეამციროს მისი მსხვერპლები. მხატვარს, რომელიც იღებს მეცნიერის მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებას და მას აძლევს ადვილათ გასაგებ და მომხიბლავ სახეს, რომელსაც შეუძლია გამოაფხიზლოს და აღაფრთოვანოს ხალხი; ორგანიზატორს და ტაქტიკოსს, რომელნიც თავს უყრიან დაბნეულ ძალებს და მათ წესიერათ აკავშირებენ, – ყველა მათ შეუძლიათ, თუ მართლაც რაიმე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, დააჩქარონ განვითარების გზა. მე დავასახელე ტაქტიკოსები და ორგანიზატორები. მათ ეკუთვნიან არა მხოლოთ პოლიტიკოსები, არამედ წინამძღოლებიც“.[1] მართლაც, ნაპოლეონმა დააჩქარა ევროპის სახელმწიფოთა რეაქციონური კოალიციის დათრგუნვა, გარიბალდიმ – იტალიის გაერთიანება, მარქს-ენგელსმა – მუშათა შეგნება-შეკავშირება. პირიქით, გამოჩენილმა კონსერვატორმა – ბისმარკმა, თავისი ნიჭიერი საქმიანობით კიდევ უფრო დაიმონა გერმანიის საზოგადოება და ის სასახლის კამარილიას და აგრარიებს დაუმორჩილა. დაახლოვებით ასეთივეა სტოლიპინის როლი რუსეთის ისტორიაში. მარა რა რიგ ნიჭიერი, ენერგიული და გაბედული უნდა იყოს გამოჩენილი პიროვნება, მას არ შეუძლია ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრიალოს, ან ცხოვრების განვითარებას მისცეს სხვანაირი მიმართულება, ვინემ ამას მოითხოვს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. ავიღოთ ერთი მაგალითი.

მე-18-ე საუკუნის დასასრულს საფრანგეთის მდგომარეობა მოითხოვდა ძველი წყობილების დამხობას და კონსიტუციონური წესრიგის შემოღებას, რომელიც შეეფერებოდა ახალ ბურჟუაზიულ-ეკონომიურ ვითარებას. „იმ დროს ყველაზე უფრო გამოჩენილი და სასარგებლო მოღვაწენი ისინი იყვენ, რომელთაც უკეთ შეეძლოთ ამ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ვთქვათ, ასეთი ადამიანები იყვენ მირაბო, რობესპიერი და ბონაპარტე. რა იქნებოდა, რომ უდროო სიკვდილს მირაბო არ ჩამოეშორებია პოლიტიკური ასპარეზისგან? კონსტიტუციონური მონარქიის პარტია უფრო ხანგრძლივ შეირჩენდა დიდ ძალა-გავლენას; ამიტომ ის უფრო ენერგიულათ შეებრძოლებოდა რესპუბლიკანელთ. მხოლოდ არავითარ მირაბოს არ შეეძლო ხელი შეეშალა

[1] კარლ კაუცკი. კამათი ბელფორტ ბაქსთან.

რესპუბლიკანელთა გამარჯვებისათვის. მირაბოს ძალა სავსებით დაფუძნებული იყო ხალხის თანაგრძნობასა და მისდამი ნდობაზე; ხალხი კი რესპუბლიკისაკენ მიილტვოდა, ვინაიდან სასახლე მას აღელვებდა ძველი წყობილების დაჟინებული დაცვით. როცა ხალხი დარწმუნდებოდა, რომ მირაბო არ თანაუგრძობს მის რესპუბლიკანურ მისწრაფებას, ის თავის თანაგრძნობას მოაკლებდა თვით მირაბოს და მაშინ დიდებული ორატორი დაჰკარგავდა თითქმის ყოველივე ძალა გავლენას და შემდეგში, ალბათ, თვითვე მოძრაობის მსხვერპლი შეიქნებოდა. დაახლოვებით იგივე შეიძლება ითქვას რობესპიერზედაც. წარმოვიდგინოთ, რომ პარტიაში ვერავინ შესძლებდა მის მაგივრობას, მარა ყოველ შემთხვევაში, ის წარმოადგენდა არა ერთათ-ერთ ძალას. რომ ის, ვთქვათ, 1793 წელს იანვარში მოეკლა შენობიდან უეცრათ ჩამოვარდნილ აგურს, მის ადგილს, რასაკვირველია, დაიჭერდა ვინმე სხვა, და თუნდაც ეს მასთან შედარებით ყოველმხრივ დაბლა მდგარიყო, ცხოვრება წინ წავიდოდა იმავე მიმდინარეობით, როგორც ეს იყო რობესპიერის დროს. ასე, მაგალითათ, ჟირონდისტები ამ შემთხვევაშიც ვერ ასცდებოდენ დამარცხებას“.[1] „აგრეთვე რობესპიერის პარტიაც, ადრე თუ გვიან, დაჰკარგავდა ძალაუფლებას, რადგან „ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ეყრდნობოდა ეს პარტია, არ იყო მომზადებული ხანგრძლივი ბატონობისთვის“.[2] აგრეთვე, რომ ბონაპარტეც მოეკლათ, ვთქვათ, არკოლესთან შეტაკებაში, მის მაგიერობას იკისრებდენ სხვა გენერლები. ისინი უთუოთ ვერ გამოიჩენდენ ისეთ ნიჭს და ვერც ისე ბრწყინვალეთ გაიმარჯვებდენ, მარა საფრანგეთის რესპუბლიკა მაინც გამარჯვებული დარჩებოდა მაშინდელ ომებში, რადგან მისი სალდათები სჯობდენ ყველა ევროპიელ სალდათებს. რაც შეეხება „მე-18-ე ბრიუმერს“ და მის გავლენას საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაზე, აქაც საერთო მსვლელობა და მოვლენათა დასასრული არსებითად უთუოთ იგივე იქნებოდა, როგორც ეს იყო ნაპოლეონის დროს. რესპუბლიკა, სასიკვდილოთ დაჭრილი 9 თერმიდორს, ნელ-ნელა კვდებოდა. დირექტორიას არ შეეძლო წესიერების აღდგენა, რო-

[1] ნ. ბელტოვის (გ.ვ. პლეხანოვის) სტატია «К вопросу о роли личности в исторіи», კრებულში «За двадцать лет», С.-Петербургъ, 1905, 492 გვ.

[2] იქვე.

მელიც ასე სწყუროდა ბურჟუაზიას, უკვე განთავისუფლებულს მაღალ კლასთა ბატონობისაგან. წესიერების აღსადგენათ საჭირო იყო „კარგი ხმალი“, როგორც სიეისი ამბობდა. წინეთ ფიქრობდენ, რომ კეთილ-მყოფელი „ხმლის“ როლს შეასრულებდა გენერალი ჟურდანი; მერე, როცა ის მოკლეს ნოვისთან შეტაკებაში, ლაპარაკი დაიწყეს მოროზე, მაკდონალდზე და ბერნადოტზე. ბონაპარტეზე მხოლოთ შემდეგში ალაპარაკდენ რომ ის ჟურდანსავით მოეკლათ, მას არც კი მოიგონებდენ და წარმოაყენებდენ სხვა რომელიმე „ხმალს“. თავისთავათ იგულისხმება, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ დიქტატორათ წამოაყენა, თავის მხრივაც უნდა ცდილიყო გზა გაეკვალა ძალა-უფლებისაკენ, ენერგიულათ ჩამოეშორებია და შეუბრალებლათ დაეთრგუნა ყველა ისინი, ვინც გზაზე გადაეღობებოდა. ბონაპარტეს ჰქონდა რკინისებური ენერგია და არაფერს ზოგავდა თავის მიზანთა მისაღწევათ. მარა მის გარდაც ბევრი იყო იმ ხანათ ენერგიული, ნიჭიერი და პატივმოყვარე ეგოისტი. ადგილი, რომლის დაჭერაც მან შესძლო, არ დარჩებოდა თავისუფალი“.[1] მოკლეთ გავლენიან პირთ შეუძლიათ თავისი ჭკუისა და ხასიათის განსაკუთრებულ თვისებათა მეოხებით შესცვალონ მოვლენათა ინდივიდუალური სახე და რამოდენიმეთ კერძო შედეგი, მარა მათ არ შეუძლიათ შესცვალონ საერთო მიმდინარეობა, რომელიც სხვა ძალთაგან განისაზღვრება“.[2] ეს ძალა – წარმოება და მასზე აგებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

ამიტომ არის, თვით უდიდებულესი ნიჭი კვდება და არ შეუძლია თავისი ძალთა გაფურჩქვნა, როცა მას წინ ეღობება საზოგადოება და არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა მრავალი ორატორი იღუპება და ვერ პოულობს შესაფერ ასპარეზს აბსოლიუტურ სახელმწიფოში.

კერძო პიროვნება, თუნდა გენიოსიც, სავსებით საზოგადოებრივი გარემოს შვილია.

ნაროდნიკულ-იდეალისტური, ანუ „გმირთა“ თეორია მოკლებულია ყოველივე საფუძველს.

---

[1] იქვე. გვ.
[2] იქვე. 494 გვ.

დასკვნა

ჩვენ დავინახეთ, რომ საწარმოვო ძალთა განვითარება და მასზე აღმოცენებული წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესი – აი რა შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს, აი სად უნდა ვეძიოთ გასაღები კაცობრიობის განვითარებისა. ეს ერთათ ერთი მეცნიერული მეთოდი იმდენათ ნათელია, რომ თვით ოფიციალური მეცნიერება, რომელიც გაბატონებული საზოგადოების იარაღია, ნებით და უნებლიეთ მას ასაბუთებს, თუმცა თეორიულათ მას ებრძვის და „ცალ-მხრივობას“ უკიჟინებს. ასეთია, მაგ., რუსეთის გამოჩენილი ისტორიკოსი ვიპერი.[1] და რაც დრო გავა, ეს მოძღვრება უფრო და უფრო მეტ მიმდევართ მოიპოვებს და მთელ ისტორიულ-სოციოლოგიურ მეცნიერებაში გაბატონდება მსგავსათ იმისა, როგორც დარვინიზმი ბუნებისმეტყველებაში გამეფდა. ასეთია ბედი ყოველივე გენიოსური აღმოჩენისა!

ამ მოძღვრებას ეწოდება ისტორიული მატერიალიზმი, ანუ მატერიალისტური ახსნა ისტორიისა: ადამიანთა ისტორიას ამოძრავებს არა სული, არა იდეა ან აზრი, არამედ წარმოება და მატერიალური ურთიერთობა.

ის სხვანაირათ დიალექტიკური მატერიალიზმია: მარქს-ენგელსის კვლევა-ძიების მეთოდი იყო მატერიალისტური დიალექტიკა.

მას ეწოდება მარქსიზმი: მისი უმთავრესი შემოქმედი იყო კარლ მარქსი.

ამ თვალთა-ხედვით მარქს-ენგელსმა მეცნიერულათ დაასაბუთეს მუშათა კლასის საბოლოო მიზანი – სოციალიზმი და ნათელ ყვეს მისი ისტორიული აუცილებლობა. ამიტომ ეს მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმია. ის მუშათა განთავისუფლების იარაღია.

---

[1] იგულისხმება რობერტ ვიპერი (1859-1954), მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი და ისტორიის თეორეტიკოსი. რედ.

დამატება

დიალექტიკა

მარქსისტული კვლევა-ძიების მეთოდია დიალექტიკა. ვასაც სურს სრული და ნათელი წარმოდგენა იქონიოს ამ მოძღვრებაზე, ის ამ მეთოდსაც უნდა გაეცნოს.

რას ნიშნავს დიალექტიკა?

ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ამბობდა, რომ საგანი არსებობს და იმავე დროს არ არსებობს, ვინაიდან მუდმივ ცვლილებას განიცდის, ჰერაკლიტემ მოსვენება და ერთ-იგივეობა ყოველნაირი საგნიდან განდევნა და მოუსვენრობა და ცვალებადობა გააბატონა.

ამ მოძღვრებას განთქმული გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი დაეყრდნო და მის მეოხებით გააშუქა ბუნებისა და კაცობრიობის წარმოშობა-განვითარება. ჰეგელის აზრით თავდაპირველათ და სამყაროსაგან დამოუკიდებლათ სადღაც არსებობდა აბსოლიუტური იდეა ანუ საყოველთო მსოფლიო სული. ეს თეზისია. ის ვითარდება, თავის თავს შორდება და ბუნებათ იქცევა. ეს ანტიტეზი ანუ უარყოფაა. ბუნებაში აბსოლიუტური იდეა კვლავ ვითარდება, ადამიანის სახით ცნობიერდება და ფილოსოფიაში, განსაკუთრებით ჰეგელი ფილოსოფიაში, ხელ-ახლა უბრუნდება თავის თავს. ეს სინთეზია ანუ უარყოფის უარყოფაა. მოკლეთ ბუნება და ადამიანთა ისტორია მუდმივ პროცესს წარმოადგენენ: ერთი მოვლენა ვითარდება და ისპობა და მის ადგილს იჭერს ახალი, რომ შემდეგში თვითონაც მოისპოს და ასე დაუსრულებლივ. ეს დიალექტიკური პროცესია.

ჰეგელის დიალექტიკა სუსტი გამოდგა კაცობრიობის განვითარების ახსნის საქმეში და ეს იმიტომ, რომ ის „თავდაყირა დგას; საჭიროა მისი გადმობრუნება, რომ მისტიკურ სამოსელში რაციონალური მარცვალი აღმოაჩინო“.[1] აუცილებელი შეიქნა დი-

[1] კ. მარქსი. წინასიტყვაობა „კაპიტალი“-ს I ტომის მეორე გამოცემისა.

ალექტიკის მატერიალისტურ საფუძველზე აგება: ეს მარქს-ენგელსის საქმეა.

აქ იბადება კითხვა: რა არის იდეალიზმი? რა არის მატერიალიზმი?

„ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკათ გაიყვენ... იდეალისტურ ბანაკს შეადგენდენ ისინი, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ სული არსებობდა ბუნების წინეთ და რომელნიც, მაშასადამე, ცნობდენ ქვეყნის გაჩენას ამა თუ იმ სახით; ფილოსოფოსების, მაგ., ჰეგელის აზრით, სამყაროს გაჩენა ღებულობს კიდევ უფრო სულელურ და დაბნეულ ხასიათს, ვინემ კეთილ-მორწმუნე ქრისტიანთ შეხედულებით. ისინი კი, რომელნიც ძირითად დასაწყისათ რაცხდენ ბუნებას, შეუერთდენ მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლებს. არავითარ სხვა რამეს არ გამოხატავენ ეს პირვანდელი აზრით აღებული სიტყვები: იდეალიზმი და მატერიალიზმი“.[1] მოკლეთ, იდეალიზმის საფუძველია იდეა, სული ანდა ღვთაება, ხოლო მატერიალიზმის – ბუნება, გარეშე სამყარო და მისი შედგენილობა ანუ სხვა და სხვა მატერიალური საგნები. იდეალისტების აზრით არსებული ქვეყანა გამოხატულებაა საყოველთო მსოფლიო სულის, იდეის, ღვთაების. მატერიალისტების შეხედულებით, პირიქით, იდეა თვით ადამიანთ თავში გარეშე ბუნებისა ანუ მატერიის გამოკრთომაა.

რა არის მატერიალიზმი?

სამყარო ერთი ვეებერთელა, ჩვენი გონებისათვის წარმოუდგენელი ლაბირინთია. ყველაფერი ამ სამყაროში იმყოფება, ყოველივე მოვლენა აქ ხდება.

ყოველნაირი საგანი მატერიაა. დედა-მიწა და ჰაერი, ქვა და ლითონი, მცენარე და ცხოველი, მათ შორის ადამიანიც – ეს ყველაფერი მატერიაა. რით აიხსნება სხვადასხვა საგანთა შორის განსხვავება? რატომ ერთმა საგანმა ცხოველის სახე მიიღო, მეორემ ადამიანის? რატომ ერთი საგანი არა-ორგანიულია, მაგ. ქვა, მეორე კი – ორგანიული, როგორიც არის მცენარე? რატომ ერთი არსება თავისით მოძრაობს, მეორე კი ერთ ადგილზეა მიჯაჭვული?

[1] ფრ. ენგელსი. Людвигъ Фейербахъ, 41 გვ.

ამის უმთავრესი მიზეზია საგნის, ნივთის, ანუ მატერიის შედგენილობა. ყველა საგანი სხვა და სხვა ქიმიური ელემენტებისაგან შედგება. დაანაწილეთ ქიმიურათ, მაგ., წყალი და წყალბადსა და მჟავბადს[1] მიიღებთ. იმისდა მიხედვით, თუ რანაირია ეს შემადგენელი ელემენტები და რამდენი ნაწილი სხვა და სხვა ქიმიური ელემენტებისა შედის საგანში, ის ერთსა ან მეორე სახეს ღებულობს. ყოველი ცოცხალი არსება და მათ შორის ადამიანი უჯრედებისაგან შესდგება, თვით უჯრედი კი სხვა და სხვა ქიმიური ელემენტების შეერთებაა. მოკლეთ, ქიმიური შედგენილობა ფიზიკური არსების საფუძველია. ორგანიული ბუნება არაორგანიულის განვითარებას წარმოადგენს. მატერიალიზმი მათ შორის კავშირსა და ნათესავობას ჰპოვებს.

ორგანიული არსება მოძრაობს. „მატერია უმოძრაოთ ისევე წარმოუდგენელია, როგორც მოძრაობა უმატერიოთ“.[2] სულიერი არსება აზროვნობს, მას სული აქვს და ეს იმიტომ, რომ აზროვნობა, სულიერი ცხოვრება თვისებაა მატერიისა: განვითარების განსაზღრულ საფეხურზე მატერია შეგნებას იძენს ანუ ცნობიერდება. სული შედეგია მატერიისა. ცნობილია, რომ წავებსა და ჭიანჭველებს თავიანთი საზოგადოება აქვთ და ერთათ მოქმედებენ. ძაღლი გრძნობს, როცა მას პატრონი უწყრება. ფრინველი ხედავს, როცა მას მონადირე თოფს უმიზნებს. მგლები ზამთრობით, როცა საჭმლის შოვნა ძნელდება, ერთდებიან, ხროვას ადგენენ და საერთო ძალღონით ცდილობენ თავი გამოიკვებონ და გამოიზამთრონ. მოკლეთ, ისინი სულიერ ცხოვრებას ეწევიან. ადამიანი ამ სულიერ არსებათა გვირგვინს შეადგენს: ის უმაღლესი არსებაა და მისი სულიერი ცხოვრება უფრო განვითარებული და რთულია. მოკლეთ, „არა სული ქმნის მატერიას, არამედ თვით სული წარმოადგენს მატერიის უმაღლეს ქმნილებას“.[3] ადამიანის ფიზიოლოგიური შედგენილობა დასაბამია მისი ფსიხოლოგიის, მისი ფსიხიური მოქმედება-მდგომარეობის.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბუნება პირვანდელია, ხოლო ადამიანი – მისი ქმნილება; გარეშე სამყარო განვითარების სათავეა, ადამი-

---

[1] ჟანგბადს. რედ.

[2] ფრ. ენგელსი. Анта-Дюрингъ. 65 გვ.

[3] იქვე. 65 გვ.

ანი კი – მისი შედეგი. ხოლო როცა წარმოიშვა ადამიანი, როგორც ეს ჩარლზ დარვინმა მეცნიერულათ დაასაბუთა, ის ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების შესწავლას შეუდგა. რა გზით წარმოებს ეს შესწავლა? რა ნაირია ადამიანთ აზროვნობა-შემეცნების პროცესი?

გარეშე ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრება გავლენას ახდენენ ადამიანზე და მასში ათასნაირ შთაბეჭდილებებს იწვევენ. ეს შთაბეჭდილებანი „იხატებიან მის თავში, მასში გამოკრთებიან გრძნობათა, აზრთა, მიდრეკილებათა და ნების მოძრაობათა სახით“.[1] თავი, უკეთ ტვინი – აი ცენტრი სულიერი მოქმედებისა. შემეცნება ანუ აზროვნობა ამ ორ მატერიალურ საგანს მოითხოვს: ერთი მხრივ გარეშე სამყაროს და მეორე მხრივ – ტვინს. მოსპეთ ერთ-ერთი და აზროვნობა შეწყდება, ჩამოაცალეთ ერთი მათგანი და შემეცნება შეუძლებელი გახდება. ადამიანთა სხვა და სხვა წარმოდგენები და ცნებები – ეს სურათია ნამდვილი საგნების, ეს გამოხატულება ანუ სარკეა არსებული ქვეყნისა. ასეთი მარქს-ენგელსის მატერიალიზმი.

ეს ჰეგელის იდეალიზმის უარყოფაა. „ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც ის იდეის სახელით დამოუკიდებელ არსებათ აქცევს, შემოქმედია ნამდვილი სამყაროსი, რომელიც პირველის გამოხატულებაა: ჩემის აზრით კი – ამბობს კ. მარქსი – პირიქით. თვით იდეალური შეადგენს არა სხვა რამეს, არამედ მატერიალურის ადამიანის თავში გადატანასა და გადაკეთებას“.[2]

ამით მარქს-ენგელსი საერთოთ მე-18-ე საუკუნის მატერიალისტებს იმეორებდენ. მარა უკანასკნელნი მეტაფიზიკურათ მსჯელობდენ. რა არის მეტაფიზიკური?

ის წარმოდგება სიტყვისაგან მეტაფიზიკა, რაიცა ნიშნავს მოძღვრებას აბსოლიუტურზე, მუდმივზე ანუ უცვლელზე. მეტაფიზიკა იკვლევს ისეთ რამეს, რაც დამოუკიდებელია დროსა და მანძილისაგან. აქედან, მეტაფიზიკურია ისეთი მსჯელობა, როცა ადამიანს საგანი ან მოვლენა წარმოდგენილი აქვს არა მოძრაობაში, არამედ უცვლელათ, გაქვავებულათ. „მეტაფიზიკის თვალში საგნები და მათი ტვინში გამოკრთომანი – ცნებები წა-

---

[1] იქვე, 49 გვ.

[2] კ. მარქსი. „კაპიტალის“ I ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობა.

რმოადგენენ განცალკევებულ, მტკიცე, უმოძრაო და კვლევა-ძიების სამუდამოთ მოცემულ საგნებს. მეტაფიზიკოსი აზროვნობს პირდაპირი წინააღმდეგობით: კი-კი, არა-არა, რაც მის გარეშეა, ის ბოროტისაგანაა. მისთვის საგანი არსებობს ან არ არსებობს: შეუძლებელია საგანი იყოს ის, რაც არის და ამავე დროს ის სხვა რაიმეს წარმოადგენდეს. დადებითი და უარყოფითი გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს; აგრეთვე მიზეზი და შედეგი ერთი მეორესთან მუდმივ წინააღმდეგობაში არიან".[1]

ჩვენ ვხედავთ, საგანი იცვლება, მატერია მოძრაობს. „მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა",[2] ხოლო მოძრაობა წინააღმდეგობაა. ეს მეტაფიზიკის უარყოფაა.

მართლაც „ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვიცით და გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, არსებობს ეს ცხოველი, თუ არა. მარა სწორე განხილვის დროს ჩვენ დავინახავთ, რომ ხანდისხან ეს ძლიერ დაბნეული საკითხია, რაც კარგათ იციან იურისტებმა, რომელნიც ამაოთ ამტვრევდენ თავს, რომ აღმოეჩინათ ის რაციონალური საზღვარი, რომლის იქითაც დედის მუცელში ბავშვის მოსპობა მკვლელობათ იქცევა. ყოველი ორგანიული არსება ერთსა და იმავე დროს იგივეა და თან სხვა არის; ყოველ წუთში ის ინელებს გარედან მოტანილ საგნებს, სხვებს კი თავიდან იშორებს; ყოველ წუთში მისი სხეულის ზოგიერთი უჯრედები კვდებიან და ახლები ჩნდებიან; ადრე თუ გვიან ამ სხეულის მთელი შედგენილობა სავსებით ახლდება და ის იცვლება მატერიის ახალი ატომებით, ასე რომ ყოველი ორგანიული არსება ერთსა და იმავე დროს იგივეა და თან სხვა არის. თანაც სწორე განხილვის დროს ჩვენ დავინახავთ, რომ წინააღმდეგობის ორივე პოლიუსი, როგორც დადებითი ისე უარყოფითი, ერთი მეორისაგან განუყრელი და თან მოწინააღმდეგეა და მიუხედავათ თავისი წინააღდეგობისა ერთი-მეორეთ იქცევა. აგრეთვე მიზეზი და შედეგი ცნებებია, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მხოლოთ კერძო შემთხვევაში; მარა როცა ამ კერძო შემთხვევას ჩვენ გავარჩევთ, როგორც მთელ სამყაროსთან დაკავშირებულ რამეს, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ცნებები ერთდებიან, ისპობიან სამყაროს ურთიერთობის სუ-

[1] ფრ. ენგელსი. Анти-Дюрингъ, 8 გვ.
[2] იქვე, 64 გვ.

რათში, სადაც მიზეზები და შედეგები გამუდმებით ერთი მეორის ადგილს იცვლიან. ასე რომ ის, რაც ახლა, ან აქ შედეგია, მეორე ადგილზე, ან სხვა დროს მიზეზი იყო და პირიქით“.[1]

ამაზე დიალექტიკა აშენდა. ის იკვლევს საგნებს და მათ გამოხატულებათ – ცნებებს მათ ურთიერთ-დამოკიდებულებაში, მათ დაკავშირებაში, მათ მოძრაობასა, წარმოშობასა და მოსპობაში“.[2]

რანაირია ეს დიალექტიკური პროცესი?

„ავიღოთ, მაგ., ქერის მარცვალი. ასეთ მილიარდ მარცვლებს ფქვავენ, ხარშავენ ლუდს ამზადებენ (ან პურს აცხობენ – ნ.რ.) და შემდეგ ხმარობენ. მარა თუ ერთი ასეთი მარცვალი ნორმალურ პირობებს იპოვის, თუ ის ხელ-შემწყობ ადგილზედ დაეცემა, ის სითბოსა და ნესტის გავლენით შეიცვლება და ზრდას დაიწყებს; მარცვალი, როგორც ასეთი, ისპობა, ის თავის თავს უარყოფს და მის ნაცვლათ ჩნდება მისგან წარმოშობილი მცენარე – ეს უარყოფაა მარცვლისა. როგორია ამ მცენარის ნორმალური მსვლელობა? ის იზრდება, ჰყვავის, ნაყოფს იძლევა და დასასრულ კვლავ ქერის მარცვლებს წარმოშობს; როცა უკანასკნელი დამწიფდება, ღერი კვდება და უარიყოფა. ეს უარყოფა უარყოფისა შედეგათ გვაძლევს ქერის პირვანდელ მარცვალს, მარა ნაცვლათ ერთისა ათს, ოცს და ოცდაათს“.[3]

ამავე კანონს ემორჩილება სხვა და სხვა სულდგმულთა ცხოვრება. ავიღოთ პეპელა. ის ჩნდება კვერცხიდან, თანდათან იცვლება, მწიფდება სქესობრივათ და კვერცხებს სდებს, ხოლო თვითონ ისპობა. აქ პირვანდელი კვერცხია თეზისი, პეპელა – უარყოფაა, ახალი კვერცხები კი უარყოფის უარყოფაა. ავიღოთ ადამიანი. ის იბადება, იზრდება, შემდეგ სქესობრივათ უკავშირდება მეორე სქესის წარმომადგენელს, რის მეოხებით მდედრობითი სქესი შვილებს შობს. ადამიანი ბერდება და კვდება, მის საქმეს კი შთამომავლობა განაგრძობს.

დიალექტიკურია კაცობრიობის განვითარებაც. თავდაპირველათ ყველგან მიწის საერთო მფლობელობა მეფობდა. ამ ნიადაგზე პირველყოფილმა ადამიანებმა საწარმოვო ძალები განავითა-

---

[1] ფრ. ენგელსი. Анти-Дюрингъ, 9-10 გვ.

[2] იქვე, 10 გვ.

[3] ფრ. ენგელსი. Анти-Дюрингъ, 9-10 გვ.

რეს და მიწის დამუშავებას შეუდგენ. აქ კი გამოჩნდა, რომ მიწის საერთო მფლობელობა ცხოვრების წინმსვლელობას აფერხებს. ის მოისპო და კერძო საკუთრება დაწესდა. მარა მიწათ-მოქმედების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რომელიც ადგილ-მამულის კერძო საკუთრებამ გამოიწვია, უკანასკნელი თავის მხრივ აფერხებს წარმოებას, როგორც ამ ჟამათ ხდება წვრილსა, თუ მსხვილ მიწათ-მფლობელობაში. აუცილებლათ იბადება მოთხოვნილება მისი უარყოფისა, მისი საზოგადოებრივ საკუთრებათ გადაქცევისა".[1]

ეს ამზადებს კერძო საკუთრებისა და ამ ნიადაგზე აგებული კაპიტალისტური მეურნეობის დამხობას და ყოველნაირ საწარმოო საშუალებათა და მათ შორის ადგილ-მამულის საზოგადოების ხელში გადასვლას. ეს სოციალიზმია. აქ პირველყოფილი კომუნიზმია თეზისი, კერძო საკუთრება ანტითეზისი ანუ უარყოფა, სოციალიზმი – სინთეზი ანუ უარყოფა უარყოფისა.

დიალექტიკურია თვით აზროვნობის პროცესიც. საბერძნეთის პირვანდელი ფილოსოფია პრიმიტიული, ბუნებრივი მატერიალიზმი იყო. „როგორც ასეთს, მას არ შეეძლო გამოეკვლია აზროვნობის დამოკიდებულება მატერიასთან. ამ კითხვის გარკვევის საჭიროებამ გამოიწვია მოძღვრება სულზე, რომელიც სხეულს შორდება, შემდეგ – რწმენა სულის უკვდავებაზე, დასასრულ მონოთეიზმი. ძველი მატერიალიზმი ამ რიგათ იდეალიზმმა უარყო".[2] ეს იდეალიზმი კი თავის მხრივ საფრანგეთის მე-18-ე საუკუნის მატერიალიზმმა დაამხო. ეს უარყოფაა უარყოფისა.

ამიერიდან ფილოსოფიის განვითარებაში ახალი ხანა იწყება. მე-18-ე საუკუნის მატერიალიზმი უძლური გამოდგა ცხოვრების მსვლელობის ახსნაში. ის უარყო იდეალისტურმა ფილოსოფიამ ჰეგელის მეთაურობით. მარა ჰეგელის ფილოსოფია „თავდაყირა დგას". და აი ჰეგელის იდეალიზმი მარქს-ენგელსმა უარყვეს, მათ დიალექტიკა მატერიალიზმს დაუკავშირეს და ამის მეოხებით კაცობრიობის ისტორია ნათელყვეს. აქ მე-18-ე საუკუნის მატერიალიზმია თეზისი, ჰეგელის იდეალიზმი – უარყოფა, ხოლო მარქს-ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი – უარყოფა უარყოფისა.

---

[1] იქვე.
[2] იქვე. 181 გვ.

მოკლეთ, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე მოვლენა დიალექტიკურათ ვითარდება, და „იმ ძალთა მოქმედებით, რომელნიც შეადგენს მისი არსებობის პირობებს, ადრე თუ გვიან, მარა აუცილებლათ ის თავის წინააღდეგობათ იქცევა“.

რანაირია ეს გადაქცევა, ანუ ერთი მდგომარეობის მეორით შეცვლა? ერთი მხრივ რაოდენობა თვისებათ იქცევა.

რით აიხსნება, – მაგ., ფერთა სხვადასხვაობა? რატომ ერთ საგანს წითელი ფერი აქვს, ხოლო მეორეს – იისა ან თეთრი. ფიზიკა გვასწავლის, რომ ამის ერთათ ერთი მიზეზი ეთერის ნაწილთა ქანაობის რაოდენობაა. როცა ეს ნაწილები ერთ წამში 392 მილიარდჯერ ქანაობენ, – წითელ ფერს ვღებულობთ, როცა 505 მილიარდჯერ, – ყვითელ ფერს, როცა 565 მილიარდჯერ – მწვანეს, 750 მილიარდჯერ – იისფერს. ამით აიხსნება ყველა შვიდივე ფერის სხვა და სხვაობა. რაოდენობითი განსხვავება თვისებით განსხვავებათ იქცევა.

ასეთივეა საზოგადოებრივი განვითარება. რით განირჩევა ერთი მეორისაგან თავდაპირველათ ამქრული და კაპიტალისტური წარმოება? მხოლოთ მუშათა რაოდენობით. ამქრულ წყობილებაში ოსტატი ორ-სამ კაცს – ქარგალსა და შეგირდს ამუშავებდა მარა აი, წარმოებას ვაჭარი დაეპატრონა, მან ერთ ჭერქვეშ მრავალი მუშა – ასე 10-20 კაცი, შეჰყარა და მათ შორის შრომა გაანაწილა. ეს კაპიტალისტური წარმოებაა. ამქარში ოსტატი თვითონაც საქმობს: უამისოთ მას შიმშილით სიკვდილი მოელის. კაპიტალისტურ წარმოებაში ვაჭარ-კაპიტალისტს შრომა აღარ სჭირია: ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ის ისაკუთრებს 10-20 მუშის ნაშრომისაგან, სავსებით საკმარისია ვაჭარ-კაპიტალისტის გამოსაკვებათ და წარმოების გასაფართოებლათ. მუშა ისეთივეა, როგორც ამქრულ წყობილებაში, ახალია მათი რაოდენობა, ეს კი ახალ ვითარებას ამყარებს, ახალ თვისებათ იქცევა: ამქრული წყობილება ისპობა და კაპიტალისტური მყარდება.

ეს ახალი წარმოება კაპიტალს მოითხოვს: უამისოთ შეუძლებელია მუშათა დაქირავება და საწარმოვო საქმის დაწყება. რამდენათ დიდი უნდა იყოს კაპიტალი? ეს სხვა და სხვა ქვეყნებში, სხვა და სხვა დროსა და წარმოებაში – სხვანაირია. ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტს უნდა ჰქონდეს იმდენი საშუალება, რომ მას შეეძ-

ლოს მთელი თავისი დრო მხოლოთ წარმოების ხელმძღვანელობას მოანდომოს, მუშაობა კი აღარ დასჭირდეს. თავდაპირველათ ევროპაში კ. მარქსის აზრით კაპიტალისტური წარმოების დასაწყებათ საჭირო იყო იმდენი კაპიტალი, რომ დაექირავებიათ რვა მუშა. ვთქვათ, ოსტატს აქვს ფული მხოლოთ შვიდი მუშის დასაქირავებლათ. ეს კაპიტალი არაა, ვინაიდან შეუძლებელია ამით კაპიტალისტური წარმოების დაწყება და მუშათა შრომით გამდიდრება. ვაჭარმა ფართო აღებ-მიცემობით და უმთავრესათ ახალი ქვეყნების გაყვლეფით შეაგროვა იმდენი ფული, რომ მან შესძლო რვა მუშის დაქირავება, მათი ერთ ფაბრიკა-ქარხანაში თავ-მოყრა და მათი ამუშავება. ვაჭრის ფული კაპიტალი შეიქნა, რაოდენობა თვისებათ გადაიქცა.

ყოველგან გაბატონებულ კლასი მთელ საზოგადოებას ყვლეფს. თავდაპირველათ ამას ვერ ამჩნევს საზოგადოება და ის ქედს იხრის მყვლეფელთა წინაშე. მარა აი რამოდენიმე კაცმა თავისი მდგომარეობა შეიგნო და არსებულ წყობილებას ომი გამოუცხადა. ის სუსტია ცვლილება მოახდინოს და ნაცვლათ ჩაგვრისა სამართლიანობისა და ბედნიერების სამეფო ააგოს. რაც დრო და ხანი გადის, შეგნება ხალხის ფართო წრეებში გადადის და დასასრულ მთელი ხალხი მხედრდება და საერთო შეტაკება, ანუ რევოლიუცია იწყება. იმას, რაც ორიოდე კაცმა ვერ შესძლო, მთელი ხალხი ასრულებს: ძველ წყობილებას სპობს და ახალს თავის გემოვნებით აშენებს. კერძო პიროვნება სუსტია და ამიტომ მოშიში, ხალხის ფართო მასა ძლიერია და ამიტომ დევ-გმირი; მისი საბოლოოთ დათრგუნვა შეუძლებელი საქმეა — რაოდენობა თვისებათ იქცევა.

მართლაც, წარმოვიდგინოთ ორი შემთხვევა: ოც კაცს აგურის გადაზიდვა ცალ-ცალკე მიანდვეს. მეორე შემთხვევაში ეს ოცი კაცი ერთი მეორეს დაუკავშირეს, ჩაამწკრივეს და ერთი კაცის ხელიდან მეორეს ხელში აგურის გადაცემა დაიწყეს. თქვენ დაინახავთ, რომ მეორე შემთხვევაში შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება. ოცი კაცისაგან შემდგარი ნადი მეტს გააკეთებს, ვინემ ერთი კაცი ოცი დღის განმავლობაში. ხალხში, მასაში კერძო პიროვნება ახალ ხასიათს ღებულობს.

მასის ძალა — აი ის იარაღი, რომლითაც შესძლეს ეგვიპტის დესპოტებმა უზარმაზარი პირამიდებისა და ტაძრების აგება.

ავიღოთ ორი სახელმწიფო, მაგ. რუსეთი და სერბია. პირველში 150 მილიონი მცხოვრებია, მეორეში 3 მილიონი. რომ ორივე სახელმწიფო თანასწორ პირობებში წარმოვიდგინოთ, რუსეთის მთავრობა არა მხოლოთ 50-ჯერ, არამედ ბევრით უფრო ძლიერი იქნება, ვინემ სერბიის მთავრობა. ამიტომ არის ასეთი უზარმაზარ მცხოვრებთა შეკავშირება და ერთათ დარაზმვა ბევრათ უფრო ძნელი საქმეა, ვინემ პაწია სერბიისა ან პორტუგალიის. უკანასკნელ ქვეყნებში საკმარისია ერთ მთავარ ადგილას ბნელი ძალები დაიმორჩილო, რომ მთელი ქვეყანა ხელთ იგდო და ახალ კალაპოტში ჩააყენო. სულ სხვაა უზარმაზარი რუსეთი სხვათა შორის ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ დესპოტიზმი მეტათ ხანგრძლივი გამოდგა. თვით კარჩაკეტილმა ჩინეთმაც კი რუსეთის ხალხზე ადრე დაამხო მონარქია და დაამყარა დემოკრატიული რესპუბლიკა.

მეორე მხრით, თვისება რაოდენობათ იქცევა. ცნობილია, მანუფაქტურულმა წარმოებამ ფართოთ განავითარა შრომის განაწილება. ქინძისთავი, რომელსაც წინეთ ერთი მუშა ამზადებდა, აქ რამოდენიმე ათის, ხშირად ასი მუშის ხელში გაივლის. თვითეულ მუშას მინდობილი აქვს ქინძისთავის უმნიშვნელო ნაწილის დამზადება. ამიტომაც ის ხელოვნდება თავის საქმეში, ამ გზით შრომა ნაყოფიერდება და „შესაძლებელი ხდება მრავალი ქინძისთავის დამზადება იმ დროის განმავლობაში, რომელიც წინეთ საჭირო იყო ერთი ქინძისთავის თავის გადასაჭრელათ ან წასაქნელათ“.[1]

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის წინააღმდეგ რეაქციონური ევროპა ამხედრდა. სახელმწიფოებმა კავშირი შეჰკრეს და საფრანგეთს ომი გამოუცხადეს. რეაქციონური კოალიციის მრავალ-რიცხოვანი ჯარი დაქირავებული ხალხი იყო სხვისი საქმისთვის და ამიტომაც გულგრილათ იბრძოდა. მის წინააღმდეგ რევოლიუციონურმა საფრანგეთმა თვით ხალხი – თავისუფალი მოქალაქენი გამოიყვანა. ფრანგი მოქალაქე თავისი საქმისთვის – თავისუფლებისათვის იბრძოდა. და აი თავისუფლებამ დესპოტია დაიმორჩილა, ფრანგმა მოქალაქემ მონა – დაქირავებული სალდათი დათრგუნა. იდეით გატაცებული ხალხი უფრო მრავალ-რიცხოვან მტერს ამარცხებს. თვისება რაოდენობათ იქცევა.

---

[1] კ. მარქსი, Капиталъ, т. I. 2 7 გვ.

გარდაქმნა, რაოდენობის თვისებათ გადაქცევა და პირიქით, – ეს რევოლიუციის ხანაა. ცხოვრების თანდათანი ანუ ევოლიუციონური განვითარება რადიკალურათ სხვაფერდება, წინანდელი მდგომარეობა ძირბუდიანათ იცვლება. ეს ნახტომია. ევოლიუცია რევოლიუციას ამზადებს.

წყალი სიცივის გავლენით მყარდება და როცა სითბო სავსებით მოისპო, ის უცებ იყინება და წყლის ნაცვლათ ყინულს ვღებულობთ. ეს ნახტომია.

ბავშვი ისახება და იზრდება დედის მუცელში, ცხრა თვის განმავლობაში ის ზრდას ამთავრებს, დედის მუცელი მას ვეღარ იტევს და ბავშვიც იბადება. ძველი მდგომარეობა უცებ ისპობა და ახალი მკვიდრდება.

მე-18-ე საუკუნეში საფრანგეთის „განმანათლებლებმა“ გაილაშქრეს აბსოლიუტური მონარქიის წინააღმდეგ. როცა მათი იდეები ხალხის ფართო მასას მოედვა, უკანასკნელი ამხედრდა, მონარქია დაამხო და რესპუბლიკა დააფუძნა. ეს რევოლიუციაა.

ჩინეთში რევოლიუციონერები ხანგრძლივ აგიტაციას ეწეოდენ და ხალხს „მანჯურთა“ დესპოტიის დამხობისაკენ უხმობდენ. როცა ხალხი საკმაოთ მომზადდა, ის აჯანყდა, დესპოტია დასცა და თავისუფლება გამოაცხადა.

ასეთია ბუნებისა და ცხოვრების განვითარების კანონი და ამას აღნიშნავს დიალექტიკა.

ამბობენ: დიალექტიკა ლოღიკის უარყოფაა და როგორც ასეთი ის ყალბი და ნიადაგს მოკლებულიაო. მერე მართალია ეს?

„ბუნების ყველა მოვლენათა საფუძველი მატერიის მოძრაობაა, მოძრაობა წინააღმდეგობაა. ამაზე დიალექტიკურათ უნდა ვიმსჯელოთ“,[1] ანუ ფორმულით: კი – არა და არა – კი. საგანი არსებობს და თანაც არ არსებობს, ვინაიდან ის მუდმივ ცვლილებას განიცდის. მაგ. ადამიანის სხეულის ზოგიერთი უჯრედები ისპობიან და ნაცვლათ ახალი ჩნდებიან. ადამიანი იგივეა და თან არა იგივე, ვინაიდან ახალი უჯრედებიდან შესდგება. ადამიანი იზრდება და ის სიკვდილს უახლოვდება. ცხოვრება სიკვდილს წარმოშობს. მარა სანამ ადამიანი არ მოსპობილა, მას აქვს თავისი განსაკუთრებული თვისებანი და როცა გვეკითხებიან, ამა და ამ

[1] Г. Плехановъ. Предисловіе къ «Людвигу Фейербаху». 16 გვ.

დროში არსებობს ადამიანი თუ არა, ჩვენ უყოყმანოთ ვუპასუხებთ: კი, ის არსებობს. „თუ ჩვენს პლანეტაზე მიგვითითებენ და შეგვეკითხებიან, არსებობს ეს პლანეტა თუ არა, ჩვენ შეუდრეკელათ ვუპასუხებთ: კი. თუ ჩვენ შეგვეკითხებიან, არსებობენ თუ არა კუდიანები, ჩვენ აგრეთვე გადაჭრით ვუპასუხებთ: არა“.[1]

გამოდის, ყოველივე საგანს ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ ის ვითარდება ანუ იცვლება. ეს დიალექტიკის სამფლობელოა. მეორე მხრივ ჩვენ შეგვიძლია საგანი გაქვავებულათ ანუ უცვლელათ წარმოვიდგინოთ ყველა თავისი განსაკუთრებული თვისებებით. ეს ლოღიკის სამეფოა და ამ შემთხვევაში ლოღიკური კანონების თანახმათ უნდა ვიმსჯელოთ, ანუ ფორმულით: კი ან არა. მარა უკანასკნელ შემთხვევაშიც ხშირათ ძალიან ძნელია გადაჭრილი პასუხის მიცემა. როცა საგანი მხოლოთ ჩნდება, მაშინ „ხანდახან სრული უფლებით შევყოყმანდებით პასუხის მიცემის დროს“. მაგ., როცა ადამიანს თავიდან თმა სცვივა, მარა მელოტი ჯერ არ გამხდარა; როცა წვერი ამოსვლას იწყებს, მარა ის ჯერ კიდევ შეუმჩნეველია, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია გადაჭრილი პასუხის გაცემა, როცა გვეკითხებიან: არსებობს საგანი თუ არა?

მოკლეთ, დიალექტიკა ლოღიკის შესწორებაა, ლოღიკა დიალექტიკის დამატებაა. ამ გზით ნიადაგი ეცლება აბსოლიუტურ აზროვნობას. განყენებული აბსოლიუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ის მხოლოთ კონკრეტიულია. ეს ნიშნავს საგნისა და მოვლენის ყველა პირობათა შესწავლას. მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონას, მისი განვითარების გათვალისწინებას და მხოლოთ ამის შემდეგ გარკვეული აზრის შედგენას. ნ.გ. ჩერნიშევსკი ამას ასე განმარტავს; „მაგალითად: სიკეთეა თუ ბოროტება წვიმა. ეს განყენებული კითხვაა; გადაჭრით ამაზე პასუხის მიცემა არ შეიძლება; ხანდისხან წვიმას სარგებლობა მოაქვს, ზოგჯერ კი, თუმცა უფრო იშვიათათ – ზარალი; უნდა ვიკითხოთ გარკვეულათ: მას შემდეგ, რაც დამთავრდა პურის დათესვა, ხუთი საათის განმავლობაში ძლიერ წვიმდა, – სასარგებლო იყო თუ არა ეს პურისთვის? მხოლოთ აქ ნათელია პასუხი და მას აზრი აქვს: ასეთი წვიმა ძლიერ სასარგებლო იყო. მარა იმავე ზაფხულში, როცა პურის მკის დრო დადგა, მთელი კვირის განმავლობაში

[1] იქვე, 17 გვ.

ძლიერ წვიმდა, სასარგებლო იყო თუ არა ეს პურისთვის? პასუხი აქაც ნათელია და აგრეთვე სამართლიანი: არა, ეს წვიმა მაზარალებელი იყო“.

ეს დიალექტიკური მეთოდია. აზროვნების ეს იარაღი კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა ისტორიის ასახსნელად გამოიყენეს და ამის მეოხებით მუშათა საბოლოო მიზანი დაასაბუთეს. დიალექტიკური მატერიალიზმი საფუძვლათ დაედვა სოციალიზმს.

რედაქტორის ბოლოსიტყვა

ნოე რამიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – ჩვენი ამ „პატარა ოქროს ხანის“ (პოლიტემიგრანტი კარლო ინასარიძე) ერთ-ერთი თვალსაჩინო შემოქმედთაგანი გახლდათ. გერონტი ქიქოძის აღიარებით კი იგი „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი იყო“.[1] ამ პოსტზე იგი ენერგიულად იბრძოდა ქვეყანაში მართლწესრიგის დასამყარებლად. გერონტი ქიქოძისავე მიხედვით: „უეჭველია, რამიშვილი სასტიკად გაუსწორდებოდა ქართველ „ბოლშევიკებსაც“. თუ ჟორდანიას არ შეეკავებინა და თუ საერთოდ, საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშკრულება დაედო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისათვის“.[2]

ნოე რამიშვილი დაიბადა გურიის სოფელ ქვემო სურებში (დღევანდელი დიდი ვანი, ჩოხატაურის რაიონში) 1881 წელს. ჯერ სწავლობდა სოფლის საერო ორკლასიან სკოლაში, სადაც მასწავლებლობდა მისი ნათესავი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, პოლიტიკური მოღვაწე ისიდორე რამიშვილი. პატარა ნოემ სწავლა გააგრძელა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი – ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. ამის შემდეგ მან საერო განათლება გააგრძელა. 1901-1902 წლებში სწავლობდა ტარტუს (დერპტის, იურიევის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო დათხოვნილ იქნა ამ უმაღლესი სასწავლებლიდან. იგი დაბრუნდა საქართველოში და 1902-1903 წლებში იყო ჩართული გურიის გლეხთა მოძრაობაში, იყო რა მისი გაერთიანების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

სხვათა შორის, კანდიდ ჩარკვიანი, ე.წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი (1938-1952წწ.) გადმოგვცემს იოსებ სტალინის მონათხრობს ნოე რამიშვილის შესახებ: „ნოე რამიშვილის ნამდვილი სახელი პეტრე იყო. ამ სახელით ვიცნობდით მას ცხრაასიანი წლების დასაწყისში. პარტიის მეო-

[1] იხ. მისი „თანამედროვის ჩანაწერები“, თბილისი, 2003, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 18.

რე ყრილობის შემდეგ, პეტრე ბოლშევიკებს მიემხრო.[1] თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში რიცხობრივად ბოლშევიკები სჭარბობდნენ. ისიც ცდილობდა ამ უმრავლესობას დაყრდნობოდა და ხელმძღვანელის როლი ეთამაშა, მაგრამ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში შეჯახება მოგვიხდა. ორგანიზაციამ მე დამიჭირა მხარი. რამიშვილი მიხვდა, რომ ბოლშევიკურ ფრაქციაში მას მესვეურობა არ ეწერა და მენშევიკებთან გადაბარგდა. ამით ნათელი გახდა, რომ პოლიტიკური ხაზის არჩევისას რამიშვილს იდეურობა კი არა, პირადი კარიერის ინტერესი ამოძრავებდა".[2]

რასაკვირველია, ნოე რამიშვილის ნამდვილი სახელი პეტრე არ ყოფილა (ეს გახლდათ მისი ერთ-ერთი პარტიული მეტსახელი). მაგრამ რაც უფრო მთავარია, დიდად საეჭვოა „ხალხთა დიდი ბელადის" აღნიშნული მონაყოლი ნოე რამიშვილის შესახებ. მაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მისი ერთ-ერთი ცრუპენტელობათაგანია. ყოველ შემთხვევაში, უთუოდ ღირს ამ საკითხში სპეციალური ჩაღრმავება. შეგახსენებთ, რომ ნოე რამიშვილი, „ნოე-პეტრე" ი. სტალინმა გაიხსენა 1945 წლის ოქტომბერში სოჭში ნიკო ბერძენიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან და სხვებთან შეხვედრისასაც.[3]

1904 წელს ნოე რამიშვილი ბაქოშია, სადაც, ცხადია, კვლავ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა. ამავე წელს იგი თბილისში გადმოვიდა, სადაც დააპატიმრეს (შემოდგომაზე) და ეტაპით გააგზავნეს ბათუმში. მაგრამ მან მოახერხა დასხლტომოდა ჟანდარმერიას – ამდენად სასამართლოს და დონის როსტოვს შეაფარა თავი. 1905 წლის მარტში იგი არალეგალურად დაბრუნდა თბილისში და სხვა გამოჩენილ „მენშევიკებთან" ერთად აქტიურად დაუპირისპირდა „ბოლშევიკებს", რომლებიც, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში უმცირესობას წარმოადგენდნენ. რეაქციის წლებში (1906-1907) იგი კვლავ მუშათა მოძრაობის

[1] ვინაიდან აღნიშნული ტერმინები, „უმცირესობისა" და „უმრავლესობის" გამომხატველნი, იმ ხანის საქართველოსა და რუსეთში შინაარსობრივად დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ამიტომაც მათ ბრჭყალებში ვხმარობთ.

[2] იხ. ავტორის „განცდილი და ნააზრევი", თბ., 2004, გვ. 480.

[3] იხ. ნიკო ბერძენიშვილის მოგონება „შეხვედრა სტალინთან", „ცისკარი", 1998, N1, გვ. 102.

შუაგულში იდგა, კერძოდ, თანამშრომლობდა სოციალ-დემოკ-რატიული („მენშევიკური“) მიმართულების გაზეთებში: „სხივი“, „ლამპარი“, „ჩვენი სიტყვა“, „ერთობა“ და ა.შ. მოგვიანებით იგი გახდა გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი. მისი პარტიული ფსევდო-ნიმები იყო „პეტრე“, „სემიონოვი ნ“, „ბარცოვი“.

1908-1909 წლებში ნოე რამიშვილი ლაიფციგის უნივერსი-ტეტში სწავლობდა (ეუფლებოდა ეკონომიკასა და ფილოსოფიას). ცხოვრობდა შვეიცარიაშიც. შეგახსენებთ, რომ მას ფინანსურად ეხმარებოდა ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი.

ნოე რამიშვილის, როგორც რევოლუციონერი სოციალ-დე-მოკრატის მოღვაწეობის არეალი გასცდა საქართველოს, თვით ამიერკავკასიის ფარგლებს. 1907 წელს მონაწილეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილო-ბის მუშაობაში, რომელზედაც იგი ახლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი გახდა. 1912-1913 წლებში მო-ღვაწეობდა დონის როსტოვში, 1913 წელს კი – პეტერბურგში. მას ურთიერთობა უხდებოდა, როგორც „მენშევიკ“, ისე „ბოლშევიკ“ ლიდერებთან, რომლებთანაც ძალზე დაპირისპირებული იყო.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დროს ნოე რამიშვილი ნეიტრალიტეტს იცავდა, რის გამოც იგი დაუპირისპირდა ნოე ჟორდანიას. 1915 წლიდან მან პოზიცია შეიცვალა და „ობორონე-ცი“ გახდა. თებერვლის რევოლუციის შემდგომ კი ნოე რამიშვი-ლი კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. მონაწილეობდა ინტერპარტიული საბჭოს მუშაობაში, ეროვნულ საბჭოში გახლდათ სამხედრო სექციის ხელმძღვანელი. არჩეულ იქნა აგრეთვე რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტა-ტად, შემდგომ გახლდათ ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატი (ქა-რთველი სოციალ-დემოკრატებისაგან). ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამტკიცებულ მთავრობაში (1918 წლის აპრილი) დაიკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი.

როდესაც პირველი მსოფლიო ომისა და ბოლშევიკური გადატ-რიალების შედეგად საქართველომ 1918 წელს ნანატრ ეროვნულ დამოუკიდებლობას მიაღწია, ნოე რამიშვილმა მთავრობის პირვე-ლი თავმჯდომარის პოსტი დაიკავა. პარალელურად მას ეკავა ში-

ნაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც. მალე იგი მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე თვითონ პარტიის ლიდერმა, ნოე ჟორდანიამ შეცვალა და ამიერიდან მხოლოდ აღნიშნულ სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ერთ ხანს იგი სამხედრო და განათლების სამინისტროებსაც უძღვებოდა. მანამდე, როცა 1918 წლის 9(22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, აკაკი ჩხენკელის მთვრობაშიც სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია-ოკუპაციის შემდეგ ნოე რამიშვილმა დატოვა საქართველო და ოჯახთან ერთად საფრანგეთში (პარიზში) გადასახლდა.[1] ქართველ სოციალ-დემოკრატთა („მენშევიკთა“) შორის იგი კვლავ ყველაზე შეურიგებელი რჩებოდა წითელი რუსეთისადმი, მისი მარიონეტული ხელისუფლებისადმი საქართველოში. კერძოდ, იგი გახლდათ ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ანტიბოლშევიკური აჯანყებისა. ამიტომაც, აგრეთვე ძველი წყენის გამო იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, კერძოდ იოსებ სტალინმა მიზანში უპირველესად სწორედ ნოე რამიშვილი ამოიღო.

როგორც უცხოეთში საბჭოთა დაზვერვის ყოფილი უფროსი, შემდგომში სსრკ-დან გაქცეული («перебежчик», «невозвращенец») ალექსანდრ ორლოვი (ფელდბინი) წერდა, როცა 1926 წელს იგი ვითარცა „გეპეუს“ უცხოეთის განყოფილების („ინს“) უფროსი, პარიზში მიავლინეს, აქაურ საბჭოთა საელჩოში იგი შეხვდა თავის ძველ ამხანაგს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს, რომელიც „ცაგარელის“ გვარ-სახელით იყო შეგზავნილი პირდაპირ სტალინის დავალების აღსასრულებლად – კონტაქტში შესულიყო „ქართველ რევოლუციონერ“ ნოე რამიშვილთან, რათა უკანასკნელს თავი დაეო-

[1] სხვათა შორის, ვ.ი. ლენინი სერგო ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავდა „ნოე ჟორდანიას ტიპის მენშევიკებს“, ასე რომ, ნაგულისხმევია სხვა ტიპის მენშევიკებიც, ნოე რამიშვილის მსგავსი. გერონტი ქიქოძე დასახელებულ წიგნში წერდა: „ფილიპე მახარაძემ გვითხრა, ნოე ჟორდანიას ურჩიეთ ჯარსა და გვარდიას იარაღი დააყრევინოს, ხოლო თვითონ საბჭოთა საქართველოში დარჩეს. რაც შეეხება ნოე რამიშვილს მის გარანტიას ვერ მივცემთ, რომ თუ ხელში ჩაგვივარდა, არ დავსჯითო“, გვ. 53.

კებინა («умерить пыл») და შეეწყვიტა მცდელობა საქართველოში სოციალური მოძრაობის ისტორიის დაწერისა. მაგრამ დ. ლორთქიფანიძეს ნ. რამიშვილის დაყოლიება ვერ მოუხერხებია[1] (იქნებ ეს იყო უმთავრესი მიზეზი მისი რეპრესიისა (დახვრეტისა) დიდი საბჭოური ტერორის დროს).

საბჭოთა ხელისუფლებამ, პირადად ი. სტალინმა, საწადელს მაინც მიაღწიეს: თავიანთი აგენტის, ქართველი პოლიტემიგრანტის პარმენ ჭანუყვაძის ხელით გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკურ-კომუნისტური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი განგმირულ იქნა 1930 წლის 7 დეკემბერს. მკვლელი მყისვე შეიპყრეს, მიუსაჯეს პატიმრობა ათი წლით და შემდეგ – საფრანგეთიდან გაძევება ოცი წლის ვადით. იგი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა (ამბობენ, რომ მან მოინანია თვისი საქციელი და ჭკუიდან შეიშალა).

გვაქვს ფაქტები, რომლებიც გასაგებს ხდის ი. სტალინის ბოღმიანობას (რაც მისი ხასიათის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება იყო) ნოე რამიშვილის მიმართ.

სხვათა შორის, ნოე ჟორდანია საკმაოდ საფუძვლიანად წერდა: „რასაკვირველია, მის (სტალინის– გ.ყ.) წინააღმდეგ რომ გამოჩენილიყო ვინმე ორგანიზატორი, მსგავსი ნ. ხომერიკის და ნ. რამიშვილისა, ის აქაც ისე დამარცხდებოდა, როგორც დამარცხდა სამშობლოში, მაგრამ მის წინააღმდეგ დარჩენ გამოუცდელი და უხერხემლო ემიგრანტები და ამ უძაღლო ქვეყანაში ქართველი კატა აყეფდა“.[2]

მკვლევარ-ისტორიკოსი თენგიზ სიმაშვილი აღნიშნავს, რომ „1930-იანი წლების მეორე ნახევარში ბერიას აგენტურამ შეძლო ქართული ემიგრაციის გათიშვა და კატალიზატორის როლი ითამაშა იმ პერიოდში ემიგრაციის შიგნით დაწყებულ სისხლიან ანგარიშსწორებებში. ყველაზე ცნობილი ფიგურა, ვინც ამ დროს ქართველებმა მოკლეს, იყო ნოე რამიშვილი, მტკიცე ნებისყოფის ლიდერი. იგი ქართულ ემიგრაციასთან ბერიას უწყების მიერ და-

---

[1] იხ. კრებული «Был ли Сталин агентом Охранки? Сборник статей, материалов и документов», М., 1999, стр. 50.

[2] იხ. სტატია „სტალინი“, გაზეთი „ბრძოლის ხმა“, 1936, 65.

წყებულ კონტაქტებს ეწინააღმდეგებოდა“.[1] აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ლავრენტი ბერიას პოლიტიკურ აღზევებაში ასეთმა „სამსახურმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშა, სათავე დაუდო ამ ორ პირს შორის „მეგობრული ურთიერთობების“ დამყარებას.[2]

აღსანიშნავია, რომ ნოე რამიშვილის პრაქტიკული მოღვაწეობის ნიჭი შერწყმული იყო თეორიული აზროვნების უნართან. 1912 და 1917 წლებში[3] მან დაბეჭდა წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი“, რომლის შესახებაც წინასიტყვაობაში ნოე ჟორდანია წერდა: „შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ვერც ერთ რუსულ-ქართულ წიგნისგან ისე კარგათ (!) ვერ გაეცნობით მარქსიზმს, როგორც ნ. რამიშვილის წიგნიდან“. რუსულ შესაბამის ლიტერატურასა ანდა კარლ კაუცკიზე და ანტონიო ლაბრიოლაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ აღნიშნული წიგნი აშკარად აღმატებულია ისტორიული მატერიალიზმის იმ გადმოცემასთან შედარებით, რაც ი. სტალინმა შეასრულა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“-ს (პრესაში იბეჭდებოდა 1906-1907 წლებში) და ნარკვევის „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის“ (1938 წელს) სახით. იგივეს ვიტყოდით ქართული საბჭოური შესაბამისი სახელმძღვანელოების მიმართაც.

1924 წელს ნოე რამიშვილმა პარიზში ფრიად აქტუალურ საკითხზე დაბეჭდა დაწერილი ბროშურა „საქართველო და რუსეთი“, რომელიც 1924 წლის აჯანყების ცხელ კვალზეა დაწერილი. იგი აქტუალური რჩება დღესაც, საქართველო-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობების პირობებში.[4]

---

[1] იხ. ავტორის წიგნი „საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, თელავი, 2003, გვ. 7.

[2] სხვათა შორის, აღდგენილი გაზეთი “ერთობა“ გვპირდებოდა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში გამოსცემდა კრებულა „ნოე რამიშვილის მკვლელობა“. სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოხერხდა.

[3] „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ IV ტომში (2003 წ.) მცდარად არის აღნიშნული, რომ წიგნი დაიწერა 1914 წელს და დაიბეჭდა 1916 წელს, გვ. 16.

[4] ბროშურა ხელმეორედ დაბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2006 წელს. დაიბეჭდა 2010 წელსაც.

ნოე რამიშვილის ბოლო ნაშრომი აღმოჩნდა „დემოკრატიული სოციალიზმი“ (დაიბეჭდა 1931 წელს, პარიზში, ხელმეორედ დაისტამბა საქართველოში, 2013 წელს).

როგორც მეუღლის, მაროს (ქალიშვილობის გვარ-სახელი გოგიაშვილი) მოგონებით ვგებულობთ, ნოე რამიშვილს ნაშრომის დედანი ჩაფიქრებული ჰქონდა იმ ქართველ ახალგაზრდა ემიგრანტთა საპასუხოდ, რომელთაც სათანადოდ, მისი აზრით, არ ჰქონდათ გაცნობიერებული სოციალიზმის არსება. რასაკვირველია, აგრეთვე იგულისხმებოდა ე.წ. საბჭოური სოციალიზმ-კომუნიზმის ალტერნატივა, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი და რომელსაც, ბოლშევიკურ-რუსული იმპერიალიზმის მიზეზით, შემდგომი განვითარება არ ეწერა.

საერთოდ, ავტორის „დემოკრატიული სოციალიზმი“ გახლდათ ასევე ალტერნატივა საბჭოური მარქსიზმისა. სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც კი, არათუ „ობივატელებს“, არამედ მათაც კი, ვისაც თავი ინტელექტუალებად მიაჩნიათ, ვერ გაუცნობიერებიათ, რომ საბჭოური მარქსიზმი თუ მარქსიზმ-ლენინიზმი ავთენტური მარქსიზმის ვულგარიზაცია-პროფანაციას წარმოადგენდა და რომ ამგვარი მარქსიზმი სოვეტილოგიის, ანტიკომუნიზმის ფრიად სოლიდურ საფუძველს წარმოადგენს. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის სახით აღნიშნული შესაძლებლობა კარგად გამოიყენა. ისინი ნათლად ხვდებოდნენ, რომ ბოლშევიზმი ტირანია-დესპოტიზმში გადაიზრდებოდა და საბოლოოდ კრახით დაასრულებდა არსებობას.

დიდად საბედნიეროდ, ჩვენ მოწმენი ვართ ამგვარი წინასწარმეტყველების ახდენისა, თუმცა, დაგვიანებით, 1991 წელს.

რაოდენ საამაყოა, რომ როდესაც 1951 წელს მაინის ფრანფურტში დაარსებულმა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა მიიღო დეკლარაცია „დემოკრატიული სოციალიზმის მიზნებისა და ამოცანების შესახებ“, მასში რიგი პრინციპებისა დაემთხვა ტრაგიკულად აღსრულებული ქართველი პოლიტიკოსისა და მოაზროვნის იდეებს.

მსგავსი პათოსით ვისაუბრებთ ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმის“ შესახებაც. ვიმეორებ, იგი წარმოადგენს შესაბამისი მიმართულების ინტერპრეტაციის ერთ-ერთ მცდელობას, რასაც წინასაბჭოური პერიოდის საქართველოში ჰქონდა ადგილი. მეორე მცდელობა, ვიმეორებთ, იყო იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) ნარკვევი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“ – მარქსიზმის უკიდურესი გავულგარების ნიმუში. მკითხველები, ვფიქრობ, ადვილად გააცნობიერებენ ტრაგიკულად აღსრულებული ნოე რამიშვილის წიგნის დიდ უპირატესობას „მსოფლიოს ხალხთა ბელადის“, „მეცნიერებათა კორიფეს“ ოპუსთან შედარებით.

თვით საბჭოურ ხანაში ასეთი სახელწოდების წიგნი (სახელმძღვანელოს სახით) სამჯერ დაიწერა (1975, 1968 და 1971 წლებში). შეგახსენებთ, რომ ესენი ერთი ან ორი ავტორის დაწერილი კი არ გახლდათ, არამედ – მრავლისა. ამდენად, გამორიცხული იყო ერთიანი, მთლიანი ხედვა. ამასთანავე ისინი შორს იდგნენ ისტორიის (მსოფლიო) ცოდნისაგან, მაშინ როდესაც იმანუილ კანტის მიხედვით, ამგვარი ცოდნა აუცილებელია საერთოდ ფოლოსოფიურ მოაზროვნეთათვის. და ბოლოს, ეს „სახელმძღვანელოები“, კერძოდ, მომავალ ისტორიკოსებს სერიოზულ ცოდნას არ აძლევდნენ, თანაც ამასთანავე გაჯერებული იყვნენ საბჭოური საზოგადოების ანალიზითა და პოლოგეტიკით (ე.წ. მეცნიერული კომუნიზმის ყაიდაზე).

თუ მსგავს სახელმძღვანელოებში კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული მსვლელობა უაზროდ წარმოიდგინებოდა, ნოე რამიშვილისეული ნაშრომი ამ პროცესს (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების საფეხურებით) საკმაოდ ადეკვატურად იაზრებდა, აგრძელებდა რა ჰეგელისეულ, ასევე კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსისეულ ხაზს.

აღნიშნული გარემოების ერთ-ერთი მომენტი გახლავთ აზიური საზოგადოების საკითხი, რაც საბჭოურ-კომუნისტური აზროვნებისათვის, იდეოლოგიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ როდესაც 1930 წლის მაისში თბილისში გაიმართა დისკუსია აზიური წარმოების წესის თაობაზე (დისკუსიის მასალები გამოქვეყნებულია) მთავარი მომხსენებელი იყო ბაქოელი

ბერინი. ჩვენთან, საქართველოში, კი არ აღმოჩნდა პიროვნება, ვინც პრობლემის რამდენადმე მცოდნე იქნებოდა და ისე მიიღებდა მონაწილეობას დისკუსიაში.

მოხდა ისე, რომ ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმის“ ხსენებას საქართველოში ტაბუ დაედო. ისე აჩვენებდნენ (მათ შორის ცნობილი ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე და პოლიტეკონომისტი პაატა გუგუშვილი, რომლებიც სპეციალურად შეეხენ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემას), რომ საქართველოში ამ მიმართულებით ქართველი ავტორის წიგნი თითქოსდა არ არსებულა.[1] ცხადია, გაურკვევლობაში ვიყავით ჩვენც, 1950-იანი წლების მეორე ნახევრის სტუდენტობა.

სხვათა შორის, ნოე რამიშვილისეულ „ისტორიულ მატერიალიზმში“ საბჭოური შესაბამისი წიგნებისაგან განსხვავებით, როგორც ვხედავთ, ცალკე თავადაა გადმოცემული ფილოსოფია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების (იდეოლოგიის) ცალკე (უმაღლესი) ფორმა. ჩანს, ამის გაკეთებას რაღაცნაირად ზედმეტად მიიჩნევდნენ.

ცხადია, აღნიშნულ წიგნის მიმართ გვაქვს რიგი შენიშვნებისა, მაგრამ მათზე ამჯერად აღარ ვილაპარაკებთ.

ვფიქრობთ, რომ წიგნი სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით მომავალი ისტორიკოსებისათვის, რომელთა თეორიული მომზადებისათვის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის არაფერი კეთდება. იგი სასარგებლო იქნება იმათთათვისაც, ვისაც სამჭოური, ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსები აქვთ გავლილი და ამის გამოისობით თვით ავთენტური მარქსიზმისადმი ალერგიით არიან შეპყრობილი.

ერთი სიტყვით, საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმის“ დაბეჭდვით (ამჯერად მესამე გამოცემა გახლავთ) ფრიად საჭირო საქმე გააკეთა.

---

[1] შალვა ნუცუბიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სწავლის პერიოდში მარქსიზმის დაცვის საკითხში საჯაროდ დაუპირისპირდა გამოჩენილ რუს ისტორიკოსს ნიკოლაი კარეევს (1850-1931). იხ. ქეთევან ნუცუბიძე, შალვა ნუცუბიძე, თბ., 1994, გვ. 42-43. მოგვიანებით, 1923 წელს მან თარგმნა და დაბეჭდა ნიკოლაი ბუხარინის ძალზე მდარე „ისტორიული მატერიალიზმი“.

სარჩევი

ავტორისაგან 3
წინასიტყვაობა 1-ი გამოცემისა 5
შესავალი 9

თავი I
საწარმოვო ძალთა განვითარება 11
რა არის წარმოებაში საჭირო? 11

თავი II
წარმოება და ნაწარმოებთა
გაცვლა-გამოცვლის წესი 15
1. წარმოება 15
ა) პირველ-ყოფილი კომუნისტური წარმოება 15
ბ) აზიური წარმოება 18
გ) მონური წარმოება 22
დ) ფეოდალური წარმოება 25
ე) კაპიტალისტური წარმოება 29
2. წარმოება და გაცვლა-გამოცვლა 33
ვ) წარმოება და მისაკუთრება 33

თავი III
საზოგადოებრივი ანუ საოციალური წყობილება 36
რას ნიშნავს კლასი 37

თავი IV
უფლება 41

თავი V
პოლიტიკური წყობილება 48

თავი VI
იდეოლოგია 62
1. მეცნიერება 66
2. ხელოვნება 77
3. ეთიკა 89
4. ფილოსოფია 106
5. სარწმუნოება 121

თავი VII
ურთიერთგავლენა 138

თავი VIII
რევოლიუცია 147

თავი IX
პიროვნებათა როლი ისტორიაში 167

დასკვნა 175
დამატება 176
დიალექტიკა 176
რას ნიშნავს დიალექტიკა? 176
რა არის მატერიალიზმი? 177
რედაქტორის ბოლოსიტყვა 189

დაიბეჭდა შპს „კოლორში“